170
1929

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრარქივი

# საარქივო საქმე

წიგნი I

ტფილისი
1929

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრარქივი

# საარქივო საქმე

წიგნი I

БИБЛИОТЕКА

ტფილისი
1929

პასუხისმგებელი რედაქტორი ი. იოვიძე

სარედაქციო კოლეგია:
- შ. ჩხეტია
- ი. გედევანიშვილი
- პროფ. გ. ნათაძე
- დ. ხულიაშვილი
- პროფ. მ. პოლიევქტოვი
- ნ. ცერცვაძე

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა

შეკვეთა № 976. მთავლიტი 27. ტირაჟი 700.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი.

## I. არქივები და არქივთმცოდნეობა.

გვ.

**ფ. მახარაძე.**—არქივების მნიშვნელობის შესახებ . . . . . . 5

**ი. იოვიძე.**—საარქივო საქმე საქართველოში . . . . . . . . 9

**შ. ჩხეტია.**—არქივალიების კლისიფიკაციისა და სისტემატიზა-ციის ძირითადი პრინციპები . . . . . . . . . 37

**პროგ. გ. ნათაძე.**— სახელდახელო ცნობები რ. ს. ფ. ს. რ.-ს. არქივების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . 61

**ი. გედევანიშვილი.**—სამხედრო-საისტორიო არქივი . . . . . 70

**მ. დიაკონენკო.**—საქართველოს ს. ს. რ. ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდი . . . . . . . . . . . . . 73

**შ. ჩხეტია.** - საარქივო შენობა და მისი მოწყობილობა . . . 95

**გ. ბოჭორიძე.**--ძველ საბუთთა არქივი . . . . . . . . . 113

**პროფ. მ. პოლიევქტოვი.**—მთავარი საისტორიო არქივი . . . 120

**ვ. ბროსსე.**—ბეჭდვით ნაწარმოებთა არქივების ცენტრალიზა-ლიზაციისთვის საქართველოში . . . . . . . . 136

## II. საინფორმაციო განყოფილება

ცენტრარქივის დირექტორის მოხსენება საქართველოს ც ა კ-ში და ც ა კ-ის დადგენილება . . . . . . . . . . 143

ცენტრარქივის მუშაობის ანგარიში 1928 წ. სექტემბერ-დეკემბრის საპერსპექტივო გეგმის მიხედვით . . . . . . . . 145

ცენტრარქივის მუშაობა-მოქმედების საპერსპექტივო გეგმა 1929 წ. იანვრიდან ივლისამდე . . . . . . . . . . . 154

მომქმედ საბჭოთა დაწესებულებების არქივების დათვა-ლიერება . . . . . . . . . . . . . . . . . . 161

## III. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

**არქივისტი.**—В. Романовський. „Нариси з архівознавства“. . 168

**ბიბლიოგრაფი.**—«Архивное Дело». Изд. Центрархива РСФСР 177

**შ. ჩხეტია.**—შეუგნებელი უვიცობა, თუ შეგნებული სიყალბე?. . 186

## IV. ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტები, ცირკულიარები და ინსტრუქციები . . . . 200

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ. მახარაძე

# არქივების მნიშვნელობის შესახებ.

პირველად მიხდება არქივების მნიშვნელობის შესახებ ორიოდე სიტყვის თქმა. თითქო ეს მნიშვნელობა თავისთავად უნდა იგულისხმებოდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ყველას არ ესმის, ან თუ ესმის, აქედან არ გამოყავთ სათანადო დასკვნები.

საქმე იმაშია, რომ სულ უკანასკნელ დრომდე საარქივო საქმეს საქართველოში არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება, ვისგანაც ეს საჭირო იყო, ე. ი. მთავრობის ორგანოების მხრივ. მე აქ საბჭოთა ხანა მაქვს მხედველობაში. საბჭოთა კანონმდებლობით საარქივო მშენებლობას საკმარისად დიდი მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ამ საქმეს არ ვაქცევდით ჯეროვან ყურადღებას, რაც უეჭველია, სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამის გამო დიდძალი საარქივო დოკუმენტები, რომლებიც ძვირფას ისტორიულ მასალებს მოგვცემდენ წარსულის შესასწავლად, ან სრულებით დაიღუპენ ან დღემდის შეუგროვებელი დარჩენ და არც კი ვიცით, თუ სად განისვენებენ ისინი. ამავე გარემოებით, ე. ი. არასაკმარისი ყურადღებით აიხსნება ისიც, რომ **მეცნიერული შესწავლა და გამოყენება** იმ საარქივო დოკუმენტების, რომლებიც დაგროვილია ჩვენ არქივებში, ჯერჯერობით სათანადოთ ვერაა მოწყობილი. მართალია, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრით არაფერი იყოს გაკეთებული ან ეხლაც არ კეთდებოდეს. მაგრამ უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა, თუ შესაფერი ყურადღება ექნებოდა მიქცეული. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს საარქივო საქმე ჩვენში საკმარისად გამოცოცხლდა. ხდება საარქივო დოკუმენტების შეგროვება და თავის მოყრა (კონცენტრაცია) ერთ ადგილას (ცენტრ-არქივი), და დაწყებულია აგრეთვე რამდენადმე, საარქივო მასალების შესწავლა-გამოკვლევა და გამოყენება. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ წვეთია ზღვაში. არქივებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო შორეული წარსულის შესასწავლად და გასაგებად, არამედ სულ ახლო ხანის გასაცნობად და გასაშუქებლადაც.

27357

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბევრს გონია, რომ არქივების საშუალებით მხოლოდ შორეულ წარსულის შესწავლა შეიძლება. ეს დიდი შეცდომაა. მართალია, ბურჟუაზიულ ქვეყნებში ეს რამდენიმედ სწორეა, რადგანაც იქ საარქივო დოკუმენტების ხელის ხლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იმათ ორმოცდაათი წელიწადი შეუსრულდათ და მაშინაც ისინი მხოლოდ რჩეულთათვის არის ხელმისაწდომი. როგორც ვიცით, სრულებით სხვა მდგომარეობაა ამ მხრით საბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც არქივების საშუალებით შესაძლებელია გამოირკვეს მრავალი მეტად აქტიური და საჭირბოროტო საკითხი.

უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ საარქივო დოკუმენტებს და მასალებს, რომლებიც ეკუთვნიან მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს და მეოცე საუკუნის დასაწყისს, მაგრამ—ამით მე სრულებით იმის თქმა არ მინდა, რომ სხვა ეპოქის საარქივო დოკუმენტებს, თითქო ნაკლები მნიშვნელობა ქონდეთ.

ყოველ ეჭვს გარეშეა ის, რომ არქივებში მოიპოვება გასაღები მრავალ საყურადღებო ისტორიულ ფაქტების გასაშუქებლად. ისინი იძლევიან მეტად ძვირფას მასალებს საზოგადოებრივ ურთიერთობის შესახებ მეფობის დროს, კლასთა შორის ბრძოლაზე, მემამულეებისა და გლეხების ურთიერთობაზე, ხელოსნებზე, ვაჭრობა-მრეწველობაზე, ქვეყნის მართვა-გამგეობაზე და სხვა. ეს საარქივო დოკუმენტები კონკრეტულად, ფაქტებით გვიშლიან ჩვენ თვალწინ გაბატონებულ კლასების ზნედაცემულობას, სისაძაგლეს, გაიძვერობას, სიცრუეს და საერთოდ ყველა იმათ მიერ ხალხის წინაამდეგ ჩადენილ დანაშაულობებს. ყოველივე ეს, როგორც ვიცით, თანამედროვე საზოგადოებისთვის თითქმის სრულებით დაფარული იყო.

არ შემიძლია არ მოვიყვანო აქ ერთი მაგალითი ჩემი ცხოვრებიდან, რომელიც ცხადზე უცხადესათ ლაპარაკობს საარქივო დოკუმენტების მნიშვნელობაზე. გასული საუკუნის მეოთხმოცდაათე წლებში, გორის მაზრაში ადგილი ქონდა რამდენიმე მკვლელობას აგრარულ ნიადაგზე, ე. ი. უფრო პირდაპირ რომ ვსთქვათ, გლეხობის შურისძიებას მიწადმფლობელ თავად-აზნაურების მიმართ (მაგ., ცნობილი მემამულე-თავადი დიასამიძის მოკვლა). ეს იყო თითქო ჩვეულებრივი დანაშაული. სინამდვილეში კი, ეს იყო შედეგი, გლეხობის საშინელი ტრაღედიისა, მათი ოჯახების აუტანელი ტანჯვა-წამებისა და აწიოკება-დარბევისა. მაგრამ თანამედროვე საზოგადოებისათვის ყოველივე ეს დაფარული იყო. ამავე დროს კი, მეფის მთავ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რობის ერთ-ერთ დაწესებულებაში, რომელიც ატარებდა საკმარისად ახირებულ სახელწოდებას—**საგლეხო საქმეების შეკრებულებას** (губернское по крестьянским делам присутствие) საიდუმლოდ ინახებოდა მეტად საინტერესო მიწერ-მოწერა სწორედ აი, ამ დიასამიძის „მამულზე“ დასახლებულ გლეხობის იმ უმაგალითო დარბევა-აწიოკებაზე, რასაც მათ აყენებდა ლიბერალი და მაშინდელ საზოგადოებაში გამოჩენილი პიროვნება, ზევით დასახელებული მემამულე. იმ ხანად მე მომიხდა გორის მაზრაში ყოფნა და აღმეძრა დიდი ინტერესი ამ საქმის გაცნობისა. გავიგე, რომ დავა გორის მემამულეებსა და გლეხებს შორის უკვე დიდი ხანია გრძელდებოდა და მთელი მასალა ამის შესახებ იყო დაგროვილი ზევით დასახელებულ დაწესებულებაში. ამ მასალების შესწავლის მიზნით მე გავეცანი ხსენებულ დაწესებულების ერთ-ერთ წევრს—**ალ. ყიფშიძეს**, რომელიც მწერლობაში ცნობილი იყო **ფრონელის** სახელწოდებით. მან საშუალება მომცა გავცნობოდი ამ მასალების ნაწილს, რათქმა უნდა, საიდუმლოდ, რაც განსაკუთრებით ყიფშიძისათვის მეტად სახიფათო იყო, რადგანაც ამ მასალების გაცნობის უფლება, გარდა მეფის ზოგიერთ საიდუმლო მოხელეებისა, არავის ქონდა. როცა მე გავეცანი ზევით აღნიშნულ დოკუმენტებს, თვალწინ წარმომიდგა გლეხთა სრულიად უმწეო მდგომარეობა, იმათი ქლეტა, დარბევა, აწიოკება, ერთი ადგილიდან მეორე ადგილას ძალდატანებით გადასახლება, ცემა-ტყეპა, დამცირება, შეურაცყოფა და სხვა და სხვა. შემდეგ, მთელი წყება გლეხობის ადმინისტრატიული წესით ციმბირში გადასახლება. აი, რა უძლოდა წინ მემამულე დიასამიძის მოკვლას. მაგრამ დიასამიძე ხომ გამონაკლისს არ წარმოადგენდა! რასაც იგი ჩადიოდა, ამასვე ჩადიოდენ მეტად თუ ნაკლებად ყველა მისი თანამოძმენი. ეს წარმოადგენს მთელ ხანას ჩვენი ქვეყნის აგრარულ ურთი-ერთობაში. მაგრამ, ეს ხანა ამ მხრივ დღემდის თითქმის გამოურკვეველია ჩვენთვის. მისი საფუძვლიანად გაცნობა შეიძლება მხოლოდ იმ საარქივო დოკუმენტების შესწავლით, რომლებიც უნდა იყვნენ დაცული ჩვენ არქივებში. ასევე ითქმის ყველა სხვა დარგის შესახებაც, როგორიცაა, მაგ., **სწავლა-განათლების საკითხი, ეკონომიკა, პოლიტიკა** და სხვა.—ყველა ამ საკითხების გასაშუქებლად მეფობის ხანაში, და—მენშევიკების დროიდანაც, არქივებს შეუძლიანთ მოგვაწოდონ ჩვენ მეტად ძვირფასი მასალა. როგორც ვიცით, საარქივო დოკუმენტები ატიტვლებენ ფაქტებს, რომელთა დაფარვას, ბურუსში გახვევას ან შეღებვას ადგილი თითქმის არ აქვს იქ. ესა თუ ის ფაქტი ან მოვლენა

ეროვნული ბიბლიოთეკა



თქვენ თვალწინ წამოიჭრება ისე, როგორც ის იყო სინამდვილეში. აი, რისთვის აქვთ ასე დიდი ფასი საარქივო დოკუმენტებს.

მართალია, საარქივო დოკუმენტებს აქვთ მეცნიერული მნიშვნელობა, მაგრამ მეცნიერებაც არის და მეცნიერებაც. ჩვენ ვართ **მარქსისტები—ლენინელები**. ჩვენ ვუდგებით ყველა მეცნიერულ საკითხს **მებრძოლი მარქსიზმის** თვალსაზრისით—ეს უნდა ითქვას გადაჭრით და სრული გარკვეულობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ავსცდებით სწორ მეთოდს ისტორიულ ფაქტების გაშუქებაში და შესწავლაში. ასე ვუდგებით ჩვენ საარქივო საქმესაც. აშკარაა, თუ რა დასკვნა გამომდინარეობს ყველა ზემონათქვამიდან. უწინარეს ყოვლისა **უდიდესი პასუხისმგებლობა** საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ყველა იმათ მხრივ, ვინც უშუალოდ სათავეში უდგახან ან ვინც მუშაობენ ჩვენ არქივებში, რადგანაც ყოველთვის მოსალოდნელია ბოროტი განზრახვით მოსპობილ იქნას საარქივო დოკუმენტი და მოსპობილი საარქივო დოკუმენტის აღდგენა, ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ დაცვა არქივების და საარქივო დოკუმენტების უწინარეს ყოვლისა! ყველა ისინი, ვინც ამ მხრით გამოიჩენენ უყურადღებობას, სისუსტეს, გულგრილობას და ამის გამო საქმე გაფუჭდება, ჩაითვლებიან, როგორც დამნაშავენი მუშათა და გლეხთა წინაშე. ეს ერთი. მეორეც ის, რომ საარქივო დოკუმენტების შესწავლა და დამუშავება პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში აუცილებლად უნდა ხდებოდეს, როგორც ვამბობდით ზევით, მხოლოდ **მებრძოლი მარქსიზმის** თვალსაზრისით, რომ საკითხის დამუშავების დროს, ჩვენი მეცნიერები და მკვლევარები უნდა იდგენ არა მარტო **ისტორიის მატერიალისტურად გაგების საფუძველზე**, არამედ **კლასთა შორის ბრძოლის** პრინციპზედაც, რაც უმთავრესია ამ შემთხვევაში.—

აი, მოკლედ ის ორიოდე შენიშვნა, რაც მინდოდა გამეზიარებია მკითხველებისათვის საარქივო საქმის მნიშვნელობის შესახებ საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. იოზიძე

# საარქივო საქმე საქართველოში

(ზოგადი მიმოხილვა)

**საარქივო საქმის რეორგანიზაცია საქართველოში.** საარქივო მშენებლობა საქართველოში არსებითად საერთო საბჭოთა მშენებლობასთან დაიწყო. სწორედ საბჭოთა კანონმდებლობით დაედვა საფუძვლად საარქივო საქმეს ახალი პრინციპი—პრიციპი ცენტრალიზაციისა და კონცენტრაციისა, რომლის შემოღებას მეფის მთავრობა ენერგიულად ხელს უშლიდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელშივე, ე. ი. 1921 წელს, გამოიცა პირველი კანონმდებლობითი აქტი—დეკრეტი საარქივო საქმის რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ, რომლის ძალით გაუქმდა საუწყებო საარქივო სისტემა და დაკანონდა არქივების სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის სისტემა, ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდის სახით.

საარქივო საქმის დარგში საუწყებო სისტემის გაუქმებასა და მის ნაცვლად ცენტრალიზაციის სისტემის შემოღებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ დარგის რაციონალურად დაყენებისათვის, რადგან ახალი სისტემა არქივების მუშაობის მეცნიერულ საფუძველზე დაყენების შესაძლებლობას ჰგულისხმობდა. მეორეს მხრივ ამავე გარემოებასთან დაკავშირებული იყო თვით საარქივო მასალების ფართედ გამოყენებისა და, მაშასადამე, მათთვის ფართე მნიშვნელობის მინიჭების შესაძლებლობაც. თუ წინად, საუწყებო სისტემის დროს, როგორც ცნობილია, არქივების კარები მკვლევართათვის დახშული იყო, ხოლო საარქივო მასალები ფართე მასსისათვის სრულიად მიუწდომელი, ამიერიდან არქივების კარები ფართედ უნდა გახსნილიყო და იქ მოთავსებულ მასალებით სარგებლობა ყველა მსურველს უნდა შესძლებოდა. [1]

---

[1] ძველ რუსეთში, მაგალითად, საარქივო მასალაზე მუშაობა (და ისიც არა ყველა მსურველისათვის და არა ყოველ მასალაზე) დასაშვები იყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მასალას 50 წლის ხანდაზმულობა გაუვიდოდა. ასევე იყო და არის დღესაც დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ახალ სისტემასთან დაკავშირებით ბოლო ელებოდა იმ უპასუხისმგებლო და ბარბაროსულ დამოკიდებულებას არქივებისადმი, რომელსაც წინად უწყებები და დაწესებულებები იჩენდნენ თავიანთი საარქივო მასალებისადმი იმის გამო, რომ ისინი ამ მასალებს მხოლოდ პრაქტიკული საჭიროების თვალსაზრისით უყურებდნენ [1]. არქივების ბედი ამიერიდან, მრავალ სხვადასხვა დაწესებულებების ნაცვლად, სახელმწიფოს ხელში გადადიოდა და უკანასკნელის მეურვეობის ქვეშ იმყოფებოდა — მას განაგებდა კომპეტენტური და სპეციალური უმაღლესი საარქივო ორგანო — ცენტრალური საარქივო სამმართველო (ცენტრარქივი).

რა ევალებოდა ამ უმაღლეს საარქივო ორგანოს — ცენტრალურ საარქივო სამმართველოს საბჭოთა კანონმდებლობის თანახმად? საარქივო ფონდების კონცენტრაცია სახელმწიფო არქივთსაცავებსა და აქტთსაცავებში, არქივალიების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია, მათი მიწოდება სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო პირთათვის პრაქტიკულ და მეცნიერულ მიზნებისათვის და, ბოლოს, საარქივო საბუთების გამოქვეყნება სამეცნიერო მიზნით, — აი ძირითადი ამოცანები, რომელიც ეკისრებოდათ ახალ საარქივო დაწესებულებებს და მათ გამაერთიანებელ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს. თავისთავად ცხადია, რომ ახალი სისტემის ფორმალურად დაკანონების გარდა, ამ ამოცანების ჯეროვანად შესრულებისათვის საჭირო იყო სათანადო პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობდენ ცენტრარქივის ნაყოფიერ მუშაობას და შესაძლებელს გახდიდენ ოპერაციების ფართედ გაშლას.

* * *

**პირობები საარქივო მშენებლობისათვის საქართველოში**

საქართველოს ცენტრარქივს მუშაობა მოუხდა მეტად მძიმე და არა ხელსაყრელ პირობებში. უპირველესად ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ძველ ხელისუფლებას არ უანდერძებია საბჭოთა ხელისუფლებისათვის, არც მოწესრიგებული საარქივო ფონდები, არც მოწყობილი არქივთსაცავები, არც კადრი ცოტად თუ ბევრად გამოცდილ არქივისტებისა და არც ტრადიცია საარქივო საქმის დარგში. ძველ ხელისუფლებას საარქივო სა-

[1] უწყებებსა და დაწესებულებებს უფლება ჰქონდათ მოესპოთ (გაეყიდათ ან გაენადგურებიათ) თავიანთი არქივი მას შემდეგ, რაც საარქივო მასალებს მათთვის პრაქტიკული მნიშვნელობა დაეკარგებოდათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ც ე ნ ტ რ ა რ ქ ი ვ ი. მთავარი კორპუსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქმე, როგორც ასეთი, საერთოდ არ აინტერესებდა და იგი მას ზედმეტ საქმედ მიაჩნდა. ხოლო ამ ხელისუფლების არსებობის უკანასკნელ წლების განმავლობაში, განსაკუთრებით კი იმპერიალისტურ ომის დროს, საარქივო საქმე მეტად გაფუჭდა. ჯერ კიდევ 1915 წელს, როდესაც ოსმალეთის ჯარი ამიერ-კავკასიის საზღვრებს მოუახლოვდა და თბილისს ემუქრებოდა, მეფის მთავრობამ ცენტრალურ და წესებულებათა არქივები, ევაკუაციის წესით, გაიტანა ჩრდილოეთ-კავკასიის სხვადასხვა პუნქტებში—სტავროპოლში, სტანიცა კავკასკაიაში და სხვაგან, სადაც მათი ნაწილი 1919—1920 წლებში, სამოქალაქო ომის დროს, დაიღუპა კიდეც. ამავე დროს მოხდა ზოგიერთი დაწესებულების არქივების ერთი ქალაქიდან მეორეში, ან კიდევ ერთ დაწესებულებიდან მეორეში გადატანა თვით საქართველოს ფარგლებშიც, რა დროსაც მათი დაზიანების აცდენა შეუძლებელი შეიქნა. 1917 წელს, რევოლიუციის პირველ დღეებში, ზოგიერთ ძველ დაწესებულებებმა, როგორც მაგალითად, ქუთაისის საგუბერნიო საჟანდარმო სამართველომ და სხვებმა ისარგებლეს რა მენშევიკ-ესერების დაუდევრობითა და ყოყმანობით, მოსპეს თავიანთი არქივი ძველი „მოღვაწეობის“ კვალის დასაფარავად.

რის გაფუჭებაც მეფის მთავრობამ ვერ მოასწრო, მენშევიკურმა ხელისუფლებამ დაასრულა. დემოკრატიულმა მთავრობამ თავისი ბატონობის მთელ ხნის განმავლობაში, არამც თუ ვერ გადასდგა რაიმე რადიკალური ნაბიჯი საარქივო საქმის მოსაწყობად და არქივების დაღუპვისაგან გადასარჩენად, არამედ პირიქით, თვით შეუწყო შეგნებულად თუ შეუგნებლად ხელი მათ მოსპობა-განადგურებას. დემოკრატიული მთავრობა აშკარად ჰყიდდა საარქივო მასალებს კერძო ვაჭრებზე ხილის გასახვევ მასალად. ასე, მაგალითად, ქუთაისის გუბერნიის კომისარმა, 1920 წელს ფუთობით გაჰყიდა დასავლეთ საქართველოს მეტად მნიშვნელოვანი 900 ფ.-მდე საარქივო საბუთი. ასევე ნადგურდებოდა და იყიდებოდა ბათუმის, სოხუმის, გორის და სხვა მაზრა-ქალაქების არქივებიც.

1921 წელს, დემოკრატიულ ხელისუფლების ლიკვიდაციის დროს, მენშევიკურმა მთავრობამ, საზღვარ-გარეთ გაიტანა ან მოსპო ზოგიერთ დაწესებულებათა არქივები, როგორც, მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროსი, დამფუძნებელ კრებისა, გვარდიის შტაბებისა და სხვა. ამ რიგად მრავალი ძვირფასი საბუთი წარსული ცხოვრებისა, დაუდევრობისა და შეუგნებლობის წყალობით, ჯერ კიდევ ცენტრარქივის მუშაობის დაწყებამდე დაიღუპა. გახშირდა დაწესებუ-

ლებების მიერ საარქივო მასალების გაყიდვა თავიანთი სამეურნეო რესურსების გაძლიერების მიზნით. ფეხი მოიდგა უარყოფითი დამოკიდებულებამ არქივებისადმი, როგორც ზედმეტ ბარგისადმი და სხვა. თვით ცენტრარქივის ადმინისტრაციასაც არ ჰქონდა სათანადოდ შეთვისებული საარქივო მშენებლობის ახალი პრინციპები. ამასთანავე ის არ იჩენდა მაინც და მაინც დიდ ინტერესს საარქივო საქმისადმი. ამან თავის მხრივ ხელი შეუწყო არქივების დაღუპვას. ასე, მაგალითად, ცენტრარქივის დაუდევრობით დაიღუპა კავკასიის სამხედრო შტაბის არქივი 1921 წელს, სამხედრო-საისტორიო არქივიდან სტელაჟები გადატანილ იქნა სხვა არქივთსაცავში, ხოლო სამხედრო-საისტორიო არქივში საქმეები დაყრილ იქნა იატაკზე. ცენტრარქივის უმოქმედობის გამოვე 1924 წ. გაყიდულ იქნა ქუთაისის საოლქო სასამართლოს არქივი თვით სასამართლოს მიერ, 1926 წელს კიდევ--სარაჯიშვილი ქარხნის არქივი და სხვა.

**საარქივო ფონდების კონცენტრაცია.**

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში, საქართველოს ცენტრარქივის უპირველესი მოვალეობა გაბნეულ-გაფანტულ და საფრთხის ქვეშ მყოფ საარქივო ფონდების ფაქტიური დაუფლება და კონცენტრაცია უნდა ყოფილიყო. საჭირო იყო მრავალ წლების განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ საარქივო მასალების თავმოყრა და სახელმწიფო არქივთსაცავებში მოთავსება. უპირველესად ყოვლისა ცენტრარქივს უნდა მიეღო ზომები იმ მასალების დასაბრუნებლად, რომელნიც, როგორც ვთქვით, 1915 წელს ჩრდილოეთ-კავკასიის სხვადასხვა პუნქტებში იყო გატანილი. მართლაც, 1921 წელს აღძრულ იქნა საკითხი გატანილ არქივების რუსეთიდან რეევაკუაციის შესახებ, ხოლო ამასთან ერთად იმ ისტორიულ საბუთებისა და ძეგლების დაბრუნების შესახებაც, რომელნიც სხვადასხვა დროს რუსეთში მეფის მთავრობის მიერ იყო გატანილი საქართველოდან. მრავალი ქართული სიგელ-გუჯრები და სხვა ძველი ხელთნაწერები გაფანტული იყო რუსეთის სიძველეთსაცავებსა და მუზეუმებში. აღძრულ შუამდგომლობის შედეგად 1923 წელს მართლაც დაბრუნებულ იქნა ჩრდილოეთ-კავკასიაში გატანილი ის საარქივო ფონდები, რომელნიც დაღუპვას გადაურჩა. [1]

[1] სამწუხაროდ, ამ ფონდების რეევაკუაციის დროს ცენცრარქივის გამგემ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ეს საქმე, სათანადო უნარი ვერ გამოიჩინა და ამის გამო მრავალი ძვირფასი საბუთი, მათ შორის ტყავზე ნაწერი სიგელ-გუჯრებიც, დატოვებულ იქნენ ჩ.-კავკასიაში, სადაც ისინი შემდეგში დაიღუპენ კიდეც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



იმავე 1923 და შემდეგ წლებში ჩამოტანილ იქნა რუსეთიდან სიძველეთსაცავებსა და მუზეუმებში დაცული სიგელ-გუჯრები და სხვა ხელნაწერებიც, გარდა მცირე ნაწილსა, რომელიც დატოვებულ იქნა რუსეთის მუზეუმებში დროებით [1].

ამის შემდეგ საჭირო იყო იმ საარქივო ფონდების კონცენტრაცია, რომელნიც თვით საქართველოს ფარგლებში სხვადასხვა დაწესებულებებთან იყო დატოვებული, როგორც ძველ დაწესებულებების დოკუმენტალური მემკვიდრეობა. 1921 წლის პირველ ივლისის ზემოხსენებული დეკრეტი კატეგორიულად ავალებდა ყველა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებთანაც რევოლიუციის წინადროინდელი, ე. ი. 1921 წლის 25 თებერვლამდე შემდგარი საარქივო ფონდები ინახებოდა, დაუყონებლივ გადაეცათ ეს ფონდები ცენტრარქივისათვის, ხოლო უკანასკნელს ევალებოდა თავის მხრივ ეს ფონდები სახელმწიფო არქივთსაცავში მოეთავსებია. არქივების კონცერტრაცია, რომელიც საარქივო მშენებლობაში ერთ-ერთ ძირეულ და მთავარ საკითხს წარმოადგენს, მეტად ძნელი მოსაგვარებელი იყო საქართველოს პირობებში. იყო მთელი რიგი დაბრკოლებებისა, როგორც მაგალითად, გამოცდილების უქონლობა, უსახსრობა, ტრადიციული შეხედულება არქივებზე, როგორც ზედმეტ ბარგზე, საარქივო კანონმდებლობის ბუნდოვანობა და სხვა; ყოველივე ეს ხელს უშლიდა ცენტრარქივს ჩაეტარებინა მუშაობა სასურველად. მაგრამ მთავარ დამაბრკოლებელ გარემოებას ამ შემთხვევაში ცენტრარქივისათვის წარმოადგენდა არქივთსაცავების უქონლობა. როგორც ვამბობდით, ძველს ხელისუფლებას საბჭოთა ხელისუფლებისათვის არ უანდერძებია ცოტათ თუ ბევრათ მოწყობილი ბინები არქივთსაცავებისათვის, სადაც შესაძლებელი ყოფილიყოს საარქივო ფონდების მოთავსება ისე, როგორც ამას საარქივო ტეხნიკა მოითხოვდა.

მიუხედავათ ამ და სხვა მრავალ დამაბრკოლებელ გარემოებებისა, ცენტრარქივმა რევოლიუციის წინადროინდელ საარქივო ფონდების კონცენტრაციის საქმე, შეიძლება ითქვას, თითქმის 90 პროცენტით უკვე ჩაატარა. ამ ჟამად ცენტრარქივის გამგებლობაში მყოფ სახელმწიფო არქივთსაცავებში თავმოყრილია, თითქმის ყველა ძველ დაწესებულებათა საარქივო ფონდები. მათი რიცხვი 400-დის აღწევს. ამათ 'შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ძველ ქართულ საბუთებს, რომელთა რიცხვი 10.000-ს აღემატება. ამ საბუთების მოსა-

[1] შ. ჩხეტია, საქართველოს განძეულობათა რეევაკუაცია რუსეთიდან (საისტ. მამბე, წ. I, 1925.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



გროვებლად ცენტრარქივს დასჭირდა განსაკუთრებული ღონისძიებების ხმარება, რადგან ისინი გაბნეული იყვნენ კერძო პირთა და ეკლესია-მონასტრების ხელში.

კონცენტრაციის გარეშე, რევოლიუციის წინადროინდელ საარქივო ფონდებიდან, დარჩენილია სრულიად უმნიშვნელო ნაწილი. (თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქართველოს მუზეუმებში თავმოუყრილ ძველ საბუთებს, რომელიც ჯერ ჯერობით არ არის აღრიცხული ერთიან სახელ. საარ. ფონდში.) უმთავრესად წვრილი დაწესებულებებისა, როგორც მაგალითად, სასწავლებლებისა. ეს არქივები არქივთსაცავებში გადმოტანილი არ არიან უმთავრესად იმის გამო, რომ ცენტრარქივს სრულიად არ მოეპოება თავისუფალი ბინა მათ მოსათავსებლად. მაგრამ, ცენტრარქივს ეს არქივები აღრიცხვაზე აქვს აღებული და ამასთანავე მიღებულია ზომები ყოველი საფრთხის ასაცილებლად და გაფლანგვა-მოსპობისაგან უზრუნველსაყოფად.

რევოლიუციის წინადროინდელ საარქივო ფონდებთან ერთად, ცენტრარქივს უნდა ეწარმოებინა პერმანენტულად რევოლიუციის შემდეგ დროინდელ, ე. ი. 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ გაჩენილ საარქივო ფონდების კონცენტრაციაც. 1921 წლის იგივე დეკრეტი და შემდეგში შემოღებული წესები ავალებდა მომქმედ საბჭოთა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს საქმისწარმოებით დამთავრებული საქმეები, განსაზღვრული ვადის შემდეგ, გადაეცათ ცენტრარქივისათვის ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის შემადგენლობაში ჩასარიცხად. ცენტრარქივის მიერ შემოღებულ საგანგებო წესების[1] თანახმად, ასეთ ვადად დანიშნული იყო 5 წელიწადი. ამის მიხედვით პირველი წყება საბჭოთა პერიოდის დაწესებულებათა არქივებისა, ცენტრარქივს უნდა ჩაებარებია 1927 წელს. და სწორეთ ამ დროიდან იწყება საბჭოთა დაწესებულებების არქივების კონცენტრაცია სახელმწიფო არქივთსაცავებში. ამ ჟამად ცენტრარქივს უკვე მიღებული აქვს მთელი რიგი საბჭოთა დაწესებულებების საარქივო ფონდებისა, როგორც, მაგ. მ/გ. ინსპექციისა, გან. სახ. კომისარიატისა და სხვა. მისაღებად დამზადებულია აგრეთვე სხვა დაწესებულებების არქივებიც. რევოლიუციის შემდეგ დროინდელი საარქივო ფონდების რიცხვი 30-ს აღემატება.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საარქივო მასალების კონცენტრაციის საქმე, რომელიც პირველხანებში არ იყო სავსებით ნორმალურად დაყენებული, დღეს სავსებით ნორმალურად მიმდინარეობს. მართალია, ზოგიერთი დაწესებულებები საუწყებო სისტემის პრინციპს დღესაც ვერ გაშორებიან და საარქივო მასალების გადაცემის

[1] ცენტრარქივის მიერ ეს წესები გამოცემულია ცალკე წიგნაკად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დროს, წინააღმდეგობას უწევენ ცენტრარქივს ან სხვადასხვა სახით დაბრკოლებებს ჰქმნიან, მაგრამ ამას სპორადიული ხასიათი აქვს და დღეს უკვე, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხივ დაბრკოლებები სავსებით გადალახულია. მთავარ დაბრკოლებას ამ საქმეში წარმოადგენს მხოლოდ არქივთსაცავისათვის შესაფერ ბინის უქონლობა. საბჭოთა არქივს სრულიად არა აქვს თავისი ბინა და იგი დროებით ცენტრალურ საარქივო სამმართველოს მთავარ კორპუსშია თავშეფარებული. საერთოდ, ბინის საკითხი მეტად მწვავეთ არის დასმული და იგი ახლო მომავალში უეჭველად უნდა იქნეს მოგვარებული. საბჭოთა არქივისათვის უნდა აშენდეს საგანგებო არქივთსაცავი.

**საარქივო მასალების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია.**

ცენტრარქივის შემდეგ მორიგ ამოცანას, როგორც ვამბობდით, არქივთსაცავებისა და აქტსაცავებში თავმოყრილი საარქივო მასალების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია შეადგენდა. ცენტრარქივს წესრიგში უნდა მოეყვანა აუარებელი დოკუმენტალური მემკვიდრეობა ძველი ხელისუფლებისა და აგრეთვე საბჭოთა დაწესებულებებისაგან მიღებული, რომელსაც ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდი ეწოდებოდა. ყოველივე ეს იმდენად უნდა მოეწესრიგებინა, რომ ადვილად და დაუბრკოლებლად შესაძლებელი ყოფილიყო საარქივო საბუთებით, როგორც პრაქტიკულ, ისე მეცნიერულ საჭიროებისათვის სარგებლობა. საჭირო იყო ამ მასალების ქრონოლოგიურად საფონდო სისტემის მიხედვით გარჩევა, ინვენტარული აღწერა და საალფაბეტო მაჩვენებლების შედგენა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საერთოდ არქივალიების კლასიფიკაცია და ინვენტარიზაცია დიდ ენერგიასა, გამოცდილებასა და დროს საჭიროებს. მაგრამ განსაკუთრებით რთული იყო ეს მუშაობა საქართველოს პირობებში, იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ თითქმის ყველა, რევოლიუციის წინადროინდელი საარქივო ფონდები, ცენტრარქივს უწესრიგო და ქაოტურ მდგომარეობაში ჰქონდა მიღებული. არც აღწერა და არც რეესტრი ძველ დაწესებულებათა არქივებს, თან არ მოჰყოლია. პირიქით, ყველა საქმეები ერთმეორეში უთავბოლოდ იყო არეული. ერთი დაწესებულების არქივი ზოგჯერ მეორე დაწესებულების არქივის საქმეებში იყო ხოლმე გაბნეული, ზოგი დაწესებულების არქივები დეფექტიანიც იყო. ასეთ მდგომარეობის გამო ფონდების აღსადგენათ საჭირო იყო თვითეული საბუთის გულდასმით გადათვალიერება და შინაარსის გამორკვევა. ადვილი წარმოსადგენია რაოდენი ენერგია და დრო იქნებოდა სა-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცენტრარქივი. გამრჩევი კომისიის მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭირო ყველა საარქივო მასალების ასე მოსაწესრიგებლად,[1] როდესაც შესანახ ერთეულების რიცხვი 8 მილიონს აღწევს. ცენტრარქივის ინვენტარებში აღრიცხულ საარქივო ფონდების საერთო რიცხვიდან (აღრიცხულია 369 ფონდი) ამჟამად ქრონოლოგიურად უკვე გარჩეულია 331 ფონდი, რაც საერთო რიცხვის 90 პროცენტს შეადგენს; ინვენტარი შედგენილია 180 ფონდისათვის, რაც 50 პროცენტს უდრის, ხოლო საალფაბეტო მაჩვენებელი შედგენილია 27 ფონდისათვის, ე. ი. 9 პროცენტისათვის. ასე, რომ საარქივო ფონდების დამუშავების საქმე, ამ ჟამად იმდენათ არის მოგვარებული, რომ ამ მასალებით სარგებლობა სავსებით შესაძლებელი ხდება დაუბრკოლებლად. მომავალ წლის საპერსპექტივო გეგმა ჰგულისხმობს დარჩენილ საარქივო ფონდების გარჩევასა და აღწერას, რის შემდეგ ცენტრარქივი შეუდგება კათალოგებისა და საგნობრივ მაჩვენებლების შედგენას.

**საორგანიზაციო მუშაობა: ა) სამაზრო-საარქივო აპარატების მოწყობა.**

არქივების კონცენტრაცია და სისტემატიზაცია ცენტრარქივს უნდა ეწარმოებია რესპუბლიკის (სრულიად საქართველოს) მასშტაბით. ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდი, რომლის გამგებლობა ცენტრარქივს ჰქონდა დაკისრებული, ჰგულისხმობდა რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე შექმნილ საარქივო ფონდების ჯამს და ამიტომ ცენტრარქივს, საარქივო მუშაობა უნდა გაეშალა, არა მარტო ცენტრში—ტფილისში, არამედ პერიფერიებშიც. თავისთავად ცხადია, რომ პერიფერიებში მუშაობისათვის საჭირო იყო საარქივო ქსელის ორგანიზაცია საერთო მასშტაბით, საჭირო იყო საარქივო ორგანოების მოწყობა მაზრებსა და ავტონომიურ ერთეულებში. ადგილობრივად ცენტრარქივის ფილიალების მოწყობის აუცილებლობა, ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდისა და ცენტრალიზაციის სისტემის დაკანონებიდან ლოღიკურად გამოდიოდა. ასე, რომ მაზრებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში საარქივო აპარატების მოწყობის საკითხი ძალაუნებურათ ცენტრარქივის საზრუნავი საკითხი უნდა ყოფილიყო იმ თავითვე. ცენტრარქივი მართლაც, დაარსების პირველ წლებიდანვე ცდილობდა, თითქოს, მიეღო ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად. მაგრამ მან, სამწუხაროდ, ამ საქმეში უნარი ვერ გამოიჩინა და ამიტომ მისი მოგვარება ბოლო ხანამდე შეუძლებელი აღმოჩნდა.

[1] პირველ წლებში საარქივო მასალების დამუშავება სრულიად არ სწარმოებდა (იხ. სარევიზიო კომისიის ოქმი ც-არქივის საქმეებში).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივი საარქივო ორგანოების მოწყობის საკითხმა, დღემდე რამოდენიმე ფაზა განვლო. 1925—1926 წლამდე ადგილობრივი საარქივო აპარატების მოვალეობას საქართველოში ასრულებდენ რწმუნებულები,[1] რომელთა მუშაობა უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილობრივი საარქივო მასალები გადაერჩინათ განადგურებისაგან. სამწუხაროდ, რწმუნებულებს ჯამაგირი და არც სამნეო ხარჯების თანხები არ ეძლეოდათ. ამის გარდა რწმუნებულთა ინსტიტუტის არსებობა ფორმალურად მთავრობის აქტით დადასტურებული არ იყო და ამიტომ მათ მუშაობას სავალდებულო ხასიათი არ ჰქონდა—ისინი იყვნენ არქივებისადმი გულ-შემატკივარი პირები. ასეთ პირობებში დადებითი საარქივო მშენებლობაზე ადგილობრივად ლაპარაკი ზედმეტი იყო.

1926 წელს სრულიად საქართველოს ცაკ-ის მიერ დამტკიცებულ იქნა დებულება სამაზრო საარქივო ბიუროების შესახებ. ამ დებულების თანახმად სამაზრო აღმასკომებთან უნდა დაარსებულიყო, ამაზრო აღმასკომების მთლიან აპარატის ნაწილი, სამაზრო საარქივ 3 ბიუროები, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკების ცაკ-ებს უნდა გამოეცათ სათანადო დებულებები და დაეარსებიათ თავიანთ ტერიტორიაზე მსგავსი ორგანოები. ბიუროების შესანახი ხარჯი უნდა შესულიყო სამაზრო აღმასკომების საერთო ბიუჯეტში, მაგრამ საარქივო საქმის დარგში, ბიუროები უშუალოდ უნდა დამორჩილებოდენ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს. ერთი სიტყვით, დებულებაში ნაგულისხმევი მდგომარეობა სავსებით რაციონალური იყო და იგი მთლიანათ უზრუნველჰყოფდა საარქივო საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას ადგილობრივად.

სამწუხაროდ, ამ დებულების ცხოვერებაში გატარება სხვა და სხვა მიზეზების გამო, განსაკუთრებით კი ადგილობრივი ორგანოების უსახსრობის გამო, ვერ მოხერხდა. მხოლოდ რამდენიმე მაზრამ (ქუთაისი, გორი, ახალციხე, თბილისი) მოახერხა საარქივო ბიუროების ხარჯების (მართალია, მცირე რაოდენობით) სამაზრო აღმასკომების ბიუჯეტში შეტანა და, მაშასადამე, დებულების ცხოვრებაში ნაწილობრივ მაინც გატარება. დანარჩენ მაზრებში, ან კვლავინდებურად ფიქტიური მდგომარეობა (რწმუნებულთა ინსტიტუტი) დარჩა, ან

[1] გამონაკლისს შეადგენდენ ამ დროს აჭარისტანი, აფხაზეთი, ქუთაისი და ფოთი. აჭარისტანში, ქუთაისსა და ფოთში რწმუნებულების მაგიერ მოწყობილი იყო ცენტრარქივის განყოფილებები, ხოლო აფხაზეთში არავითარი საარქივო ორგანო არ არსებობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბიუროს თანამშრომლებად გამოყოფილ იქნენ აღმასკომის თანამშრომლები უსასყიდლოდ, შეთავსების საფუძველზე, სამნეო და სხვა ხარჯების გარეშე [1].

მიმდინარე 1928 წელს, ცენტრარქივის მიერ მიღებულ ენერგიულ ზომების მეოხებით ბიუჯეტით უზრუნველყოფილ საარქივო ბიუროების რიცხვი გაიზარდა. დაარსდა აფხაზეთში საარქივო ორგანო, რომლის შესანახი ბიუჯეტი შეტანილ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში 1928 წ. პირველ ოქტომბრიდან. მომავალ წლისთვის, გადადგმულია ნაბიჯი, რათა ყველა სამაზრო საარქივო ბიუროების ხარჯები სამაზრო აღმასკომის ბიუჯეტში იქნან შეტანილი საჭირო რაოდენობით. მიღებულია აგრეთვე ზომები ავტონომიურ რესპუბლიკებში საარქივო აპარატების რაციონალურად მოწყობისთვის[2].

ამ რიგად შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ მომავალ წლიდან საარქივო მუშაობა მაზრებსა და ავტონომიურ ერთეულებში უფრო მკვიდრ ნიადაგზე იქნება დაყენებული. ჯერ-ჯერობით კი, მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ყველგან პროვინციებში აღკვეთილია საარქივო მასალების მოსპობა-განადგურება, რომელსაც პირველხანებში, განსაკუთრებით მენშევიკების დროს და საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც 1927 წლამდის, ხშირი ადგილი ჰქონდა. ყველგან, მცირე გამონაკლისის გარდა, დაწყებულია სამაზრო არქივთსაცავების მოწყობისა და ხანდაზმულობა შესრულებულ საბჭოთა არქივების კონცენტრაციის საქმე, შერყეული და უკუგდებულია ძველი ტრადიციული შეხედულება არქივზე და სხვა.

**ცენტრალურ საარქივო სამმართველოს სტრუქტურა.**

თუ საარქივო მშენებლობის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად; ადგილობრივი საარქივო აპარატების ორგანიზაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თავის თავად ცხადია, უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თვითცენტრალურ საარქივო სამმართველოს აპარატის რაციონალურად მოწყობას. საჭირო იყო ცენტრარქივის სტრუქტურის იმ გვარად მოწყობა, რომ მას ადვილად შესძლებოდა ადგილობრივი საარქივო ორგანოების ხელმძღვანელობა და დაკისრებულ ამოცანების შესრულება.

---

[1] შ. ყარამანიძე, სამაზრო საარქივო აპარატების ორგანიზაცია („საქართველოს არქივი," წიგნი I).

[2] ამ მიზნით 1928 წელს ამ სტრიქონების დამწერმა თვით იმოგზაურა აჭარისტანსა და აფხაზეთში, სადაც ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით გადადგმულ იქნა სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცენტრარქივის სტრქტურის ჩამოყალიბება თან-და-თანობით ხდებოდა. ამ საკითხმა ისევე, როგორც სამაზრო აპარატების ორგანიზაციის საკითხმა, რამდენიმე ფაზა განვლო დაარსებიდან დღემდე ამ ჟამად ცენტრარქივის სტრუქტურა შემდეგნაირია: ცენტრალური საარქივო სამმართველო არსებობს სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმთან. მის სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ნიშნავს ცაკის პრეზიდიუმი. გამგის თავმჯდომარეობით არსებობს, როგორც სათათბირო ორგანო, საბჭო (რომელშიც შედიან: ცენტრარქივის გამგე, ცენტრარქივის განყოფილების გამგეები, ცენტრარქივის პოლიტსექციის გამგე. და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები. რომელთაც ორგანიული კავშირი აქვთ ც.-არქივთან) ცენტრალურ საარქივო სამმართველოს აქვს ორი განყოფილება: 1) საადმინისტრაციო-საორგანიზაციო, და 2) არქივთმცოდნეობის. ცენტრარქივის ფუნქციები განაწილებულია ამ განყოფილებათა შორის და თვითეულ მათგანს დაკისრებული აქვს გარკვეული ფუნქციები. ამას გარდა ცენტრარქივთან არსებობს სამეცნიერო-საგამომცემლო კომისია და საკონტროლო-შემმოწმებელი კომისია. სამეცნიერო-საგამომცემლო კომისია ადგენს საგამომცემლო მუშაობის გეგმას და საერთოდ განაგებს ცენტრარქივის გამომცემლობითი მოღვაწეობას. საკონტროლო-შემმოწმებელ კომისიის მოვალეობას, გამრჩევ კომისიების მუშაობის კონტროლი და მოსასპობ მასალების შემოწმება შეადგენს.

ცენტრარქივის უშუალო გამგებლობაში იმყოფება შემდეგი დაწესებულებები: ა) მთავარი საისტორიო არქივი, ბ) სამხედრო-საისტორიო არქივი, გ) საისტორიო-სარევოლიუციო არქივი, დ) ძველ საბუთთა არქივი, ე) იურიდიული არქივი, ვ) მუნიციპალური არქივი ზ) მთავარი საბჭოთა არქივი და თ) წითელ არმიის არქივი. ცენტრარქივთან მოწყობილია სამეცადინო დარბაზი და აკადემიური ბიბლიოთეკა[1].

რესპუბლიკის მთელი სარქივო მასალა—ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდი—განაწილებულია ამ არქივებს შორის შემდეგი პრინციპის მიხედვით.

რევოლიუციის წინადროინდელი საარქივო ფონდები თავს იყრიან საისტორიო არქივებში: ა) მთავარ საისტორიო არქივში—მეფის მთავრობის დროის ცენტრალურ დაწესებულებათა არქივები, ბ) სამხედრო საისტორიო არქივში—სამხედრო დაწესებულებათა დ ორ-

[1] ვინაიდან ამავე ნომერში დასახელებულ არქივების მიმოხილვა ცალკე იბეჭდება, ამიტომ ჩვენ მათ მუშაობას ამ წერილში არ შევეხებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



განიზაციათა, გ) საისტორიო-სარევოლიუციო არქივში—ისეთი ფონდები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ რევოლიუციისა და მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის, დ) ძველ საბუთთა არქივში—ქართველ მეფობის დროინდელი სიგელგუჯრები და სხვა საბუთები მე-19-ე საუკუნემდე, ე) იურიდიულ არქივში—სასამართლოს დაწესებულებათა და ვ) მუნიციპალურ არქივში—საქალაქო დაწესებულებათა.

რევოლიუციის შემდეგდროინდელი საარქივო ფონდები თავს იყრიან საბჭოთა არქივებში: ა) მთავარ საბჭოთა არქივში—ცენტრალურ საბჭოთა დაწესებულებათა და ბ) წითელ არმიის არქივში—წითელ არმიისა და სამხედრო ორგანიზაციების. მაზრის ფარგლებში მომქმედ საბჭოთა დაწესებულებების საარქივო ფონდები თავს იყრიან საბჭოთა არქივთსაცავში. [1]

**ცენტრარქივის შტატი**

როგორია ცენტრარქივისა და მის დაწესებულებათა შტატი? როგორი კვალიფიკაციის მუშაკებს აქვთ დაკისრებული ამ დაწესებულებებში საარქივო სამუშაოს შესრულება?

ზევით ჩვენ უკვე ვამბობდით, რომ ძველ წესწყობილებას არ უანდერძებია საბჭოთა ხელისუფლებისთვის ოდნავ მაინც გამოცდილ არქივისტების კადრი. ეს გასაგებიც არის, რადგან ძველ ხელისუფლებას ასეთი არქივისტები საქართველოში არც ჰყავდა და არც აინტერესებდა რომ ჰყოლოდა, იმ გასაგებ მიზეზის გამო, რომ საარქივო საქმე და საარქივო მუშაკები მის საზრუნავ საგანს სრულიადაც არ შეადგენდა. ამის გამო საარქივო რეფორმის დროს საქართველოში ახლად დაარსებული ცენტრარქივი, ძალაუნებურად იძულებული იყო გამოეყენებია პირველ ხანებში ის ძალები, რომელნიც სპეციალური მომზადების მხრივ ასე თუ ისე, გამოსადეგნი იყვნენ. ხოლო შემდეგში, თვით მიეღო ზომები მომზადებულ არქივისტთა კადრის შესაქმნელად.

მართლაც, პირველ წლებში ცენტრაქივის თანამშრომლთა შემადგენლობის უმეტესობა არც თავისი სპეციალური კვალიფიკაციისა და არც საერთო მომზადების მხრივ, არ იყო ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელი. მაგრამ ამას გარდა, რაც მთავარია, ამ შემთხვევაში არ იყო დაცული ის ძირითადი მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილება საარქივო საქმეში აუცილებელია. არქივი, როგორც დოკუ-

[1] საარქივო მასალების განაწილების ნაჩვენები პრინციპი ცენტრარქივის მიერ მიღებულია დროებით. მომავალში განზრახულია ამ პრინციპის გადათვალიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მენტალური მემკვიდრეობა, გაბატონებულ კლასის ხელში ერთ-ერთ ძლიერ იარაღს წარმოადგენს მოწინააღმდეგე კლასის დასათრგუნავად. საბჭოთა საქართველოში არქივი პროლეტარიატის ხელში უნდა ყოფილიყო და, მაშასადამე, საარქივო დაწესებულებებში მომუშავეთა პირადი შემადგენლობა ამ ხელისუფლების ნდობით აღჭურვილი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, საქართველოს ცენტრარქივში ამ მხრივ ყველაზე უარესად იყო საქმე. აქ მოკალათებული იყვნენ ისეთი პირები, რომელთა დაშვება საარქივო მასალაზე სრულიად შეუწყნარებელი იყო. საილიუსტრაციოდ შეიძლება დასახელებულ იქნეს რამდენიმე ფაქტი. ასე, მაგალითად, 1921—24 წლებში ცენტრარქივის საგუბერნიო საარქივო ფონდებს განაგებდა ყოფილი გუბერნატორი, მეფის ნაცვლის საარქივო ფონდს—მეფის ნაცვლის კანცელარიის ყოფილი დირექტორი, დაშნაკთა პარტიის საარქივო ფონდი იმყოფებოდა „ყოფილ“ დაშნაკის ხელში. თანამშრომელთა შორის იყვნენ აგრეთვე ყოფილი პოლიციელებიც, ბოქაული, ურიადნიკი, სამხედრო ცენზორი, პროკურორი და სხვა. ცენტრარქივის არქივთსაცავებში ბლომათ იყო ისეთი საბუთები, რომელნიც მათი გამგეების წარსულ „მოღვაწეობას“ და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მათ მიერ გაწეულ „ამაგს“ ააშკარავებდენ. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა საფრთხე მოელოდათ ამ საბუთებს მათ ხელში, ვის გამამტყუნებელ დოკუმენტებსაც ისინი წარმოადგენდენ!

თავისთავად ცხადია, რომ თანამშრომელთა შემადგენლობის მხრივ ასეთი არა ნორმალური მდგომარეობა, მარტო იმის შედეგი კი არ იყო, რომ საქართველოში არ მოიძებნებოდა შესაფერი საარქივო მუშაკები (თუ მომზადებულ არქივისტების მოძებნა ძნელი აყო, სანდო პირები ხომ მოიძებნებოდენ), ამაში უმთავრესი დანაშაული ცენტრარქივის ადმინისტრაციას მიუძღოდა. ასე თუ ისე, საჭირო იყო შექმნილ მდგომარეობის გამოსწორება:—ცენტრარქივის ადმინისტრაციის შეცვლა, შემადგენლობის გადახალისება, დაწესებულების გასაბჭოება—აი, რა იყო საჭირო. მართლაც 1927 წ. ნოემბერში შეცვლილ იქნა ცენტრარქივის ადმინისტრაცია, ხოლო მასთან ერთად გადახალისდა მთელი შემადგენლობაც. თითქმის ამ ერთი წლის განმავლობაში ცენტრარქივის დათხოვნილ მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 40 პროც. მთელი შემადგენლობისას.

ამ ჟამად ცენტრარქივის მთელი შტატი 35 კაცისაგან შესდგება. ამათგან 17 თანამშრომელი უმაღლესი სწავლა-განათლებით არის, 8—საშუალოთი, ხოლო დანარჩენი—დაბალით; პარტიულობის მიხედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვით შტატი შემდეგ სურათს წარმოადგენს: პარტიის წევრები—7, ახალგაზრდა კომკავშირელები— ორი, დანარჩენი უპარტიო. ეროვნებათა მიხედვით: ქართველები — 26, რუსები — 4, სომხები — 4, გერმანელი — 1. სწავლა-განათლებისა და კვალიფიკაციის მიხედვით მთელი თანამშრომლები იყოფა ორ კატეგორიათ: მეცნიერ და ტეხნიკურ თანამშრომლებათ. მეცნიერ თანამშრომლებს შეადგენენ: განყოფილებების გამგეები, არქივების გამგეები, უფროსი არქივისტები და არქივისტები; ხოლო ტეხნიკურ თანამშრომლებს — უფროსი არქივარიუ სები და არქივარიუსები პლიუს კანცელარიისა და საკომენდატოს თანამშრომლები. ცენტრარქივში მიღებულ წესის თანახმად არქივარიუსი უნდა იყოს საშუალო სწავლა-განათლებით ან შესაფერი მომზადებით, ხოლო არქივისტი — უმაღლესით (უმთავრესად ისტორიული [1].

**საარქივო მუშაკების მომზადების საკითხი.**

ცენტრარქივის თანამშრომლებს საარქივო საქმე შესწავლილი აქვთ უმთავრესად პრაქტიკულად თვით ცენტრარქივში. ამ მხრივ ცენტრარქივის 8 წლის მუშაობა, რა თქმა უნდა, კარგი სკოლა იყო იქ მომუშავე არქივისტებისათვის; მაგრამ, დასამალი არ არის, რომ მათ, მცირე გამონაკლისის გარდა, სერიოზული საარქივო მომზადება, განსაკუთრებით თეორეტიული,—აკლიათ. თუ საარქივო მომზადება აკლიათ ტფილისში მომუშავე არქივისტებს, თავისთავად ცხადია, კიდევ უფრო ნაკლები მომზადება აქვთ პროვინციაში—სამაზრო ბიუროებისა და ავტონომიური რესპუბლიკების საარქივო ორგანოთა თანამშრომლებს. მათ არც თეორეტიული მომზადება აქვთ და არც პრაქტიკული.

ამ გარემოებამ ცენტრარქივის წინაშე მწვავედ წამოაყენა საკითხი ძველი არქივისტების გადამზადებისა და ახალი კადრის მომზადების შესახებ. საჭირო იყო ერთის მხრივ საარქივო საქმეში უკვე ჩაბმულ მუშაკების კვალიფიკაციის აწევა, ხოლო მეორეს მხრივ წითელ არქივისტთა ახალი კადრის შექმნა. ამ საკითხის გადასაჭრელად საქ. ცენტრარქივმა სავსებით მართებულად გადასწყვიტა გამოეყენებინა სხვა საბჭოთა რესპუბლიკების, განსაკუთოებით რუსეთისა და უკრაინის, გამოცდილება. ამ რესპუბლიკებში დიდი ხანია შემოღებული არის მოკლევადიანი საარქივო კურსები. საქართველოს ცენტრარქივმაც გადასწყვიტა მიმდინარე წელს მოაწ-

[1] განზრახულია ახლო მომავალში გადასინჯულ იქნეს თანამდებობათა დასახელებული ნომენკლატურა და სტაჟის წესები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ყოს ასეთივე კურსები. კურსებზე განზრახულია მოწვეულ იქნენ, როგორც თბილისში მომუშავე არქივისტები და არქივარიუსები, ისე პროვინციის საარქივო ორგანოთა მუშაკებიც. ამას გარდა კურსებზე განზრახულია მოწვეულ იქნენ გარეშე პირებიც, რომელთაც სურვილი აქვთ საარქივო საქმე შეისწავლონ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ცენტრარქივი შესძლებს საარქივო კურსების სათანადოდ მოწყობას და რომ მას სასურველი შედეგები მოჰყვება. ცენტრარქივი ფიქრობს ასეთი კურსები შემდეგ წლებშიც მოაწყოს საჭიროებისდა მიხედვით[1].

**საარქივო მასალების გამოყენება მკლევართა მიერ. სამეცადინო დარბაზი.**

საარქივო მასალების კონცენტრაცია-სისტემატიზაციასთან ერთად, როგორც ვამბობდით ცენტრარქივი ერთ-ერთ თავის მიზნათ ისახავდა და ისახავს საარქივო საბუთების სამეცნიერო დაწესებულებათა და კერძო მკვლევართათვის მიწოდებას: დოკუმენტების კოლექციისა, მათ საინტერესო პერიოდულ გამოცემათა კომპლექსისა, ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებისა, ლექსიკონებისა და სხვ. ამ მიზნით ცენტრარქივს მოწყობილი აქვს სპეციალური სამეცადინო დარბაზი, სადაც სწარმოებს ამ მასალების მიწოდება მსურველთათვის და სადაც უკანასკნელთ შეუძლიათ ისარგებლონ ამ მასალებით სათანადო წესების დაცვით. სამეცადინო დარბაზი გახსნილია უკანასკნელ ხანებში. მას ჰყავს საგანგებო გამგე მაღალი კვალიფიკაციის არქივისტი, რომელიც დახმარებას უწევს მკვლევართ მასალების ამორჩევითა და წყაროების მითითებით. სამეცადინო დარბაზში ცენტრარქივის მიერ შექმნილია, შესაძლებლობის ფარგლებში, ისეთი პირობები, რომ მკვლევარს შეეძლოს დაუბრკოლებლად ისარგებლოს საარქივო მასალებით.

სამეცადინო დარბაზში მომუშავეთა დიდი რიცხვი და სამუშაოდ გამოთხოვილ მასალების ასეთივე რაოდენობა ჰმოწმობს, რომ სამეცნიერო მიზნით არქივალიების გამოყენება ცენტრარქივს ფართოდ აქვს დაყენებული. ასე, მაგალითად, უკანასკნელი ორი წლის გან-

[1] საჭიროა აღინიშნოს, რომ ცენტრარქივის ინიციატივით არქივისტთა ახალი კადრის მომზადების მიზნით, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემოღებულია არქივთმეცნიერება, როგორც სავალდებულო საგანი ისტორიის დარგის სტუდენტებისათვის. სამწუხაროდ, ამ საგნის პროგრამისა და კურსის ცენტრარქივთან შეუთანხმებლობის გამო და აგრეთვე ზოგიერთ გარემოებათა გამო არქივთმეცნიერების საგნის შემოღებას უნივერსიტეტში მოსალოდნელი შედეგები ვერ მოჰყვა. ცენტრარქივს უკვე გადადგმული აქვს ნაბიჯები უნივერსიტეტის განახლებულ გამგეობასთან ამ საკითხის მოსაგვარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცენტრარქივი. სამეცადინო დარბაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მავლობაში (საზაფხულო კანიკულებისა და კვირა-უქმეების გამოკლებით) სამეცადინო დარბაზში მოსულა 60 სხვა და სხვა მკვლევარი დაახლოებით 2000-ჯერ. მათთვის იმავე ხნის განმავლობაში გამოთხოვილ საბუთების რიცხვი 20.000 აღწევს. უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა რიცხვი და, მაშასადამე, გამოთხოვილ საბუთების რაოდენობაც, თან და თანობით იზრდება. საბუთები გამოყენებულია მკვლევართა მიერ მრავალ სხვა და სხვა საკითხებისათვის,[1] უმთავრესად კი პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, სამხედრო, ლიტერატურულ და ისტორიულ ხასიათის საკითხების დასამუშავებლად. გამოთხოვილ საბუთების რაოდენობიდან უმეტესი ნაწილი მთავარ საისტორიო აოქივს, ძველ საბუთთა არქივს და საისტორიო-სარევოლიუციო არქივს ხვდება, რადგან ამ მხრივ უფრო აქტუალური მნიშვნელობის საბუთები სწორეთ ამ არქივებში ინახება. ძველი სიგელ-გუჯრები, მეფის ნაცვლის კანცელარიის საქმეები, საცენზურო კომიტეტის მასალები, დიპლომატიური კანცელარიისა და სამხედრო შტაბების საარქივო ფონდები—აი, უმთავრესად ის ფონდები, საიდანაც სარგებლობდენ მკვლევარები მასალით. ერთი სიტყვით, ცენტრარქივის ღონისძიებანი იქითკენ არის მიმართული, რომ არქივი გადააქციოს ისტორიკოსის ლაბორატორიად.

**სამეცნიერო-საგამომცემლო მოღვაწეობა.**

საარქივო მასალების გამოყენება სამეცნიერო მიზნით, მარტო სამეცადინო დარბაზში მიწოდებით, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. საარქივო მასალები, გარდა მკვლევართა ვიწრო წრისა, ხელმისაწდომი უნდა იყოს მკვლევართა ფართე წრისათვის, ე. ი. იმ მკვლევართათვისაც, რომელთაც საშუალება არა აქვთ ცენტრარქივის სამეცადინო დარბაზში იმუშაონ უშუალოდ. როგორც ვიცით, უკვე წარსულს ეკუთვნის ის დრო, როდესაც სამეცნიერო მუშაობა რჩეულთა და პრივილეგიურ მდგომარეობაში მყოფთა მონოპოლიას შეადგენდა. ახლა ასეთ მუშაობას აწარმოებს ყველა, ვისაც მოწოდება აქვს და ვისაც სურვილი აქვს კულტურისა და მეცნიერების საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს. სწორედ ასეთ მკვლევართა ფართე მასისათვისაც უნდა ყოფილიყო საარქივო მასალები ხელმისაწდომი სამეცადინო დარბაზის გარეშე. მეორეს მხრივ, საარქივო მასალები ხელმისაწდომი უნდა ყოფილიყო საერთოდ ფართე მკითხველისათვისაც, რომელსაც აინტერესებს წარსული ცხოვრება და, მაშასადმე,

[1] სამეცადინო დარბაზში საარქივო მასალებით სარგებლობის წესები დაბეჭდილია „საქართველოს არქივი-“ს პირველ წიგნში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ამ მასალებში შენახული ცნობების გაგება და ძველი წესწყობილების საიდუმლოების ცოდნა.

ცენტრარქივის არქივთსაცავებსა და აქტთსაცავებში, მრავლად იყო თავმოყრილი ისეთი საბუთები, რომელთაც მეტად აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა საისტორიო მეცნიერებისათვის, მაგრამ ამავე არქივთსაცავებსა და აქტთსაცავებში არა ნაკლები რაოდენობით დაცული იყო ისეთი საბუთები, რომელთაც მუშათა მოძრაობისა და საბჭოთა ხელისუფლების ისტორიისათვის დიდი ღირებულება ჰქონდათ. თავისთავად ცხადია, ამ მასალების გამოყენება სამეცადინო დარბაზის საშუალებით თითო-ოროლა მკვლევარისათვის მიწოდებით, საკმარისი არ იყო. საჭირო იყო ამ მასალების გამოქვეყნება. ან სხვანაირად რომ ვსთქვათ, საჭირო იყო ამ მასალების სამეცნიერო და საერთო ხმარებაში შეტანა. ეს საქმე უნდა ეკისრა ცენტრარქივს. ცენტრარქივს ფართეთ უნდა დაეყენებია საარქივო საბუთების სამეცნიერო გამოცემის საქმე.

მეორეს მხრივ, საარქივო საქმის ახალ საფუძველზე მოწყობის შემდეგ, საჭირო იყო საარქივო რეფორმისა და საარქივო ცხოვრების გაშუქება სპეციალურ საარქივო ორგანოში. საჭირო იყო ცენტრარქივის მუშაობა—მოქმედებისა და მის მიერ ცხოვრებაში გატარებულ ღონისძიებების აღნიშვნა. ამასთანავე ადგილობრივ საარქივო ორგანოთა მუშაობის ხელმძღვანელობისა და წარმართვისათვის, აუცილებელი იყო საბჭოთა ხელისუფლებისა და ცენტრარქივის მიერ გამოცემულ საარქივო წესების და კანონმდებლობის მიწოდება. ამას გარდა საჭირო იყო არქივთ-მცოდნეობისა და არქივთმეცნიერების დარგში, დასავლეთ ევროპასა და საბჭოთა ქვეყნებში მოპოებულ მიღწევების გაცნობა დ მათი მიწოდება საქართველოს არქივისტისათვის. ერთი სიტყვით, საჭირო იყო საარქივო საქმის თეორიისა და ტეხნიკის დასაბუთებისათვის სათანადო ნიადაგისა და პირობების შექმნა საქართველოში.

ამ რიგათ, საარქივო მასალების გამოქვეყნების აუცილებლობა ერთის მხრივ, და საარქივო საქმის თეორიისა და პრაქტიკის ფართეთ გაშუქების საჭიროება მეორეს მხრივ, საქართველოს ცენტრარქივს აყენებდა სამეცნიერო-საგამომცემლო დარგის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების წინაშე. არქეოგრაფიული მუშაობა და სპეციალური საარქივო ლიტერატურისათვის საძირკველის ჩაყრა—აი, ის მთავარი მომენტები, რომლებიც ცენტრარქივის სამეცნიერო-საგამომცემლო მუშაობის ღერძი უნდა ყოფილიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, სწორეთ ასე არის საკითხი დაყენებული. ამ რესპუბლიკებში საარქივო საბუთების გამოქვეყნებისა და სპეციალურ საარქივო ლიტერატურის შიქმნის საქმე, საარქივო ორგანოთა (ცენტრარქივების) ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ საგანს წარმოადგენს. ამ საქმეს იქ განსაკუთრეიული ყურადღება აქვს მიქცეული და ცენტრარქივების მიერ ფართედაც არის დაყენებული. ცენტრარქივის ბიუჯეტში შეტანილია სამეცნიერო-საგამომცემლო მოღვაწეობისათვის საჭირო თანხები. მაგალითად, რუსეთის ცენტრარქივი თითქმის დაარსებიდანვე პერიოდულათ (გარდა ერთდროული გამოცემისა) სცემს ორ ორგანოს: „Красный Архив"-სა და „Архивное Дело"-ს. „Красный Архив"-ის უკვე 30 ნომერია გამოსული და მასში იბეჭდება განსაკუთრებით საარქივო საბუთები, ხოლო „Архивное Дело" წარმოადგენს სპეციალურ საარქივო ჟურნალს, სადაც საარქივო საქმის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები შუქდება. ამჟამად ამ ჟურნალის 16 ნომერია გამოსული. უკრაანაც პერიოდულათ სცემს ანალოგიურ მიმართულების ორგანოებს: „Архівна Справа"-ს და „Червонний Архів"-ს. პირველი ორგანო წარმოადგენს სპეციალურ საარქივო ჟურნალს, ხოლო მეორე—საარქივო მასალების კრებულს. ასევეა სხვა რესპუბლიკებშიც.

როგორ აქვს სამეცნიერო-საგამომცემლო საქმე დაყენებული საქართველოს ცენტრარქივს?

სამეცნიერო-საგამომცემლო მუშაობას ცენტრ-არქივი შეუდგა ჯერ კიდევ 1924 წელს. ამ დროიდან მან გამოსცა რამოდენიმე სახელწოდების წიგნი და ორი პერიოდული ჟურნალი: „საისტორიო მოამბე" და „საქართველოს არქივი". „საისტორიო მოამბე" გამოდიოდა 2 წლის განმავლობაში, 1924-დან 1925-მდე, და გამოვიდა სულ 4 წიგნი, ხოლო „საქართველოს არქივი"—1926-დან 1927 წლამდე და გამოვიდა 3 წიგნი. ამ გამოცემებზე ცენტრარქივმა საკმაოდ დიდი დრო, ენერგია და თანხა დახარჯა. სამწუხაროდ, არც „საისტორიო მოამბე" და არც „საქართველოს არქივი" თავისი შინაარსისა და ხასიათის მიხედვით, იშვიათ გამონაკლისის გარდა [1], არ შეეფერებოდენ იმ ამოცანასა და მიზანს, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს ცენტრარქივი და რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ

[1] ამ გამონაკლისს შეადგენს შ. ჩ ხ ე ტ ი ა ს საარქივო საქმისა და არქივთმცოდნეობისადმი მიძღვნილი შრომები, რომლებიც იბეჭდებოდა „საისტორიო მოამბესა" და „საქართველოს არქივში". ამათგან ორი—„საარქივო აღმშენებლობის ძირითადი პრინციპები უკრაინაში" და „არქივთმეცნიერების შესავალი" გამოვიდა ცალკე წიგნებადაც: პირველი—1926 წელს, ხოლო მეორე—1927 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გვქონდა ლაპარაკი. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ „საისტორიო მოამბესა“ და „საქართველოს არქივში“ მოთავსებულ წერილებიდან რამოდენიმე: ასეთია, მაგალითად, „საისტორიო მოამბეში“ დაბეჭდილი წერილები: „О второй выставке древне-грузинской архитектуры“, „Предварительное описание хонской георгиевской базилики“, „საფასის ისტორიისათვის საქართველოში“, „ფულის გაძვირებისა და გაიაფების საკითხისათვის-.....“, ან კიდევ „საქართველოს არქივში“ დაბეჭდილი წერილები: „ვინ არის კალმასობის ან ხუმარსწავლად წოდებული ქართული ენციკლოპედიის ავტორი“, „ქურთთა საკითხი“ და მრავალი სხვა. ეს წერილები და სხვა ანალოგიური ხასიათის შრომები, რომლებიც იბეჭდებოდა ამ გამოცემებში ისეთ საკითხებს ეხებიან, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო საარქივო საქმესა და არქივთმცოდნეობასთან. ამასთანავე, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ საერთოდ ამ გამოცემებში მოთავსებულ წერილების არა მცირედი ნაწილი მეცნიერულ ხასიათს და ღირსებას დაშორებულია, ამ გამოცემებზე დახარჯული თანხები გაუმართლებელ და უმიზნოდ დახარჯულ თანხებად უნდა ჩაითვალოს. ყოველ შემთხვევაში, საარქივო ორგანოს—ცენტრარქივს—უფლება არ ჰქონდა დაეხარჯა ფული და დრო ასეთ გამოცემებისათვის იმის გამო, რომ მათ არავითარი კავშირი არა აქვთ ცენტრ-არქივის ფუნქციასთან და იმ ამოცანებთან, რომელიც მას დაკისრებული აქვს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „საისტორიო მოამბე“, რომელიც ცენტრარქივის მაშინდელ გამგის ორგანის უფრო წარმოადგენს, ვიდრე ცენტრარქივისას[1].

„საისტორიო მოამბე“, როგორც ვამბობდით, 2 წელიწადს გამოდიოდა. 1926 წელს ის, როგორც თავის დანიშნულებისათვის შეუფერებელი ორგანო, განათლების სახალხო კომისარიატის მიერ შეჩერებულ იქნა. მის მაგიერ ცენტრარქივმა დაიწყო „საქართველოს არქივის“ გამოცემა. „საქართველოს არქივმა“ თითქოს ისეთი ხაზი აიღო, რომ აღნიშნული დეფექტი თავიდან აეცილებია. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც იგი აცდა „საისტორიო მოამბის“ გზას. ამის გამო 1928 წელს „საქართველოს არქივის“ გამოცემაც შეწყვეტილ

---

[1] „საისტორიო მოამბის“ გამოსულ ყველა ნომერში დაბეჭდილ წერილებიდან $^4/_5$ ეკუთვნის ცენტრარქივის მაშინდელ გამგეს და ამ ორგანოს რედაქტორს, რომელიც ბოროტად იყენებდა თავის უფლებებს და საშუალებას არ აძლევდა ცენტრარქივის სხვა თანამშრომლებს ეწარმოებიათ სამეცნიერო მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იქმნა. ცენტრარქივმა ამიერიდან სამეცნიერო-საგამომცემლო საქმის დარგში ახალი გეზი აიღო. ეს გეზი სავსებით ეგუება ცენტრარქივის დანიშნულებასა და მის ძირითად ფუნქციას. მან დაისახა მიზნად ერთის მხრივ საარქივო საბუთების სისტემატიური გამოქვეყნება, ხოლო მეორეს მხრივ—სპეციალური საარქივო ლიტერატურის შექმნა ქართულ ენაზე. ამ მიმართულებით გაწეულ მუშაობის შედეგი იყო 1928 წელს გამოცემული ბროშიურა „წესები მომქმედ საბჭოთა დაწესებულებებში საარქივო საქმის დაყენების შესახებ“ [1] და შ. ჩ ხ ე ტ ი ა ს შრომა „არქივები და საარქივო საქმე“. ამავე მუშაობის შედეგია აგრეთვე წინამდებარე სპეციალური საარქივო ჟურნალი „საარქივო საქმე“, რომელიც განზრახულია გამოვიდეს წელიწადში ორჯერ.

ეს ორგანო თავის მიზნად ისახავს საარქივო საქმის თეორიისა და პრაქტიკის გაშუქებას დ აგრეთვე იმ მიხწევების გაცნობას საქართველოს არქივისტებისათვის, რომელიც ამ დარგში მოპოვებულია საბჭოთა ქვეყნებსა და დასავლეთ ევროპაში. ამ ჟურნალის გარდა ცენტრარქივს გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს მეორე პერიოდული ორგანო, „წითელი არქივი“, სადაც საარქივო მასალები იქნება გამოქვეყნებული. უკვე დამზადებულია პირველი სერია საარქივო საბუთებისა ამ ორგანოსათვის და ცენტრარქივი ამ დღეებში შეუდგება მის გამოცემას. „წითელი არქივი“ განზრახულია გამოვიდეს წელიწადში ორჯერ.

**საარქივო მასალების გამოყენება პრაქტიკული მიზნით. ცნობების გაცემა.**

გამოქვეყნების გზით და სამეცადინო დარბაზში საარქივო მასალების სამეცნიერო მიზნისათვის მიწოდების გარდა, ცენტრარქივი ცდილობდა მთავრობის დაწესებულებათათვის შეექმნა შესაძლებლობა, რათა გაცნობოდენ და გამოეყენებინათ სამეურნეო მშენებლობის საქმეში ის გამოცდილება, რომელმაც თავისი კვალი დასტოვა ძველ დაწესებულებათა საარქივო მასალებში. ე. ი. ცენტრარქივი ცდილობდა შეექმნა ფართე შესაძლებლობა საარქივო მასალების გამოყენებისა პრაქტიკული მიზნითაც. დაარსების თითქმის პირველ დღიდანვე ცენტრარქივი იძულებული იყო დაეკმაყოფილებია მთელ რიგ მთავრობის დაწესებულებათა და აგრეთვე კერძო პირთა მოთხოვნილება—ცნობებისა, ამონაწერებისა და პირების გაცემის შესახებ. წითელ არმიის შტაბი, სახელმწიფო

[1] ეს წესები გამოვიდა რუსულ ენაზე, ახლო მომავალში გამოცემული იქნება ქართულ ენაზედაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საგეგმო კომისია, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, განათლების სახალ ო კომისარიატი, ქალაქის აღმასკომი, პარტისი, პოლიტკატორღელთა საზოგადოება და მრავალი სხვა დაწესებულებანი და კერძო პირნი,—აი ცენტრარქივის კლიენტურა, რომელიც ითხოვდა და იღებდა ცნობებს მის არქივთსაცავებიდან. ცენტრარქივს მრავალი დრო და ენერგია ეხარჯებოდა და ეხარჯება დღესაც ამ ცნობების ამოკრეფისათვის. წარსულში ცნობების გაცემას ართულებდა და აბრკოლებდა განსაკუთრებით ის გარემოება, რომ ზოგიერთი ფონდები სრულიად არ იყო გარჩეული და მოწესრიგებული ქრონოლოგიურადაც. უმეტეს ნაწილს კიდევ არ ჰქონდა შედგენილი საინვენტარო აღწერა და მაჩვენებელი.

ამ და სხვა მრავალ დამაბრკოლებელ გარემოების მიუხედავად, ცენტრარქივი მაინც ახერხებდა მთხოვნელ დაწესებურებათა და კერძო პირთათვის საჭირო ცნობების მიწოდებას დროულად და სათანადო რაოდენობით. ეს რაოდენობა მოწმობს ასეთ მთხოვნელების სიმრავლეს. ასე, მაგალითად, უკანასკნელ 2 წლის განმავლობაში, საზაფხულო კანიკულებისა და კვირა - უქმეების გამოკლებით, გაცემულია 9000-ზე მეტი ცნობა, ამათგან მრავალი ისეთი ცნობა, რომლის მოძებნას საგანგებო კვლევა-ძიება სჭირდებოდა. საშუალო რიცხვი გაცემულ ცნობებისა ყოველდღიურად აღწევს 20-ს.

ამ ჟამად ცნობების გაცემის საქმე უფრო გაადვილებულია, რადგან საარქივო ფონდების უმეტესი ნაწილი, როგორც ვამბობდით, იმდენათ მოწესრიგებულია, რომ ცნობების მოძებნა შესაძლებელია ადვილად და დაუბრკოლებლად. სამაგიეროთ, მთხოვნელ დაწესებულებათა და კერძო პირთა რიცხვი თანდათანობით იზრდება, რაც იწვევს ცენტრარქივში მომუშავეთა შრომის 10% დახარჯვას.

**ცენტრარქივის კავშირი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან.**

ადგილის უქონლობის გამო ჩვენ ვერ შევჩერდებით ამ წერილში საარქივო მშენებლობის სხვა მომენტებზე, მხოლოდ საჭიროდ მივვაჩნია ორიოდე სიტყვით ავღნიშნოთ საქართველოს ცენტრარქივის მიერ გადადგმული ნაბიჯები საბჭოთა რესპუბლიკებთან მჭიდრო კავშირისა და ურთიერთობის დამყარების მიზნით. მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებთან უშუალო კავშირი საქართველოს ცენტრარქივისათვის საჭირო იყო განსაკუთრებით იმისთვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ რესპუბლიკების გამოცდილების გამოყენება საარქივო საქმის დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იაარქივო საქმის რეორგანიზაცია ახალ საფუძველზე რუსეთის ს. ფ. ს. რ.—ში, როგორც ვიცით, საქართველოზე გაცილებით ადრე დაიწყო. რუსეთის ცენტრარქივს ძველი რეჟიმიდან უკეთესი მემკვიდრეობა და გამოცდილებაც ერგო. ამიტომ საქართველოს ცენტრარქივისათვის მიინც და მაინც სასარგებლო იყო რუსეთის ცენტრარქივის გამოცდილების გაცნობა და გამოყენება. ასევე სასარგებლო და საჭირო იყო სხვა საბჭოთა რესპუბლიკების (უკრაინის, ბელორუსიის, და სხვათა) ცენტრარქივებთან უშუალო კავშირის დაჭერა.

ასეთი კავშირის დამყარებისა და დაახლოვების მიზნით საქართველოს ცენტრარქივმა თავის წარმომადგენელის წარგზავნით მიიღო მონაწილეობა 1925 წელს სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე, რომელიც მოწყობილი იყო მოსკოვში.[1] იმავე წელს ცენტრარქივმა მიიღო მონაწილეობა საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგინელთა თათბირზე, სადაც სხვათა შორის საკავშირო ცენტრარქივის დაარსების საკითხიც იყო დასმული. 1926 წელს საქართველოს ცენტრარქივის წარმომადგენელი დაესწრო სრულიად უკრაინის სარქივო მუშაკთა ყრილობას, რომელიც მოწვეული იყო ხარკოვში.[2] ამ ყრილობებზე ცენტრარქივის წარმომადგენელის მიერ გაკეთებული იყო მოხსენებები საქართველოში საარქივო მშენებლობის შესახებ[3].

ამასთან ერთად საქართველოს ცენტრარქივმა დაამყარა კონტაქტი ამ რესპუბლიკებთან საარქივო საქმის თეორიისა და პრაქტიკის დარგში მიღწევების სხვა გზით გაზიარების მხრივაც. ყველა სადაო ხასიათის საკითხების წამოჭრის შემთხვევაში საქართველოს ცენტრარქივი ცდილობდა მიწერ-მოწერის საშუალებით სათანადო საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრარქივის აზრის გაგებას და მასთან შეთანხმებით წამოჭრილ საკითხის გადაჭრას. ამავე მიზნით საქართველოს ცენტრარქივმა მოაგვარა რუსეთისა და უკრაინის ცენტრარქივების გამოცემათა რეგულიარულად მიღების საკითხი. მიღებულია ზომები აგრეთვე სხვა რესპუბლიკებთანაც საარქივო ლიტე-

---

[1] შ. ჩხეტია, სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა პირველი ყრილობა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრარქივების წარმომადგენელთა თათბირი („საისტორიო მოამბე", წ. 1. 1925 წ).

[2] შ. ჩხეტია, საარქივო მშენებლობის ძირითადი პრინციპები უკრაინაში („საქართველოს არქივი", წ. I 1926 წ.).

[3] ეს მოხსენებები დაბეჭდილია „Протоколы 1-го с'езда архивных деятелей РСФ Р"—ში, 1926 წ. მოსკოვი, და „Архивное Дело", წ. III–IV, 1926 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რატურის რეგულიარულად მიღების მხრივ. სამაგიეროდ საქართველოს ცენტრარქივი ასევე რეგულიარულად აწვდის მათ თავის გამოცემებს. ასეთ ურთიერთობის საშუალებით შესაძლებელი ხდება საარქივო საქმის დარგში მოპოებულ მიღწევების ერთი მეორესათვის გაზიარება და საკავშირო მაშტაბით მუშაობაში ერთიანი ხაზის დაცვა.

მაგრამ ცენტრარქივი განსაკუთრებულ ზომებს ღებულობდა ახლო მეზობელ რესპუბლიკებთან (აზერბეიჯანთან, სომხეთთან. ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან) მჭიდრო კავშირის დასამყარებლად. ამ მიზნით თბილისში ჯერ კიდევ 1925 წელს მოწვეული იყო ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა ცენტრარქივების წარმომადგანელთა თათბირი. სამწუხაროდ, ამ თათბირს რეალური შედეგი არ მოჰყოლია. განზრახულია ახლო მომავალში ასეთი თათბირი განმეორებით იქნეს მოწვეული.

ამას გარდა საქართველოს ცენტრარქივი ცდილობდა ხელი შეეწყო ამ რესპუბლიკებში საარქივო მშენებლობისათვის საარქივო მასალებისა და სამუზეუმო ექსპონატების მიცემით. ასე, მაგალითად, საქართველოს ცენტრარქივმა აზერბეიჯანის ცენტრარქივს გადასცა 2251 საქმე, სომხეთის ცენტრარქივს—1781 საქმე, დაღესტანის მუზეუმს—71 სამუზეუმო ექსპონატი, ადიგეის ავტონომიურ ოლქს—61 სამუზეუმო ექსპონატი, საჩჩნოს—16 ექს., ჩრდილოეთ-კავკასიის სამხარეთმცოდნეო ორგანიზაციის საბჭოს—54 წიგნი და სხვა.

* * *

**ცენტრარქივის მორიგი ამოცანები.**

საქართველოს ცენტრარქივის მიერ 8 წლის სიგრძეზე გაწეული მუშაობა, რა თქმა უნდა, უნაკლო არ იყო. ეს ნაკლი ნაწილობრივ ობიექტიურ პირობებითა, ხოლო ნაწილობრივ თვით ცენტრარქივის უინიციატივობით ანუ უკეთ ადმინისტრაციის შეუფერებლობით იყო გამოწვეული. ცენტრარქივის მიერ თავდაპირველად აღებულმა არა სწორმა სამოღვაწეო ხაზმა ბევრი ზიანი მიაყენა მას: მრავალი დეფექტები, რომელიც ახასიათებს ცენტრარქივის წარსულ მუშაობას, ამ ხაზის შედეგია. დღეს ეს ხაზი სავსებით გამოსწორებულია და მდგომარეობაც, რასაკვირველია, შეცვლილია. ცენტრარქივის მუშაობა შეგუებულია და შეთანხმებულია პარტიისა და ხელისუფლების საერთო ხაზთან. საჭიროა მხოლოდ წინასწარ ზოგიერთ პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმა და ღონისძიებების გატარება, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მომავალში საარქივო მშენებლობისათვის სავსებით ნორმალური პირობები შეიქმნეს.

უპირველესად ყოვლისა ცენტრარქივმა უნდა დაისახოს მიზნად არქივთსაცავებისათვის სპეციალური შენობის აგება. როგორც ზევით ვამბობდით, მთავარ საბჭოთა არქივს სრულიად არ მოეპოვება ბინა და იგი დროებით მოთავსებულია სამმართველოს მთავარ კორპუსში, სადაც ისტორიული არქივებია მოწყობილი. შენობა აგებულ უნდა იქნეს თანამედროვე საარქივო ტეხნიკის მოთხოვნილების მიხედვით ცენტრარქივის ეზოში.

პარალელურად ზომები უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივი საარქივო ორგანოებთან არქივთსაცავების მოსაწყობად და იქ მაზრის ფარგლებში არსებულ დაწესებულებათა საარქივო ფონდების მოსაგროვებლად. ამ ჟამად მხოლოდ ზოგიერთ მაზრას აქვს მოწყობილი სამაზრო არქივთსაცავები. მომავალ წლისათვის კი, არცერთი მაზრა არ უნდა დარჩეს ისე, რომ არქივთსაცავი არ ჰქონდეს მოწყობილი.

ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად, ცენტრარქივმა უნდა დააჩქაროს არქივალიების ინვენტარული აღწერა და მაჩვენებლების შედგენა იმ ფონდებისათვის, რომლებიც უკვე თავმოყრილია სახელმწიფო არქივთსაცავებში და შემდეგ შეუდგეს კატალოგების შედგენას, რათა უფრო ადვილად შეიძლებოდეს ამ მასალების გამოყენება პრაქტიკულ და მეცნიერულ მიზნებისათვის. ამ მხრივ მუშაობა უნდა გაცხოველდეს უმთავრესად სამხედრო-საისტორიო, იურიდიულ და მუნიციპალურ არქივებში, სადაც მუშაობა შედარებით ნელის ტემპით მიმდინარეობს.

ასეთივე მუშაობა უნდა დაიწყოს ადგილობრივი საარქივო ორგანოებში.

განსაკუთრებული ყურადღება ცენტრარქივმა უნდა მიაქციოს სამეცნიერო-საგამომცემლო მუშაობის გაფართოებას. უპირველესად ყოვლისა საჭირო არის საარქივო მასალების რეგულიარულად გამოქვეყნების საკითხი მოგვარდეს და, მაშასადამე, საჭიროა მოგვარდეს ამ მიზნისთვის დანიშნულ ჟურნალ „წითელი არქივის“ რეგულიარულად გამოცემის საქმე. ახლო მომავალში უნდა გამოვიდეს პირველი ნომერი, რომლისათვისაც მასალები, როგორც ვამბობდით, უკვე დამზადებულია.

დასასრულ, ცენტრარქივის მორიგ ამოცანად უნდა ჩაითვალოს წითელ არქივისტთა კადრის შექმნა. ამ მიზნით ცენტრარქივის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიღებული გადაწყვეტილება საარქივო კურსების მოწყობის შესახებ, უეჭველად განხორციელებულ უნდა იქნეს მიმდინარე წელს. ეს საქმე დაყოვნებას და გადადებას არ ითმენს. ცენტრარქივმა ახლო მომავალში უნდა შექმნას ახალ არქივისტთა კადრი, რათა სანდო და გამოცდილ მუშაკთა ხელში მოექცეს წარსული გამოცდილების შემცველი არქივალიები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ. ჩხეტია

# არქივალიების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის ძირითადი პრინციპები.

საარქივო მასალების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია არქივის ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი ფუნქციათაგანია. არქივი, რომელიც ამ ფუნქციას არ ასრულებს, არ ამართლებს თავის პირდაპირ დანიშნულებას: მოუწესრიგებელ არქივს არ შეუძლია დაკისრებულ ამოცანების განხორციელება და წაყენებულ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, კერძოდ მას არ შეუძლია მკვლევარისათვის საარქივო მასალების მიწოდება.

მეორეს მხრივ საარქივო მასალების კლასიფიკაცია და სისტემაში მოყვანა, არქივის ერთ-ერთი რთული და ძნელი ფუნქციათაგანია. იგი მოითხოვს არქივისტისაგან გარკვეულ ცოდნასა და გამოცდილებას.

თუ წიგნების კლასიფიკაცია ბიბლიოთეკებში საკმაოდ მძიმე ამოცანად ითვლება და ბიბლიოთეკარისაგან სპეციალურ ცოდნას ჰგულისხმობს, საარქივო მასალების კლასიფიკაცია არქივებში გაცილებით უფრო რთულია და არქივისტისაგანაც უფრო მეტ სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. საქმე იმაშია, რომ საარქივო მასალა, როგორც ასეთი, კლასიფიკაციისათვის უფრო ძნელ და უხერხულ ობიექტს წარმოადგენს, ვიდრე დაბეჭდილი წიგნი: მაშინ, როდესაც ყოველ დაბეჭდილ წიგნს გარკვეული სახელწოდება და სათაური აქვს, გარკვეულ საგანსაც ეხება და ამიტომ მკვლევარს უმთავრესად მხოლოდ ერთის მხრივ აინტერესებს, საარქივო მასალა შეიძლება საინტერესო იყოს მკვლევარისათვის სხვადასხვა თვალსაზრისით, რადგან მას შეიძლება რამოდენიმე საგანთან და ისტორიულ ცხოვრების რამოდენიმე მომენტთან ჰქონდეს დამოკიდებულება.[1]

საარქივო მასალების კლასიფიკაციის მნიშვნელობისა და სირთულისაგან გამომდინარეობს ამ კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპების დადგენის აუცილებლობაც. კლასიფიკაცია დამყარებული უნდა იყოს გარკვეულ დ მტკიცე პრინციპებზე, ხოლო ეს პრინციპები—სა-

[1] В. Романовський, Нариси з архівознавства, გვ. 126.

ეროვნული ბიბლიოთეკა



არქივო მასალების არსებითი ნიშნებზე. ასეთი პრინციპების დადგენა გაუადვილებს არქივისტს საარქივო მასალების მოწესრიგებას და გარკვეულ სისტემაში მოყვანას, ხოლო ეს გარემოება თავის მხრივ გაუადვილებს მკვლევარს არქივში საჭირო საბუთის მოძებნას და გამოყენებას.

დასავლეთ ევროპისა და საბჭოთა ქვეყნების საარქივო პრაქტიკამ იცის რამოდენიმე, გარკვეულ პრინციპებზე დამყარებული, სისტემა არქივალიების კლასიფიკაციისა. ამათგან უმთავრესია: 1) ისტორიული, 2) საგნობრივი, 3) ტერიტორიალური, 4) ქრონოლოგიური და 5) ალფაბეტური.

რომელია ამ სისტემათაგანი მისაღები და რომელი უარსაყოფი? არსებითად რომ ვთქვათ, არ შეიძლება არც ერთი მათგანი სავსებით უარყოფილ იქნეს და არც ერთი მათგანი არ შეიძლება აღიარებულ იქნეს, როგორც ერთად-ერთი მისაღები სისტემა. ყველა ეს სისტემები ერთი მეორის დამატებასა და შევსებას წარმოადგენენ და ამიტომ საკითხი შეიძლება მხოლოდ ასე დაისვას: რომელ ამ სისტემათაგანს უნდა მიეცეს მეტი უპირატესობა, ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, რომელი მათგანი უნდა იქნეს ძირითად სისტემად აღიარებული?

ვიდრე ამ კითხვაზე ვუპასუხებდეთ, გავეცნოთ ზოგადად თვითეულ ამ სისტემათაგანს და ვნახოთ რომელს რა უარყოფითი ან დადებითი თვისებები აქვს. დავიწყოთ უკანასკნელიდან.

ა ლ ფ ა ბ ე ტ უ რ ი  ს ი ს ტ ე მ ა ნაანდერძევი არის საშუალო საუკუნეების არქივისტების მიერ და მდგომარეობს იმაში, რომ საარქივო მასალების დალაგება და აღწერა არქივში სწარმოებს შინაარსის ან კიდევ დამახასიათებელ სიტყვების პირველ ასოს მიხედვით ალფაბეტურ წესზე [1] ამ სისტემაზე არქივალიების კლასიფიკაციის დროს მხედველობაში მიღებული არ არის საბუთის არც წარმოშობა, არც თარიღი და არც მისი გარეგნული ნიშნები (საბუთის ფორმა, მასალა და სხვა). შინაარსის ფორმულიროვკა და „დამახასიათებელ“ სიტყვების ამორჩევა სავსებით დამოკიდებულია იმის ცოდნასა და სურვილზე, ვინც კლასიფიკაციასა და აღწერას ახდენს. ხოლო, რადგან ამ შემთხვევაში გარკვეული და ყველასათვის სავალდებულო კრიტერიუმი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს,

[1] ასეთია, მაგალითად, Pierre d'Etampes-ის 1318 წლის, ან კიდევ Gerard de Montaigu-ს 1371 წლის ინვენტარი (იხ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა, არქივები და საარქივო საქმე, I, გვ. 123).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამიტომ ერთ კლასიფიკატორსა და აღმწერს შეუძლია ამა თუ იმ საბუთის შინაარსს ერთნაირი ფორმულიროვკა გაუკეთოს, ხოლო მეორეს კიდევ—მეორენაირი და ამასთან დაკავშირებით შინაარსის დასაწყისი ასო პირველ შემთხვევაში შეიძლება ერთი იყოს, მეორე შემთხვევაში კი—მეორე. ასევე „დამახასიათებელ“ სიტყვის ამორჩევის დროსაც: ერთს შეუძლია ერთი სიტყვა მიიჩნიოს დამახასიათებლად, ხოლო მეორეს—მეორე.

ის უპირატესობა, რომელიც ამ სისტემას ვითომდა აქვს იმ მხრივ, რომ ალფაბეტური წესრიგის გამო საჭირო საბუთების მოძებნა არქივში თითქოს ადვილი იყოს, სრულიად მოჩვენებითია, რადგან ასეთი შემთხვევითი ნიშნებზე დამყარებული ალფაბეტური წესრიგი ოდნავაც არ უადვილებს მკვლევარს და საერთოდ მსურველს მოიპოვოს მისთვის საინტერესო საბუთი. მართლაც, როგორ უნდა მოსძებნოს დაინტერესებულმა პირმა ესა თუ ის მასალა, როდესაც მან არ იცის, თუ როგორი ფორმულიროვკა აქვს გაკეთებული ამ მასალის შინაარსს, ან რომელი სიტყვაა დამახასიმთებლად მიჩნეული კლასიფიკატორის მიერ. სულ სხვა არის, როდესაც კარგად შედგენილ ინვენტარებს გაკეთებული აქვთ ალფაბეტური მაჩვენებლები: საკუთარი სახელების, გეოგრაფიული ან კიდევ საგნობრივი. ასეთ მაჩვენებლებში ცნობები საბუთის შესახებ ჩვეულებრივად მოკლედ და უფრო მკაფიოდ შეიტანება და ამიტომ ისინი უფრო ადვილად გამოსაყენებელიც არიან.

ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, ეს სისტემა დამყარებულია არა არსებითი, არამედ შემთხვევითი ნიშნებზე. ამიტომ იგი არა რაციონალურია. ამისდა მიუხედავად ზოგიერთ ქვეყნის არქივებში, როგორც მაგალითად, ჰოლანდიისა და ბელგიის არქივებში, ხშირია შემთხვევები, როდესაც ალფაბეტური წესრიგი გატარებულია არა მარტო ინვენტარების შედგენის დროს, არამედ საარქივო მასალების დალაგების დროსაც. მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს და ჩვენს დროში ამ სისტემას ერთობ ნაკლები მომხრეები და დამცველები ჰყავს[1].

ქ რ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ  ს ი ს ტ ე მ ა ს გაცილებით მეტი დადებითი მხარეები აქვს და მას მეტი მომხრეებიცა ჰყავს. ქრონოლოგიურ სისტემის დროს საარქივო მასალების დალაგება და აღწერა სწარმოებს თარიღის მიხედვით; მხედველობაში მიღებული არ არის არც მასა-

[1] Müller, Feith und Fruin, Anleitung zum Ordnen und Beschreiben von Archiven, ლეიპციგი, 1905 წ. გვ. 23, § 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლების წარმოშობა (დაწესებულება, რომელმაც შექმნა მასალა), არც მათი შინაარსი და ფორმა; მნიშვნელობა აქვს მხოლოდ დროს, როდესაც შედგენილია საბუთი. ამ სისტემაზე შედგენილ აღწერებს დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ იმ მკვლევართათვის, რომელნიც პოლიტიკურ ისტორიას იკვლევენ, რადგან ასეთ აღწერებით ადვილად და სწრაფად შეიძლება ყველა იმ მასალების მოძებნა და, მაშასადამე, გამოყენებაც, რომელნიც გარკვეულ ქრონოლოგიურ პერიოდს ეკუთვნიან.

განსაკუთრებით რაციონალურია ეს სისტემა ისეთ არქივებში, სადაც საარქივო მასალათა რაოდენობა განსაზღვრულია (მცირეა) და სადაც ეს მასალა ცალ-ცალკე საბუთებისაგან შესდგება, რადგან ასეთი განცალკევებული საბუთების მოწესრიგება ქრონოლოგიურ წესზე ადვილად მოსახერხებელია. ამ მხრივ ერთად-ერთ დაბრკოლებას ის გარემოება წარმოადგენს, რომ ეს სისტემა ჰგულისხმობს დათარიღებულ მასალებს, ხოლო რაკი უთარიღო საბუთები შეიძლება ყველა არქივში იყოს, ზოგჯერ დიდის რაოდენობითაც, ამიტომ ასეთი უთარიღო საბუთები ამ სისტემის დროს შეიძლება განრიგებულ იქნენ მხოლოდ ვარაუდით, რის გამოც ეს საბუთები მრავალ შემთხვევებში შესაძლებელია არა თავის ადგილზე აღმოჩნდენ, რაც შეუძლებელს გახდის მათ მოძებნასა და გამოყენებას საჭირო შემთხვევებში.

აღნიშნული დაბრკოლება და უხერხულობა, რომელიც ქრონოლოგიურ სისტემაზე მასალების კლასიფიკაციის შედეგად იქმნება, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და საგრძნობი ხდება მაშინ, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ არქივებთან, სადაც არქივალიების რაოდენობა მეტად დიდია. მაშინ ამ დაბრკოლებას კიდევ სხვა დაბრკოლებები ემატება. ერთ-ერთ ამ დაბრკოლებათაგანს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქრონოლოგიურ პრინციპის სისწორით და სავსებით გატარებისათვის არქივში, საჭიროა ისეთი „საქმეების“ დაშლა, რომელთაც ერთი თარიღი კი არა, რამოდენიმე თარიღი აქვთ. როგორც ვიცით, ყოველ არქივში ხშირია ისეთი „საქმეები“, რომელნიც რამოდენიმე წლების ქაღალდებს შეიცავენ. ამ ქაღალდებისთვის ქრონოლოგიურ სისტემაში სათანადო ადგილის მიკუთვნება „საქმეების“ დაუშლელად შეუძლებელია; ეს გარემოება კი მუშაობას აფერხებს იმ მხრივ, რომ „საქმეების“ დაშლას დიდი დრო და ენერგია სჭირდება; აფერხებს იმ მხრივაც, რომ ასეთ შემთხვევაში საჭიროა თვითეული საბუთის ცალ-ცალკე აღწერა და ცალ-ცალკე ნომრით შეტანა ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვენტარში, მაშინ როდესაც სხვა სისტემის დროს საკმარისი იქნებოდა მთელი ტომებისა ან „საქმეების" ერთი ნომრით აღწერა და ინვენტარში შეტანა, რაც, რა თქმა უნდა, გაცილებით ნაკლებ დროსა და ენერგიას წაართმევდა არქივისტს. ამ გარემოებასთან, ე. ი. თვითეულ ცალკე ქაღალდის ცალკე აღწერის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რთულდება საარქივო მასალების ინვენტარიზაცია.

მეორე უარყოფითი მხარეს ამ სისტემისას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქრონოლოგიურ წესზე მოყვანილ არქივში ძნელი ხდება საარქივო მასალათა შინაარსის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ერთი საკითხის შესახები მასალების რაოდენობის გამორკვევა. როგორ უნდა გამოირკვეს, მაგალითად, მეფის ნაცვლის ან გუბერნატორთა ე. წ. უქვეშევრდომილეს მოხსენებათა სერია ამა თუ იმ არქივში სრულია თუ არა, როდესაც ეს მოხსენებები, ქრონოლოგიურად განაწილების გამო, გაბნეული იქნება სხვადასხვა მასალათა შორის? ან კიდევ როგორ უნდა გამოირკვეს, ვთქვათ, რამდენად სრულია 1832 წ. შეთქმულების შესახები მასალები, როდესაც ეს მასალები იმავე მიზეზის გამო ერთად არ იქნება თავმოყრილი? რა თქმა უნდა, ყველაფერი ამის გამორკვევა შეიძლება, მაგრამ შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი არქივის ინვენტარი იქნება დაწვრილებით გადათვალიერებული და გადასინჯული, რაც თავისთავად ცხადია, მკვლევარისათვის თუ შეუძლებლობას არა, საკმაოდ დიდ უხერხულობას წარმოადგენს.

დასასრულ, მესამე და ამავე დროს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ნაკლს ამ სისტემისას წარმოადგენს ის, რომ „საქმეების" დაშლა და „საქმეებში" მოთავსებულ საბუთების ერთი-მეორისგან განცალკევება ჰნიშნავს მათ შორის ორგანიულ და ლოგიურ კავშირის გაწყვეტას და საერთოდ „საქმის" ბუნებრივი მთლიანობის დარღვევას. როგორც ვიცით „საქმე" წარმოადგენს ერთი ან რამოდენიმე მონათესავე საკითხების შესახები საარქივო საბუთების კრებულს[1]. ეს კრებული იქმნებოდა თანდათანობით, ისტორიულად და იგი წარმოადგენს ლოგიურ მთელს, რადგან მის შემადგენელ საბუთებს შორის მჭიდრო ორგანიული კავშირი არსებობს. ამიტომ „საქმის" დაშლა შეუძლებელს ხდის იმ საკითხის ან საგნის სისრულით გამორკვევას, რომლის შესახები საბუთების კრებულს ეს „საქმე" წარმოადგენს.

---

[1] ამ ტერმინის განმარტება იხ. შ. ჩხეტიას არქივთმეცნიერების შესავალში, გვ. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აღნიშნული ნაკლისდა მიუხედავად ქრონოლოგიური პრინციპი არქივალიების კლასიფიკაციისა არ შეიძლება უარყოფილ იქნეს სავსებით დიდ არქივებშიც, როგორც დამატებითი და დამხმარე სისტემა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ პრინციპისთვის გვერდის ახვევა არ შეიძლება იმიტომაც, რომ თვითეულ „საქმეში“ საბუთთა რიგი სწორედ ქრონოლოგიურ პრინციპზეა დამყარებული: „საქმე“ იზრდებოდა ქრონოლოგიური წესით, ერთი საბუთი მეორეს ამ „საქმეში“ ამ წესითვე მისდევს. ამას გარდა თვით ეს „საქმეები“ არქივის თაროებზე ქრონოლოგიური წესის მიხედვითაა დალაგებული.

ქრონოლოგიური სისტემა, როგორც ძირითადი სისტემა (სხვა სისტემის დახმარებით) შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთ პატარა არქივში, სადაც ცალ-ცალკე საბუთებია მცირე რაოდენობით დაცული, და სადაც ამ მასალებს შორის ორგანიული და ლოგიური კავშირი შინაარსის მიხედვით არ არსებობს.

ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ლ უ რ ი  ს ი ს ტ ე მ ა ც გამოსადეგია უმთავრესად მაშინ როდესაც არქივში, ან უკეთ, კოლექციაში საბუთების რაოდენობა განსაზღვრულია და როდესაც ეს საბუთები შინაარსის მხრივ არ არიან ერთიმეორესთან ორგანიულად დაკავშირებული. სხვანაირად რომ ვთქვათ, ტერიტორიალურ პრინციპის მიხედვით საარქივო მასალების კლასიფიცირება შეიძლება მაშინ, როდესაც ეს მასალები არ წარმოადგენენ რომელიმე დაწესებულების ბუნებრივ საარქივო ფონდს. საარქივო მასალების ასეთი კრებული ჩვეულებრივად უცნობი წარმოშობის კოლექციაა, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა შინაარსისა და წარმოშობის, სხვადასხვა ფორმისა და ხასიათის საბუთები, რომელთა გაერთიანებას ამ კოლექციაში შემთხვევითი და ხელოვნური ხასიათი აქვს. ასეთ შემთხვევებში საბუთების დაჯგუფება და აღწერა მართლაც შეიძლება იმ ადგილის (ტერიტორიის) მიხედვით, რომელთა ისტორიას ისინი ეკუთვნიან.[1] ასე, მაგალითად, შეიძლება ცალკე აღიწეროს შიომღვიმის მონასტრის საბუთები, ან დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები და სხვა.

ლაპარაკი ზედმეტაა იმაზე, რომ ასეთი კლასიფიკაცია ნაკლებად გამოსადეგია მკვლევარისათვის, რადგან ტერიტორიალურ პრინციპზე შედგენილ აღწერების მიხედვით ძნელია ცალ-ცალკე საბუთების შინაარსის გამორკვევა. ამას გარდა ასეთი სისტემა სიძნელეს ჰქმნის თვით სისტემატიზატორისათვის: არქივში შეიძლება აღმოჩნდეს მრავალი ისეთი საბუთი, რომელიც ერთდაიმავე დროს სხვადა-

[1] В. Романовський, Нариси з архівознавства, გვ. 126.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სხვა ტერიტორიას ან მთელ სახელმწიფოს ეკუთვნის, შეიძლება აგრეთვე საბუთების უმეტესობა ეკუთვნოდეს უკანასკნელ კათეგორიას და, მაშასადამე, მის ცალკე კათეგორიად გამოყოფა არაფერს გამოარკვევს. ხოლო ყველა ასეთ შემთხვევაში კლასიფიკატორს, ბუნებრივია, გაუძნელდება კლასიფიკაციის და აღწერის მოხდენა სისწორით. ამას გარდა შესაძლებელია რომელიმე საბუთი წარმოშობით ერთ გარკვეულ ტერიტორიასთან იყოს დაკავშირებული, ხოლო არსებითად, შინაარსის მიხედვით,—მეორესთან. ეს გარემოება კი იმ ერთ ნიშანსაც (ტერიტორიას), რომლის მიხედვით კლასიფიკაცია სწარმოებს, მნიშვნელობას უკარგავს.

ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, ტერიტორიალურ სისტემის დროს, ისევე როგორც ალფაბეტურ სისტემის დროს, კლასიფიკაციის საფუძვლად აღებულია არა არსებითი და დამახასიათებელი ნიშნები, არამედ შემთხვევითი, რის შედეგად ისეთი მდგომარეობა იქმნება არქივში, რომ საარქივო მასალებით სარგებლობა ძნელი ან თითქმის შეუძლებელი ხდება. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ღირსებას უკარგავს ამ სისტემას და მიუღებლად ხდის მას. მაგრამ ამისდა მიუხედავად ზოგჯერ, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ დაწესებულების საარქივო ფონდთან, რომლის კომპეტენცია ვრცელდებოდა გარკვეულ ტერიტორიაზე და დაკავშირებული იყო სწორედ ტერიტორიასთან (მაგალითად, მოსახლეობის სტატისტიკა, მამულების დარიგება, კოლონიზაცია და სხვა), შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეს სისტემაც, ე. ი. შეიძლება მასალები დაჯგუფდეს ტერიტორიალურ ნიშნების მიხედვით, რადგან ამავე პრინციპზე ემყარებოდა თვით ამ ფონდის შემქმნელი დაწესებულებაც. ეს სისტემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე ცენტრალურ დაწესებულებათა საარქივო ფონდის ერთნაირი მასალების კლასიფიკაციის დროსაც. მაგრამ ეს არსებითად, როგორც სამართლიანად აღნიშნავს უკრაინელი არქივისტი ვ. რ ო მ ა ნ ო ვ ს კ ი, ტერიტორიალური სისტემა კი არა, ისტორიული სისტემა იქნება, რადგან მხოლოდ ცალკე ფონდში შეიძლება მისი ნაწილები ტერიტორიის მიხედვით კლასიფიცირებულ იქნეს.[1]

ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი  ს ი ს ტ ე მ ა კლასიფიკაციისა, პირველი შეხედვით ყველა სისტემაზე უფრო რაციონალურად გვეჩვენება. ამ სისტემის დროს „საქმეები“ და საბუთები წესრიგდება სხვადასხვა თემებისა ან იმ

[1] В. Р о м а н о в с ь к и й, Нариси з архівознавства, გვ. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საგნის მიხედვით, რომელსაც შეეხება ესა თუ ის საქმე: მაგალითად, სამხედრო საქმეები, სისხლის სამართლის საქმეები, კოლონიზაციის შესახები საქმეები, საგლეხო რეფორმის შესახები საქმეები, მეთამბაქოების ან მეაბრეშუმეობის შესახები საქმეები და სხვა. მთელი საარქივო მასალა, რომელ ფონდსაც არ უნდა ეკუთვნოდეს და რომელ დროსა ან ტერიტორიას არ უნდა ეხებოდეს ის, აღიწერება და წესრიგდება დასახელებული რუბრიკების მიხედვით.[1]

საგნობრივ პრინციპზე საქმეების კლასიფიკაციას დიდი უპირატესობა აქვს იმ მხრივ, რომ მკვლევარს ადვილად შეუძლია ამა თუ იმ თემაზე ან საგანზე საჭირო მასალები მოიძიოს, რადგან ეს მასალები, როგორც ვთქვით, სწორედ ცალ-ცალკე თემებისა და საგნების მიხედვითაა დაჯგუფებული. მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ამ პრინციპის სისრულით დაცვა ზოგჯერ არც ისე ადვილია: ხშირია ისეთი საბუთი, რომელიც ერთსა და იმავე დროს რამოდენიმე თემასა ან საგანს შეეხება, ხოლო ამასთან დაკავშირებით ძნელი ხდება იმის გამორკვევა, თუ რომელ მათგანს უნდა მიეკუთვნოს ასეთი საბუთი. ასე, მაგალითად, საბუთების რომელ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს ისეთი სიგელი, რომელიც შეიცავს ცნობებს სამონასტრო ყმების შესახებ: „ბატონ-ყმობისა“, ან „გლეხთა საკითხის“ შესახები საბუთთა ჯგუფს, თუ „სამონასტრო საბუთების“ ჯგუფს? არჩევანი დამოკიდებულია იმ არქივისტის სურვილსა და სიმპატიაზე, რომელიც კლასიფიკაციას ახდენს: ერთი საბუთი მას შეუძლია თავისი სურვილის მიხედვით ერთ ჯგუფს მიაკუთვნოს, ხოლო მეორე—მეორეს. მკვლევარს კი საშუალება ეკარგება მოიძიოს და გამოიყენოს მისთვის საჭირო საბუთი, რადგან ამისთვის მან უნდა გადასინჯოს ზოგჯერ მთელი არქივი, რაც თავისთავად ცხადია, ერთობ ძნელი ან კიდევ სრულიად შეუძლებელი საქმეა.

ამასთანავე ის უპირატესობა, რომელიც საგნობრივ სისტემას აქვს იმ მხრივ, რომ მასალების თემების მიხედვით აღწერის გამო არქივში მომუშავეს გარკვეული თემები და თვითეულ იმ თემისათვის საჭირო საბუთთა ჯგუფი მზა-მზარეულად აქვს,—შეიძლება მიხწეულ იქნეს სხვა გზითაც, სახელდობრ, ინვენტარისათვის საგნობრივი მაჩვენებლების შედგენით. ასეთი მაჩვენებლები, როგორც ვიცით, მოკლე ცნობებს შეიცავენ, ალფაბეტურ წესზე სდგებიან და ამიტომ მათი გამოყენება უფრო ადვილია. მაგრამ მთავარი ნაკლი ამ სისტემისა იმაში მდგომარეობს, რომ მას ხელოვნური ხასიათი აქვს: იგი

[1] В. Романовський, Нариси з архівознавства, გვ. 127.

ეროვნული ბიბლიოთეკა



არ შეეფერება მასალების შექმნის ისტორიასა და ბუნებას ან, უკეთ რომ ვთქვათ, იგი არ გამომდინარეობს საარქივო მასალების შექმნის ისტორიიდან. მაგალითად, ზემოდ ჩამოთვლილი რუბრიკები („სამხედრო საქმეები“, „სისხლის სამართალის საქმეები“ და სხვა), რომელთა მიხედვით სწარმოებს კლასიფიკაცია ამ სისტემის დროს, სრულიად არ გამომდინარეობს საარქივო მასალების წარმოშობიდან, იგი გამოგონებულია კლასიფიკატორის მიერ.

მართალია, ზოგჯერ საგნობრივი კლასიფიკაცია ეთანაბრება ისტორიულ (ფონდურ) კლასიფიკაციას და მაშინ საქმეების განაწილებასაც თითქოს ბუნებრივი ხასიათი აქვს, მაგრამ დასკვნა ამ ორი სისტემის იდენტივობისა და, მაშასადამე, საგნობრივი კლასიფიკაციის ბუნებრივობის შესახებ, უსაფუძვლოა. ვთქვათ, მაგალითად, რომელიმე დაწესებულების არქივში საქმე განაწილებულია ასე: საერთო, საფინანსო, პირადი შემადგენლობის და სხვა, ხოლო თვით ამ დაწესებულებაში არსებობს ამ დაყოფის შესაფერი განყოფილებები: საერთო, საფინანსო, პირადი შემადგენლობის და სხვა. არქივის დანაწილების პირველ რუბრიკას — ,,საერთო საქმეები“, დაწესებულების სტრუქტურაში უდრის საერთო განყოფილება, მეორე რუბრიკას — ,,საფინანსო საქმეები“, უდრის საფინანსო განყოფილება, მესამე რუბრიკას — ,,ადმინისტრატიული საქმეები“ უდრის პირადი შემადგენლობის ან ადმინისტრატიული განყოფილება და სხვა. მაგრამ ასეთი იგივეობა მხოლოდ მოჩვენებითია: ჯერ ერთი, პირველ შემთავევაში შესაძლებელია რუბრიკების რიცხვი მრავალი იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში განყოფილებათა რიცხვი განსაზღვრულია. მეორე, — რუბრიკები და განყოფილებები, რომლებიც გარეგნულად ერთმანეთს ეთანაბრებიან, სინამდვილეში სრულიად არ შეიცავენ ან ყოველ შემთხვევაში ძალიან იშვიათად შეიცავენ ერთ და იგივე შინაარს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საგნობრივი სისტემა მეტად სუბიექტიური და ხელოვნურია. მას ბევრი ნაკლიც აქვს. მაგრამ ამისდა მიუხედავად ეს სისტემა ფართოდაა გამოყენებული საარქივო პრაქტიკაში, განსაკუთრებით ისეთ არქივებში, სადაც საარქივო მასალათა რიცხვი დიდი არ არის და სადაც ეს მასალები ერთი მეორისაგან განცალკევებული არიან.[1]

ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ან ე. წ. ფ ო ნ დ უ რ ი ს ი ს ტ ე მ ა დამყარებულია დაწესებულების ორგანიზაციისა და ფუნქციის შესწავლაზე. ამ სი-

[1] ეს სისტემა გამოყენებულია აგრეთვე, როგორც ქვემოდ დავინახავთ, მასალების სექციებად დაყოფის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სტემის დროს მასალების კლასიფიკაცია და აღწერა სწარმოებს იმ დაწესებულებათა მიხედვით, რომლებმაც ეს მასალები შექმნეს. ეს სისტემა ჰგულისხმობს ფონდის მთლიანობასა და დაუშლელობას და, მაშასადამე, საქმეები ამ დროს დაქსაქსული არ არის არც თემისა ან საგნის მიხედვით და არც ქრონოლოგიისა ან ტერიტორიის მიხედვით. საარქივო მასალების კლასიფიკაციის ასეთი წესი შესაძლებლობას იძლევა დაწესებულების ფუნქციისა და კომპეტენციის გამორკვევისა; ეს წესი შესაძლებლობას იძლევა აგრეთვე დაწესებულების სტრუქტურისა და ისტორიის შესწავლისას. ყველაფერი ეს კი საჭიროა მკვლევარისათვის, რადგან დაწესებულების ისტორიის შესწავლა აადვილებს ცალკე საქმეების შესწავლასაც.

მაგრამ, რაც მთავარია, ამ სისტემის დროს დარღვეული არ არის ორგანიული და ლოგიური კავშირი ერთ დაწესებულების საქმეებს შორის. როგორც ვიცით, ამა თუ იმ დაწესებულების საქმეები ერთი-მეორის დამატებას წარმოადგენენ, მათ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. თვით საარქივო ფონდი წარმოადგენს ორგანიულ მთელს იგი იქმნება დაწესებულების მუშაობა-მოქმედების პროცესთან ერთად და გამოხატავს მის ფუნქციებს. საარქივო ფონდი არის ცოცხალი ორგანიზმი ან ყოველშემთხვევაში ორგანიზმი, რომელიც ერთ დროს ცოცხალი იყო. ის ყალიბდება, იზრდება და იცვლება გარკვეულ წესების მიხედვით: თუ იცვლება დაწესებულების ფუნქციები, იცვლება ამ დაწესებულების საარქივო ფონდის ბუნებაც. ის წესები, რომლის მიხედვით სწარმოებს საარქივო ფონდის ჩამოყალიბება და ორგანიზაცია, არ შეიძლება არქივისტმა იცოდეს წინდაწინ, a priori და ამიტომ მან უპირველესად ყოვლისა უნდა შეისწავლოს საარქივო ფონდი მთლიანად და მხოლოდ ამის შემდეგ გამოარკვიოს ეს წესები. თვითეულ საარქივო ფონდს აქვს თავისი, ასე ვთქვათ, ინდივიდუალობა, თავისი განსაკუთრებული სახე. არქივისტმა, ვიდრე ის კლასიფიკაციას შეუდგებოდეს, უნდა შეისწავლოს ეს ინდივიდუალობა, ვინაიდან საარქივო მასალებზე მუშაობა შეუძლია მხოლოდ იმას, ვისაც საარქივო ფონდის ორგანიზაცია შესწავლილი აქვს;[1] საარქივო ფონდის შესწავლა კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ის მთლიანი და დაუშლელია.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კლასიფიკაციის დროს ფონდის დაუშლელობას და, მაშასადამე, რამდენად რაციონალურია ფონდური სისტემა, რომელსაც, როგორც ვამბობდით, სწო-

[1] **Muller Feith und Fruin**, Anleitung zum Ordnen und Beschreiben von Archiven, § 2, გვ. 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რედ ეს დაუშლელობა უდევს საფუძვლად. დაშლილი და დაქუცმაცებული ფონდის მიხედვით შეუძლებელია დაწესებულების კომპეტენციისა და ფუნქციების გამორკვევა, შეუძლებელია ამ დაწესებულების ცალკე საქმის შესწავლაც. ყველაფერი ამისოდ კი შეუძლებელია საარქივო მასალების სისწორით გამოყენება სამეცნიერო მიზნით. მხოლოდ მთლიანი საარქივო ფონდი იძლევა სრულს შესაძლებლობას საარქივო მასალების შესწავლის და გამოყენების.

უმთავრესი დადებითი მხარე ისტორიული სისტემისა იმაში მდგომარეობს, რომ ფონდური პრინციპის მიხედვით მასალების განაწილება და მოწესრიგება სავსებით ბუნებრივია; იგი ეგუება საარქივო მასალების წარმოშობის ისტორიასა და ბუნებას, აქ კლასიფიკატორის გამოგონილი არარაფერი არის. ამას გარდა ამ სისტემის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ფონდის მიხედვით მასალების კლასიფიკაცია ადვილი არის: ამისათვის არქივისტმა უნდა შეისწავლოს იმ დაწესებულების სტრუქტურა, რომელმაც ეს ფონდი შექმნა. ამ მიზნით მას შეუძლია გამოიყენოს იმ კლასიფიკატორებისა და არქივისტების მუშაობა, რომლების ხელშიც იმყოფებოდა წინად ეს მასალა და რომლებმაც ის პირველად წესრიგში მოიყვანეს [1].

---

[1] ამ სისტემების გარდა არის სხვა პრინციპებზე დამყარებელი სისტემებიც. ასე, მაგალითად, საარქივო მასალების კლასიფიკაცია შეიძლება სწარმოებდეს: ა) საბუთების ფორმისა და ბ) მისამართის მიხედვით.

ა) საბუთების ფორმის მიხედვით კლასიფიკაცია მდგომარეობს იმაში, რომ საარქივო მასალების დაჯგუფება და აღწერა სწარმოებს გარეგნული ნიშნების, უმთავრესად ფორმის, მიხედვით. ეს სისტემა დამყარებულია იმ მოსაზრებაზე, რომ ზოგიერთ კათეგორიის საბუთებს, როგორც, მაგალითად, პაპირუსზე ან ეტრატზე ნაწერ სიგელებს ან კიდევ ბეჭედ შეკიდულ სიგელებს განსაკუთრებული სიფრთხილე და ყურადღება სჭირდებათ: მათ შენახვისათვის საჭიროა საგანგებო ტეხნიკური პირობები. ამასთანავე ერთნაირი ფორმის და სახის საბუთების დაცვა უკეთ მაშინ შეიძლება, როდესაც ისინი განცალკევებული იქნებიან (როგორც, მაგალითად, ბავარიის არქივებში — Acten და Urkunden) სხვა ფორმის და სახის საბუთებისაგან.

ბ) მისამართის ან ადრესატის მიხედვით არქივალიების კლასიფიკაცია უმთავრესად კერძო არქივებშია მიღებული. ამ სისტემაზე კლასიფიკაცია მდგომარეობს იმაში, რომ საბუთები ჯგუფდება და აღიწერება იმისდა მიხედვით, თუ ვისდამი არის მიმართული ეს საბუთები. მაგალითად, არქივში შეიძლება იყოს წერილები აკაკი წერეთელისადმი, ილია ჭავჭავაძისადმი და სხვა. ეს წერილები ცალ-ცალკე ჯგუფს შეადგენენ და ცალ-ცალკევე აღიწერებიან. ერთი სიტყვით, მხედველობაში მიღებულია მხოლოდ მისამართი და ადრესატი.

ორივე დასახელებული სისტემა, როგორც ვხედავთ, საბუთების გარეგნული და, მაშასადამე, არ არსებითი ნიშნებზეა დამყარებული. ამიტომ არც ერთი მათ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნათქვამის შემდეგ, თუ ჩვენ ერთმანეთს შევადარებთ დასახელებულ სისტემებს, დავრწმუნდებით, რომ ყველაზე უფრო რაციონალური და ამავე დროს ყველაზე უფრო ადვილიც ისტორიული სისტემაა. ეს სისტემა მოპოებულია არქივისტების მთელ რიგ თაობათა მძიმე და მწარე გამოცდილებით. მას ბევრი დადებითი მხარეები აქვს და იგი სამართლიანად შეადგენს თანამედროვე არქივთმეცნიერების საძირკველის ერთ-ერთ შეურყეველ ქვათაგანს. აქედან ცხადია, რომ ისტორიულ სისტემას უნდა მიეცეს დანარჩენ სისტემებთან შედარებით მეტი უპირატესობა და იგი უნდა იყოს აღიარებული კლასიფიკაციის ძირითად სისტემად.

მართლაც, კლასიფიკაციის ისტორიული სისტემა, როგორც ძირითადი სისტემა, შემოღებულია ხმარებაში თითქმის ყველა ქვეყნის არქივებში: საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, ჰოლანდიაში, ბელგიაში და სხვაგანაც, აგრეთვე საბჭოთა ქვეყნებშიც. ყველა დასახელებულ ქვეყნების არქივებში საარქივო მასალების კლასიფიკაცია სწარმოებს უმთავრესად ფონდური პრინციპის მიხედვით. დანარჩენი სისტემები: ქრონოლოგიური, საგნობრივი, ალფაბეტური და ტერიტორიალური გამოყენებულია, როგორც დამხმარე სისტემები. სანიმუშოდ ავიღოთ საფრანგეთი.

საფრანგეთის ეროვნულ არქივში (Archives Nationales) მთელი საარქივო მასალა დაყოფილია სამ სექციად: 1) ისტორიულ, 2) საკანონმდებლო და სასამართლო და 3) დომანიალურ და ადმინისტრატიულ. თვითეული სექცია იყოფა სერიებად, ხოლო სერიები ზოგჯერ ქვესერიებად. სერიათა რიცხვი საერთოდ მთელს ეროვნულ არქივში უდრის 33-ს. თვითეული სერია შესდგება განსაზღვრულ საარქივო ფონდებისაგან. ასე, მაგალითად, სერია F-ში შედის: შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიწათ-მოქმედების სამინისტროსი, პოლიციისა, ვაჭრობისა, საზოგადოებრივი სამუშაოსი და სხვა უწყებათა საარქივო ფონდები. სერიათა შორის მასალების განაწილება სწარმოებს ისე, რომ ფონდის მთლიანობა დარღვეული არ არის.

განი არ არის მისაღები, როგორც კლასიფიკაციის ძირითადი სისტემა. კლასიფიკაციის ეს სისტემები შეიძლება გამოყენებულ იქნენ, როგორც დამატებითი სისტემები, განსაკუთრებულ ტიპის არქივებში: პირველი უმთავრესად ძველ საბუთთა არქივებში, ხოლო მეორე—კერძო (კოლექციონერთა) არქივებში და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა სისტემების გამოყენება ნაკლებ რაციონალურია.

არქივალიების კლასიფიკაციის ლოგიური საფუძვლების შესახებ იხ. სტატია პროფ. ვერეტენიკოვის (Архівна Справа, წ. I) და ვ. რამონოვსკის შრომა Нариси з архівизнавства გვ. 124.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სადეპარტამენტო არქივებში საარქივო მასალა დაყოფილია ორ სექციად: 1) ძველ საბუთთა სექცია, რომელიც შეიცავს საქმეებს 1790 წლამდე, და 2) ახალი მასალათა სექცია, რომელიც შეიცავს საქმეებს 1790 წლის შემდეგდროინდელს. პირველი სექცია შესდგება ორი განყოფილებისაგან: ა) საერო ანუ სამოქალაქო და ბ) სასულიერო ან საეკლესიო განყოფილებებისაგან. საერო განყოფილება შეიცავს ექვს სერიას (A—F), ხოლო სასულიერო—სამ სერიას (G—J). მეორე სექციას აქვს 15 სერია (K—Z) და იგი განყოფილებებად არ იყოფა. თვითეული სერია, ისევე როგორც ეროვნულ არქივში, შესდგება განსაზღვრულ საარქივო ფანდებისაგან. ასე, მაგალითად, ძველ მასალათა სექციის სერია D-ში, ან ახალ მასალათა სექციის სერია T-ში შედის: განათლების სამინისტროსი, უნივერსიტეტის, აკადემიურ საზოგადოებების და სხვა დაწესებულებათა ფონდები. ფონდები აქაც მთლიანად და დაუშლელად არის დაცული. თვითეულ ფონდის შიგნით საქმები განაწილებულია და აღწერილია ან ქრონოლოგიურ ან ტერიტორიალურ, ან კიდევ ალფაბეტურ პრინციპის საფუძვლებზე იმისდა მიხედვით, თუ რომელი ამ პრინციპთაგანი უფრო შეეფერება მასალების ხასიათსა და შინაარსს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საფრანგეთის არქივებში არქივალიების კლასიფიკაციის დროს გამოყენებულია ყველა ჩვენ მიერ დასახელებული სისტემები: მასალების სექციებად და სერიებად დაყოფა დამყარებულია საგნობრივ პრინციპზე, ფონდების დაუშლელობა—ისტორიულ პრინციპზე, ხოლო თვითეული ფონდის შიგნით მიღებული წესრიგი—ქრონოლოგიურ, ტერიტორილურ და ალფაბეტურ პრინციპზე. მაგრამ კლასიფიკაციის ძირითად სისტემას მაინც ისტორიული სისტემა შეადგენს. ეს სისტემა საფრანგეთის ყველა არქივში მტკიცედაა დაცული: საფრანგეთის საარქივო წესებისა და ინსტრუქციების თანახმად არქივებს ევალებათ მასალების მოწესრიგებისა და აღწერის დროს აღადგინონ ფონდი და არ დაუშვან მისი დაქუცმაცება.[1]

არსებითად ასეთივე მდგომარეობა არის გერმანიაშიც. საარქივო მასალების კლასიფიკაცია გერმანიის არქივებში სწარმოებს

[1] საფრანგეთში არქივალიების კლასიფიკაციის შესახებ იხ. Henri Sée, **Провинциальные архивы Франции со времени мировой войны** (A. D. VII), Charles Chmidt, **Французские архивы и их техническая организация** (A. D. XI-XII), შ. ჩხეტია, არქივები და საარქივო საქმე, I, გვ. 140—162, **А. Воронов, Архивоведение**, გვ. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შემდეგი საერთო წესების მიხედვით: 1) არ შეიძლება დაშლა და დაქუცმაცება ისეთი საარქივო მასალებისა, რომელნიც გაერთიანებული არიან თავიანთი წარმოშობითა და ისტორიით; 2) ძველ საარქივო მასალების კლასიფიკაცია უნდა სწარმოებდეს ტერიტორიალურ პრინციპის მიხედვით, ხოლო ახალი მასალებისა—იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიხედვით, რომლებმაც ეს მასალები შექმნეს; 3) თვითეული ჯგუფის (ფონდის) შიგნით მასალების მოწესრიგება უნდა სწარმოებდეს, შეძლებისდა გვარად, ქრონოლოგიურ პრინციპის მიხედვით [1].

ამრიგად გერმანიაშიც ისტორიული სისტემა ძირითად სისტემად არის აღიარებული: სამივე ზემოდ მოყვანილი წესი არსებითად ჰგულისხმობს ფონდის მთლიანობისა და დაუშლელობის პრინციპის დაცვას.

მაგრამ ამ საერთო მდგომარეობიდან გამონაკლისს შეადგენენ რამდენიმედ ბავარიის არქივები, სადაც შემოღებულია მასალების ორ ჯგუფად დაყოფა: 1) საბუთებად (Urkunden) და 2) აქტებად (Acten). საბუთი არის წერილობითი ძეგლი ნორმატიული (განსაკუთრებით იურიდიული) შინაარსისა [2]. ბავარიის არქივებში საბუთებს მიაკუთვნებენ ყოველგვარ აქტს, რომელსაც აქვს საჯარო ან იურიდიულ აქტის ხასიათი, და რომელიც შედგენილია გარკვეული ფორმულით იურიდიულ ან ფიზიკურ პირისათვის რაიმე უფლებისა ან პრივილეგიის საზეიმოდ მინიჭების მიზნით. ხოლო აქტებს მიაკუთვნებენ საკანცელარიო (საქმისწარმოების) ქაღალდებს და საერთოდ ყოველგვარ ძეგლებს, რომლებიც არ ეკუთვნიან საბუთების კათეგორიას. ბავარიის არქივებში თვითეული ამ კათეგორიათაგანი ერთნაირად არ ინახება და არც ერთნაირად აღიწერება. საბუთები ინახება დარბაზის შუა ადგილას მოწყობილ შკაფებში, ხოლო აქტები და მათი მაჩვენებლები იმავე დარბაზის კედლებთან მოწყობილ შკაფებში [3].

თავისდათავად ცხადია, რომ მასალების ასეთ დანაწილებას არავითარი მეცნიერული საფუძველი არა აქვს და იგი აიხსნება მხოლოდ პრაქტიკული მოსაზრებით. საქმე იმაშია, რომ საბუთები, ვინაიდან უფლების ძეგლები, უფრო ხშირად არიან საჭირო ცნობისათვის, ვიდრე ჩვეულებრივი აქტები და ამიტომ ისინი უნდა ინახებოდნენ განცალკევებით ისეთ ადგილას, რომ მათი მოძებნა ადვილი იყოს.

---

[1] Самоквасов, Централизация государственных архивов, გვ. 12.

[2] А. Лаппо-Данилевский, Очерки русской дипломатики, გვ. 12,

[3] А. Воронов, Архивоведение, გვ. 18.

ამას გარდა საბუთები, რაკი მათ საზეიმო ფორმა აქვთ (ჩვეულებრივად ბეჭედ შეკიდულ ეტრატზე არიან ხოლმე დაწერილი) მოითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებასა და შენახვის განსხვავებულ პირობებს; აქტებთან ერთად ასეთ საბუთების შენახვის დროს შესაძლებელია ბეჭდები და თვით ეტრატიც, რომელიც ჩვეულებრივ აქტებზედ მეტი ზომისა არის, გაფუჭდეს[1].

მაგრამ მასალების ასეთი დაყოფის დროსაც ფონდის მთლიანობა არსებითად მაინც დაცულია იმიტომ, რომ ბავარიის არქივებში შემოღებული წესის თანახმად, საბუთებიცა და აქტებიც, რომელნიც ერთი წარმოშობისა არიან, ე. ი. ერთ დაწესებულებას ან ორგანიზაციას ეკუთვნიან, უეჭველად ერთ დარბაზში უნდა ინახებოდენ ერთი-მეორის გვერდით.

ისტორიული სისტემა შემოღებულია, როგორც ვამბობდით, ინგლისის The Public Recorde Office-ში და იტალიის, ჰოლანდიის და ბელგიის არქივებშიც. მაგრამ ისტორიული სისტემა კლასიფიკაციისა განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს საბჭოთა ქვეყნებში. 1922 წლის იანვრის 30-ს გამოცემულ დებულების თანახმად რუსეთში ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდი დაყოფილია 5 სექციად: 1) პოლიტიკური, 2) ეკონომაური, 3) იურიდიული, 4) ისტორიულ-კულტურული და 5) სამხედრო-საზღვაო[2]. არქივალიების სექციებად დაყოფა შეეხება, როგორც რევოლიუციის წინადროინდელ, ისე აგრეთვე შემდეგ დროინდელ საარქივო მასალებსაც. ასე რომ დასახელებული 5 სექცია არსებობს, როგორც ისტორიულ არქივებში, ისე ე. წ. ოქტომბრის რევოლიუციის არქივებშიც. თვითეული სექცია შესდგება გარკვეული საარქივო ფონდებისაგან. ფონდის მთლიანობა სასტიკად დაცულია: რუსეთის საარქივო კანონები და წესები ჰგულისხმობენ საარქივო ფონდის დაუშლელობას. ფონდის შიგნით მასალების განაწილება სწარმოებს ქრონოლოგიურ პუინციპის მიხედვით.

უკრაინაში ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდი განაწილებულია ცენტრალურ, სამხარეო და საოლქო არქივებს შორის.

---

[1] ასევე განცალკევებით ინახება ბავარიის არქივებში რუკები, გეგმები, ნახაზები და წიგნები ამ შემთხვევაში კოლექციის მთლიანობა დაცულია მით, რომ ამოღებულ რუკის ან გეგმის მაგიერ მის ადგილას ჩასდებენ ხოლმე ბარათს ან ქაღალდის ფურცელს, სადაც აღნიშნულია, თუ სად ინახება ხოლმე ამოღებული რუკა ან გეგმა. აღსანიშნავია, რომ გერმანელი არქივისტები ბეჭედსა და ღერბს უსიგლოთაც საარქივო მასალას მიაკუთნებენ.

[2] Сборник узаконений и распоряжений по архивному делу, 1927 წ. მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცენტრალურ არქივებში (ხარკოვსა და კიევში), როგორც წესი, თავს იყრის ისეთი საარქივო ფონდები, რომელთაც საერთო რესპუბლიკანური მნიშვნელობა აქვთ, ან მნიშვნელობა აქვთ მის ისტორიულად განკერძოებულ ნაწილისათვის: ხარკოვში—უმთავრესად აღმოსავლეთ უკრაინისა, ხოლო კიევში—დასავლეთ უკრაინისა. სამხარეო არქივებში, როგორც წესი, გროვდება ყოფ. საგუბერნიო დაწესებულებათა საარქივო ფონდები, რომელნიც არსებობდენ უკრაინაში თებერვლის რევოლიუციამდე; ხოლო საოლქო არქივებში, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ აღმოცენებულ ადგილობრივ დაწესებულებათა საარქივო ფონდები. რევოლიუციის შემდეგდროინდელი ცენტრალურ დაწესებულებათა საარქივო ფონდები ინახება რევოლიუციის ცენტრალურ არქივში.

როგორც ვხედავთ, თვითეულ ტიპის არქივში გარკვეულ დაწესებულებათა საარქივო ფონდები ინახება. საარქივო მასალების კლასიფიკაციის დროს, არქივებს ევალებათ სასტიკად დაიცვან ისტორიული პრინციპი, ე. ი. მასალები გაანაწილონ ფონდების მიხედვით, ისე რომ კლასიფიკაციის შემდეგ შესაძლებელი იყოს იმ დაწესებულების სტრუქტურის აღდგენა, რომელმაც ეს მასალები შექმნა [1].

საქართველოს არქივებში ცენტრალურ საარქივო სამართველოს მიერ შემოღებულია შემდეგი დროებითი წესები არქივალების სისტემატიზაციისათვის. ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდი ქრონოლოგიურ ნიშნების მიხედვით იყოფა ორ მთავარ ნაწილად: ა) პირველ ნაწილს შეადგენენ რევოლიუციის წინადროინდელი საარქივო ფონდები, ე. ი. ის საარქივო ფონდები, რომლებიც გაჩნდენ 1921 წლის 25 თებერვლამდე; ბ) მეორე ნაწილს შეადგენენ რევოლიუციის შემდეგდროინდელი საარქივო ფონდები, ე. ი. ის ფონდები, რომელნიც გაჩნდენ 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ.

როგორც რევოლიუციის წინადროინდელი, ისე აგრეთვე შემდეგდროინდელი საარქივო ფონდები, თავს იყრიან კონცენტრაციის წესით, სახელმწიფო არქივთსაცავებსა და აქტთსაცავებში. ეს არქივთსაცავები და აქტთსაცავები არსებობენ სათანადო არქივებთან და საარქივო ორგანოებთან. არქივები ორი ტიპისაა: ა) ცენტრალური და ბ) სამაზრო. ცენტრალური არქივები არსებობენ ცენტრა-

---

[1] შ. ჩხეტია, საარქივო მშენებლობის ძირითადი პრინციპები უკრაინაში, 1925 წ. გვ. 6—9.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლურ საარქივო სამართველოსთან ტფილისში, ხოლო სამაზრო არქივები—სამაზრო საარქივო ბიუროებთან მაზრებში.

ცენტრალური არქივები იყოფა ორ ნაწილად: ა) ერთ ნაწილს შეადგენენ საისტორიო არქივები, ბ) ხოლო მეორეს—საბჭოთა არქივები; სამაზრო არქივებს აქვთ ორი განყოფილება: ა) საისტორიო განყოფილება და ბ) საბჭოთა განყოფილება.

ცენტრალური საისტორიო არქივები ექვსია: ა) მთავარი საისტორიო არქივი, ბ) საისტორიო-სარევოლიუციო არქივი, გ) სამხედრო-საისტორიო არქივი, დ) ძველ საბუთთა არქივი, ე) იურიდიული არქივი და ვ) მუნიციპალური არქივი. საბჭოთა არქივი ორია: ა) მთავარი საბჭოთა არქივი და ბ) წითელ არმიის არქივი.

ცენტრალურ არქივებში, როგორც წესი, თავს იყრის ისეთი საარქივო ფონდები, რომელთაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ, ხოლო სამაზრო არქივებში—მაზრის ფარგლებში არსებულ და მომქმედ დაწესებულებათა.

საარქივო ფონდები, უკეთუ ისინი რევოლიუციის წინადროინდელ ხანას ეკუთვნიან, თავს იყრიან საისტორიო არქივებში: ა) მთავარ საისტორიო არქივში—ცენტრალურ დაწესებილებათა 1801 წლიდან 1921 წლამდე; ბ) იურიდიულ არქივში—ამავე ხანის ცენტრალურ სასამართლო დაწესებულებათა; გ) საისტორიო-სარევოლიუციო არქივში—ის ფონდები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ რევოლიუციისა და მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის; დ) ძველ საბუთთა არქივში—ქართველ მეფეების დროინდელი სიგელ-გუჯრები და სხვა ძველი ხელნაწერები უძველეს დროიდან მე-19 საუკუნემდე; ე) სამხედრო-საისტორიო არქივში—სამხედრო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა; ვ) მუნიციპალურ არქივში—ტფილისის საქალაქო დაწესებულებათა; ზ) სამაზრო არქივების საისტორიო განყოფილებაში—1921 წლამდე არსებულ ადგილობრივ დაწესებულებათა ფონდები.

საარქივო ფონდები, უკეთუ ისინი რევოლიუციის შემდეგდროინდელ ხანას ეკუთვნიან, თავს იყრიან საბჭოთა არქივებში: ა) მთავარ საბჭოთა არქივში—საბჭოთა ცენტრალურ დაწესებულებათა, ბ) წითელ არმიის არქივში—წითელ არმიისა და საერთოდ სამხედრო ორგანიზაციების, გ) სამაზრო არქივების საბჭოთა განყოფილებებში—მაზრის ფარგლებში მომქმედ საბჭოთა დაწესებულების [1].

[1] იხ. ამავე №-ში ოფიციალური განყოფილება (წესები საარქივო მასალების განაწილებისათვის).

ეროვნული ბიბლიოთეკა



თვითეულ არქივში საარქივო მასალები განაწილებულია ფონდის მიხედვით. ფონდი მთლიანად და დაუშლელად ინახება. თვითეულ ფონდის შიგნით მასალების მოწესრიგება დამყარებულია ქრონოლოგიურ პრინციპზე. ამ პრინციპის მიხედვითვე სწარმოებს მასალების დალაგება არქივში.

ასეთი მდგომარეობა არის საარქივო საქმის თეორიასა და პრაქტიკაში არქივალიების კლასაფიკაციისა და სისტემატიზაციის დარგში.

ნათქვამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია შემდეგი საერთო და ძირითადი წესები დავადგინოთ:

1. საარქივო მასალების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია სწარმოებს ისტორიულ პრინციპზე დამყარებით, ე. ი. ფონდური სისტემის მიხედვით. ქრონოლოგიურ და საგნობრივ ან კიდევ ტოპოგრაფიულ და ალფაბეტურ პრინციპით ხელმძღვანელობა შეიძლება მხოლოდ ფონდის შიგნით. თვითეული ამ პინციპთაგანი გამოყენებული უნდა იყოს მასალების ხასიათისა და შინაარსის მიხედვით. რომელიმე ამ პრინციპთაგანი, როგორც ძირითადი პრინციპი, შეიძლება გამოყენებული იქნეს, მხოლოდ მაშინ, როდესაც საარქივო მასალების მოწესრიგება ფონდური სისტემით შეუძლებელი იქნება.

2. საარქივო მასალებს ან არქივალიებს მიეკუთვნება პრაქტიკული და მეცნიერული თვალსაზრისით მნიშვნელობის მქონე ყოველგვარი წერილობითი, ან სხვაგვარი გრაფიული მასალა, რომელიც წარმოსდგა ოფიციალურ დაწესებულებათა ან პირთა და ორგანიზაციათა მუშაობა-მოღვაწეობის შედეგად. წერილობით საარქივო მასალას შეიძლება თან ახლდეს სხვადასხვა ნივთიერი საგნებიც, როგორც. მაგალითად, ბეჭდები, შტამპები და სხვა. ყველა ამგვარი საგნები და ნივთები, უკეთუ მათ ამა თუ იმ დაწესებულებისა ან პირის და ორგანიზაციის საარქივო ფონდთან ორგანიული კავშირი აქვთ, ჩაითვლებიან საარქივო მასალად. საარქივო მასალად ჩაითვლებიან აგრეთვე: რუკები, გეგმები, სქემები, დიაგრამები, დაბეჭდილი წიგნები, ცხრილები და სხვა, რამდენადაც ისინი დაწესებულებისა ან პირის და ორგანიზაციის მოღვაწეობას ან მის დახასიათებას წარმოადგენენ [1].

---

[1] ამ ტერმინის განმარტება იხ. შ. ჩხეტიას „არქივთმეცნიერების შესავალში“ 1927 წ. გვ. 38.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



3. საარქივო ფონდს შეადგენს არქივალიების მთელი ჯამი, რომელიც ორგანიულად შექმნილია ამა თუ იმ დაწესებულების ან პირის და ორგანიზაციის მუშაობა-მოქმედების პროცესში. ამ ჯამს არქივში თავისი ცალკე ნუმერაცია აქვს და თავის საკუთარ სახელწოდებასაც ატარებს. საირქივო ფონდისა და მისი შემქმნელი დაწესებულების ან პირის და ორგანიზაციის სახელწოდება ერთი და იგივეა.[1]

4. საარქივო ფონდები არქივსაცავში უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე. სხვადასხვა ფონდების ერთმეორეში არევა დაუშვებელია. არქივთსაცავში, გარდა იმ დაწესებულების საარქივო ფონდისა, რომელსაც ეს არქივთსაცავი ეკუთვნის, შეიძლება იყოს შემდეგი საარქივო ფონდები: ა) თანამდებობის პირთა და კომისიებისა, რომელნიც ამ დაწესებულებას ემორჩილებიან, ბ) სხვა დაწესებულების, რომლის ფუნქციები ლიკვიდაციის გამო გიდავიდენ ამ დაწესებულებაზე, გ) იმ დაწესებულებათა და პირთა, რომლებზედაც ეს დაწესებულება ავრცელებს თავის კონტროლს, დ) ადმინისტრატიული ღონისძიების შედეგად მოთავსებული და ე) შემთხვევით მიღებული (ნაჩუქარი, ნაყიდი და სხვა) საარქივო ფონდი. ყველა ეს ფონდები უნდა გაირჩეს და აღიწეროს ცალ-ცალკე.[2]

5. უკეთუ სხვადასხვა საარქივო ფონდები აღრეულია ერთიმეორეში წინანდელი კლასიფიკატორის მიერ, საჭიროა აღდგენა თვითეულ ფონდის ცალ-ცალკე. აღრეულ ფონდების რესტავრაციის დროს უნდა გამოირკვეს, რომელი საბუთი რომელ საარქივო ფონდს ეკუთვნის. ასეთ შემთხვევაში კლასიფიკატორმა უნდა გამოიყენოს ძველი რეესტრები და აღწერები, აგრეთვე თვით საბუთებსა და აქტებზე გაკეთებული შტამპები, მინაწერები და შენიშვნები იმის შესახებ თუ რომელ დაწესებულებას ეკუთვნის ეს საბუთი ან აქტი. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ნიშნები არ მოიპოება, არქივისტმა უნდა იხელმძღვანელოს საბუთის შინაარსით ან პალეოგრაფიული ნიშნებით და ამის მიხედვით მიაკუთვნოს მასალი ამა თუ იმ ფონდს.

6. ქაღალდების შავი და თეთრი, როგორც საერთო წესი, არ შეიძლება ინახებოდეს ერთდაიგივე ფონდში. არ შეიძლება აგრეთვე ერთ ფონდში გაერთიანება დედნისა პირთან. დანიშნულება შავისა, თეთრისა ან კიდევ პირის სხვადასხვანაირია: შავი რჩება დაწესებულებაში და ინახება გასულ ქაღალდების საქმეში, თეთრი იგზავნება

[1] ibid.

[2] Müller, Feith und Fruin, Anleitung... § 4, გვ. 6,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მეორე დაწესებულებაში და ინახება იქ, ხოლო პირი გადაღებული დედნიდან შემდეგში და ინახება იმ დაწესებულებისა ან პირის ხელში ვისთვისაც იყო იგი დამზადებული. ასე რომ ერთი და იგივე საბუთის დასახელებული სამი ეგზემპლიარი (შავი, თეთრი—დედანი, პირი) უნდა ინახებოდეს სხვადასხვა ფონდში.[1]

7. ერთი და იგივე საბუთის ან აქტის ორი ორიგინალი არ შეიძლება ინახებოდეს ერთდაიმავე ფონდში. ერთი საბუთის ორი ან რამოდენიმე ორიგინალი შეიძლება არსებობდეს ისეთი საბუთის, როგორიცაა, მაგალითად, ხელშეკრულება, პირობის ქადალდი, კონტრაქტი და სხვა. ჩვეულებრივად თვითეული მათგანი განკუთვნილია ცალკე დაწესებულებისა ან პირისათვის, რომელიც საბუთში მოხსენებულ საქმის ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარეთაგანს წარმოადგენს. ასეთ საბუთების გარჩევისა და განაწილების დროს არქივისტმა კარგად უნდა იცოდეს არქივში თავმოყრილი საბუთების შინაარსი, რათა ორიგინალების თვითეული ეკზემპლიარი სწორედ მიაკუთვნოს იმ დაწესებულებას ან პირს, რომელიც საბუთშია მოხსენებული.

8. საარქივო ფონდი უნდა ინახებოდეს მთლიანად ერთ არქივში. არ შეიძლება საარქივო ფონდის დანაწილება და ორ ან რამოდენიმე არქივთსაცავში მის ნაწილების ცალ-ცალკე მოთავსება. საარქივო ფონდის დანაწილება არღვევს მის მთლიანობას და სპობს ამ ფონდის საქმეებს შორის არსებულ ლოგიურ კავშირს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს მომქმედ დაწესებულების საარქივო ფონდთან, შეიძლება არსებულ წესების მიხედვით ხანდაზმულობა გასული საქმეები ამ ფონდისა გადაეცეს საარქივო ორგანოს, ხოლო დანარჩენი ნაწილი დარჩეს ამ დაწესებულების არქივში. მაგრამ ფონდის ასეთი დანაწილება არ ჰნიშნავს მის მთლიანობის დარღვევას.

9. საარქივო ფონდიდან არ შეიძლება გამოყოფილ იქნეს რომელიმე კათეგორიის საბუთები. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ძველ საბუთებთან (სიგელ-გუჯრებთან და სხვა ხელნაწერებთან), რომელნიც დანართის სახით ჩაკერებულია ახალ საქმეებში, შეიძლება გამონაკლისის სახით გვერდი აუხვიოთ ამ წესს და ასეთი საბუთი გამოვყოთ ამ ფონდიდან ცალკე შენახვის მიზნით.

---

[1] ამ წესისთვის გვერდის ახვევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გასაგზავნად დამზადებულ ქაღალდზე (ე. ი. თეთრზე) მოიპოვება შენიშვნა, რომ იგი დანიშნულებისამებრ არ ყოფილა გაგზავნილი, ან რომ იგი კვლავ დაუბრუნდა გამგზავნ დაწესებულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაგრამ ასეთ შემთხვევაში საჭირო არის ამოღებულ ძველ საბუთის ნაცვლად საქმეში ჩაიკეროს მისი პირი, ან ყოველ შემთხვევაში ცნობა საბუთის ამოღებისა და მის შენახვის ადგილის შესახებ.

10. საარქივო ფონდიდან არ შეიძლება გამოყოფილ იქნეს აგრეთვე დაბეჭდილი წიგნები, გეგმები, რუკები და სხვა ამგვარი მასალები, რომელნიც საარქივო ფონდის ორგანიულ ნაწილს შეადგენენ. მაგრამ პრაქტიკული მოსაზრებით, რადგან ასეთ მასალების შენახვა განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს, დასაშვებად ითვლება წიგნებისა, რუკებისა და სხვათა გამოყოფა ცალკე შენახვის მიზნით. ასეთ შემთხვევაში საჭირო არის ინვენტარში აღინიშნოს, თუ სად ინახება ესა თუ ის დამატება.

11. საარქივო ფონდის მოწესრიგების დროს ისტორიულ კვლევა-ძიების ინტერესები შეიძლება მხედველობაში მიღებულ იქნენ მხოლოდ მეორე რიგში.—არ შეიძლება საბუთების განზრახ დაჯგუფება ისე, რომ დაირღვეს მათი ბუნებრივი მთლიანობა და წყობა მხოლოდ იმიტომ, რომ გაუადვილდეს მკვლევარს არქივალიებით სარგებლობა. ამ წესს გერმანელები ასე გამოსთქვამენ: „Archivalische Forderungen haben den Vorrang vor antiquarischen".[1] მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საარქივო ფონდი სისტემატიზირებულია თვით დაწესებულების მიერ საგნობრივ პრინციპის თანახმად, რის გამოც ფონდის შიგნით ბუნებრივი კავშირი საბუთებს შორის დარღვეული არ არის, შეიძლება და აუცილებელიც არის მასალების სისტემატიურად დაჯგუფება.

12. საარქივო ფონდის მოწესრიგების დროს უპირველესად ყოვლისა საჭიროა აღდგენილ იქნეს პირვანდელი მისი წესრიგი. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მსჯელობა იმის შესახებ, საჭიროა თუ არა და რამდენად საჭიროა პირვანდელი წესრიგის შეცვლა. ეს წესი არ ჰგულისხმობს უეჭველად ძველი წესრიგის აღდგენას, პირიქით იგი ჰგულისხმობს ამ წესრიგის შეცვლის შესაძლებლობას. მაგრამ ასეთი ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც გამორკვეულია, რომ საარქივო მასალების დაცვის სისტემაში წინანდელი კლასიფიკატორების მიერ დაშვებულია შეცდომები. ასეთ შემთხვევაში ცვლილებები მიმართული უნდა იყოს ამ შეცდომების გამოსწორებისკენ.

---

[1] **Müller, Feith** und **Fruin, Anleitung zum Ordnen und Beschreiben von Archiven**, § 18, გვ. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა



13. რაკი საარქივო ფონდის კლასიფიკაცია დამყარებულია მის პირვანდელ ორგანიზაციაზე, საჭირო არის საარქივო ფონდის მოწესრიგების დროს პირველი ადგილი დაეთმოს ისეთ საბუთებს, რომელნიც ააშკარავებენ ფონდის მთავარ ხაზებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, საარქივო ფონდის მოწესრიგების დროს საჭიროა ძირითადი საბუთები (ე. ი. ისეთი საბუთები, რომელნიც ახასიათებენ დაწესებულების მუშაობა-მოქმედების მთავარ მომენტებს) გარჩეულ იქნენ პირველ რიგში, რათა შესაძლებელი იყოს საარქივო ფონდის ჩონჩხის აღდგენა.

14. საბუთების განაწილების დროს მისი შინაარსი კი არა, დანიშნულება სწყვეტს იმ საკითხს, თუ სად უნდა იყოს მისი ადგილი არქივში. რაკი საარქივო ფონდის მოწესრიგების მიზანს მისი ძველი ორგანიზაციის აღდგენა შეადგენს, ცხადია, არ შეიძლება საბუთს საარქივო ფონდში ადგილი მიეჩინოს მხოლოდ შინაარსის მიხედვით. მაგალითად, თუ არქივში ორი ერთდაიგივე საგნის შესახები წერილები აღმოჩნდება, რომელთაგან ერთი ერთ დაწესებულებისათვის, ხოლო მეორე მეორე დაწესეაულებისათვის იყო გაგზავნილი, არ შეიძლება ეს ორი საბუთი მოთავსებულ იქნეს ერთ ფონდში, რადგან ისინი ეკუთვნიან სხვა დი სხვა ფონდს დანიშნულების (და არა შინაარსის) მიხედვით.

15. საარქივო ფონდის მოწესრიგების დროს არ შეიძლება ნაკრაულებისა და საქმეების დაშლა, ვიდრე არ იქნება გამორკვეული მოტივი, რომლითაც ხელმძღვანელობდა დაწესებულება მათი შედგენის დრო. მხოლოდ მაშინ, როდესაც გამორკვეული იქნება ეს მოტივი შეიძლება რაიმე ცვლილების შეტანა. უსაფუძვლო ან შემცდარი მოტივები და აგრეთვე ისეთი მოტივები, რომელთაც თავის დროზე მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგრამ შემდეგში ასეთი დაუკარგავთ, ვერ შესზღუდავენ არქივისტს მუშაობის დროს: მას შეუძლია ასეთ მოტივებს ანგარიში არ გაუწიოს და მასალებში წინანდელი წესრიგი შესცვალოს.[1]

16. თუ წესრიგში მოსაყვანია ისეთი ფონდი, რომელსაც ინვენტარი და ნუმერაცია აქვს, მაგრამ ეს ინვენტარი თანამედროვე არქივთ მეცნიერების მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს, სასურველია ახალ ინვენტარის შედგენის დროს არ მოხდეს მასალების ფაქტიური გადაჯგუფება იმ დრომდე, როდესაც ინვენტარი იქნება სავსებით დამთავრებული. ამასთანავე ახალ ინვენტარში შეტანილ

[1] Müller, Feith und Fruin, Anleitung... § 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უნდა იყოს ძველი ნუმერაციაც. არქივისტებმა, რომელთაც ინვენტარზე უმუშავნიათ, კარგად იციან, რომ ახალ ინვენტარში ძნელია უცბად ყველა ქაღალდებისათვის თავისი ადგილის მიჩენა. საჭიროა არის ქაღალდის შინაგან და გარეგან მხარეების შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ინვენტარის კარგად შედგენა.

17. საარქივო მასალების მოწესრიგება უნდა დაიწყოს საალწერო ბარათების შედგენით. ბარათებზე უნდა დაიწეროს ყველა შესანახ ერთეულების: საბუთების, საქმეების და სხ. სახელწოდება.[1] ბარათების შედგენის დამთავრების შემდეგ ისინი წესრიგში უნდა იქნენ მოყვანილი ქრონოლოგიური ნიშნების მიხედვით; ხოლო ამის შემდევ უნდა შესდგეს ინვენტარი და ბოლოს მასალები დაჯგუფდეს ამ ახალ ინვენტარის მიხედვით.

18. იმ შემთხვევაში, როდესაც საარქივო ფონდის პირველი ორგანიზაცია გამოურკვეველია და მისი აღდგენა ძნელი ან სრულიად შეუძლეაელია, კლასიფიკაციის დროს პირველი ადგილი უნდა დაეთმოს საგნობრივ და ქრონოლოგიურ ნიშნებს. ყოველ შემთხვევაში არქივისტბს უფლება ეძლევა ასეთ შემთხვევაში, მასალების შინაარსთან შეგუებით, თვით აირჩიოს კლასიფიკაციის სისტემა.

19. ქაღალდები, რომელნიც წინად არასოდეს არ ყოფილან გაერთიანებული საარქივო ფონდში, შეიძლება გაერთიანდენ ერთ ნომრით მხოლოდ ორ შემთხვევაში: ა) უკეთუ ისინი წარმოადგენენ სრულიად ერთგვარ ქაღალდებს (მაგალითად, საბუთებს ერთ მამულზე, ერთი დაწესებულების ერთი და იგივეს შესახები სხვა და სხვა თვეებისა და წლების ანგარიშები და სხვა) და ბ) თუ ეს საბუთები მეტად უმნიშვნელონი არიან იმისთვის, რომ მათი ცალ-ცალკე აღწერისათვის დრო დაიხარჯოს. ეს წესი ჰგულისხმობს უმთავრესად ისეთი საარქივო ფონდს, რომელიც ცალ-ცალკე ქაღალდებისაგან შესდგება. ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ ასეთი გაერთიანება გულისხმობს ქაღალდების გაერთიანებას პაკებში და არა საქმეებში.[2]

20. სიგელ-გუჯრებისა და საერთოდ ძველ ხელნაწერების დედნები, როგორც არ უნდა იყოს ისინი დაზიანებული, არ შეიძლება მოსპობილ იქნენ მაშინაც კი, როდესაც არსებობს მათი დუბლიკატები, vidimus—ები და ავტენტიური პირები. არ შეიძლება მოსპობილ იქნენ აგრეთვე ძველ ხელნაწერების ნაწილები, რაც უნდა უმნიშ-

[1] სიგლები და საბუთები, რომლებიც საქმეში შედიან, ბარათზე ცალკე არ ჩაიწერებიან.

[2] Романовськнй, Нариси з архiвознавства, გვ. 129.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვნელო იყოს ისინი. საერთოდ არ შეიძლება მოსპობა იმ საბუთებისა, რომელნიც ეკუთვნიან ხანას 1865 წლამდე, ე. ი. საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნამდე [1].

21. როდესაც საბუთის ორიგინალი კარგად არის შენახული, მისი ჩვეულებრივი პირი, რომელსაც არავითარი პალეოგრაფიული მნიშვნელობა არ აქვს, შეიძლება მოისპოს. ეს წესი, რა თქმა უნდა, არ მოითხოვს ასეთი პირების უეჭველად მოსპობას, იგი მხოლოდ დასაშვებად სთვლის მათი მოსპობას. ყოველ შემთვვევაში ასეთი პირების შენახვა მიზანშეწონილია და სასურველი მაშინ, როდესაც ჩვენ მხედველობაში გვყავს ისეთი მკვლევარი, რომელსაც უძნელდება ძველი ხელნაწერის წაკითხვა და რომელსაც მხოლოდ საბუთის შინაარსი აინტერესებს. ასეთ შემთხვევაში პირი შეიძლება დედნის გვერდით ინახებოდეს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ეს პირი არ იყოს ინვენტარში ცალკე შეტანილი. [2]

22. სიგელ გუჯრების და ძველ ხელნაწერების პირები, უკეთუ მათი დედანი შენახული არ არის, არ შეიძლება მოსპობილ იქნენ, რადგან დედნების დაკარგვის გამო პირები მათ მაგიერობას სწევენ. ასეთ შემთხვევაში პირები შეიტანება ინვენტარში, როგორც ცალკე ერთეულები.

23. არქივში თვითეულ საარქიფო ფონდს უნდა ჰქონდეს თავისი ცალკე ნუმერაცია. საერთო ნუმერაცია ყველა შესანახ ერთეულებისათვის დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ გვაქეს ისეთი არქივი, რომელსაც მომავალში არამც თუ არ მიემატება ახალი მასალა, არამედ ახლაც თავისი ფონდები უკვე მოწესრიგებული და აღწერილი აქვს. ხოლო ისეთ არქივში, სადაც ფონდები რეგულიარულად ივსება ახალი მასალებით, სრულიად შეუძლებელია ყველა ერთეულებისათვის საერთო ნუმერაციის შემოღება.

აი ის ძირითადი წესები, რომელებითაც უნდა იხელმძღვანელოს არქივისტმა საარქივო მასალების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის დროს. ამ წესების პრაქტიკულად გამოყენება დამოკიდებულია არქივისტის ცოდნასა და გამოცდილებაზე.

---

[1] რუსეთში ასეთ თარიღად მიღებულია 1825 წელი (იხ. Бюллетень Центрархива Р. С. Ф. С. Р. 1929).

[2] Müller, Feith und Fruin, Anleitung... § 34.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. გ. ნათაძე

# სახელდახელო ცნობები რ. ს. ფ. ს. რ.-ს არქივების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს შორეული და მახლობელი წარსულის მკვლევართათვის ძლიერ საჭიროა ცოდნა იმისა, თუ რა და რა არქივები არსებობს რუსეთში და რა მასალები მოიპოვება იმ არქივებში საქართველოს შესახებ. ჩემი დაკვირვებით ამის შესახებ ცნობები ჩვენში ძლიერ ნაკლებად არის გავრცელებული. ვისაც ძველი რეჟიმის დროს რაიმე კავშირი ჰქონია რუსეთის არქივებთან, იმისთვისაც არ იქნება ზედმეტი ამგვარი ცნობების შეკრება, ვინაიდგან ჯერ ერთი რომ ძველი რეჟიმის დროს ყველა არქივები არ იყო ღია და ხელმისაწდომი მკვლევარებისათვის და მეორე—-მაშინდელი მასალები ახლა გადაჯგუფებულია, გეგმაზე დალაგებული და განაწილებული სხვადასხვა საარქივო დაწესებულებებში, რომელთაც ახლა ახალი სახელწოდებები აქვთ მიცემული.

რასაკვირველია ჩემი ცნობები წინასწარი ცნობებია, როგორც მოკლე ხნის დაკვირვებების შედეგი; ამიტომ მას ჯერჯერობით ზერელე და ფორმალური ხასიათი აქვს. ამას გარდა, მე ვეხები მხოლოდ მოსკოვის არქივებს და გაკვრით ლენინგრადისას. ჩემი ცნობები შეკრებილია სულ რამდენიმე დღის განმავლობაში და სახელდახელო ხასიათი აქვს. ასე მოკლე ხანში ამ სახელდახელო ცნობების შეკრებაც ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ მე ხელი შემიწყო არქივთმცოდნეობის გამოფენამ, რომელიც გამართულ იქნა მოსკოვში ისტორიკოს-მარქსისტთა კონფერენციისათვის დ ცენტრარქივის სამართველოს გამგის მოადგილის ამხ. მაქსაკოვის მეტად საფუძვლიანმა დ საინტერესო მოხსენებამ, რომელიც მან წაიკითხა ისტორიკოს-მარქსისტთა კონფერენციის პლენუმზე 28 დეკემბერს 1928 წელს. ამას გარდა, მე თვითონ ვინახულე ცენტრარქივის გამგეობაში რამდენიმე ნაწილთა გამგე და მათმა ახსნა-განმარტებებმა მომცეს საშუალება ზოგიერთი საინტერესო ცნობები მომეწოდებინა ქართველი მკითხველისათვის, რომელსაც საზოგადოდ საარქივო საქმე აინტერესებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჯერ ჩამოვთვალოთ ის საარქივო დაწესებულებები, რომლის შესახებაც მაქვს ცნობები შეკრებილი.

1. ძველი აქტების არქივი ანუ სიძველეთსაცავი მოსკოვში, ასრ. წოდ. Древлехранилище.

2. სახალხო მეურნეობის არქივი. Арх. народного хозяйства.

3. სამხედრო ისტორიული არქივი. Военно-исторический архив.

4. საგარეო პოლიტიკის არქივი. Арх. внешней политики.

5. სარევოლიუციო არქივი. Архив революции.

6. ოქტომბრის რევოლიუციის არქივი. Архив октябрьской революции.

6. ლენინგრადის ცენტრალური ისტორიული არქივი. Ленинградский центральный исторический архив.

ამ არქივებისაგან განცალკევებით არსებობს და მათ ცენტრალურ გამგეობას არ ემორჩილება საარქივო ნაწილი 2 დიდი მნიშვნელოვანი დაწესებულებისა:

1. მარქსის და ენგელსის ინსტიტუტი მისი საარქივო ნაწილით.

2. ლენინის ინსტიტუტი აგრეთვე მისი საარქივო ნაწილით.

ამას გარდა ზოგიერთ წიგნთსაცავში შემთხვევით და, ვფიქრობ, დროებით მოიპოვება თითოოროლა ფონდი საარქივო მასალებისა, როგორც მე მქონდა შემთხვევა დავრწმუნებულიყავ ერთ-ერთ წიგნთსაცავის დათვალიერების დროს. თუ რა დიდი საარქივო განძეულია დაცული ამ არქივებში, ამაზე წარმოდგენას მოგვცემს ის ციფრი ფონდთა საერთო რიცხვისა, რომელიც მე გადმომცეს. საერთო რიცხვი ამ არქივებში დაცულ ფონდებისა მარქსის და ენგელსის და ლენინის სახელობის ინსტიტუტების საარქივო ნაწილების გამოკლებით უდრის 80 ათასს, საბუთთა რიცხვი კი მილიონობით ითვლება. რასაკვირველია სხვა და სხვა პროვინციალური საარქივო მასალების თავმოყრა ერთ ცენტრში აქაც ჯერ არ დასრულებულა, როგორც საქართველოშიც. სანიმუშოდ საკმარისია მოვიყვანოთ ცნობა შორეულ აღმოსავლეთის საარქივო ნასალების შესახებ, რომელიც ერთ-ერთმა სამეცნიერო წრეების წარმომადგენელმა გადმოგვცა. იქ თურმე დიდძალი საარქივო მასალა იყო მოგროვილი ვაგონებით და რამნიმე ვაგონი საარქივო მასალებისა განადგურებულია. დანარჩენიც სახიფათო მდგომარეობში იმყოფება. ამიტომ აღძრულია ცენტრალური მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა გადარჩენილი მასალა რაც შეიძლება მალე იქნეს გადმოტანილი მოსკოვში. მთელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ამ საარქივო მასალიდან აღწერილია და დალაგებული ნახევარზე ცოტა მეტი.

ახლა ვნახოთ რა მასალებია თავმოყრილი ამ საარქივო დაწესებულებებში და როგორ არის იგი განაწილებული. როგორც ეტყობა მასალების განაწილების პრინციპი, ასე ვთქვათ, თემატიურია, მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდება, ისე აქაც მთლად თავიდან ბოლომდის ვერ მოხერხებულა ამ პრინციპის დაცვა. ეს ხდება ჯერ ერთი იმის გამო, რომ საერთო არქივებისაგან განცალკევებულად არსებობს ლენინგრადის არქივი, რომელიც შეიცავს ყოველგვარ მასალებს, რომელიც კი მის ტერიტორიასთან არის დაკავშირებული, რასაკვირველია, პეტერბურგის დაარსების დროიდან და უმთავრესად მე-19 საუკუნის და მეოცის პირველ პერიოდის შესახებ, თითქმის 1917 წლის რევოლიუციამდე, მხოლოდ სარევოლიუციო მასალების გამოკლებით კი. მეორე დაბრკოლება იმაშია, რომ ძნელია გაარჩიოს კაცმა ერთმანეთისაგან საქმეები საგარეო პოლიტიკისა და ძველი აქტებისა, როდესაც ორივე საკმაოდ ძველ ხანას ეხება. ამიტომაც ზოგგან სიძველეთა საცავის და საგარეო პოლიტიკის საარქივო მასალები არეულად არის განაწილებული. მაინც კი უნდა ითქვას, რომ სიძველეთა საცავში უძველესი აქტების ნაწილი კარგად არის გადარჩეული. ყველაზე კარგად, გარკვევით ზედმიწევნით გადარჩეული და დალაგებულია რევოლიუციის არქივის და ოქტომბრის რევოლიუციის არქივის მასალები. აქ არავითარი არევა არ არის და მასალების უკეთესი დალაგება, ვიდრე აქ არის მე ვერ წარმომიდგენია. ცოტაოდენი არევაა აგრეთვე სამხედრო არქივის და საგარეო პოლიტიკის არქივის მასალებს შორის. მაგრამ აქაც გასაგებია: ყოველთვის ვერ მოხერხდება საგარეო პოლიტიკის და სამხედრო არქივების მასალების ერთმანეთისაგან დაშორება, ვინაიდგან ისტორიის ეს ორი მხარე მეტად მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

სიძველეთა საცავში თავმოყრილია სისტემატიურად ხელნაწერები, დაწყებული მე-12 საუკუნიდან პეტრე პირველის დრომდის, მაგრამ ამ დროის საბუთები ორ ნაწილად არის გაყოფილი. ის ნაწილი, რომელიც ეხება მხოლოდ სიძველეებს და წარმოადგენს დამწერლობის და მხატვრობის ნიმუშებს, ან მნიშვნელობა აქვს საწერი მასალის (ეტრატი თუ ქაღალდი) მიხედვით ან როგორც იურიდიულ ძეგლს, დაცულია სიძველეთა საცავში, ხოლო რომელსაც აქვს მნიშვნელობა ეკონომიური და სოციალური ისტორიისათვის, ის დაცუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლია სახალხო მეურნეობის არქივში. ასე, მაგალითად „Русская правда“-ს ხელნაწერი დაცულია სიძველეთა საცავში, იქვეა შენახული ცნობილი „Судебник Іоанна III“, ხოლო ასრეთწოდებული Галицко-Волынская рукопись“ დაცულია სახალხო მეურნეობის არქივში, აგრეთვე 1650 წლის საბუთი, რომელიც წარმოადგენს თხოვნას ასოთამწყობისას, რათა იგი მიღებულ იქნას სახელმწიფო სტამბაში ასოთამწყობად. ეს აიხსნება იმით, რომ ამ საბუთებს აქვს მნიშვნელობა მეურნეობის ისტორიისათვის. მაგალითად, მეორე საბუთს თანდართული აქვს თავდებობის ქაღალდი, რომელშიაც აღნიშნულია ასოთამწყობისათვის ფულადი და სულადი სარგო. ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე ასრეთწოდებული „ინდოეთის ფურცელი“ (индийский лист) 1696 წლისა. მაგრამ სამაგიეროდ სტენკა რაზინის შესახებ საბუთები მოთავსებულია სიძველეთასაცავში, რაც მთლად სწორად არ მიმაჩნია დასახული გეგმის მიხედვით. ამის გასამართლებელი მოსაზრება მხოლოდ ის არის, რომ ამ პიროვნების შესახები საბუთების დაქსაქსვა არ ივარგებდა, რასაც მართლაც ანგარიში უნდა გაეწიოს. პუგაჩოვის შესახები მასალები ნაწილი მოთავსებულია სიძველეთასაცავში, ნაწილი სამხედრო არქივში. ამათში მეტად საინტერესოა ახალი მასალები მიღებული სიძველეთასაცავში ურალის ქარხნებიდან იქაური მუშების დამოკიდებულების შესახებ პუგაჩოვის აჯანყებისადმი. რაც შეეხება ისეთ საბუთებს, როგორიც არის ასრეთწოდებული „писцовые книги“, „ссудные грамоты“ და სხვები, ეს მკვლევარმა უნდა ეძებოს ნაწილობრივ სახალხო მეურნეობის არქივში და ნაწილობრივ სიძველეთასაცავში.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზედ მეტად დანაწილებულია პეტრე პირველის დროის დამახასიათებელი საბუთები. გარდა მოსკოვის არქივებისა, ამ საბუთების დიდი ნაწილი ინახება ლენინგრადის არქივში. საზოგადოდ ამდროიდან დაწყებული მრავალი აქტი ინახება ლენინგრადის არქივში. მაგალითად, იქ ინახება გრამატა აზნაურთა თავისუფლების შესახებ (Грамота о вольности дворянства) პეტრე მესამისა, ელისაბედ დედოფლის ბრძანება ჩერვის ცხრიანზე დაწერილი, საბუთები 1861 წლის საგლეხო რეფორმის შესახებ, ლორის-მელიქოვის კონსტიტუცია, სახელმწიფო სათათბიროს მასალები, 17 ოქტომბრის 1905 წლის მანიფესტი, სხვადასხვა ხელშეკრულებანი ახლად დაპყრობილ ქვეყნებთან: ყირიმთან, ყირგიზ ყაისაკთან, ბრძანებები ამ ქვეყნების შემოერთების შესახებ. გამონაკლისს წარმოადგენს 1689 წლის ხელშეკრულება ჩინეთთან, 1711 წლისა ოსმა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლეთთან (პრუტის ხელშეკრულება), ფიცის წიგნი იმერეთის მეფის ალექსანდრესი 1651 წ., მინდობილობის ქაღალდი ერეკლე მეორისა თავ. გარსევან ჭავჭავაძისადმი და თავად ბაგრატიონისადმი რუსეთში წარმომადგენლობის შესახებ. ყველა ეს საბუთები დაცულია მოსკოვის სიძველეთა საცავში, თუმცა ზოგიერთი მათგანი (ერეკლე მეორის საბუთი) ეხება ეკატერინე მეორის დროს და მაშასადამე ეკუთვნის პეტერბურგის ხანას,—ლენინგრადის არქივში ინახება აგრეთვე მეტად ძვირფასი მასალები სხვადასხვა მადნეულობის ძიებისა და ტრანსპორტის მოწყობის და ბაქოს ნავთის შესახებ ძველი რეჟიმის დროს. იგივე მასალები დაცულია ნაწილობრივ სახალხო მეურნეობის არქივშიც.

კერძოდ ის მასალები, რომელიც ეხება საქართველოს და რუსეთის ურთიერთობას, დაწყებული მე-17 საუკუნიდან, უნდა მოიძებნოს ნაწილობრივ სიძველეთა საცავში და ნაწილობრივ საგარეო პოლიტიკის არქივში. მე ასე ვფიქრობ იმიტომ, რომ ერთი მხრივ ერეკლე მეორის და იმერეთის მეფის აქტები დაცულია სიძველეთა საცავში, მაგრამ მეორე მხრივ სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის თხოვნა, რათა მიღებულ იქნეს რუსეთის ქვეშევრდომობაში და მისივე ფიცის აქტი, დაცულია საგარეო პოლიტიკის არქივში.

საგარეო პოლიტიკის არქივში ინახება ძვირფასი მასალები მე-19 საუკუნის ისტორიისა, განსაკუთრებით სხვადასხვა ხელშეკრულებანი: ტალხიტისა, პარიზისა და პორტსმუთის (იაპონიასთან) ზავები, ბერლინის ტრაქტატი. ეს არქივი თავის მასალებს უნაწილებს უმთავრესად სამხედრო არქივს, რომელშიც ნაწილობრივ დაცულია საბუთები რუსეთის მთავრობის დამოკიდებულებისადმი. ასეთ საბუთებს წარმოადგენს, მაგალ., საკავშირო ხელშეკრულება ინგლისთან 1795 წელს საფრანგეთის რევოლუციის წინააღმდეგ, 1799 წლის დროებითი ზავი. საგარეო პოლიტიკის არქივში კი დაცულია გალიციის რევოლუციის დ 1830 წლის რევოლუციის მოსპობის შესახებ, ჰუნგრეთის რევოლუციის მეთაურების სიკვდილით დასჯის შესახებ. ამ ორ არქივს შორის არის განაწილებული აგრეთვე მასალები დიდი იმპერიალისტური ომის შესახებ, რომელშიც შედის საკითხი ამ ომის სამზადისისაც, მისი მსვლელობისაც და დასასრულისაც.

ყველაზედ მნიშვნელოვანი, მდიდარი, მრავალფეროვანი და უკეთესად დალაგებული არის ორი არქივი: რევოლუციის არქივი და ოქტომბრის რევოლუციის არქივი. პირველს ეკუთვნის ყოველი მასალა, რომელსაც კი რევოლუციონურ მოძრაობასთან აქვს რაიმე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კავშირი. მეორეს მხოლოდ ის მასალა რომელიც დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლუციასთან და მის მონაპოვართა განმტკიცების პროცესთან. ამ ორ არქივთა შორის მასალები სასტიკად და გარკვევით არის განსაზღვრული. თვით ლენინის არქივის ნაწილი, იმ დროისა, როდესაც მის გონებაში ჯერ ოქტომბრის რევოლუცია არ იყო ჩასახული და მისი მოღვაწეობა საერთო რევოლუციონურ მოძრაობას ეკუთვნოდა, თუმცა იქაც უკვე თავისი ლენინური ხაზი გაჰყავდა, ნოთავსებულია რევოლუციის არქივში. გარდა ამისა, რევოლუციის არქივში შედის შემდეგი ნაწილები: 1) ბაქოს ნავთის მწარმოებელთა ძმათა ნობელთა ზომები ბაქოში ეროვნული შუღლის მოსასპობად, რაც გამოხატულია ნავთის წარმოებიდან სომხების და სპარსელ ქვეშევრდომების გადასახლებაში, 2) უკრაინოფილური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა, 3) ებრაელებს შორის რევოლუციონურ მოძრაობის და ებრაელთა დარბევის მასალები, 4) I ინტერნაციონალი და კარლ მარქსი. ამ განყოფილებაში არის იშვიათი მასალები, სხვათა შორის მარქსის წერილი ბალაშევიჩისადმი, რომელიც პოტოცკის გვარით პროვოკაციულ მოღვაწეობას აწარმოებდა საზღვარგარედ რუსეთის მთავრობის დავალებით, საიდუმლო ბრძანება, მარქსისათვის თვალყურის დევნების შესახებ და მესამე განყოფილების აზრი I ინტერნაციონალის შესახებ, რომლის მეთაურებადაც საბუთის სიტყვით, 3 ებრაელია (მარქსი, ენგელსი და ვოლფი). 5) მუშათა მოძრაობა 70-80 წ. წ. ამ ნაწილში შედის როგორც ცნობები მუშათა მდგომარეობის შესახებ, ისე საიდუმლო მოხსენებები მუშათა მოძრაობის შესახებ. 5. Народная воля. 6) ლენინი. ამ ნაწილში უნდა იყვეს აგრეთვე ცნობები ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობის შესახებ, აგრეთვე ცნობები რუსეთში და ამ. კავკასიაში გლეხთა მოძრაობის შესახებ, და საზოგადოდ 1905 წ. რევ. მოძრაობის შესახებ.

გადავიდეთ ახლა ოქტომბრის რევოლუციის არქივზე.

აქ დაცულია მასალები: 1) ჩერნიშევსკის შესახებ, 2) კონტრრევოლუციის და ინტერვენციის შესახებ სხვადასხვა ადგილებში: ა) მოქმედება ს. რ. და ს. დ. მთავრობებისა, ბ) კოლჩაკისა, სხვა და სხვა ატამანებისა (დუტოვი, სემიონოვი და სხ.) გ) ჩეხოსლოვაკთა არმია მათი მეთაური გაიდათი, რომელსაც კოლჩაკისათვის საჩუქრად უთავაზებია საუცხოვო გარეგნობის ალბომი, რომელშიც სხვათა შორის მოთავსებულია ფოტოგრაფიული სურათი დახოცილი და დამწვარი ბოლშევიკებისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ძლიერ დიდი მასალა მოიპოვება დენიკინის კონტრრევოლუციონური მოქმედებისა; ეს მასალა იქამდის მდიდარია, რომ მისი ჩამოთვლა ამ მოკლე წერილში შეუძლებელი ხდება. შემდეგ ვრანგელის მოქმედება, მისი საადგილ-მამულო პოლიტიკა და მისი არმიის რღვევა და დამარცხება. უკანასკნელი და ყველაზედ მნიშვნელოვანი და მდიდარი ნაწილი ამ არქივისა არის საბჭოთა მშენებლობის მასალები.

არქივების მართვა-გამგეობა თავმოყრილია ცენტრალურ გამგეობაში, რომელიც იმყოფება ნიკოლსკის ქუჩაზე № 9. ყოველი ცნობისათვის მსურველმა იქ უნდა მიმართოს და იქ აიღოს აგრეთვე ნებართვა ამა თუ იმ არქივში მუშაობისა. ცენტრალური გამგეობა დანაწილებულია არა სხვადასხვა არქივთა მიხედვით, არამედ საარქივო მუშაობის დარგების მიხედვით. ერთ დარგს წარმოადგენს, მაგალითად, გამომცემლობა, რომელსაც ერთი პირი მეთაურობს, მეორეს მართვა-გამგეობის ტექნიკური მხარე და საარქივო მასალების განაწილება და სხვა. თვითეულ არქივს ადგილობრივ კიდევ ცალკე არსნი განაგებენ. როგორც მართვა-გამგეობაში, ისე გამომცემლობაში, გარდა პარტიულ და მარქსისტულ მიმართულების არქივებისა, გამოყენებული არიან აგრეთვე არა პარტიული და არა მარქსისტი არქივისტი-მეცნიერნიც. მაგალითად, სიძველეთა საცავის გამგედ დანიშნულია ლიუბოვსკი, სხვადასხვა საბუთების გამოცემაში მონაწილეობას ღებულობენ ვესელოვსკი, გოლუბცოვი და სხ. მაგრამ ისინი, ვინც გამომცემლობაში იღებენ მონაწილეობას, არ ითვლებიან მუდმივ მოსამსახურეებად. როდესაც ცენტრალურ მმართველობის კოლეგია გადასწყვეტს ამა თუ იმ დოკუმენტთა სერიის გამოცემას, იწვევენ შესაფერ სპეციალისტებს და მათ უნიშნავენ აგრეთვე პარტიულს ან მარქსისტს, რომელმაც საბუთის დამზადებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა. შემდეგ დამზადებული საბუთები გადასათვალიერებლად ეძლევა საერთო პოლიტიკურ მეთვალყურეს, რომელიც ხშირად შესწორებებს შეიტანს გამოსაცემლად დამზადებულ საბუთების ახსნაგანმარტებაში. ამგვარად უპარტიო და მარქსისტი სპეციალისტების ცოდნაც გამოყენებულია და მიმართულების შეტანის მხრივაც ყოველივე შიში თავიდან აცილებულია. მით უმეტეს, რომ ამგვარი წესი გამოცემისა უმთავრესად ძველ საბუთებს ეხება. ახალი საბუთების გამოსაცემად (რევოლიუციის და ოქტომბრის რევოლიუციის არქივისა) აქ პარტიული და მარქსისტული ძალები საკმარისად მოიპოვება. საარქივო მასალების და პერიოდულ ორგანოების გამოცემას არქივი

ეროვნული ბიბლიოთეკა



აწარმოებს სახელგამის ხარჯზე, თვით არქივი კი ღებულობს ჰონორარს, როგორც გამომცემელი და ეს არის მისი შემოსავალი, რომლიდანაც გამოცემის მონაწილეებსაც აკმაყოფილებს. თვით არქივის გამგეობას კი არ მოეპოვება სათანადო თანხა გამომცემლობის წარმოებისათვის.

თუ რა ფართოდ უწარმოებია რუსეთის არქივს გამომცემლობა, ამას მოწმობს მისი გამომცემლობის კატალოგი, რომელიც ამჟამად ხელთა მაქვს. გამომცემლობა აქაც, როგორც საქართველოს ცენტრარქივის გეგმაა, გაყოფილია ორ ნაწილად: პერიოდული გამომცემლობა და საბჭოთა კრებულები. ამ გამოცემათა უმრავლესობა ჩვენშიც უკვე ცნობილია სპეციალისტებს შორის მაინც. ჩემ ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს ისეთი მასალები, როგორიც „Первое марта 1887 г.", „Южнорусские робочие союзы", „Крестьянское движение 1902 г.", „Аграрный вопрос в совете министров 1906 г." „Лейтенант П. П. Шмидт, воспоминания и документы", „Революция 1905-го г. и самодержавие", „Морозовская стачка 1885-го г.", „Рабочий вопрос в комисии В. Н. Коковцева в 1905-го г.", „Ленские события 1912-го г.", „Рабочее движение в годы войны", „Буржуазия накануне февр, революций", „Разложение армии 1917-го г.", „Рабочее движение 1917-го г.", „Крестьянское движение в 1917-го г.", „Второй Всероссийский с'езд советов р. и с. д.", „Последние дни Колчаковщины", „Допрос Колчака", „Царская Россия в мировой войне" და მრავალი ამგვარი. დეკაბრისტებზე და პუგაჩოვზე ხომ აღარაფერს ვამბობთ, რადგანაც მეტად ცნობილია ეს გამოცემები. ამგვარად არსებობს საინტერესო გამოცემაც 1848 წ. რევოლიუციის საბუთებისაც, რამდენადაც ამგვარი საბუთები მოიპოვება რუსეთში. როგორც უკვე ნათქვამიდანაც ჩანს, გამომცემლობა მდიდარია და გეგმიანი.

საბუთების დასამუშავებლად ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული გეგმა არ არსებობს, ვინაიდგან საზოგადო, ძირითადი მოთხოვნილებანი საბუთების გამომცემლობისა გეგმის შემუშავებას არ საჭიროებს, ხოლო, რაც შეეხება დეტალურ გეგმას, რასაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, ყოველ კერძო შემთხვევაში, საბუთის ხასიათის და მნიშვნელობის მიხედვით, საუკეთესო სპეციალისტების მონაწილეობით ირჩევა ეს გეგმა თვით პრაქტიკის პროცესში. „პირველად შეცდომებიც იყოო", მითხრა საქმის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



„მაგრამ ახლა შეცდომებს თანდათან თავიდან ვიშორებთო, შეცდომებით ვსწავლობთო“.

მარქსის, ენგელსის და ლენინის ინსტიტუტების, როგორც სპეციალურ დაწესებულებების შესახებ, საგანგებოდ საუბარი იქნება საჭირო, მათი განკერძოებით და სპეციალურად შესწავლის შემდეგ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ამ დაწესებულებების საარქივო ნაწილში ბევრი მეტად ძვირფასი, იშვიათი და არქივთმცოდნეობისათვის დიდმნიშვნელოვანი მასალებია დაცული. სხვა არა იყოს რა, დამახასიათებელია თუნდაც ისიც, რომ მარქსის და ენგელსის ინსტიტუტში 1861 წლის კომუნის შესახებ ბევრი ისეთი მასალაა დაცული, რომელიც ევროპის არქივებში არ მოიპოვება, აგრეთვე ზოგიერთ სხვა საკითხების შესახებაც. ლენინის ინსტიტუტში დაცულია სხვათა შორის ისეთი საბუთები, რომელშიაც მჟღავნდება ლენინის პოლიტიკური შემოქმედების პროცესი უდიდეს გადამწყვეტ მსოფლიო ისტორიულ მომენტებში, რასაც უდიდესი მეცნიერული (მეთოდოლოგიური და ისტორიული) მნიშვნელობა აქვს.

ყველა ეს უაღრესი ყურადღების ღირსია ყოველი მეცნიერისათვის.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ მოსკოვის ერთერთ წიგნთსაცავში მე ვნახე ერთი წყება საბუთებისა, რომელიც ეხება ამიერკავკასიას, უმთავრესად საქართველოს მენშევიკების ბატონობის დროისას. ამ ქაღალდებში ზოგი ასლია და ზოგი დედანი. მოკლე ხანში ეს საბუთები გადაეცემა ცენტრარქივს და იქ სარგებლობა შესაძლებელი იქნება.

რაც შეეხება იმას, თუ რა და რა საქართველოს შესახები მასალები ინახება მოსკოვის არქივებში, იმის დამატებით, რაც აქა მაქვს აღნიშნული, ახლო მომავალში დეტალური ცნობების მოცემა აღმითქვეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. გედევანიშვილი

# სამხედრო-საისტორიო არქივი.

საქართველოს ცენტრარქივის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ძვირფას ნაწილს შეადგენს სამხედრო-საისტორიო არქივი. მასში დაგროვილია საარქივო მასალა დაწყებული მე-18-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან.

რუსეთსა და საქართველოს ურთიერთშორის დამოკიდებულების დაწყების დღიდან და ვიდრე უკანასკნელ წლებამდე მოთავსებულია ამ არქივში მასალები და საბუთები არა მარტო წმინდა სამხედრო-საისტორიო ხასიათისა, არამედ აგრეთვე მასალები საერთო სამოქალაქო, რადგანაც აღნიშნული ხნის განმავლობაში სამხედრო და სამოქალაქო საქმე ერთი მეორესთან მჭიდროდ და პირველ ხანებში უშუალოდაც კი იყო გადაბმული. ამიტომ სამხედრო-საისტორიო არქივს ამ შემთხვევაში აქვს არა მარტო სპეციალური ხასიათი, როგორც წყაროს სამხედრო ისტორიის გამოკვლევისათვის, არამედ იგი მკვლევარს მთლიან სურათს მისცემს და სათანადოდ გაუშუქებს თითქმის $1^1/_2$ საუკუნის მანძილზე საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ვითარებას. საქართველოს რუსეთთან დაახლოვება, მეფის რუსეთის ექსპანსია საქართველოში და საერთოდ მცირე აზიისაკენ, მეფის მთავრობის პოლიტიკა ამიერ კავკასიაში და მის მოსაზღვრე სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის მომქმედ ძალათა ურთი-ერთობა და ვითარება—აი ის საკითხები, რომელთა გამოსარკვევად მკვლევარი ბევრს მასალას მოიპოვებს სამხედრო-საისტორიო არქივში. რაც შეეხება სპეციალურ სამხედრო-საისტორიო დარგს, თუ მივიღებთ მხედველობაში ამიერ-კავკასიის, როგორც სამხედრო ასპარეზის, თავისებურებას და მისი დღესაც სტრატეგიულად დიდს მნიშვნელობას, აქაც მკვლევარი ბევრს ძვირფას საბუთებს და ცნობებს იპოვნის. გარდა წმინდა ოფიციალური მიმოწერის ხასიათის საბუთებისა, ამ არქივში საკმაოდ დაგროვილია წერილები, წიგნაკები, მოგონებანი და სხვა ამგვარი, რომელნიც ეკუთვნიან ამა თუ იმ ომებში ანუ ბრძოლებში უშუალოდ მონაწილეებს, რაიც მეტად ძვირფას მასალას

ეროვნული ბიბლიოთეკა



წარმოადგენს ოფიციალურ რელიაციების შესამოწმებლად და შესასწორებლად.

ერთი სიტყვით ის განძი, რომელიც დაგროვილია სამხედრო-საისტორიო არქივში მართლადაც მეტად ძვირფასია.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ აწინდელი მდგომარეობა ამ არქივისა არ შეეფერება ასეთ მის მნიშვნელობას. მიზეზი ამისი უმთავრესად ობიექტიური ხასიათისაა. ამ არქივმა ბოლო ხანებში განიცადა მძიმე ამბები და მას არა ერთხელ დაატყდა უბედურება. წინეთ რევოლიუციამდე სამხედრო-საისტორიო არქივი, სამხედრო-საისტორიო განყოფილების სახით შეადგენდა კავკასიის საოლქო შტაბის ნაწილს და მთავარი საარქივო მასალა ინახებოდა ამ შტაბის არქივში. ეს არქივი სამოქალაქო ომის დროს განადგურდა და თითქმის მთლად დაიღუპა. გადარჩა მხოლოდ არქივი უკანასკნელ იმპერიალისტურ ომისა და აგრეთვე არქივი კავკასიის, რომელიც ინახებოდა ცალკე შენობაში. თვით იმპერიალისტურ ომის დროს ნაწილი არქივისა გადატანილ იქმნა ჩრდილოეთ-კავკასიაში და მხოლოდ ბოლო ხანებში დაუბრუნდა საქართველოს არქივს.

გარდა აღნიშნულ მნიშვნელობისა, სამხედრო არქივს აქვს კიდევ წმინდა პრაქტიკული ყოველდღიური მნიშვნელობაც: ცნობების მიწოდება როგორც დაწესებულებებისათვის, ისე კერძო პირთათვის. და ამ მხრივ აქტუალური ხასიათი აქვს წითელ დროშოვან არმიის არქივს, რომელიც თან და თან გროვდება და ინახება სამხედრო-საისტორიო არქივში.

ამიერ-კავკასიის საერთოდ და კერძოდ საქართველოს ტერიტორიის სტრატეგიული მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. დღეს როდესაც ომის საშიშროების საკითხი „დღიურ" საკითხად არის დასმული, როდესაც მთელი მშრომელი მასა საბჭოთა კავშირისა პირდაპირ დაინტერესებულია ქვეყნის დაცვით და ამ თავდაცვის სათანადოდ მომზადებისათვის, წარსულ ომების შესწავლა, საკუთარი ტერიტორიის, როგორც ომის ასპარეზის, შეფასების საკითხი, დღეს სცილდება ვიწრო სპეციალ ფარგლებს და საერთო საზოგადო ინტერს წარმოადგენს. ამიტომ სამხედრო-საისტორიო არქივის წესიერად მოწყობას, გამოკვლევას და შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, ასეთმა შესწავლამ და სათანადო თვალსაზრისით არქივში დაგროვილი საბუთების გადასინჯვამ შეიძლება საგრძნობლად შესცვალოს მთელი ჩვენი სამხედრო ისტორიის სურათი და შეარყიოს დღემდე გავრცელებული შეხედულებანი ამა თუ იმ ეპოქის ომების შესახებ.—

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს საქმე იმდენად სერიოზიულია და დროულია, რომ დაყოვნება შეუძლებელია.

სამხედრო-საისტორიო არქივი მოკლე ხანში, პირდაპირ დაკვრითი წესით უნდა იქნეს მოგვარებული. მართალია მუშაობა დღემდეც სწარმოებდა, ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ სწორედ დღევანდელი მოთხოვნილების მიხედვით ეს მუშაობა უნდა გაორკეცდეს. ყურადღება, რომელსაც ამ ჟამად ცენტრარქივის მართველობა აქვს სამხედრო-საისტორიო არქივს, თავდებია იმისა, რომ ეს ასეც მოხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. დიაკონენკო

# საქართველოს ს. ს. რ. ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდი

(მოკლე მიმოხილვა)

## I

საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდის მასალები დაცულია ცენტრარქივისა და სამაზრო საარქივო ბიუროების აქტთსაცავებში, ტფილისსა და მაზრებში.

ამ წერილის მიზანია—მოკლე საზოგადო მიმოხილვა პირველი ჯგუფის მასალებისა, რომელიც ინახება მთავარ-საბჭოთა, მთავარ-საისტორიო, საისტორიო-სარევოლიუციო, სამხედრო-საისტორიო, იურიდიულ, ძველ საბუთთა და მუნიციპალურ არქივებში [1].

ამ არქივებში თავმოყრილია ის საარქივო მასალები, რომელიც გროვდებოდა უმთავრესად ქ. ტფილისში, მის ცენტრალურ საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებებში. სხვა გუბერნიების და მაზრების არქივები აქ მოხვდენ შემთხვევით, რეევაკუაციის დროს, 1923 წელს. ასეთებია ჩრდილოეთ კავკასიიდან მეფის მოადგილის მთავარ სამმართველოს არქივებთან ერთად დაბრუნებული ქუთაისის არქივები: გუბერნატორისა, საგუბერნიო მართველობისა, საგუბერნიო საქალაქო და საგლეხო საქმეთა შეკრებულობათა, საგუბერნიო მიწისმზომელისა, დასავლეთ საქართველოს მომრიგებელ მოსამართლეებისა და ნოტარიუსებისა.

ტფილისის საგუბერნიო მართველობის არქივებიდან ცენტრარქივში გადმოვიდა საარქივო მასალები შემდეგი სამაზრო სამმართველოებისა: ტფილისისა, გორისა, ახალციხისა, სიღნაღისა და თელავისა, ხოლო ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს და მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულის არქივებთან ერთად ცენტრარქივს გადმოეცა ბაქოს, ქუთაისის და ელისავეტპოლის გუბერნიებისა და ყუბა-

[1] მეორე ნაწილში განზრახულია მოკლე მიმოხილვა იმ ფონდებისა, რომელიც ინახება სამაზრო ბიუროების არქივთსაცავებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნის ოლქის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსი და კასპიის სასახელმწიფო ქონებათა პალატის არქივების ნაწილები.

საარქივო ძეგლების დაცვის მიზნით ცენტრარქივის სამმართველომ ყოველი საშუალება იხმარა, რომ შეეკრიბა ძველი ქართული საბუთები, ხელნაწერები, ძველი სტამბის წიგნები და აგრეთვე საარქივო მასალები ეკლესია-მონასტრებისა, საზოგადოებათა და კერძო პირთაგან, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. მთელი ეს მასალა დღეს დაცული არის ცენტრარქივში.

საქართველოს მეფეების დროს არ ყოფილა არც ხელისუფლების რთული აპარატები და არც არქივები მათი თანამედროვე მნიშვნელობით. მაგრამ ამ ხანამ დაგვიტოვა საკმაოდ დიდძალი ძველი საბუთები და მანუსკრიპტები, მე-XI ს-დან დაწყებული. ესენი არიან—ქართველ მეფეთა დროინდელი სიგელ-გუჯრები და სხვა ძველი საბუთები (9.500-ზე მეტი), ხელნაწერები და ძველი სტამბის წიგნები ქართულ, სომხურ, ებრაულ, არაბულ, სპარსულ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

იმპერიალისტური რუსეთის ბატონობის ხანაში 1801 წლიდან დაწყებული საქართველოში იქმნებოდა მრავალი დაწესებულება სახელმწიფო მართველობის სხვა და სხვა დარგებისათვის; ეს დაწესებულებანი თავის მოქმედების შედეგად სტოვებდენ სხვა და სხვა საქმეებს, მიწერ-მოწერას; შემდეგ ისინი ხშირად უქმდებოდენ და მათ ადგილას ახალი წესდებოდა და ერთი მეორეს გადასცემდა ხოლმე თავის საარქივო მასალას. ამრიგად, ბოლოს გაჩნდენ საუწყებო არქივები.

ხსენებული საუწყებო არქივებიდან ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავია, როგორც მასალების რაოდენობით, ისე მათი მნიშვნელობით, შემდეგი არქივები: მეფის მოადგილის მთავარ სამმართველოსი, სამოქალაქო ნაწილის მთავარგამგებელისა და მეფის მოადგილისა კავკასიაში, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბისა, საქართველო-იმერეთის სასინოდო კონტორისა, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, საგუბერნიო მართველობათა, სასამართლოს პალატისა, რკინის გზის სამმართველოსი, გზათა ოლქისა, სახაზინო პალატებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსი. მასალები ამ სამმართველოებისა და მათ ქვემდებარე დაწესებულებებისა ეხლა თავმოყრილია უმეტეს ნაწილად ს. ს. ს. რ. ცენტრარქივის აქტთსაცავებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მენშევიკური ხანა იპყრობს 1917-1921 წლებს. ამ დროიდან შენახულია საარქივო მასალები შემდეგი დაწესებულებებისა: ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა, სახალხო განათლების, შინაგან საქმეთა, სახალხო სასურსათო, ფინანსთა, ვაჭრობა-მრეწველობის, მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა, იუსტიციის და გზათა სამინისტროებისა, ღრ. გენერალ-გუბერნატორებისა, საგუბერნიო კომისრებისა, ტფილისის საქალაქო მილიციისა, ქალაქთა და ერობათა კავშირისა, რუსების ეროვნულ საბჭოსა და აგრეთვე სხვებისა, რომელნიც არსებობდენ 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ საქართველოს გასაბჭოებამდე (1921 წ.).

საბჭოთა საქართველომ 1921 წლიდან შექმნა თავისი სახელმწიფოებრივი აპარატი ახალ საფუძველზე.

საარქივო მასალები ახალ სახელმწიფო, პროფესიონალურ და კოოპერატიულ დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და წამოწყებებისა გამოცემული წესების ძალით თავს იყრის ცენტრარქივის ცალკე განყოფილებაში—მთავარ-საბჭოთა არქივში.

ამ ჟამად უკვე არის საარქივო ფონდები შემდეგი დაწესებულებებისა: განათლების სახ. კომისარიატისა, ფინანსთა სახ. კომისარიატისა, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატისა, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისა და სახ. მამულების ტრესტისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა, გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობისა, საქართველოს საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატისა და ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატისა, ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობისა, ჭიათურის შავიქვის საექსპორტო საზოგადოებისა („ჩემო“), სამხედრო მრეწველობის ტფილისის განყოფილებისა, ჩრდილოეთ კავკასიის ვაჭრობისა (ამიერკავკასიის განყოფილება ჩრდილოეთ კავკასიის სააქციონერო სავაჭრო საზოგადოებისა) და კომენდანტთა სამმართველოებისა: რკინის გზის სადგურებისა—ტფილისი, ნავთლუღი, ერევანი, ლენინაკანი და სხვ.

ძლიერ ბევრი საარქივო ფონდი დაზიანებულია, რადგანაც მასალების თვალსაჩინო ნაწილი დაიღუპა სამოქალაქო ომისა, პოლიტიკურ გადატრიალებათა და საერთო ეკონომიური კრიზისის ხანაში. ასე, მთავრობის საგანგებო განკარგულებით, კავკასიის ფრონტზე შექმნილ პირობებისა გამო 1914-1915 წლებში მთავარ არქივებს ევაკუაცია უქმნეს ჩრდილოეთ კავკასიაში—კრასნოდარს, არმავირს, სტავროპოლს, გეორგიევსკსა და სხვა პუნქტებში. ამ ევაკუაციასა და

ეროვნული ბიბლიოთეკა



1918 წლის სამოქალაქო ომს მოჰყვა სამწუხარო შედეგი: ფრიად დიდი ღირებულების საარქივო მასალები ნაწილობრივ დაიტაცეს და გაანადგურეს. როდესაც დაწესებულება ევაკუაციას ახდენდა, ნაწილი არქივებისა მოჰქონდა თან, ნაწილს სპობდა ანუ სტოვებდა უპატრონოდ. ამრიგად დაზარალდენ კავკასიის მეფის მოადგილისა, ქუთაისის საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებების არქივები. სტანიცა კავკასკაიაში დაარბიეს და გაიტაცეს ტფილისის გუბერნიის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს არქივი, რომელშიაც სხვათა შორის ინახებოდა ძველი ქართული სიგელ-გუჯრები და სხვა საბუთები აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა, დაწყებული მე-XI ს-დან. გეორგიევსკში დაიტაცეს ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს არქივი; ისტორიული საბუთები, როგორც მაგ, დებულების ოქმები შემდეგში აღმოჩნდა ვაჭრების ხელში. ნაშთები ქუთაისის არქივებისა—გუბერნატორისა, საგუბერნიო მართველობისა, საგუბერნიო საგლეხო საქმეთა შეკრებულობისა და სხვ. დაბრუნებულ იქნა ცენტრარქივის აქტთსაცავებში მეფის მოადგილის არქივებთან ერთად, 1923 წელს. ამავე დროს თვით საქართველოში, 1919 წელს მთავრობის ნებართვით იყიდებოდა ქუთაისის საგუბერნიო მართველობის არქივი, რომელიც შეიცავდა დასავლეთ საქართველოს ისტორიის მასალებს.

თვით ტფილისშიაც, საქართველოს გასაბჭოების დროს, 1921 წელს, დაიღუპა მდიდარი არქივი კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბისა; დაღუპვას გადარჩა მისი მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი, რომელიც ინახებოდა ყოფილ სამხედრო-საისტორიო განყოფილებაში.

1917-1921 წლების პოლიტიკურმა და ეკონომიურმა რღვევამ თავისი როლი ითამაშა არქივების დაღუპვის საქმეში. არა თუ მარტო კერძო პირები, არამედ თვით სახელმწიფო დაწესებულებანიც კი ცდილობდენ არქივები გამოეყენებინათ თავისი სამეურნეო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამის შედეგი იყო—ანუ განადგურება არქივებისა ადგილებზე, ანუ მათი გადატანა სასწრაფო წესით ქაოტიურ მდგომარეობაში. ასეთ პირობებში საარქივო ფონდები ირეოდა ერთანეთში, საქმეები იხეოდა, ფუჭდებოდა და ბოლოს ვიღებდით დაშლილი ქაღალდების გროვას, რომელიც უფრო ნაგავს წააგვანდა. გადმოტანილი არქივების აღწერები და რეესტრები უმეტეს ნაწილად დაკარგულია; ეს საშუალებას არ გვაძლევს გავარკვიოთ, თუ რა საარქივო მასალები დაიღუპა და რამდენად

ეროვნული ბიბლიოთეკა



მნიშვნელოვანი. აღწერების უქონლობითვე ძნელდება საარქივო მასალების წესრიგში მოყვანა და გარჩევა ფონდური სისტემით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავისი საარქივო ფონდები უფრო ცუდ მდგომარეობაში დასტოვა, ვიდრე თვითმპყრობელობამ. საქართველოს ოკუპაცია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიერ, სამოქალაქო და პოლიტიკური უთანხმოებანი, ფინანსიური და ეკონომიური კრიზისი და, ბოლოს, საარქივო საქმის სრული ანარქიული მდგომარეობა—ყველაფერი ეს იწვევდა საარქივო მასალების დაღუპვას. მეორე მხრივ, საქმისწარმოება ახალგაზრდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებისა ვერ იყო სათანადოდ მოწყობილი; საქმეებს არ აკერებდენ, კანს არ უკეთებდენ და თუ უკეთებდენ, არ აწერდენ არა თუ საქმის შინაარსს, არამედ დაწესებულების სახელწოდებასაც კი, ქაღალდებს ხშირად ფანქრით სწერდნენ, აღწერებს არ ადგენდენ და სხვ.. ამის გამო ამ მასალების გარჩევა ფრიად ძნელდება. ზოგიერთი ძვირფასი არქივები, როგორც მაგ. დამფუძნებელი კრებისა, საგანგებო რაზმისა და სხვ. ნაწილობრივ გატანილ იქნა საზღვარგარეთ 1921 წლის ევაკუაციის დროს, ნაწილობრივ განადგურდა. კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს მდიდარი არქივი გადატანილ და მოთავსებულ იქნა სასამართლოს პალატის ნესტიან სარდაფში, სადაც საქმეები ძლიერ დაზიანდა, ხოლო ზოგიერთი კიდეც დალპა.

1921 წელს გამოცემულ იქნა დეკრეტი საარქივო საქმის რეორგანიზაციისა და ცენტრალიზაციისათვის. ამ დეკრეტმა თუმცა ბოლო მოუღო ამ დარგში შექმნილ უთავბოლოობას, მაგრამ არქივების შეგროვების პროცესში საჭირო იყო ბრძოლა ზოგიერთ დაწესებულებათა წინააღმდეგ, რომელთაც უნდოდათ არქივები გამოეყენებინათ კომერციული მიზნებისათვის. ზოგჯერ ისინი ამ მიზანს აღწევდენ კიდეც. ასე, მაგ. გაყიდულ იქნა სახელმწიფო ბანკის ტფილისის კონტორის არქივი, ქუთაისის საოლქო სასამართლოს არქივი და სხვ.

პირველ ხანებში თვით ცენტრარქივის სამართველომაც ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება საარქივო მასალების დაცვის საქმეს. იგი თვითონ ჰყიდდა სახვევ მასალად შემმოწმებელი კომისიის მიერ ზერელედ გადათვალიერებულ ქაღალდებსა და საქმეებს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ დამუშავებული არ იყო მოსასპობი მასალის ნომენკლატურა; გარდა ამისა, საქმეებიდან სჭრიდა სუფთა ქაღალდს, რაც საარქივო წესების მიხედვით სრულიად დაუშვებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ ჟამად ცენტრარქივის აქტთსაცავებში თავმოყრილია და ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის დავთარში ჩაწერილია 369 საარქივო ფონდი; აქედან მთავარ-საისტორიო არქივში—217, საისტორიო-სარევოლიუციო არქივში—15, მთავარ-საბჭოთა არქივში—30, სამხედრო-საისტორიო არქივში—31, იურიდიულში—41, ძველ საბუთთა არქივში—7, მუნიციპალურში—28. ნამდვილი რიცხვი ფონდებისა, რასაკვირველია, გაცილებით მეტია, რადგან ყველა ფონდები ჯერ გარჩეული და გამოაშკარავებული არ არის.

ფონდების საერთო რიცხვიდან მთავარ-საისტორიო არქივში გარჩეულია 201, გაურჩეველია 16, საინვენტარო აღწერები შედგენილი აქვს 88-ს, ჩასაბარებელი აღწერები 21-ს, ჯერ აუწერელია 108; საისტორიო-სარევოლიუციო არქივში გარჩეულია 15 (ყველა), საინვენტარო აღწერები აქვს 5 ს, ჩასაბარებელი 8-ს, ჯერ აუწერელია 2; მთავარსაბჭოთა არქივში გარჩეულია 25, გაურჩეველია 5, საინვენტარო აღწერები აქვს 2-ს, ჩასაბარებელი აღწერები 22-ს, აუწერელია 6; სამხედრო საისტორიო არქივში გარჩეულია 25, გაურჩეველია 6, საინვენტარო აღწერები აქვს 20-ს, აუწერელია 11; იურიდიულ არქივში გარჩეულია 31, გაურჩეველია 10, საინვენტარო აღწერა აქვს 8-ს, აუწერელია 33; ძველ საბუთთა არქივში გარჩეულია 6, გაურჩეველია 1, საინვენტარო აღწერა აქვს 6, აუწერელია 1: მუნიციპალურ არქივში გარჩეულია 28.

მთელი რიცხვიდან, 369-დან გარჩეულია 31, გაურჩეველია 38, აღწერილია 180, აუწერელია 189; საგნობრივი და სახელობითი მაჩვენებლები შედგენილი აქვს 27 ფონდს,

საერთო რიცხვი შენახვის ერთეულებისა უდრის დაახლოვებით 7—8 მილიონს, აქედან აღწერილია 294.503 (მთავარ-საისტორიო არქივში 227.306, საისტორიო-სარევოლიუციო 6.237, მთავარ-საბჭოთა არქივში 20.937, სამხედრო-საისტორიო არქივში 12.870, იურიდიულ არქივში 17.628, ძველ საბუთთა არქივში 9.800).

საარქივო ფონდების აღრიცხვას აწარმოებს ტეხნიკური ნაწილი თვითეული არქივისთვის ცალკე საკუთარ დავთარში. აღრიცხვა სწარმოებს შემოსვლის რიგით. თვითეული მათგანი ინიშნება სათანადო ნომრით. ფონდის აღსაწერ ფურცლებზე იწერება ყველა ცნობები, რომლებიც საჭიროა კარტოტეკისათვის, სახელდობრ: ფონდის დასახელება, შემოსვლის დრო, საიდან და რა პირობებში შემოვიდა ფონდი, მისი მდგომარეობა (წესრიგშია, თუ დაშლილია; აქვს თუ არა საქმეებს აღწერები, რეესტრები, მაჩვენებლები და სხვ.),

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომელი წლების საქმეები შეადგენდენ ფონდს და სად არის ის მოთავსებული (№ ოთახისა, თაროსი, შკაფისა და სხვა.), მოცულობა ფონდისა (ზუსტი ანუ დაახლოვებითი რაოდენობა შენახვის ერთეულებისა—წიგნებისა, ნაკრაულებისა, საქმეებისა და სხვ.).

საინვენტარო და ჩასაბარებელი აღწერებისა, მაჩვენებლებისა და სხვ. აღრიცხვა სწარმოებს განსაკუთრებულ დავთარში (აღწერა აღწერათა), რომელშიაც თვითეული აღწერა შედის ცალკე რიგობითი ნომრით; აღწერის № ინიშნება ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის სათანადო არქივის დავთარში. აღწერათა დავთარში იწერება არქივის და აღწერის სახელწოდება, აღწერის შედგენის დრო, მისი შემდგენელის ვინაობა და აღწერაში შეტანილ საქმეების რიცხვი, ყველა არქივებისათვის შედგენილია საარქივო ფონდების საერთო მაჩვენებელი.

1927 წლის ბოლოს ცენტრარქივის ხელმძღვანელებმა პირველ რიგში წამოაყენეს არქივის პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხი; მას შემდეგ დაარსებულ იქნა განსაკუთრებული განყოფილება—საისტორიო-სარევოლიუციო არქივი. საისტორიო-სარევოლიუციო ხასიათის მასალები გაფანტულია მრავალ საარქივო ფონდებში. შეიძლება ითქვას, რომ ამ ხასიათის მასალებით გაჟღენთილია ყველა ფონდები საისტორიო არქივებისა. ასეთი საქმეები იწერება ცალკე მათი საერთო აღრიცხვისა და ყოველმხრივი დამუშავების მიზნით. ამგვარი უფრო აქტუალური მნიშვნელობის საქმეები გამოყოფილ იქნა მთავარ-საისტორიო და იურიდიულ არქივებიდან და მუშავდება რაც შეიძლება ფართო მაშტაბით, ე. ი. სდგება მათი შინაგანი და საინვენტარო აღწერები, საგნობრივი და სახელობითი მაჩვენებლები და სამეცნიერო აღწერილობები. ასეთია ფონდები ტფილისის პოლიცმეისტერის სამმართველოს საიდუმლო მაგიდისა დ ტფილისის სამოქალაქო მილიციისა, ტფილისის მაძიებელი განყოფილებისა, მეფის მოადგილის კანცელარიის განსაკუთრებული განყოფილებისა, ტფილისის სარაიონო ოხრანკის განყოფილებისა, ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოსი, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსი; ცალკე პოლიტიკური საქმეები არის—ტფილისის სასამართლოს პალატისა, ტფილისის საოლქო სასამართლოსი, კავკასიის სამხედროსაოლქო სასამართლოსი, სამხედრო და სასამართლოს გამომძიებლებისა და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აღნიშნული ფონდების საარქივო მასალების თვალსაჩინო ნაწილი 1925 წელს გადაეცა რევოლიუციის მუზეუმს, სადაც ინახება ამ ჟამად. ეს არის ფონდები: განსაკუთრებული განყოფილებისა, კავკასიის სარაიონო ოხრანკის განყოფილებისა და საგუბერნიო, ჟანდარმთა სამმართველოსი, დრ. გენერალ-გუბერნატორებისა და პოლიტიკური საქმეები სამხედრო და სამოქალაქო სასამართლოებისა.

საისტორიო-სარევოლიუციო ხასიათის მასალა, რასაკვირველია, ზემოდასახელებული ფონდებით არ განისაზღვრება. თითქმის ყველა არქივები, რომელნიც კი შექმნილნი არიან თებერვლის რევოლიუციიდან დაწყებული გასაბჭოებამდე (1921 წ.) შეიცავენ აშკარა საისტორიო-სარევოლიუციო ხასიათის საბუთებს. შემდეგ ისეთი არქივები, როგორიც არის გუბერნატორებისა, საგუბერნიო მართველობათა, საგუბერნიო საგლეხო საქმეთა შეკრებულობათა, საცენზურო და ბეჭდვითი საქმის კომიტეტებისა შეიცავენ მდიდარ მასალას მუშათა და გლეხთა მოძრაობის ისტორიისათვის.

1917 წლის რევოლიუციის ისტორიისათვის მდიდარი მასალა მოიპოვება სამხედრო-საისტორიო არქივში; კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის განსაკუთრებული, სამობილიზაციო, საცენზურო, დაზვერვისა და სხვა განყოფილებებში არის: განკარგულებები—უზენაეს მთავარსარდლისა სტავკიდან (1917 წლის პოლიტიკური გადატრიალებიდან დაწყებული გასაბჭოებამდე) და კავკასიის უმაღლეს სარდლობისა; საბუთები—კავკასიის მოსახლეობის პოლიტიკური სულისკვეთებისა, ჯარების პოლიტიკური განწყობილებისა, როგორც ფრონტზე, ისე გარნიზონებში, ჯარისკაცთა კომიტეტების და კომისრების მოქმედებისა, ჯარისკაცთა მასების დამოკიდებულობისა მეფის აფიცრებთან, აფიცერთა კავშირისა, კორნილოვის ავანტიურისა, ჯარის დამოკიდებულობისა ოქტომბრის რევოლიუციასთან, დრ. ზავთან და სხვ., ეროვნულ შუღლის ნიადაგზე მომხდარ შეტაკებებისა, უწესოებისა და სრული ანარქიისა და სხვ.

საარქივო მასალების ხასიათი, შინაარსიის მხრივ, ირკვევა უმეტეს ნაწილად იმით, თუ დაწესებულებათა რომელ ჯგუფს ეკუთვნის ესა თუ ის მასალა.

ამისდა მიხედვით მასალები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

1. ეკონომიკა: მიწათმოწყობის საქმე, მუშათა და გლეხთა საკითხები, სახელმწიფო ქონება და სახალხო მეურნეობა საერთოდ, ფინანსები, სასოფლო მეურნეობა, მრეწველობა და ვაჭრობა, გზები და ტრანსპორტი, ფოსტა-ტელეგრაფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



2. საგარეო პოლიტიკა.

3. ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრატიული მართველობა, თვითმართველობა.

3. სამხედრო მართველობა.

5. სასამართლოს მართველობა.

6. სახალხო განათლება, სახალხო ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი ქველმოქმედება, კულტი.

ერთი და იგივე ფონდები შეიცავენ სხვა და სხვა ხასიათის მასალებს, ასე რომ მათი (ფონდების) ჯგუფებად დანაწილებისას საჭირო ხდება ვიხელმძღვანელოთ მათი აქტუალური ნაწილებით. ყველა ფონდების დაწვრილებითი და ზუსტი აღწერის შემდეგ, რასაკვირველია, თემატიურად გამოირკვევა ყველა ის საკითხები, რომელთაც თავისი გამოსახულება ჰპოვეს თვითეული ფონდის მასალაში. ასე, მაგ., დიპლომატიური კანცელარიის ფონდი შეიცავს საგარეო პოლიტიკის მასალებს, მაგრამ ჩვენ აქ გვხდება საინტერესო მასალები ეკონომიკისათვის: თამბაქოს კულტურა, მეაბრეშუმეობა, ტყის ექსპლოატაცია, საგარეო ვაჭრობა და სხვ.

რუსეთსა და საქართველოში გამეფებულმა ბატონყმობამ და ნიკოლოზ I-ის ჯარებში არსებულმა სასტიკ დისციპლინამ დიპლომატიურ კანცელარიის მრავალ საქმეში ჰპოვა თავისი გამოსახულება—არის საქმეები ლტოლვილ გლეხთა შესახებ, რომელნიც გაურბოდენ მებატონეებს ოსმალეთ-სპარსეთში, აგრეთვე ჯარისკაც-დეზერტირებზე.

პირველი ჯგუფის ის მასალა, რომელიც დამუშავებულია საისტორიო კვლევა-ძიებისათვის, იპყრობს ხანას წარსული საუკუნის 40-იან წლებიდან მოკიდებული თებერვლის რევოლიუციამდე და შემდეგ გარდამავალ ხანას—საქართველოს გასაბჭოებამდე. სამწუხაროდ ჯერ დამუშავებული არ არის ის ფონდები, რომელნიც შეიცავენ ბატონყმობის მასალებს აქტუალური ამ შემთხვევაში ფონდები საქართველოს მთავარმართებლისა, სახაზინო ექსპედიციისა, სასამართლოს ექსპედიციისა, სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა პალატისა, სასინოდო კონტორისა თუმცა ქრონოლოგიურად გარჩეულია, მაგრამ აღწერილი არ არის. ბატონყმობის გაუქმების ხანა იძლევა მდიდარ მასალას, რომელიც იმყოფება მეფის მოადგილის მთავარ სამმართველოს კანცელარიის ფონდში (1858-1886 წლ.); ეს ფონდი ინვენტარულად უკვე აღწერილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოველგვარი საადგილმამულო დავა საბატონო გლეხებისა მებატონეებთან ბატონყმობის გაუქმების შემდეგ წყდებოდა განსაკუთრებულ დაწესებულებებში—მომრიგებელ შუამავლებთან და საგუბერნიო საგლეხო საქმეთა შეკრებულობებში. იქვე სდგებოდა დებულების ოქმები. ამ დაწესებულებათა არქივები უკვე გარჩეულია, მაგრამ აღწერილი არ არის. გამიჯვნისა და დებულების ოქმების შედგენის შესახებ დავა საჩივრებით სასამართლომდისინაც მიდიოდა. იურიდიულ არქივის სასამართლოს სამიჯნაო განყოფილებისა და სასამართლოს პალატის სამიჯნაო დეპარტამენტის ფონდებში არის დიდძალი ამგვარი მასალა.

სამიჯნაო შეკრებულობის არქივი დღემდე მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის გამგებლობაშია და ცენტრარქივს ჯერ არ გადმოსცემია.

სამოქალაქო ნაწილის მთავარგამგებლისა და მეფის მოადგილის (1883-1917 წ.) არქივებში გლეხების ადგილმამულით მოწყობისა და მათი მებატონეებთან ურთიერთობის მასალები მოიპოვება საგლეხო-საადგილმამულო და ნაწილობრივ საფინანსო, გადასახლებასა, სამხედრო-სახალხო და საერობო განყოფილებებში.

მეფის კანცელარიის საგლეხო-საადგილმამულო განყოფილების მასალები ეხებიან გლეხების ყოფა-ცხოვრების მოწყობის საქმეს—ჩამონაჭრების (ნადელი) მიცემას, ჩამონაჭრების გამოსყიდვას, სასოფლო-საზოგადოებრივ მართველობას, საგლეხო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილების მოქმედებას, სასოფლო-სამეურნეო თანხებს და პურის ბეღლებს, წვრილ კრედიტის დაწესებულებებს, სარწყავი წყლით სარგებლობას, შავი ზღვის სანაპიროზე მიწების მიცემას და სხვ.

მოკლედ დავახასიათებთ მასალის შინაარსს და აღვნიშნავთ მთავარ კონკრეტულ ცნობებს ფონდების მიხედვით.

საქართველო-იმერეთის სახელმწიფო ქონებათა პალატა (1827-1850 წ.): სახელმწიფო გლეხებისა და კოლონიების მოწყობა ადგილმამულით. სამხედრო და კერძო პირებისათვის მიწების მიცემა. მიწების იჯარით შესყიდვა და გლეხების გადასახლება სახაზინო მიწებზე, დავა სახელმწიფო გლეხებისა მებატონეებთან და მათი საჩივრები უკანასკნელთა მიერ მიყენებულ შევიწროებაზე

სახელმწიფო ქონებათა ექსპედიცია (1850-1858 წ.): დავა ადგილმამულისა და წყლის შესახებ, მიწის მიცემა, გადასახლება, მიწების იჯარით შესყიდვა, სექტანტების მოწყობა ადგილმამულით, სახელმწიფო გლეხების საჩივრები მებატონეთა მიერ მიყენებულ შევი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



წროებაზე; მემინდვრეობა და სოფლის მეურნეობის მავნებლები, პურისა და ბალახის მოსავალი, მეთამბაქოობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა, სამეურნეო გაზეთები, სახალხო აღწერები.

სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტი (1858—1867 წ.): სახაზინო მიწებისა, სათიბისა და საძოვარი ადგილების მიცემა, სექტანტების გადასახლება, დავა სახელმწიფო გლეხებისა მებატონეებთან, პურისა და ბალახის მოსავალი, სოფლის მეურნეობის მავნებლები, ბაზრები, სანიმუშო მეურნეობა (ფერმა), მებაღეობა, მეაბრეშუმეობა მებამბეობა, მესაქონლეობა და მერძევეობა (ყველის დამზადება), სატყეო მეურნეობა და მეთევზეობა, მადნები.

სასოფლო-მეურნეობისა და მრეწველობის მართველობა კავკასიაში (1859—1863 წ.): მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მებაღეობა, სასოფლო-სამეურნეო წისქვილები, გამოფენა, გუთნები, სამკალი და სალეწი მანქანები, ფაბრიკები და ქარხნები: სანთლისა, კრამიტისა და სხვ.

სახელმწიფო ქონებათა სამმართველო კავკასიაში (1855—1882 წ.): მიწების მიცემა რუსი მოსახლეობისა და მოსამსახურეთათვის განსაკუთრებული დამსახურებისა გამო, სესხი მებატონეებს, მთის მიდამოების დასახლება, გლეხების გასახლება საეკლესიო მიწებიდან, სახელმწიფო გლეხების დავა მებატონეებთან მიწების თაობაზე, მთავრობის ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის წასახალისებლად: აგრონომების მოწვევა, სამეურნეო სკოლები; სოფლის-მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლა; სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა, საქარხნო მრეწველობა ქუთაისის გუბერნიაში, დაღესტანის და ყუბანის ოლქებში, მეაბრეშუმეობა, მევენახეობა და მეღვინეობა, მესაქონლეობა, სამთამადნო მრეწველობა (ქვანახშირი, ნავთი, თიხა და სხვა).

მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრების რწმუნებული (1883—1917 წ.): სახელმწიფო გლეხების ეკონომიური ყოფა-ცხოვრების გამოკვლევა, მათი მოწყობა ადგილმამულით, გადასახლება, საცდელი მინდვრები და სანერგეები, სასოფლო-სამეურნეო ყრილობები, საზოგადოებები, ამხანაგობები და თათბირები, ნიადაგისა და ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები, გეგმები და ხარჯთაღრიცხვები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და საწყობები, მელიორაცია, მეთამბაქოობა, მებამბეობა, მეჩაიეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მევენახეობა და მეღვინეობა, ბალახის თესვა, სამკურნალო მცენარების კულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტურა, მესაქონლეობა და მერძევეობა, მენადირეობა, სამთამადნო საქმე: ნავთი, შავი ქვა, თიხა, ოქრო; ცემენტის წარმოება.

ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველო (1845 – 1918 წ.): გლეხების მოწყობა ადგილმამულით, კოლონიების მოწყობა, საეკლესიო მამულები, გადასახლება, გლეხების საჩივრები მებატონეების მიერ მიყენებულ შევიწროებაზე. სატყეო და სამთამადნო მრეწველობის სპეციალური განყოფილებები.

კავკასიის საუფლისწულო მამულების სამმართველო და საუფლისწულო მამულების ინსპექტორის სამმართველო (1867—1921 წ.): მამულები კახეთისა, ყარაყალისა, გიაურ-არხისა. მუხრანისა, ჩაქვისა მუკუზნისა, ქართლისა, ბალახნისა, წინანდლისა, სასოფლო-მეურნეობის სხვა და სხვა დარგი: მემინდვრეობა, ძვირფასი კულტურა, მებაღეობა, მეთამბაქოობა, მევენახეობა—მეღვინეობა, მერძევეობა. ნავთისა და თევზის წარმოება. მუშათა და გლეხთა მოძრაობა 1905—1906 წელბში.

გადასახლების სამმართველო (1898 - 1918 წ.): წინა ხანის მასალები იმყოფება მთავარგამგებლის კანცელარიის არქივში (გადასახლების განყოფილება). კოლონიზაცია (დუხაბორებისა და სხვ. გადმოსახლება). 1905 წლის რევოლიუციის გავლენა დასახლებულ ელემენტებზე, სათემო მფლობელობიდან კომლეურ სარგებლობაზე გადასვლა, განსაკუთრებული წესები არამართლმადიდებელთა და არა-რუსთავის დასახლების საქმეში.

მეფის მოადგილის კანცელარიისა და აგრეთვე მეფის მოადგილის საბჭოს წევრის კანცელარიის ვაჭრობა მრეწველობისა და გზათა განყოფილებები განაგებდენ სხვადასხვა ეკონომიურ საკითხებს და ამისდა მიხედვით ამ დაწესებულებათა მიერ შექმნილი მასალა ეხება: სამთამადნო და ნავთის საქმეს, მუშათა საკითხს, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობას, სააქციზო და სასინჯარო საქმეს, საბაჟო საკითხებს, თევზის მრეწველობას, სავაჭრო ნაოსნობას, გზებს (შარა გზა და რკინისგზა). გარდა ამისა სამთამადნო მრეწველობის მასალები, დაწყებული 1801 წლიდან, თავმოყრილია მეფის მოადგილის მთავარ სამმართველოს არქივში, სახელდობრ: საქართველოს უზენაეს მართებლობის სამთამადნო ექსპედიციის საარქივო ფონდში (1801 წ.), სადაც სხვათა შორის არის ახტალის ვერცხლის - სადნობი და ალავერდის სპილენძის-სადნობი ქარხნების საქმეები; სამთამადნო ნაწილის სამმართველოს ფონდში (1850 – 1881 წ.) სააქციზო საქმის მასალები არის—ამიერ-კავკასიის და ზაქათალის ოლქის სააქციზო

ეროვნული ბიბლიოთეკა



გადასახადთა სამმართველოს ფონდში (1873—1920 წ.). ტრანსპორტისა—გზათა ოლქისა და ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოს ფონდში. გზათა ოლქის მასალები იპყრობენ ხანას 1818 წლიდან 1919 წლამდე; ისინი ჯერ კიდევ აუწერელია, მაგრამ გარჩეული კი არის ქრონოლოგიურად და ოლქში შემავალ დაწესებულებათა მიხედვით; აქ არის—გზათა ოლქის სამმართველო კავკასიაში, გზათა ოლქის მართველობა, საინჟინერო-საალმშენებლო კომისია, ნოვორო-როსიისკ—სუხუმის განყოფილება, კავკავისა და ყარსის განყოფილებები და სხვ.

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა მართველობის არქივიდან მიღებულია საარქივო მასალები: ამიერ-კავკასიის რკინისგზის უფროსის კანცელარიისა (1880—1917 წ.). ფოთი—ტფილისისა და ამიერ-კავკასიის რკინისგზის ინსპექციისა (1865—1882 წ.), ტფილისი—ბაქოს რკინისგზის სამუშაოთა მთავარ ინჟინერისა (1878—1882 წ.), ამიერ-კავკასიის რკინისგზის მიმღები კომისიისა (1880—1889 წ.), ტფილის-ყარსის რკინისგზის გაყვანის სამუშაოთა უფროსის კანცელარიისა (1895—1900 წ.), სამტრედია—ბათუმის რკინისგზის გაყვანის მთავარ ინჟინერისა (1880—1884 წ.), ამიერ-კავკასიის რკინისგზის სამასალო სამსახურისა (1883—1919), სამასალო განყოფილებისა (1889—1917 წ ), წევის სამსახურისა (1902—1917 წ.), გზათა სამსახურისა (1900—1910 და 1917—1920 წწ.), ტელეგრაფის სამსახურისა (1901—1920 წ.), მთავარ ბუხჰალტერიისა (1895—1920 წ.), კახეთის რკინისგზისა (1900—1920 წ.), ტრაპეზუნდისა და კახეთის რკინისგზების აშენების სამმართველოებისა, გზათა დეპარტამენტისა (1919—1921 წ), საქართველოს რკინისგზათა კანცელარიისა (1917—1921 წ.) და აზერბეიჯანის რკინისგზების კანცელარიისა (1917—1920 წ.) და ღრ. გენერალ-გუბერნატორის კანცელარიისა (1906—1916 წ.).

ზემოჩამოთვლილი ფონდებიდან ტრაპეზუნდისა და კახეთის რკინისგზების სამმართველოების ფონდები ჯერჯერობით გაურჩეველია, დანარჩენი მასალები გარჩეულია ქრონოლოგიურად; არსებობს ჩასაბარებელი აღწერებიც.

საბაჟო ხასიათის საკითხების მასალები არის ამიერ-კავკასიის საკარანტინო და საბაჟო ოლქების სამმართველოს კანცელარიისა (1848—1881 წ.) და ტფილისისა, ბათუმისა და ბაქოს საბაჟო ოლქების ფონდებში (1865—1913 წ.).

ფრიად განსხვავებული ხასიათის მასალები სახალხო მეურნეობისა და ფინანსების შესახებ თავმოყრილია ტფილისის საკონტრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლო პალატისა და ტფილისის (1879—1919 წ.) და ქუთაისის (1890—1918 წ.) სახაზინო პალატების ფონდებში; ისინი გარჩეულია ქრონოლოგიურად, მაგრამ აუწერელია. მკვლევარს აქ შეუძლია იპოვნოს ცნობები ყოველგვარი გადასახადებისა, კრედიტების მდგომარეობისა, გაცემული სესხისა და საბანკო ოპერაციებისა, სხვა და სხვა სააქციონერო საზოგადოებათა და სხვა კომერციულ წამოწყებათა ოპერაციებისა, სოფლის საზოგადოებასა ან ვაჭართა წოდებაზე მიწერისა და სხვათა შესახებ. მასალები ბანკების ოპერაციების შესახებ მით უფრო საყურადღებოა, რომ თვით ბანკების არქივები უმეტეს ნაწილად დაიღუპნენ. შენახულია მხოლოდ სახელმწიფო ბანკის ტფილისის კონტორისა და ტფილისის კომერციული ბანკის საბუთების ნაწილი და სხვადასხვა ბანკებიდან შეგროვილი მასალა, გადმოცემული ს. ს. რ. კ. ამიერ-კავკასიის საპრეტენზიო კომისიის მიერ. ცენტრალურ საფინანსო მართველობის საბუთები თავმოყრილია მეფის მოადგილის მთავარ სამმართველოს საფინანსო განყოფილებისა და საფინანსო დეპარტამენტის ფონდებში (1845—1881 წ.) და მთავარგამგებლისა და მეფის მოადგილის (1881—1917 წ.) კანცელარიების იმგვარსავე განყოფილებებში და, ბოლოს, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიაში (1917—1921 წ.).

რაც შეეხება ფოსტა-ტელეგრაფს, ამ კატეგორიის მასალები არის მხოლოდ კავკასიის ფოსტის ოლქისა (1859—1882 წ.) და ფოსტა-ტელეგრაფის კონტორების საარქივო საქმეებში.

საგარეო პოლიტიკის მასალები თავმოყრილია: მთავარმართებლისა, მეფის მოადგილისა და მთავარგამგებლის (1824—1904 წ.) დიპლომატიურისა, გარეშე საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ დამოკიდებულებათა მოხელისა (1900—1913 წ.) და საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის (1843—1845 წ.) ფონდებში. დეპარტამენტისა, დიპლომატიური ნაწილის მოხელისა და დიპლომატიური კანცელარიის საქმეები (1824—1856 წ.) აღწერილია ინვენტარულად.

დიპლომატიური კანცელარიის დაარსებამდე გარეშე დამოკიდებულების საქმეებს ასრულებდა მთავარმართებლის საერთო კანცელარია და სამხედრო სარდლობა.

დიპლომატიური მოხელის მასალა ადმინისტრატიული და სავაჭრო ხასიათისაა, კონსულების მოხსენებების სახით, ხოლო დიპლომატიური კანცელარიის ფონდში დაგროვილია ფრიად ძვირფასი ისტორიული საბუთები რუსეთის უზენაესი ხელისუფლებისა და გა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რეშე საქმეთა სამინისტროს დამოკიდებულების შესახებ, როგორც კავკასიის მოსაზღვრე ხალხთა მართებლებთან, ისე კავკასიის მთავარ სამმართველოსთან. ეს საბუთები და აგრეთვე დიპლომატიური მისიების, კონსულების და სხვა სამოქალაქო და სამხედრო მართველობის თანამდებობის პირთა მოხსენებები პირბადეს ხდიან რუსეთის საგარეო პოლიტიკის ფარულ ზრახვებს აღმოსავლეთში—სპარსეთსა, ოსმალეთსა, დაღესტანსა და თურქესტანში. ისინი გვიხატავენ რუსეთის და ინგლისის დამპყრობელობით პოლიტიკას, აღმოსავლეთ სახელმწიფოების პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, შესაერთებელ ადგილების მოსახლეობის განწყობილებასა და სიმპატიებს; ომებს სპარსეთთან და ოსმალეთთან; თურქმენჩაისა და ადრიანოპოლის საზავო ტრაქტატებს, საფლობელოთა საზღვრების დადებას, დამოკიდებულებას და დავას საზღვართა შესახებ, სავაჭრო დამოკიდებულებას საბაჟო გადასახადების მფარველობითი სისტემით, სხვა და სხვა პირთა გაძევებას რუსეთიდან; სპარსეთ-ოსმალეთიდან გამოძევებულთა დასახლებას, საქართველოს მებატონეებიდან ლტოლვილ გლეხობას, ჯარებიდან გამოქცეულ ჯარისკაცებს—ყველა ეს საკითხი ნათლად გამოსჭვივის მრავალ საბუთში. სხვათა შორის შენახულია მიწერ-მოწერა საქართველოს სამეფო გვარის წევრთა (ბატონიშვილები ალექსანდრე, თეიმურაზ, ვახტანგ და სხვ.) და სხვადასხვა სამთავროების წარმომადგენლებისათვის თვალყურის დევნებისა, 1832 წლის შეთქმულებისა, შამილის და ბაბისტების (სპარსელი კომუნისტები) აჯანყებისა, გრიბოედოვის მოქმედებისა, რომელიც ჯერ დიპლომატიური მოხელე იყო და შემდეგ სრულუფლებიანი მინისტრი სპარსეთის კარზე, უცხოეთის ცენზურისა და სხვ. შესახებ. გვხვდება მასალები სასოფლო მეურნეობისა და სამთამადნო მრეწველობის შესახებ ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში.

უმაღლეს სამოქალაქო მართველობას კავკასიაში რუსეთის მფლობელობის დასაწყისიდან სათავეში ედგა მთავარმართებელი ამიერ-კავკასიისა და საქართველოს უზენაესი მართებლობა. 1845 წელს დაწესდა მეფის მოადგილის თანამდებობა კავკასიაში, რომელიც შემდეგ, 1881 წელს, გაუქმდა; მის ნაცვლად შემოღებულ იქნა სამოქალაქო ნაწილის მთავარგამგებლის თანამდებობა კავკასიაში. 1905 წელს კვლავ აღდგენილ იქნა მეფის მოადგილის თანამდებობა, რომელიც არსებობდა თებერვლის რევოლიუციამდე. ამ ცენტრალურ დაწესებულებათა არქივები გაერთიანებული იყო მთავარ

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამართველოს ერთ არქივში; მათ ეწოდებოდათ: ჯერ ამიერ-კავკასიის მთავარ სამმართველოს არქივი, მერმე მეფის მოადგილისა, შემდეგ სამოქალაქო ნაწილის მთავარგამგებლისა და ბოლოს, მეფის მოადგილის კანცელარიის არქივი.

გუბერნიებში ადმინისტრატიული ხელისუფლება ებარა სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორებს. მათთან არსებობდა მთელი რიგი დაწესებულებებისა, რომელნიც ემსახურებოდენ ადგილობრივი მართველობის ამა თუ იმ მხარეს. საგუბერნიო დაწესებულებებში შექმნილი საარქივო მასალები თავს იყრიდა უმთავრესად საგუბერნიო მართველობათა არქივებში. პოლიცია, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ემორჩილებოდა გუბერნატორებსა და საგუბერნიო მართველობებს. მას შემდეგ, რაც ტფილისში დაარსდა პოლიცმეისტერის თანამდებობა, პოლიციის საქმეებიც გროვდებოდა მის არქივში.

მაზრებში ადმინისტრატიულ-პოლიციური მართველობა ებარა მაზრის უფროსებს. საარქივო მასალები იქ თავს იყრიდა სამაზრო სამმართველოების არქივებში.

აქ დაწვრილებით არ ჩამოვთვლით ამ კატეგორიის ყველა საარქივო ფონდებს, მაგრამ მაინც დავასახელებთ უთმავრეს არქივებს, სადაც რომ მკვლევარი საინტერესო მასალას იპოვნის.

უწინარეს ყოვლისა მოვიხსენიებთ საქართველოს მთავარმართებლის კანცელარიის ფონდს (1800—1843 წ.). იგი შეიცავს ძვირფას აქტებსა და მიწერ-მოწერას, რომელიც ახასიათებს რუსეთის მპყრობელ მთავრობის საკოლონიზაციო პოლიტიკას საქართველოში დღიდან მისი შეერთებისა. სამწუხაროდ ეს ფონდი და საერთოდ ფონდები საქართველოს უზენაეს მართებლობისა (საქართველოს მართებელი, საქ. უზენ. მართებლობის საერთო საკრებულო, ექსპედიციები სასამართლოსი, სამთამადნო, სახაზინო და სამოქალაქო, საქ. უზენ. მართებლობის პროკურორი) ინვენტარულად ჯერ აღწერილი არ არის, თუმცა მასალა კი ქრონოლოგიურად უკვე გარჩეულია.

მეფის მოადგილის ფონდები (1845—1917 წ.) აღწერილია ინვენტარულად: ამიერკავკასიის სამოქალაქო სამმართველო, მთავარ სამმართველოს უფროსისა და საბჭოს კანცელარია, მეფის მოადგილის კანცელარია, მთავარ სამმართველოს დეპარტამენტები, კავკასიისა და ამიერკავკასიის სამოქალაქო მოწყობის საქმეთა დრ. განყოფილება, სამოქალაქო ნაწილის მთავარგამგებლისა და მეფის მოადგილის კანცელარიები. მეფის მოადგილის კანცელარიის მასალები გროვდებოდა როგორც საერთო, ისე სამხედრო-სახალხო სამმართველოს კანცელარიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამხედრო-სახალხო სამმართველოსათვის განსაკუთრებული კანცელარიის დაარსების შემდეგ ამ კანცელარიაში თავს იყრიდა საერთო ხასიათის მიწერ-მოწერა, რომელთაც ერთი და იგივე კანონთა ძალით ერთნაირი წარმოება ჰქონდათ როგორც სამოქალაქო მართებლობის გუბერნიების, ისე სამხედრო-სახალხო ოლქებისათვის, სახელდობრ: საერობო მეურნეობისა, ქალაქის საზოგადოებრივ მართველობისა, სახალხო სურსათის გადასახადით დაბეგვრისა, საზოგადოებრივ მზრუნველობისა, საექიმო-სანიტარული დახმარებისა, მართმადიდებელთა და სხვ. სარწმუნოებათა სასწავლებლებისა, პირად შემადგენლობის (საინსპექტორო განყოფილებები და სხვ.) საქმეებისა და სხვ.

შემდეგში ამა თუ იმ ხასიათის საქმე გადაეცემოდა ხოლმე საერთო კანცელარიას (უმთავრესად კი მეფის მოადგილის თანამდებობის დაარსებიდან 1905 წ.). 1908 წელს ზემოაღნიშნული საერთო ხასიათის ყველა საქმეები სამხედრო სახალხო სამმართველოს კანცელარიიდან გადავიდა საერთო კანცელარიაში. პირველში (სამხ.-სახ. სამმ.)დარჩა მხოლოდ წოდებრივ-საადგილმამულო კომისიების საქმისწარმოება, რომელშიაც თავმოყრილია საადგილმამულო და წოდებრივ საკითხების საქმეების გადაწყვეტა და სახალხო სასამართლოების წარმოებები.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში სამხედრო-სახალხო სამმართველოს კანცელარიის მასალას, თავისი ხასიათით, მახლობელი დამოკიდებულება აქვს თვით წოდებრივ საადგილმამულო კომისიების (ბეგებისა და სხვ.) და მთიელთა სამმართველოს ფონდებთან.

მეფის მოადგილის საერთო კანცელარია თავის მასალას თავს უყრიდა სხვადასხვა განყოფილებებში. ისინი მრავალჯერ უქმდებოდენ და იცვლებოდენ ახლით. უკანასკნელი განრიგება მოხდა 1910 წელს.

მკვლევარისათვის საქმის გასაადვილებლათ მეტი არ იქნება დავასახელოთ ზოგიერთ მასალების კატეგორიები, რომელიც გროვდებოდა მეფის მოადგილის კანცელარიის სხვადასხვა განყოფილებებში.

1. საინსპექტორო—მეფის მოადგილის სამმართველოს მიწერ-მოწერა პირადი შემადგენლობის შესახებ.

2. საპენსიო—პენსია და დახმარება.

3. საერთო—ბეჭვდითი საქმე, სამოსწავლო საქმე, მუზეუმი, წიგნთსაცავი, სამეცნიერო საზოგადოებანი, სანახაობა-გასართობები, საზოგადოებათა და კავშირთა წესდებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



4. ადგილობრივი მეურნეობა—სასურსათო საქმე, საზოგადოებრივი მზრუნველობა, წოდებრივ-საზოგადოებრივი საქმეები, საექიმო და სავეტერინარო ნაწილი, ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, თავადაზნაურთა არჩევნები, არჩევნები სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოში, სამხედრო ბეგარა და სხვა.

5. სასამართლო—მიწერ-მოწერა სახელმწიფო წესრიგისა და მშვიდობიანობის დაცვის შესახებ, საპატიმროები, პასპორტები, ებრაელების საცხოვრებელი უფლების შესახებ, თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მიცემა, ადმინისტრატიული დასჯა და გადასახლება, სამიჯნაო საქმეები და სხვ.

6. საფინანსო—საერობო გადასახადები და ბეგარა, ხარჯთაღრიცხვა, ხარჯის გაწერა, კრედიტები, ანგარიშები, საერობო დაწესებულებების შემოღება ამიერკავკასიაში, სახელმწიფო გადასახადები, საფინანსო საკითხები, რომელნიც ეხებიან საქალაქო საქმეებს.

7. საანგარიშო—სახელმწიფო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვები.

8. სამდივნო—გარეშე საქმეთა სამინისტროს მიწერ-მოწერა, დაკავშირებული საერთაშორისო სამართალთან (საკონსულოები).

სამაგალითო დახასიათება იმ მასალებისა, რომელნიც დაგროვდენ სავაჭრო-სამრეწველო, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ დანიშნული საბჭოს წევრისა (Член совета от мин. фин. торг. и пром.), საგლეხო საადგილმამულო და განსაკუთრებულ განყოფილებებში მოყვანილი არის ზემოდ სათანადო ფონდების განხილვისას.

მასალები იმ დაწესებულებათა, რომელნიც მოქმედებენ თვითმართველობის უფლებებით, თავმოყრილია ქალაქ ტფილისის თვითმართველობისა, ტფილისის სათავადაზნაურო საკრებულოს, გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის, ვაჭრობის უსტაბაშის (სტაროსტა) და ზოგიერთ სხვა, უკანასკნელ ომის დროინდელ არქივებში, როგორიც არის საერობო, საქალაქო კავშირებისა, წითელი ჯვრისა.

მასალები ქალაქ ტფილისის თვითმართველობისა იპყრობს ხანას 1840 წლიდან დაწყებული 1921 წლამდე; იგი იწყობა იმ დროიდან, როდესაც ქალაქის კეთილმოწყობას განაგებდა ტფილისის პოლიცმეისტერი. აქ ისტორიკოსისათვის ძვირფასია—ცნობები ქალაქის იმ ნაჭრებზე, რომლებიც მიეცა ლტოლვილ სომხებს, ჯარისკაცებს და რუს მოხელეებს 1842 წლიდან, ქალაქის უძრავი ქონების აღწერები და შეფასებები 1873 წლიდან, ქალაქის თვითმართველო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბის ბეჭდითი გამოცემები საქალაქო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის 1875 წლ., კომლობრივი აღწერები, ქალაქის გამგეობის და ქალაქის სათათბიროს დადგენილებები, მასალები—ქალაქის აღმშენებლობისა 1840 წლ., სასკოლო საქმისა 1901 წლ., ქალაქის წყალსადენის გაყვანისა, სასაკლაოსი, ელექტრონით განათებისა და სხვა.

ქალაქ ტფილისის გაშენების მასალები გვაქვს სხვათა შორის ქალაქ ტფილისის გაშენების კომისიის (1827—1841 წ.) და ქალაქ ტფილისის მიდამოების გამიჯვნისა და გაშენების კომისიის (1846—1864 წლ.) სპეციალურ ფონდებშიაც.

ცენტრარქივის საცავებში დაცული მასალები კავკასიის სამხედრო მართველობისა, შექმნილი ჩრდილოეთ კავკასიის არქივებში—კავკავსა და მოზდოკში და კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში. ამ უკანასკნელიდან გადარჩა (არა მთლიანად) მხოლოდ იმპერიალისტური ომის ფონდები, ისიც იმიტომ, რომ იგინი, როგორც ჩრდილო კავკასიის არქივები, ინახებოდენ სამხედრო-საისტორიო განყოფილების შენობაში. მთავარი არქივი კი კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბისა დაიღუპა 1921 წელს, პოლიტიკური გადატრიალების დროს; გადარჩენილ იქნა მისი მხოლოდ მცირე ნაწილი. უკანასკნელი ომის საბუთები ინვენტარულად აღწერილი არის და საშუალება გვაქვს გამოვიყენოთ ისინი, როგორც საისტორიო ცნობებისა, ისე სამეცნიერო კვლევისათვის. ამ არქივებიდან აღწერილია შემდეგი ფონდები: 1) ფრონტის მთავარსარდლის შტაბისა და კავკასიის ჯარის შტაბისა განყოფილებებით—ოპერატიული, განსაკუთრებული, საცენზურო, სამობილიზაციო და დაზვერისა; 2) კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ უფროსის შტაბისა (სამხედრო მოქმედების ასპარეზზე) განყოფილებებით—საჯილდოო, სამწყობრო, საინტენდანტო, საარტილერიო და სამობილიზაციო; 3) 1, 4, 5, 6, 7 კავკასიის კორპუსების შტაბებისა, მე-2 თურქესტანისა, ყუბანის პლასტუნთა ბრიგადებისა და სხვა; 4) კავკასიის ჯარის სამხედრო ცნობათა უფროსის სამმართველოსი განყოფილებებით—გზათა და საეტაპო-სატრანსპორტო, მომარაგების მთავარ უფროსის სამმართველოსი, სამხედრო-სასანიტაროსი, ოსმალეთში დაპყრობილ ოლქების გენერალ-გუბერნატორისა, წითელი ჯვრის რწმუნებულისა და ზოგიერთი სხვა; 5) კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბისა იმპერიალისტურ ომამდე განყოფილებებით—სამობილიზაციო, დაზვერისა. უკანასკნელი (დაზვერის) განყოფილებისათვის ჩვეულებრივი საინვენტარო აღწერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბის გარდა შედგენილია დაწვრილებითი სამეცნიერო აღწერილობები 1909—1917 წლ. ჩათვლით.

რაც შეეხება წითელი ლაშქრის საარქივო მასალას, ასეთი უკვე გროვდება, უმთავრესად სამხედრო დაწესებულებებიდან და ნაწილებიდან მათი ლიკვიდაციის შემდეგ. უკვე არის ფონდები: სამხედრო სატრანსპორტო ეშელონისა, სატრანსპორტო ნაწილების სამმართველოსი, სასურსათო პუნქტებისა, მე-2 რადიო-ბატალიონისა, ქართული სამხედრო პოლიტიკური სკოლისა, შტაბის მე-3 განყოფილებისა, სახელმწიფო სამხედრო გამომცემლობის ამიერკავკასიის განყოფილებისა, მე-14 ადგილობრივ მსროლელთა ბატალიონის შტაბისა, ტფილისის საგარნიზონო სავეტერინარო საავადმყოფოსი, საქართველოს დივიზიისა და კავკასიის წითელდროშოვანი ლაშქრის სამხედრო ტრიბუნალებისა და სხვ.

1868 წლის სასამართლოს რეფორმის ძალით კავკასიაში სასამართლო განცალკევებულ იქნა ადმინისტრაციისაგან. მოეწყო იუსტიციის სამინისტროს უწყების სასამართლოები, მაგრამ სასამართლოს პლიტიკა ფაქტიურად და ნაწილობრივ იურიდიულადაც ხორციელდება ერთის მხრივ სამინისტროს ორგანოების საშუალებით, ხოლო მეორე მხრივ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მეფის მოადგილის შემწეობით. ამიტომ იყო, რომ სასამართლოს რეფორმის შემდეგაც კი მეფის მოადგილე საკითხებს სწყვეტდა უმეტეს ნაწილად იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით. ეს საკითხები იყო: საკანონმდებლო, სასამართლოს ნაწილის მოწყობა, განსაკუთრებული წესების გამოცხადება ზოგიერთ კუთხეებში და სხვა. ამ უკანასკნელ (განსაკ· წესების გამოცხ.) შემთხვევაში ზოგიერთი უფრო საყურადღებო პოლიტიკური და სისხლის სამართლის საქმეები საერთო სასამართლოდან სამხედრო-საოლქო სასამართლოს გადაეცემოდა ხოლმე გადასაწყვეტად. ამას გარდა, მეფის მოადგილისავე ზედამხედველობის ქვეშ იყო სახალხო სასამართლოები სამხედრო-სახალხო მართველობის ფარგლებში.

ამრიგად, სასამართლოს ნაწილის საარქივო მასალები გროვდებოდა ნაწილობრივ მეფის მოადგილის მთავარ სამმართველოსა და საგუბერნიო (1868 წლის რეფორმამდე), ტფილისის სასამართლოს პალატისა და მეფის მოადგილის კანცელარიის (რეფორმის შემდეგ) არქივებში, სამხედრო სასამართლოს საქმეები კი გროვდებოდა კავკავკასიის საოლქო სასამართლოს არქივში.

ეს მასალები ეხლა თავმოყრილია შემდეგ საარქივო ფონდებში:

ეროვნული ბიბლიოთეკა



1. მეფის მოადგილისა—საქართველოს უზენაესი მართებლობა: სასამართლოს ექსპედიდია, საქართველოს უზენაესი მართებლობის პროკურორი (1803-1840 წ.), მეფის მოადგილის მთავარ სამმართველოს დეპარტამენტის სასამართლოს განყოფილება (1867—1881 წ.), სასამართლოს საქმეთა დეპარტამენტი (1858—1866 წ.), სამოქალაქო ნაწილის მთავარგამგებლის კანცელარიის სასამართლოს განყოფილება (1883—1905 წ.), მეფის მოადგილის კანცელარიის სასამართლოს განყოფილება (1905—1917 წ.).

2. საგუბერნიო დაწესებულებებისა—სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ტფილისის პალატა, სამაზრო სამმართველოები და სხვა (ეს ფონდები ეხლა მუშავდება).

3. ტფილისის სასამართლოს პალატისა—სასამართლოს პალატა. ტფილისის საქალაქო სასამართლო, პროკურორის ზედამხედველობა, სამომრიგებლო დაწესებულებები, სასამართლოს გამომძიებლები, სასამართლოს ბოქაულები, ნოტარიუსები, იუსტიციის მინისტრის კანცელარია, საქართველოს სენატი, საგანგებო სასამართლო და კანონების გადამსინჯავი კომისია.

4. კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოსი (70-ან წლებიდან 1921 წლამდე)—კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლო; პროკურორის ზედამხედველობა; საკორპუსო, ციხისა და ზურგის სასამართლოები, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სასამართლო და სხვა.

სასამართლოს პალატისა და კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს მასალები ეხებიან მთელს ამიერკავკასიას და ჩრდილოეთ კავკასიის იმ ნაწილებს, რომელნიც შედიოდენ მეფის მოადგილის მართველობაში.

სწავლა-აღზრდის საქმის უმაღლესი მართველობა კავკასიაში მეფის მოადგილის ხელში იყო. მისი მასალები დაგროვილია მთავარ სამართველოსა და მეფის მოადგილის საერთო საქმეთა დეპარტამენტის (1836—1917 წ.) არქივებში; იქვე სწყდებოდა საკითხები ცენზურისა და ბეჭდვითი საქმისა, მართლმადიდებელი და სხვა სარწმუნოების კულტის შესახებ.

კავკასიის საცენზურო კომიტეტისა და ბეჭდვით საქმეთა ტფილისის კომიტეტის საარქივო ფონდი ფრიად მდიდარია შინაარსით და იპყრობს ხანას 1867 წლიდან 1918 წლამდე (ჩათვლით). ბეჭდვით საქმეებზე ზედამხედვლობის საქმეების გარდა არის სიები დაბეჭდილ ნაწარმოებებისა, რომელიც აკრძალულ იყო საერთო და უცხოეთის ცენზურის მიერ; არის ხელნაწერებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამოსწავლო ნაწილის უშუალო გამგებლობა ებარა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს; მასალები იპყრობენ ხანას 1819 წლიდან 1918 წლამდე (ჩათვლით). მასალები 1918-1921 წლ. სასწავლებელთა რეორგანიზაციისა და ნაციონალიზაციის შესახებ თავმოყრილია სახალხო განათლების სამინისტროს კანცელარიის ფონდში. ტფილისის სასწავლებელთა ფონდებიდან ცენტრარქივში დაცულია მასალები სამასწავლებლო ინსტიტუტისა (1866—1918 წ.); სახალხო სკოლების დირექციისა და ინსპექციისა (1864—1917 წ.), სათავადაზნაურო გიმნაზიისა (1902—1920 წ.), სასულიერო სემინარიისა (1817—1919 წ.), კადეტთა კორპუსისა და საქალებო გიმნაზიებისა —მე-2 და მე-4-სი.

რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიისათვის არის მრავალი მასალა, რომელიც ახასიათებს მეფის მთავრობის პოლიტიკას სწავლა აღზრდის საქმეში და რევოლიუციონურ მოძრაობას სკოლებში.

საექიმო და სავეტერინარო ნაწილის ფონდი იქმნებოდა მეფის მოადგილის კანცელარიის საერობო და ადგილობრივ მეურნეობათა განყოფილებებში; მასალები შეიცავენ საკითხებს—ბრძოლა გადამდებ სნეულებასთან, სამკურნალო დაწესებულებათა და სანატორიების, აფთიაქების და სხვ. გახსნას. სამკურნალო ნაწილის სამმართველოს არქივი სამწუხაროდ დაიღუპა; შენახულია მხოლოდ ფონდები რუსეთის წითელი ჯვრისა (1914—1918 წ.), სამხედრო სასანიტარო სამმართველოსი (1914—1917 წ,), საქართველოს და ტფილისის საექიმო გამგეობისა, ტფილისისა და ქუთაისის საგუბერნიო მართველობათა საექიმო და სავეტერინარო განყოფილებებისა (1831—1918 წ.)

სოციალურ უზრუნველყოფის მასალები გაბნეულია ნაწილობრივ მეფის მოადგილის ფონდებში (საერთო საქმეთა განყ-ბა), ნაწილობრივ სამხედრო უწყების სხვა და სხვა ფონდებში.

საეკლესიო მართველობის მასალები თავმოყრილია ეგზარხოსისა, საქართველო-იმერეთის სასინოდო კონტორისა, ეკლესია-მონასტრებისა და მართლმადიდებლობის გამავრცელებელი საზოგადოების არქივებში. მასალები ჯერ გაურჩეველია. მათი დამუშავება გამოააშკარავებს მრავალ ძვირფას საბუთებს კულტის ისტორიისათვის, მის (კულტის) გავლენას სახელმწიფო მართველობის მრავალ დარგზე, საეკლესიო გლეხების ყოფა-ცხოვრებას და მათ ურთიერთობას მოსახლეობის გაბატონებულ კლასებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. ჩხეტია

# საარქივო შენობა და მისი მოწყობილობა.

საარქივო შენობის საკითხი თანამედროვე არქივთმეცნიერებაში ერთ-ერთ აქტუალურ მნიშვნელობის საკითხთაგანს წარმოადგენს. ეს გასაგებიც არის, რადგან ამ საკითხთან მჭიდროდ დაკავშირებულია არქივების ძირითად ამოცანების განხორციელების პერსპექტივებიც. საარქივო შენობისა და მის სათანადოდ მოწყობაზე დამოკიდებულია ერთის მხრივ არქივალიების კონცენტრაციისა და დაცვის შესაძლებლობა, ხოლო მეორეს მხრივ მათი სისტემატიზაციისა და მეცნიერულ თუ პრაქტიკულ მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობაც. თუ არქივს შესაფერი ბინა არა აქვს, თავისდათავად ცხადია, მას არ შეუძლია იკისროს საარქივო მასალების არც მოგროვებისა და შენახვის საქმე და არც მოწესრიგებისა და გამოყენების საქმეც. სხვანაირად რომ ვთქვათ, არქივების ფუნქციონალური მუშაობა უშუალოდ და თითქმის სავსებით დაკავშირებულია შენობის საკითხთან და ამ მუშაობის ნაყოფიერება მის გარეშე წარმოუდგენელია. აქედან გასაგებია ის დიდი და განსაკუთრებული ყურადღება, რომლითაც ეკიდებოდენ საარქივო შენობის საკითხს ყველა ქვეყნის არქივისტები და არქივის სპეცები.[1]

---

[1] საქართველოში საარქივო შენობის საკითხი ერთობ მწვავედ სდგას. ძველს წესწყობილებას არ უანდერძებია საბჭოთა ხელისუფლებისათვის სპეციალური საარქივო შენობა, რადგან ასეთი შენობა ამ წესწყობილების დროს საქართველოში არც აშენებულა. სპეციალურ შენობის უქონლობის გამო არქივების საჭიროებისათვის ტფილისში და მით უფრო პროვინციაში გამოყენებულია ძველი, თავის დროზე სხვა საჭიროებისათვის აგებული, შენობები, რომელთაგან არც ერთი არ შეეფერება თავის ახალ დანიშნულებას, რათგან არცერთი მათგანი არ აკმაყოფილებს თანამედროვე საარქივო ტეხნიკის მოთხოვნილებას.

კიდევ უფრო ნაკლებად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებებს ცენტრარქივის ეზოში 1923—1924 წლებში აშენებული არქივთსაცავი, რომელზედაც სამწუხაროდ სრულიად უსარგებლოდ და უკონტროლოდ საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯა. ეს შენობა გამოდგება მხოლოდ იმის საილიუსტრაციოდ, თუ როგორ არ უნდა შენდებოდეს საარქივო შენობა. ამ შენობაში იმდენად არ არის ელემენტარულ მოთხოვნილებებიც დაცული, რომ თუ იგი სასწრაფოდ არ გადაკეთდა, იქ მოთავსებულ მასალებს უეჭველი საფრთხე მოელით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რა მოთხოვნილებებს უყენებს საარქივო შენობას თანამედროვე არქივთმეცნიერება და როგორი უნდა იყოს იგი, რომ არქივმა შესძლოს თავისი ფუნქციების დაუბრკოლებლად შესრულება?

უპირველესად ყოვლისა საარქივო შენობა უვნებელი უნდა იყოს ხანძრისა და სხვა სთიქიურ უბედურებისაგან; იგი უვნებელი უნდა იყოს აგრეთვე ბოროტგანმზრახველთა გატაცებისაგან. ამასთანავე საარქივო შენობა უნთა იყოს მშრალი და სინათლიანი იმდენად, რომ საარქივო მასალებსა და არქივში მომუშავეთა ჯანმრთელობას სინესტისა და მავნე ჰაერისაგან საფრთხე არ მოელოდეს. ამას გარდა საარქივო შენობის შინაგანი აგებულება და კონსტრუქცია უნდა იყოს ისეთი, რომ შესაძლებელი იყოს საარქივო მასასალების რაციონალურად დალაგება და საჭიროების დროს ამ მასალებით სარგებლობა. ასეთია ის მთავარი და აუცილებელი პირობები, რომელიც უეჭველად დაცული უნდა იყოს არქივთსაცავისთვის განკუთვნილ შენობაში.[1]

მაგრამ ამ ძირითად პირობათა გარდა საარქივო თეორიამა და პრაქტიკამ წამოაყენა მთელი რიგი სხვა მოთხოვნილებებისა, რომელნიც შეიძლება გამოიხატოს სამ მთავარ დებულებაში:

1. არქივისათვის უნდა შენდებოდეს ახალი, საგანგებო შენობა, და, მაშასადამე, უარყოფილ უნდა იქნეს ძველი, სხვა საჭიროებისათვის აგებულ, შენობის გამოყენება ამ მიზნით. იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელი ხდება ძველ შენობის გამოყენება არქივისათვის, უნდა მოხდეს შენობის შინაგანი აგებულებისა და სტრუქტურის ძირითადი გადაკეთება იმდენად, რომ შესაძლებელი იყოს მთავარი პირობების (სინათლე, სიმშრალე, ცეცხლისაგან უვნებლობა და სხვა) დაცვა.

2. საარქივო შენობა უნდა შენდებოდეს სხვა სახლებისა და შენობებისაგან განცალკევებით. მის ახლოს არ უნდა იდგეს სხვა შენობა, როელსაც არქივთან კავშირი და დამოკიდებულება არა აქვს.

---

საარქივო შენობის უქონლობასთან დაკავშირებით საქართველოს ცენტრარქივმა მიმდინარე წელს წამოაყენა საკითხი მთავარ საბჭოთა არქივისათვის სპეციალურ არქივთსაცავის აშენების შესახებ. სრულიად საქართველოს ცაკმა, რომელსაც ამის შესახებ სათანადო მოხსენება წარედგინა, საგანგებო დადგენილებით (1928 წ. 28/XI, ოქმი № 25) დაავალა ცენტრარქივს ამ საკითხის შესწავლა და პრაქტიკულად განხორციელების პროექტის შემოტანა. ცენტრარქივი ამ ჟამად უკვე მუშაობს ამ მიმართულებით და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მუშაობას დადებითი შედეგი მოჰყვება.

ამ მუშაობასთან დაკავშირებით იბეჭდება ეს ჩვენი წერილიც, რომლის მიზანია გააცნოს მკითხველს საარქივო შენობისა და მის მოწყობილობის საკითხის მდგომარეობა თანამედროვე საარქივო თეორიასა და პრაქტიკაში.

[1] А. Воронов, Архивоведение, 1901 წ. პეტერბურგი, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პირიქით, არქივის შენობის გარშემო უნდა რჩებოდეს თავისუფალი არე. სასურველია საარქივო შენობა შენდებოდეს ქალაქისაგან მოშორებით, გარე უბანში, მაგრამ იმ პირობით, რომ ქალაქსა და იმ გარე უბანს შორის, სადაც არქივი იქნება მოწყობილი, ტრამვაისა, თუ რკინის გზის, ან კიდევ სხვა საშუალებით, მიმოსვლა და კავშირი ადვილი იყოს.

3. საკუთრივ არქივთსაცავი გამიჯნული უნდა იყოს სრული იზოლიაციით სხვა საარქივო შენობებისაგან: მოსამსახურეთა ბინებისაგან, სამუშაო ოთახებისაგან, სამეცადინო დარბაზისაგან, საკინძავ სახელოსნოსაგან და სხვ. ეს იზოლიაცია შეიძლება მიხწეულ იქნეს ორი გზით: ა) საკუთრივ არქივთსაცავისა და სხვა საარქივო შენობებისათვის ცალ-ცალკე შენობების აგებით, ან ბ) საერთო საარქივო შენობის ორ ნაწილად, ყრუ კედლისა და ბრანდმაუერის საშუალებით, გაყოფით[1].

არქივისათვის ძველი შენობის გადაკეთების ნაცვლად ახალ, სპეციალურ შენობის აგების უპირატესობა არსებითად მხოლოდ უკანასკნელ ხანებში, ნიშანდობლივ მე-XX სა-ის დასაწყისიდან, იქნა აღიარებული დასავლეთ ევროპაში და სხვა ქვეყნებშიც. მე-XX ს-დე თითქმის ყველგან ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა ძველი სასახლეებისა და ციხე-კოშკების, ან კიდევ სხვა სახის ცოტად თუ ბევრად გამოსადეგ შენობათა გამოყენება არქივისათვის. დასავლეთ ევროპის არქივების უმეტესობა, მათ შორის ისეთი დიდი არქივებიც, როგორიცაა, მაგალითად, პარიზის ეროვნული არქივი[2], კელნის არქივი[3] და სხვა მოწყობილია ძველ შენობებში. რა თქმა უნდა, მეოცე საუკუნემდე ისეთ შემთხვევებსაც ჰქონდათ ადგილი, როდესაც არქივისათვის ახალ საგანგებო შენობას აშენებენ (ასეთია, მაგალითად, ლონდონის The Public Record Office-ის შენობა, რომელიც მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისშია აგებული), მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს. საყოველთაოდ კი ძველი შენობების გამოყენების შესაძლებლობა და მიზანშეწონილება მე-XX საუკუნემდე არავისში ეჭვს არ იწვევდა.

---

[1] ეს მოთხოვნილებები, როგორც ქვემოდ იქნება ნაჩვენები, უცხო არ არის საბჭოთა ქვეყნების საარქივო პრაქტიკისათვის, მაგრამ ისინი უფრო დასავლეთ ევროპის პრაქტიკის შედეგია. ამის შესახებ ცნობები იხ. И. Любименко-ს წერილში: „Новейшие архивные постройки на западе“ (А. Д. წიგ. VIII-IX. 1926 წ.).

[2] მოთავსებულია სუბიზების სასახლეში.

[3] მოთაესებულია არქიეპისკოპოსის სასახლეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეორე საუკუნიდან ჩვენ ვხედავთ გარკვეულ ტენდენციას ძველ შენობების გამოყენების მიზანშეწონილების შესახებ მანამდე არსებულ შეხედულების წინააღმდეგ და ახალ, სპეციალურ შენობის საჭიროების სასარგებლოდ. ამიერიდან სპეციალური საარქივო შენობის აუცილებლობა და უპირატესობა აღიარებულია არა მარტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც: ერთის მხრივ სპეციალურ საარქივო პრესაში სვამენ და დადებითად სჭრიან ამ საკითხს, ხოლო მეორეს მხრივ მთელი რიგი სახელმწიფოებისა პრაქტიკულ ნაბიჯს სდგამენ ამ მიმართულებით და ცდილობენ ააშენონ არქივისათვის სპეციალური შენობები. მე-XX საუკუნეში აშენებულია დასავლეთ ევროპის სხვა და სხვა ქვეყნებში მრავალი სპეციალური საარქივო შენობები. ასეთია, მაგალითად, დიუსელდორფის, ვისბადენის მიუნხენის, ვენის, ბაზელის, ჰააგის, ანტვერპენის და საფრანგეთის მრავალ დეპარტამენტთა არქივები. ასეთია აგრეთვე ბერლინის მიდამოებში მდებარე დალემში პრუსიის საიდუმლო არქივისათვის აგებული შენობა, ან კიდევ ქალ. კაენსა, ბრესლავლსა და მრავალ სხვა ქალაქებში აშენებული სპეციალური საარქივო შენობები.

თავისდათავად ცხადია, რომ მე-XX საუკუნეში სავსებით უარყოფილი არ არის ძველი შენობების გამოყენება. ყოველ შემთხვევაში პრაქტიკაში ჩვენ ვხედავთ მრავალ შემთხვევებს, როდესაც დასავლეთ ევროპის ქვეყნები ცდილობენ კვლავინდებურად ამ მიზნისთვის გამოიყენონ ძველი შენობები. ასე, მაგალითად, ქალ. რიგაში სახელმწიფო არქივისათვის გამოყენებულია ძველი კოშკი, სადაც წინად ტევტონთა ორდენის არქივი იყო მოთავსებული [1], პოტსდამში გერმანიის სახელმწიფო არქივი მოთავსებულია სამხედრო აკადემიის შენობაში [2], კობლენცში არქივის საჭიროებისათვის გადაკეთებულია ტევტონთა ორდენის საკომენდატოს შენობა და მრავალი სხვა [3]. მაგრამ ეს გარემოება გამოწვეულია უმთავრესად უსახსრობითა და სიღატაკით, რომელიც იმპერიალისტურმა ომმა უანდერძა დასავლეთ ევროპას. საერთოდ კი, როგორც ვამბობდით, ის აზრია განმტკიცებული, რომ არქივისათვის აუცილებელია სპეციალური შენობების

[1] И. Любименко, Рижский государственный архив, А. Д. V-VI.

[2] მისივე, Общегерманский государственный архив, А. Д. III-IV და Архив немецкаго Реиха в Потсдаме, А. Д., V-VI.

[3] საბჭოთა ქვეყნებში ძველი შენობის გამოყენების შემთხვევები კიდევ უფრო ხშირია და ამიტომ მათ კონკრეტად არ ვასახელებთ.

აშენება და არა ძველი შენობების გამოყენება. ამას ჰმოწმობს დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში აშენებულ სპეციალურ საარქივო შენობათა სიმრავლე, რომლის მაგალითები ზევით დავასახელეთ; ამას ჰმოწმობს აგრეთვე დასავლეთ ევროპისა და საბჭოთა ქვეყნების სპეციალურ საარქივო ლიტერატურაში არქივისტებისა და არქივის ავტორიტეტების მიერ გამოთქმული მტკიცე აზრი ახალი შენობების სასარგებლოდ.

არა ნაკლებად განმტკიცებულია დასავლეთ ევროპასა და საბჭოთა ქვეყნებშიც აზრი ჩვენ მიერ ზემოდ აღნიშნულ მეორე მოთხოვნილების—საარქივო შენობის განკერძოებით, ან კიდევ ქალაქ გარეთ აშენების—სასარგებლოდ. საერთოდ საარქივო შენობის განცალკევების აზრი ახალი არ არის. ჯერ კიდევ ნაპოლეონმა, რომელსაც განზრახვა ჰქონდა პარიზში მთელი ევროპისათვის საერთო არქივი დაეარსებინა, თავისი 1812 წლის 29 მარტის ბრძანებაში, სადაც სწორედ ამ საერთო არქივის შენობის აგების შესახებაა ლაპარაკი, გაითვალისწინა ეს მოთხოვნილება. „შენობის გარშემო არსებული სივრცე, ნათქვამია სხვათაშორის ამ ბრძანებაში, იქნება თავისუფალი და გამოყენებული ბაღისათვის, რათა შემდეგში შესაძლებელი იყოს განზრახულ შენობის გადიდება“-ო[1]. ამრიგად ნაპოლეონს, როდესაც იგი საარქივო შენობის გარშემო თავისუფალ არეს დატოვების დირექტივას აძლევდა ხუროთმოძღვართ, მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ შესაძლებელია არქივი მომავალში გაიზარდოს და შენობასაც ამასთან დაკავშირებით გადიდება დასჭირდეს. მართლაც, საარქივო შენობის განცალკევების შესახებ მოთხოვნილება არქივთმეცნიერების მიერ ამავე მოსაზრებით არის დასაბუთებული. ყოველი არქივი წარმოადგენს ისეთ ორგანიზმს, რომელიც თანდათანობით იზრდება და ფართოვდება იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ მას განუწყვეტლივ ემატება ახალ-ახალი მასალები. ამასთანავე საარქივო მასალების მოწესრიგებასა და დალაგებასთან ერთად იქმნება აუცილებლობა თანდათანობით სტელაჟების სიგრძის გადიდებისა, და რაკი თანამედროვე საარქივო ტექნიკის თანახმად არქივთსაცავების ზედმეტი დატვირთვა სტელაჟებით დაუშვებლად ითვლება, ამიტომ ეს გარემოებაც არქივის გადიდების აუცილებლობას იწვევს. ხოლო არქივის გადიდების აუცილებლო-

[1] შ. ჩხეტია, არქივები და საარქივო საქმე, I, 1928 წ. ტფილისი, გვ. 153.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბა კი მიზანშეწონილად და მართებულად ხდის მოთხოვნილებას საარქივო შენობის განცალკევებით აშენების შესახებ.

მაგრამ საარქივო შენობის განცალკევებით აგების საჭიროება გამართლებულია იმ მოსაზრებითაც, რომ ასეთ შეითხვევაში უფრო ადვილი ხდება საარქივო შენობის და, მაშასადამე, არქივის დაცვა ხანძრისაგან, რომელსაც საუკუნეთა სიგრძეზე სწორედ იმის გამო, რომ ეს მოთხოვნილება არ იყო დაცული, არა ერთი და ორი არქივი შთაუნთქავს. მართალია, საარქივო შენობის ცეცხლისაგან უზრუნველყოფის მიზნით სხვა აუცილებელ საშუალებებსაც მიმართავენ[1], მაგრამ ეს საშუალებები ხშირად ნაკლებად აღწევენ მიზანს, როდესაც საარქივო შენობის გვერდით ან ახლო-მეზობლად სხვა, ცეცხლისაგან არა უვნებელი, შენობებია მოთავსებული.

თუ ყველაფერს ამას დაუმატებთ იმ მოსაზრებასაც, რომ საარქივო შენობის განცალკევება სხვა შენობებისაგან უფრო გაადვილებს არქივის დაცვას ქალაქის მტვერისა, ჭვარტლისა და ხმაურობისაგან, რაც უეჭველია ხელს უშლის მყუდრო საარქივო მუშაობას, ცხადი გახდება ჩვენთვის, თუ რამდენად მიზანშეწონილი და საფუძვლიანია მოთხოვნილება საარქივო შენობის განცალკევების შესახებ.

მაგრამ საარქივო შენობის განცალკევების მიზანშეწონილება გამართლებულია მთელ რიგ ქვეყნების პრაქტიკითაც. დასავლეთ ევროპის საუკეთესო არქივები ისეა აშენებული, რომ მათ ირგვლივ დატოვებულია ცოტად თუ ბევრად საგრძნობი თავისუფალი არე, მაგალითად, საფრანგეთის ეროვნული არქივი (Archives Nationales) მოთავსებულია ცალკე კვარტალში და მას გარშემო უვლის ქუჩები[2], ინგლისის Public Record Office, სტოკჰოლმის სახელმწიფო არქივი და მრავალი სხვა არქივები ასევე განცალკევებით არიან აშენებული. საყურადღებო არის ამ მხრივ აგრეთვე ყოფ. იუსტიციის სამინისტროს არქივი მოსკოვში. ამ არქივის შენობა მოთავსებულია Девичье поле-ზე, სამი მხრიდან იგი გარშემორტყმულია დიდი გზით, ხოლო მეორე მხრიდ მას უვლის ფართე ქუჩა[3].

---

[1] საარქივო შენობას, ცეცხლისაგან დაცვის მიზნით, აშენებენ არა საწვავ მასალებისაგან. „ქვა, აგური, ბეტონი, რკინა, შუშა — აი ის მასალა, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს საარქივო შენობის აგების დროს", ამბობს არქივისტი ვ. რომანოვსკი. (იხ. Нариси з архівознавства, 1927 წ. გვ. 118).

[2] Романовський, Нариси з архівознавства გვ. 118.

[3] ეს არქივი ჩვენ დავათვალიერეთ 1925 წელს. მისი გეგმა და აღწერილობა იხ. ვორონოვის შრომაში Архивоведение გვ. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თუ საარქივო შენობის განცალკევებით აშენების აზრი საერთოდ ძველია და ახლაც დავას არ იწვევს, თავისდათავად ცხადია, დავას არ უნდა იწვევდეს საარქივო შენობის ქალაქ-გარეთ გატანის აზრიც, რადგან ამ უკანასკნელსაც არსებითად იგივე პრინციპი უდევს საფუძვლად. ამასთანავე მეორე შემთხვევაში ამ პრინციპის განხორციელება უფრო ადვილი და შესაძლებელი ხდება, ვიდრე პირველ შემთხვევაში გასაგებ მიზეზების გამო. ერთად-ერთი მოსაზრება ამის საწინააღმდეგოდ დამყარებულია იმ უხერხულობაზე, რომელიც არქივის ქალაქს გარეთ გატანით იქმნება საარქივო მასალების გამოყენების დროს: როცა არქივი ქალაქისაგან და მაშასადამე, მცხოვრებთა მასისაგან მოშორებული იქნება, თითქოს ძნელი გახდება საარქივო მასალებით სარგებლობა, როგორც პრაქტიკულ მიზნით, ისე აგრეთვე მეცნიერულ მიზნითაც, რადგან სიშორის გამო ეს მასალები რამდენიმედ მიუწდომელი იქნება მკვლევართა და საერთოდ იმ პირთათვის, რომელთაც დასჭირდებათ არქივიდან რაიმე ცნობების მიღება. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში ერთის მხრივ იმ გარემოებას, რომ არქივი, როგორც სამართლიანად აღნიშნავს არქივისტი ლიუბიმენკო, ბიბლიოთეკა არ არის, რის გამოც არქივში მომსვლელთა რიცხვი განსაზღრულია, ხოლო მეორეს მხრივ იმას, რომ ტრამვაისა და სხვა საშუალებათა მეოხებით ქალაქსა და გარე უბანს შორის კავშირის გაბმა ყოველთვის ადვილი მოსახერხებელია, უნდა ვთქვათ, რომ ეს მოსაზრება მაინც და მაინც საფუძვლიანი არ არის. მართალია, დასავლეთ ევროპაში და სხვაგანაც ამ მიმართულებით პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმის შემთხვევები ჯერჯერობით ნაკლებია, მაგრამ ამას საფუძვლად ეკონომიური ხასიათის დაბრკოლებები უდევს და ჩვენს დროში იშვიათია ისეთი არქივის ავტორიტეტი, რომელიც არქივის ქალაქ გარეთ გაშენების წინააღმდეგი იყოს პრინციპიალურად.

დასასრულ, მესამე მოთხოვნილებას, როგორც ვამბობდით, წარმოადგენს მოთხოვნილება საკუთრივ არქივთსაცავის სხვა საარქივო შენობებისაგან განცალკევების შესახებ. ეს მოთხოვნილებაც ყოველგან და ყოველთვის სავსებით დაცული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ იგიც ყველა ავტორიტეტების მიერ მტკიცედ არის აღიარებული. თუ არქივთსაცავის განცალკევება სხვა საარქივო შენობებისაგან ყრუ კედლითა ან ბრანდმაუერით არც ისე იშვიათია საარქივო პრაქტიკაში, სამაგიეროდ არქივთსაცავისა და არქივის სხვა საჭიროებისათვის ცალ-ცალკე შენობების აგების შემთხვევები ერთობ მცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეა. მაგრამ აზრი ამ ორ დასახელებულ საჭიროებებისათვის ცალ-ცალკე შენობების აუცილებლობის შესახებ თანდათანობით მტკიცედ იკიდებს ფეხს: ყველა ქვეყნის არქივისტები ერთხმად აღიარებენ ამ აუცილებლობას. მეორეს მხრივ საარქივო შენობების აგების დროს განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში ამ მოთხოვნილებას სულ უფრო და უფრო უწევენ ანგარიშს. ამას ამტკიცებს მეოცე საუკუნეში ამ მოთხოვნილების დაცვით აშენებული მთელი რიგი შენობებისა.

ასეთია, მაგალითად, დალემში აშენებული პრუსიის ახალი არქივი,[1] რომელიც ამგვარად მოწყობილ არქივის კლასიკურ ტიპს წარმოადგენს. ეს არქივი შესდგება ორი შენობისაგან, რომელთაგან ერთი განკუთვნილია არქივთსაცავისათვის, ხოლო მეორე სხვა საარქივო საჭიროებისათვის. შენობები აშენებულია ერთი მეორის პარალელურად 10 მეტრის მანძილზე და ერთიმეორესთან შეერთებულია მეორე სართულის სიმაღლეზე ე. წ. „საარქივო ხიდით“—დახურული ქანდარით. არქივთსაცავში შესვლა შეიძლება მხოლოდ მეორე შენობიდან ამ „ხიდის“ საშუალებით, რომელსაც გაკეთებული აქვს მაგრად დასაკეტი რკინის კარები. ამ ხიდზე მოთავსებულია სპეციალური მოხელე, რომლის ერთად-ერთ მოვალეობას შეადგენს არქივსაცავიდან გატანილ მასალების საგნების რეესტრში შეტანა (შიფრისა, დროისა და წამღების ვინაობის აღნიშვნით) და დანიშნულ დროისთვის მათი დაბრუნებისთვის ზრუნვა.[2]

ასეთივე ტიპის არქივს წარმოადგენს დიუსელდორფის არქივი, რომელიც აგრეთვე ორი შენობისაგან შესდგება. არქივთსაცავის შენობის სიგრძე უდრის 22,58 მეტრსა და სიგანე—15,28 მეტრს, ხოლო სამსახურის შენობის სიგრძე—30 მეტრს და სიგანე—10,53 მეტრს. ორივე შენობა გაერთიანებულია ისეთივე „ხიდით“, როგორც დალემის არქივის შენობები. „ხიდის“ სიგრძე 6 მეტრს შეადგენს, ასეთივეა ბრესლავლის არქივიც, რომელსაც საერთოდ 2240 კვ. მეტრის სივრცე უჭირავს. აქაც არქივი ორი ერთიმეორესთან 5 მეტრიანი ხიდით გაერთიანებულ შენობებისაგან შესდგება.[3]

აღნიშნულ წესით საარქივო შენობების მოწყობის დროს, როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ დაცულია სრული იზოლიაცია და, მაშასადამე,

---

[1] ეს არქივი გაიხსნა 1923 წელს.

[2] И. Любименко, Новейшие архивные постройки на Западе, A. d VIII—IX, გვ. 134.

[3] ibid.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსპობილია სამსახურის შენობიდან არქივთსაცავში ცეცხლის გადასვლის საფრთხე, ხოლო მეორეს მხრივ აღკვეთილია საარქივო მასალების დაკარგვისა და გატაცების შესაძლებლობაც. ამასთანავე ასეთ პირობებში უფრო ადვილი ხდება არქივში მომუშავე კერძო პირთა და მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვა საარქივო მტვერისა და მავნე ჰაერისაგან.

ასეთია რაციონალურად მოწყობილი საარქივო შენობის აგების, ასე ვთქვათ, გარეგნული მხარე. როგორ უნდა იყოს მოწყობილი საარქივო შენობა შიგნით, ან უკეთ რომ ვთქვათ, როგორ გეგმასა და სისტემაზე უნდა იყოს აშენებული თვით საარქივო შენობა და როგორი სტრუქტურა უნდა ჰქონდეს არქივთსაცავს, რომ იგი თავის დანიშნულებას შეეფერებოდეს? შევეხოთ ჯერ არქივთსაცავების სისტემებს, ხოლო შემდეგ გადავიდეთ მათ მოწყობილობაზე.

არქივთსაცავების აშენების დროს მიღებულია უმთავრესად ორი სისტემა: 1) ე. წ. „კაბინეტური“ სისტემა და 2) „მაღაზიური“ სისტემა. პირველ სისტემის დროს არქივთსაცავი ისეა აშენებული, რომ იგი წარმოადგენს თაღებზე დამყარებულ შენობას, რომელიც შესდგება ცალ-ცალკე ოთახებისაგან. თვითეული ოთახი-კაბინეტი წარმოადგენს განკერძოებულ პატარა არქივთსაცავს. მეორე, ე. წ. „მაღაზიური“ სისტემის არქივთსაცავი წარმოადგენს ერთ დიდ, კოლოფის მაგვარ დარბაზს, რომელიც თავიდან ბოლომდე დასერილია რკინის თაროებით. ამ დარბაზს ზევიდან გაკეთებული აქვს ცეცხლისაგან უვნებელი, რკინის ან კრამიტის სახურავი, ხოლო კედლებზე—ფანჯრები რკინის დარაბებით. თაროებზე საარქივო მასალების დაწყობა რომ ადვილი იყოს, დარბაზის შიგნით ჰორიზონტალურად, რამოდენიმე სართულად გაკეთებულია ქანდარის მაგვარი მოაჯირიანი აივნები ან დერეფნები; აივნებისა და დერეფნების იატაკს ზოგჯერ შუშისაგან ან გარდი-გარდმო გადაჭდობილ რკინებისაგან აკეთებენ. აივნები შეერთებულია ერთიმეორესთან პატარა ხიდით, ხოლო აივნებზე ასასვლელად გაკეთებულია თითბრის ხრახნილი კიბეები. [1]

ორივე დასახელებულ სისტემას თავისი დადებითი მხარეებიც აქვთ და უარყოფითიც, ხოლო ამასთან დაკავშირებით თვითეულ მათგანს—მომხრეებიცა ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც. პირველ სისტე-

---

[1] ამ სისტემის შესახებ იხ. ვ. რომანოვსკის, Нариси з архівознавства გვ. 118, ინჟ. მაევსკის ანგარიში. Сборник Археол. Инст., ვ. ვერეტენიკოვის წერილი Архівна Справа“-ში ნ. I და აგრეთვე ი. ლიუბიმენკოს დასახელებული წერილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მის მომხრეები მის უპირატესობას ასაბუთებენ უმთავრესად იმით, რომ „კაბინეტებში“ ხანძრის გაჩენის დროს ადვილი ხდება საარქივო მასალების გადარჩენა განადგურებისაგან იმის გამო, რომ ეს „კაბინეტები“ ერთმეორესაგან განცალკევებულია. რის გამოც როდესაც ერთ რომელიმე მათგანში ცეცხლი ჩნდება, მეორე კაბინეტში მოთავსებულ საარქივო მასალას შედარებით ნაკლები საფრთხე მოელის. ამავე დროს ამ სისტემის მომხრეები მიუთითებენ იმაზე, რომ „მაღაზიურ“ სისტემის არქივთსაცავში მუშაობა არქივისტებისათვის სიძნელეს წარმოადგენს: ზევით სათრულებში მომუშავეთ ხშირად სიმაღლის გამო თავბრუ ესხმით, ხოლო ქვედა სართულში მომუშავეთ ზევიდან თავზე მტვერი სცვივათო. მეორე სისტემის მომხრეები ამ სისტემის დადებით მხარედ სთვლიან იმ გარემოებას, რომ ამ შემთხვევაში შემცირებულია იატაკის და შიგნითა კედლების ხარჯები. როგორც ვიცით, „კაბინეტური“ სისტემის დროს სართულები ერთმეორისაგან გამიჯნულია მაგარი იატაკით, ხოლო „კაბინეტები“—კედლებით. „მაღაზიური“ სისტემის არქივთსაცავში ძვირფასი იატაკის მაგიერ გაკეთებულია იაფფასიანი იატაკი, ხოლო შიგნით კედლები სრულიად არ არის საჭირო. შემდეგ, ამ სისტემის დამცველები აღნიშნავენ იმასაც, რომ „მაღაზიური“ სისტემის არქივთსაცავში დაცულია ადგილის მეტი ეკონომია; ამავე დროს შენობის აგებულება ხელს უწყობს არქივთსაცავში სინათლის მეტი რაოდენობით შესვლას, რაც აუცილებელია, როგორც მოსამსახურეთა ჯანმრთელობისათვის, ისე აგრეთვე არქივთსაცავში სიმშრალის დაცვისათვისაც.

უნდა აღინიშნოს რომ საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ დასახელებულ სისტემათაგანს მიექცეს მეტი ყურადღება, ჯერ არ არის სავსებით გადაწყვეტილი. ეს საკითხი დღესაც დასავლეთ ევროპისა და საბჭოთა ქვეყნების არქივისტთა მსჯელობის საგანია. იგი სხვათაშორის მრავალგზის დასმული იყო გერმანიის არქივისტთა ყრილობაზე, მაგრამ დღემდის ღიად არის დატოვებული. დღესაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ხან „კაბინეტურ“ სისტემაზე აშენებენ არქივთსაცავებს, ხან კიდევ—„მაღაზიურ“ სისტემაზე. უკანასკნელ წლების განმავლობაში დასავლეთ ევროპაში აშენებულ არქივებიდან „კაბინეტურ“ სისტებაზე მოწყობილია, მაგალითად, დალემის არქივი, ხოლო „მაღაზიურ“ სისტემაზე—კაენისა და ჰააგის არქივები. დალემის არქივი შესდგება ცალ-ცალკე კაბინეტების მაგვარ ოთახებისაგან, ხოლო კაენის არქივი წარმოადგენს დიდ კოლოფის მაგვარ დარბაზს,

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამოდენიმე სართულად გაკეთებული რკინის აივნებითა და დერეფნებით. ჰააგის არქივი წარმოადგენს „მაღაზიურ“ სისტემაზე მოწყობილ არქივების ყველაზე უფრო ტიპიურ შენობას. ამ არქივის ერთიანი დიდი დარბაზი შეიცავს ექვს სართულს.

საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ზოგიერთი არქივისტები მხარს უჭერენ „კაბინეტურ“ და „მაღაზიურ“ სისტემების საშუალო ტიპის არქივთსაცავებს. ასეთი აზრის არის, მაგალითად, ბელგიელი არქივისტი Cuvelier, როგორც სჩანს Grotefend და სხვებიც. დასავლეთ ევროპის პრაქტიკაშიც არის ასეთი საშუალო, კომბინირებული ტიპის არქივთსაცავების აშენების ცდებიც. ასე, მაგალითად, კარლსრუეში, ვენაში, მეტცში და სხვაგანაც აშენებულია ისეთი არქივები, სადაც ორივე სისტემაა შეხამებული.

არქივთსაცავის კეთილმოწყობის საკითხთან დაკავშირებულია გათბობის და განათების მოწყობის საკითხიც და ამიტომ ზოგადად შევჩერდებით ამ საკითხზედაც.

გათბობის მთავარი დანიშნულება (გარდა ზამთრობით მუშაობისათვის საჭირო ტემპერატურის შენახვისა) მდგომარეობს იმაში, რომ არქივთსაცავში არ გაჩნდეს სინესტე. სინესტე, როგორც ცნობილია, არქივალიების ერთ-ერთი უსაშინელესი მტერთაგანია. იგი თანდათანობით აფუჭებს საარქივო მასალას და ბოლოს სავსებით სპობს მას. სინესტე განსაკუთრებით დამღუპველია რევოლიუციის დროინდელ მასალებისათვის, რადგან ეს მასალები უმეტეს შემთხვევაში ცუდ მელნით მდარე ხარისხის ქაღალდზეა ხოლმე დაწერილი: ამის გამო საკმარისია ოდნავი სინესტე, რომ ეს მასალები გაფუჭდეს, ან სავსებით განადგურდეს.

სინესტის თავიდან ასაცილებლად ხმარობენ ვენტილიაციას, რომელსაც ამას გარდა სხვა დანიშნულებაც—ჰაერის გაწმენდაც—აქვს. საერთოდ კარგად მოწყობილ ვენტილიაციას არქივისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ვენტილიაციას უკეთებენ არქივთსაცავს, შკაფებს და აგრეთვე მუყაოს კოლოფებსაც, სადაც საარქივო მასალებს აწყობენ ხოლმე. ვენტილიაციის წყალობით ჰაერი მოძრაობს, ხოლო ჰაერის მოძრაობა ხელს უშლის სინესტის გაჩენას. სინესტისაგან თავის დაღწევის მიზნითვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ნიადაგს, რომელზედაც არქივთსაცავია აშენებული. ნიადაგი უნდა იყოს მშრალი და მაგარი. თუ ნიადაგი წყლიანი და ნესტიანია, მას უნდა გაუკეთდეს წყლის გასაყვანი არხი, ანდა არქივთსაცავის იატაკი უნდა იყოს ისეთი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომ ნიადაგიდან სინესტეს არ შეეძლოს ზევით გავრცელება.[1] დასასრულ, სინესტის წინააღმდეგ კარგ საშუალებას წარმოადგენს დღის სინათლის სიუხვე. არქივთსაცავი მოწყობილი უნდა იყოს ისე, რომ დღის სინათლესა და მზის სხივებს შეეძლოთ შიგნით, რაც შეიძლება, თავისუფლად შესვლა.[2]

მაგრამ სინესტის წინააღმდეგ მთავარ საშუალებას მაინც გათბობა წარმოადგენს განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც კლიმატიური პირობების გამო შეუძლებელი ხდება სხვა საშუალებით სიმშრალის დაცვა. გათბობა უნდა სწარმოებდეს ცენტრალურ ღუმელის საშუალებით, რომელიც არქივთსაცავისაგან განცალკევებით და არა თვით არქივთსაცავში უნდა იყოს მოწყობილი. ჩვეულებრივად მიღებულია ორთქლისა და წყლის გათბობა. უკანასკნელს მეტ უპირატესობას აძლევენ, რადგან ამ შემთხვევაში არქივთსაცავის ყველა ნაწილების თანაბრად გათბობა უფრო ხერხდება. ამასთანავე წყლის გათბობა შედარებით უფრო მცირე ხარჯებს მოითხოვს და ცეცხლის გაჩენის საშიშროებაც ნაკლებია. ჩვეულებრივ ღუმელების საშუალებით არქივთსაცავის გათბობა აბსოლიუტურად დაუშვებლად ითვლება, რადგან ასეთი ღუმელები ხანძრის გაჩენის მხრივ დიდ საშიშროებას წარმოადგენენ არქივისათვის.

საყურადღებოა, რომ საფრანგეთის არქივისტები სწორედ ხანძრის გაჩენის შიშით წინაღმდეგი არიან საერთოდ გათბობისა და ჩვეულებრივად საფრანგეთში არც ათბობენ ხოლმე არქივთსაცავებს. მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც სამართლიანად ამბობს არქივისტი ი. ლიუბიმენკო, საქმე გვაქვს უფრო ეკონომიურ მოსაზრებასთან. ვიდრე ხანძრის შიშთან. ამასთანავე საფრანგეთის რბილი ჰავა შესაძლებელს ხდის ხელოვნურ გათბობის გარეშეც არქივთსაცავებში საკმაო სითბოსა და სიმშრალის დაცვას[3] რის გამოც ფრანგების შე-

---

[1] ამ მიზნით არქივთსაცავის იატაკს ჩვეულებრივად ბეტონისაგან აკეთებენ. ასე, მაგალითად, პარიზის ეროვნულ არქივში გაკეთებულია ბეტონის იატაკი, რომელზედაც მოსხმულია კალა, ხოლო ამის ზევით დაგებულია პარკეტი.

[2] სინათლის გაძლიერების მიზნით კარგად მოწყობილ არქივებში ფანჯრების გარდა აკეთებენ შუშის სახურავს, საიდანაც სინათლე უფრო ადვილად და ბლომად შემოდის. ამავე მიზნით არქივთსაცავის კედლებს, ჭერს და თვით სტელაჟებსაც ღებავენ თეთრად. უნდა ითქვას, რომ ეს საშუალებები მართლაც შველის საქმეს. შუშის სახურავებიანი არქივები აშენებულია, მაგ., გერმანიასა და ჰოლანდიაში.

[3] საფრანგეთის არქივებში მუშაობა შესაძლებელია გაუთბობლად მთელი წლის განმავლობაში გარდა სამი თვისა: დეკემბრის, იანვრის და თებერვლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხედულება მაინც და მაინც მხედველობაში მისაღები არ არის. გერმანია-ში, ინგლისში, ბელგიაში და სხვაგანაც არქივებში შემოღებულია უმთავრესად ცენტრალურ ღუმელების საშუალებით წყლით გათბობა და ამ ქვეყნებში საერთოდ გათბობის წინააღმდეგი არ არიან.

ცენტრალური წყლით გათბობა, როგორც ვამბობდით, ყველაზე უფრო მეტ გარანტიას იძლევა ხანძრისაგან არქივის დაცვისათვის, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ისეთ არქივებშიც, სადაც ასეთი გათბობაა გაკეთებული, საჭიროა მოწყობილი იყოს ცეცხლის საწინააღმდეგო საშუალებები. მართლაც, დასავლეთ ევროპის საუკეთესო არქივები შეიარაღებულია ასეთი საშუალებებით: შლანგებით, ტყავის ვედროებით, კიბეებით, ავტომატიური ცეცხლის ჩამქრობი მანქანებით და სხვა ამგვარი მოწყობილობებით.[1] ამავე მიზნით არქივების ფანჯრებს უკეთებენ რკინის დარაბებს. დასავლეთ ევროპის ზოგიერთ არქივებში ეს დარაბები ისეა მოწყობილი, რომ ერთ კნოპკაზე დაჭირებით მთელი არქივის ყველა დარაბები ერთბაშად დაიხურება. სტელაჟებს ხშირად რკინისა ან ბეტონისაგან აკეთებენ, თუმცა რკინის სტელაჟები ამ მხრივ არ არის სასურველად ცნობილი, რადგან ხანძრის დროს ასეთი სტელაჟები ხურდება და მრუდდება.[2] დასასრულ, ამავე მიზნით სასტიკად აკრძალულია თამბაქოს მოწევა არქივთსაცავში.

განათების საკითხშიც, ისევე როგორც გათბობის საკითხში, ყველგან ერთნაირი აზრი და ერთნაირი პრაქტიკა არ არსებობს. თავისთავად ცხადია, რომ ყველაზე უკეთესი განათება ბუნებრივი განათება (დღის სინათლე) არის და ამის წინააღმდეგ არც შეიძლება ვინმე იყოს. მაგრამ დღის სინათლე ყოველთვის საკმარისი არ არის იმდენად, რამდენად ეს საჭირო არის არქივთსაცავში მუშაობისათვის. ამას გარდა ზოგჯერ არქივში აუცილებელი ხდება მუშაობა საღამოობითაც, როდესაც ბუნებრივი სინათლე არ არის. ამასთან დაკავშირებით იბადება საკითხი არქივთსაცავის ხელოვნურად განათების შესახებ.

---

[1] საჭიროა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ევროპის ზოგიერთი არქივისტები წინააღმდეგი არიან ხანძრის დროს წყლის ხმარებისა, ვინაიდან მათი აზრით წყალი უფრო საშიშია საარქივო მასალებისათვის, ვიდრე ცეცხლი. სამაგალითოდ მათ მოჰყავთ საფრანგეთის სადეპარტამენტო არქივებში უკანასკნელი ხანძრები, როდესაც მრავალი საბუთი დაიღუპა სწორედ წყლისაგან ჩაქრობის დროს.

[2] დას. ევროპის ზოგიერთ არქივებში შემოღებულია ახალი წესი—უფრო მნიშვნელოვანი საბუთების წითელი საღებავით (ყდებზე ან სტელაჟებზე) დანიშვნა, ხანძრის დროს პირველ რიგში ასეთ მასალების გადარჩენის მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რა თქმა უნდა, საუკეთესო ხელოვნურ განათებად ელექტრონით განათება უნდა ჩაითვალოს. სხვანაირი ხელოვნური განათება (ნავთის, გაზის ან სხვა) სრულიად დაუშვებელია. მაგრამ ელექტრონის განათების დროსაც აუცილებელია დიდი სიფრთხილე. საჭირო არის ელექტრონის გამტარების ისე მოწყობა, რომ ხანძრის გაჩენა შეუძლებელი იყოს ელექტრონისაგან. ფრანგები ამ შემთხვევაშიც დიდ სიფრთხილეს, ან უკეთ, სიფრთხალეს იჩენენ და ხანძრის შიშით დაუშვებლად სთვლიან ყოველნაირ ხელოვნურ განათებასაც. ამავე შეხედულებისა არიან ბელგიელი არქივისტებიც. სამაგიეროდ ინგლისში, გერმანიაში, იტალიაში დ დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიაც ელექტრონის განათება სავსებით დასაშვებად ითვლება და გამოყენებულია კიდეც. ასევე არის საბჭოთა ქვეყნებშიც. მართლაც, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ფრანგ და ბელგიელ არქივისტებს იმაში, რომ ელექტრონის განათება ან საერთოდ ხელოვნური განათება არქივში დაუშვებელი იყოს. მაგათი შიში გადამეტებულად უნდა ჩაითვალოს. სულ სხვა საქმეა, თუ როგორ იქნება გაკეთებული ეს განათება. თავისთავად ცხადია, რომ საჭიროა სიფრთხილე ელექტრონის მოწყობის დროს, რათა ცუდად გაყვანის გამო ცეცხლი არ გაჩნდეს. მაგრამ ხელოვნურ განათების გარეშე არქივის მუშაობა ზოგჯერ შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში ხელოვნურ განათების პრინციპული წინააღმდეგი ვერ გავხდებით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ არც ზედმეტი სინათლეა სასარგებლო საარქივო მასალებისათვის. განსაკუთრებით ცუდად ჰმოქმედობს საარქივო მასალაზე მზის სხივები, რომელიც ახუნებს მელანს და აფუჭებს ქაღალდს.[1] თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზედმეტი სინათლისაგან მიყენებული ზიანი საქმეებისადმი გაცილებით უფრო უმნიშვნელოა, ვიდრე სინათლის ნაკლებობისაგან, ვინაიდან უკანასკნელი ხელს უწყობს საარქივო მასალების დამღუპველ სინესტის გაჩენას. ზედმეტი სინათლისაგან დასაფარავად არქივებში მიღებულია ფარდებისა და დამურულ შუშების ხმარება. რა თქმა უნდა, ასეთი საშუალებები აუცილებელია იქ, სადაც საქმეები ღია თაროებზეა დაწყობილი და სადაც მზე ზედმეტად აცხუნებს.

დასასრულ, საჭიროა შევჩერდეთ სტელაჟების და თაროების მოწყობაზე. ჩვენ ზევით უკვე ვამბობდით, რომ „მაღაზიურ“ სისტე-

---

[1] საბუთზე სინათლის მოქმედების საინტერესო ცდები მოხდენილია არქივისტ ს. ბ ო გ ო ი ა ვ ლ ე ნ ს კ ი ს მიერ 1926 წ. (იხ. С. Богоявленский, Опыт с экранами на выцветание, А. Д. VIII—IX, 1926 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



მის არქივთსაცავში თაროები მოწყობილია იატაკიდან ჭერამდე, ე. ი. დარბაზის მთელ სიმაღლეზე. რა თქმა უნდა, თაროებს აკეთებენ „კაბინეტურ“ სისტემის არქივთსაცავშიც. თაროებს ჩვეულებრივად რკინის დასაყრდნობებზე აკეთებენ, ხოლო თვით თაროები უმჯობესია სხვა მასალისაგან იყოს გაკეთებული. ყოველ შემთხვევაში რკინის თაროები, როგორც ვამბობდით, არ არის სასურველი, განსაკუთრებით ისეთ არქივთსაცავში, რომელიც ზამთრობით თბება, რადგან ტემპერატურის ცვალებადობის გამო რკინაზე ჩნდება სინესტე, ხოლო სინესტე, როგორც ვიცით, აფუჭებს საარქივო მასალას. რკინის თაროები ამას გარდა ხელს უწყობს ქაღალდის სხვადასხვა ავადმყოფობის გაჩენას. ამიტომ რკინის თაროები საარქივო პრაქტიკაში, იშვიათ გამონაკლისის გარდა, არც არის მიღებული სახმარად. ინგლისის Public Record Office-ში ხმარობენ ტყავგადაკრულ შიფერის ფიქალებს. მაგრამ პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ასეთი შედარებით დიდ ფასიანი მოწყობილებაც ვერ აღწევს მიზანს. უმჯობესად ითვლება მაგარი ხისაგან—მუხისა, კოპიტისა ან კიდევ კაკლისაგან გაკეთებული თაროები. ეს თაროები, როგორც ვთქვით, რკინის დასაბჯენებზე უნდა იყოს გაკეთებული. თაროების რკინის დასაბჯენებზე მოწყობა უფრო მისაღებია იმიტომ, რომ ასე მოწყობილი სტელაჟები ცეცხლისაგან უფრო უვნებელია; ხოლო ამავე დროს უფრო მაგარი. ამასთანავე რკინის საბჯენები უფრო წვრილია და, მაშასადამე, ნაკლებ ადგილს იჭერს.

თაროები ჩვეულებრივად ღიად კეთდება ვენტილიაციის მიზნით, რაც მეტად საჭირო და აუცილებელია არქივალიების სათანადოდ დაცვისათვის. მაგრამ ასეთი ღია თაროები ნაკლებად იცავენ საარქივო მასალებს, განსაკუთრებით ისეთ მასალებს, რომელნიც არ არიან ყდებში გაკეთებული ან კოლოფებში მოთავსებული, მტვრისაგან. მტვერი, როგორც ვიცით, ერთ-ერთი სპეციფიური და აუცილებელი მოვლენაა არქივში. ის აფუჭებს საარქივო მასალას და ვნებს არქივის მოსამსახურეთა ჯანმრთელობას. ამიტომ მტვრის თავიდან აცილება, ან ყოველ შემთხვევაში შემცირება—არქივის მოვალეობაა. საარქივო პრაქტიკაში არსებობს რამოდენიმე საშუალება მტვრის წინააღმდეგ საბრძოლველი. მაგალითად, ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში შემოღებულია შემდეგი საშუალება: სტელაჟების ზედა თაროებზე მიკრულია ტყავის ნაჭერი, რომელიც ჰფარავს ქვედა თაროებზე დაწყობილ წიგნებისა და საქმეების ზევითა ნაწილს. ამრიგად ეს წიგნები და საქმეები დაცულია მტვერისგან

ზევიდან და მხოლოდ მცირე ნაწილი იმტვერება მსუბუქად. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საშუალება შედარებით რაციონალურია, მაგრამ ერთობ ძვირი ჯდება და ამიტომ საარქივო პრაქტიკაში თითქმის არსად იხმარება.

არქივალიების მტვრისაგან დაცვის მიზნით ხმარობენ ვენტილიაციასაც. მაგრამ, ამას გარდა არსებობს უბრალო მექანიკური საშუალებაც მტვრის გასაწმენდად. ასე, მაგალითად, პარიზის ეროვნულ არქივში მოსამსახურენი საქმეებს აწყობენ პატარა ტაჩკაზე, მიაგორებენ ხოლმე ფანჯრებთან და ჩოთქით აშორებენ მტვერს. ხშირად ამავე მიზნით ზოგიერთ არქივს მოწყობილი აქვს აივნები, საიდანაც საქმეებს ჰბერტყავენ და ამ გზით მტვერს აცლიან ხოლმე. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ საშუალებას მაინც და მაინც დიდი სარგებლობა არ მოაქვს, რადგან ქარს მტვერი ისევ უკან შემოაქვს შენობაში.

დასასრულ, მტვრის წინააღმდეგ ხმარობენ საგანგებო ელექტრონის მანქანებს, ე. წ. „მტვრის სასრუტებს". „მტვრის სასრუტი" მანქანები სხვადასხვა სისტემისა და ზომისა არის. ზოგიერთი სისტემის „მტვრის სასრუტები" მართლაც კარგად სწმენდავენ მტვერს. მაგრამ ზოგიერთი არქივისტების აზრით „მტვრის სასრუტები" აფუჭებენ ქაღალდს და ამიტომ მათი ხმარების დროს საჭიროა დიდი სიფრთხილე, რომ მტვრის გაწმენდის დროს საქმეები არ გაფუჭდეს.

ზოგიერთ არქივებში თაროების მაგიერ არქივალიების დასაწყობად ხმარობენ დახურულ შკაფებს უმთავრესად იმისათვის, რომ საარქივო მასალები დაცული იყოს მტვერისაგან. მართლაც შკაფებს ამ მხრივ დიდი უპირატესობა აქვთ: შკაფებში მასალების დაცვა უკეთ შეიძლება. ამიტომ იმ არქივებშიც, სადაც საარქივო მასალები საერთოდ თაროებზე ინახება, უფრო მნიშვნელოვანი და იშვიათი საბუთები შკაფებში უნდა იყოს ჩაწყობილი. მხოლოდ საჭიროა შკაფებს ვენტილიაცია ჰქონდეთ გაკეთებული. ჩვეულებრივად ამ მიზნით შკაფს უკეთებენ რამდენიმე ნახვრეტს (ჭუჭრუტანას), რომელთაც ჰფარავენ ლითონის ბადით. შკაფებს შიგნით გაკეთებული აქვთ თაროები მასალების დასაწყობად.

თაროების სიფართე საერთოდ არ უნდა იყოს დიდი. ყველაზე უფრო მისაღებად ითვლება 35-40 სანტიმეტრის სიფართის თარო[1].

[1] ასეთი აზრის არის სხვათაშორის უკრაინელი არქივისტი ვ. რ ო მ ა ნ ო ვ ს კ ი (იხ. მ ი ს ი Нариси з архівознавства, გვ. 124), რუსი არქივისტი გ ო ლ უ ბ ც ო ვ ი და სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მართლაც, ეს ზომა შესაძლებლობას იძლევა ჩვეულებრივი თაბახ ქაღალდის სიდიდის ნაკრაულები და გრაგნილები დაეწყოს თაროზე ერთ რიგში თავისუფლად. შესაძლებელია თაროები უფრო ვიწროც იყოს იმ შემთხვევაში, თუ საქმეები დამდგარი იქნება თაროზე. მაგრამ საქმეების დაყენება თაროზე საარქივო ავტორიტეტების მიერ არ არის სასურველად ცნობილი. საქმეები კი არ უნდა დაიდგას თაროებზე, როგორც წიგნები ბიბლიოთეკაში, არამედ დაიწყოს სიბრტყეზე. ასეთი წესი შემოღებულია უკანასკნელ დროს ბევრ არქივებში (მაგალითად, უკრაინის არქივებში ყველგან, გერმანიის არქივებში ნაწილობრივ [1], რიგის სახელმწიფო არქივში [2]. სამწუხაროდ, ეს წესი არ არის შემოღებული ჯერ-ჯერობით საქართველოში უმთავრესად იმის გამო, რომ სტელაჟები არ არის ამისათვის სათანადოდ მოწყობილი. საარქივო მასალების ამ სისტემაზე დალაგებას ის უპირატესობა აქვს, რომ საქმეებს თაროებზე თავისი ბუნებრივი მდგომარეობა აქვთ და, მაშასადამე, ისინი ნაკლებად ფუჭდებიან. მისი უხერხულობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საქმეების ნაკრაულები ყოველთვის ერთი სისქისა არ არიან, რის გამოც ბევრი თავისუფალი ადგილი უსარგებლოდ იკარგება. მაგრამ ამ შემთხვევაში, ამ გარემოების თავიდან ასაცილებლად, როგორც გვირჩევს უკრაინელი არქივისტი ვ. რომანოვსკი, შეიძლება მივბაძოთ ბიბლიოთეკების პრაქტიკას. როგორც ვიცით, ბიბლიოთეკებში ამ მიზნით დიდი ხანია შემოღებული აქვთ კლასიფიკაცია წიგნების ზომის მიხედვით, რითაც სივრცის ეკონომია დაცულია საგრძნობლად. ასევე შეიძლება არქივშიც: თაროებზე დაწყობის დროს შეიძლება ნაკრაულები დარჩეული იქნეს დაახლოვებით ერთი და იგივე ზომის.

ამგვარადვე აწყობენ საქმეებს სტელაჟებისა და შკაფის თაროებზედაც. შკაფი შეიძლება ხისა ან რკინისა იყოს. რკინის შკაფებს უმთავრესად ცეცხლისაგან საარქივო მასალების დაცვის მიზნით აკეთებენ. მართლაც რკინის შკაფები ცეცხლისაგან საუკეთესო გარანტიას წარმოადგენენ, ამიტომ დასავლეთ ევროპის საუკეთესო არქივებში ასეთი შკაფები აქვთ. შკაფებს ვენტილიაციისათვის, როგორც ვამბობდით, ჭუჭრუტანებს უკეთებენ, ხოლო ამ ჭუჭრუტანებს ლითონის ბადე აქვს გადაკრული.

ბავარიის არქივში მაგალითად, უმნიშვნელოვანესი საბუთები ინახება პატარა ზომის რკინის შკაფებში. შკაფებს გაკეთებული აქვთ

---

[1] В. Романовський, Нариси з архівознавства გვ 121.

[2] И. Любименко, Рижский государственный архив, А. Д. V-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხელის მოსაკიდი სახელური, რათა ხანძრის დროს შესაძლებელი იყოს სასწრაფოდ გარედ გატანა, ან პირდაპირ ფანჯრიდან გადაგდება. ამ მიზნითვე ფანჯრის მოაჯირები ისეა მოწყობილი, რომ, სრულიად ადვილად და სწრაფად შეიძლება გახსნა. დასავლეთ ევროპის ზოგიერთ არქივებში ეს მოაჯირები კიდევ უფრო ორიგინალურად არის გაკეთებული: არქივის მეზობლად ცეცხლის გაჩენის გამო არქივთსაცავის ფანჯრების შუშები რომ გასკდეს, ასე გაკეთებული მოაჯირის რკინები შუშის ნამტვრევებს წინანდელ მდგომარეობაში აჩერებენ. ასე რომ არქივში არ შეუძლია შესვლა არამც თუ ცეცხლის ალსა, არამედ კვამლსაც.

დასავლეთ ევროპის ზოგიერთ არქივებში საქმეების გადატან-გადმოსატანად სარგებლობენ სხვადასხვა სახის მექანიკური საშუალებით. ეს საშუალება ზოგჯერ უბრალო მოწყობილობას წარმოადგენს და მდგომარეობს იმაში, რომ ჩვეულებრივი ხის ფიცარი თოკისა და ჭაღის საშუალებით აიწევა ქვედა სართულიდან ზედა სართულზე, ან კიდევ ჩაეშვება ზედა სართულიდან ქვედა სართულში. ამ ფიცრებზე დააწყობენ გადასატან საქმეებს და აიტანენ ზედა სართულზე ან ჩაიტანენ ქვედა სართულში. ზოგჯერ კიდევ ეს საშუალება უფრო რთულ მანქანას წარმოადგენს. ამ მანქანების აღწერა ამ ჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ასეთი მანქანების საშუალებით კიდევ უფრო სწრაფად და ადვილად შეიძლება საქმეების ერთ სართულიდან მეორეში გადატანა. ასეთი რთული მანქანები მოწყობილია, მაგალითად, პარიზის Archives Nationales-ში, ლონდონის Public Record Office-ში და დასავლეთ ევროპის სხვა დიდ არქივებში. უნდა ითქვას, რომ საქმეების გადატან-გადმოსატანად მექანიკურ საშუალების გამოყენებას საერთოდ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს: ამით შესაძლებელი ხდება დროისა და ენერგიის ეკონომიის დაცვა, რაც ასე საჭიროა ჩვენს დროში.

დროისა და ენერგიის დაცვის მიზნითვე უკანასკნელ ხანებში საარქივო პრაქტიკაში შემოღებულია ტელეფონით სარგებლობა. დას. ევროპის ზოგიერთ არქივებში ტელეფონი იმდენად ფართედაა გამოყენებული, რომ შინაგან ტელეფონის საშუალებით შესაძლებელი ხდება არა მარტო საჭირო მოსამსახურის გამოძახება, არამედ საქმეების გამოთხოვაც. ამ მიზნით ტელეფონს აკეთებენ, როგორც კაბინეტებსა და სამუშაო ოთახებში, ისე აგრეთვე საწყობებსა და საკუჭნაო ოთახებშიც კი. ტელეფონის ასე ფართედ გამოყენება შესაძლებელს ხდის არქივებში მცირე შტატით უფრო სწრაფად და ნაყოფიერად მუშაობას.

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

გ. ბოჭორიძე

# ძველ საბუთთა არქივი.

1926 წლის მაისის 15-ს ცენტრარქივში დაარსებულ იქნა ძველი საბუთების განყოფილება, რომელსაც შემდეგ ეწოდა ძველ საბუთთა არქივი.

არქივის გამგებლობაში არის შემდეგი საარქივო ფონდები:

1. ძველი საბუთებისა (სიგელ-გუჯრები და სხვა),
2. ძველი საბუთების პირებისა,
3. ძველი ხელნაწერი წიგნებისა,
4. ძველი სტამბის წიგნებისა,
5. განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეებისა,
6. კათოლიკოზ კირიონის პირადი არქივისა,
7. ქართველ ემიგრანტთა და სამხ. ტყვეთა საქმეებისა და
8. სვიმონ ესაძის პირადი არქივისა.

1. ძ ვ ე ლ ი  ს ა ბ უ თ ე ბ ი ს  ფ ო ნ დ ი შეიცავს სიგელ-გუჯრებს და სხვა ძველ საბუთებს მე-X ს-დან მოკიდებული მე-XIX ს-ს მეორე ნახევრამდე. ეს საბუთები წარმოადგენენ უძვირფასეს მასალას საქართველოს ისტორიისათვის, განსაკუთრებით მე-XIII—XVIII სს., რომლის ისტორიაც ჯერ მთლიანად არ დაწერილა და რომლის მრავალი მხარე სრულიად გამოურკვეველი არის. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ერის ცხოვრების პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური და სხვა მხარეების გასაშუქებლად. აქ არის საბუთები: წყალობისა, შეწირულობისა, სითარხნისა, ყმობისა, ბრძანება, ოქმი, არზა და მრავალი სხვა; მათი უდიდესი ნაწილი ნაწერია ქაღალდზე, ნაწილი ეტრატზე და ორი საბუთი ქვის ფიცარზე (იხ. „საქართვ. არქივი", წ. 1).

ფონდი შექმნილია შემდეგნაირად: 1922 წლიდან დაწყებული ცენტრარქივში სხვადასხვა ფონდების გარჩევისას მომუშავეთ ხელთ ხვდებოდათ ძველი საბუთები, ზოგი საქმეებში, ზოგი ცალკე (საქმეებიდან ჩამოვარდნილი); ეს საბუთები რომ არ დაკარგულიყვნენ და უკეთესად ყოფილიყვნენ დაცულნი თავიდანვე (1922 წ.) გროვდებოდენ ცალკე შკაფში. თავდაპირველად მათი რიცხვი მცირე

ეროვნული ბიბლიოთეკა



იყო, მაგრამ შემდეგ თანდათანობით გაიზარდა და 1923 წელს საბუთების უკვე საკმარისი რიცხვი იყო შეგროვილი. ამგვარად ჩაეყარა საფუძველი ძველი საბუთების ფონდს. მოგროვება და ამოკრება საბუთებისა სხვადასხვა ფონდის საქმეებიდან დღესაც გრძელდება.

1923 წელს თებერვალში დაბრუნებულ იქნა რუსეთიდან იქ გატანილი 3.000 საბუთიდან გადარჩენილი 150-მდე საბუთი.

იმავე წელს არქივმა შეიძინა პოლ. კარბელაშვილისაგან 3.000-ზე მეტი საბუთი, რომელიც ხსენებულ პირს მოგროვილი ჰქონდა ამილახვრიანთი და სხვ. ოჯახებიდან და მისგანვე გადმოწერილი 905 საბუთის პირი (რამდენიმე რვეულად). ამ უკანასკნელი საბუთების დედნების ნაწილი დაღუპულია და ეს პირები დღეს დედნის მაგიერობას ეწევიან.

იმავე წელს სპეციალურად წარგზავნილ პირთა მიერ იურიდიულ არქივის საქმეებიდან ამოღებულ იქნა 300-ზე მეტი საბუთი.

1923—1925 წლებში ჩ ე მ მიერ მოგროვილ იქნა ქართლ-კახეთში 400-ზე მეტი საბუთი.

1925 წელს შ. ჩ ხ ე ტ ი ა ს მიერ ჩამოტანილ იქნა მოსკოვიდან 30 საბუთი.

იმავე წელს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმიდან გადმოტანილ თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს საქმეებიდან ამოღებულ იქნა 500—600 საბუთი.

ნაწილი საბუთებისა არქივს შემოსწირეს ან მოჰყიდეს სხვადასხვა პირთ.

ამგვარად შესდგა ძველი საბუთების ფონდი.

განყოფილების დაარსებისას საბუთები არ იყო ინვენტარულად აღწერილი; განყ-ის გამგემ ისინი მიიღო ქიმიური ფანქრით დაწერილი ჩასაბარებელი აღწერებით, რომელიც შედგენილი იყო იმავე წელს.

როგორც ზევით მოვიხსენიე, განყოფილება დაარსებულ იქნა 1926 წლ. მაისში; მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დაარსება იყო მხოლოდ წერილობითი; ფაქტიურად განყოფილებაში იყო მხოლოდ გამგე, დანარჩენი თანამშრომელნი კი 1928 წლამდე მუშაობდენ სხვადასხვა არქივებში საქმეების აღწერაზე და სხვ.. თვით განყ-ის გამგეც 1927 წლის ნოემბრამდე დატვირთული იყო ცენტრარქივის საერთო მუშაობასთან დაკავშირებული მოვალეობებით და ამის გამო განყოფილებაში იგი მხოლოდ ახლად შემოსული საბუთებისა, ხელნაწერი და

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცენტრარქივი, ძველ საბუთთა არქივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძველი სტამბის წიგნების აღრიცხვას უნდებოდა. ამ მიზეზთა გამო განყოფილების მთავარი საქმე—ძველი საბუთების ფონდის წესრიგში მოყვანა, მათი ინვენტარული და სისტემატიური (სამეცნიერო) აღწერა თავის დროზე ვერ იქნა დაწყებული. 1927 წლის ნოემბერში განყ-ის გამგე განთავისუფლებული იქნა ზემოხსენებული საერთო საქმიანობასთან დაკავშირებული მოვალეობებიდან; ამავე ხანში განყოფილებაში დაბრუნდენ დრ. სხვა ნაწილებში მომუშავე მისნი თანამშრომელნი და განყოფილება შეუდგა მუშაობას.

უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო საინვენტარო აღწერა. ზემოხსენებული ჩასაბარებელი აღწერები საინვენტარო აღწერისათვის არ გამოდგებოდა, ვინაიდან ხსენებულ აღწერებში შეტანილი იყო არა მარტო ძველი საბუთები, არამედ უბრალო მიწერ-მოწერაც კი რუსეთის ხანისა (მე-XIX ს.) ქართულ და რუსულ ენებზე, რომელიც რაღაც მიზეზისა გამო განყოფილებაში და მის საბუთებში იყო შერეული. საჭირო იყო უკანასკნელთა გამორიცხვა და ძველი საბუთების ცალკე, საკუთარი ფონდის შექმნა. ამ საქმეს განყოფილება შეუდგა მთელი თავისი შემადგენლობით 1928 წლის იანვარში: ორი თანამშრომელი აწარმოებდა ხსენებული მიწერ-მოწერის გამოყოფას ძველი საბუთებიდან [1] და ამ საბუთების აღრიცხვას შავად, ხოლო მესამე სწერდა აღნიშნულ საბუთებს სპეციალურად ამისათვის დამზადებულ ცალკე დავთარში. საქმე დასრულებულ იქნა ერთ წელიწადში – 1928 წლის დეკემბერში. ამ ხნის განმავლობაში ინვენტარულად აღწერილ იქნა მთელი ფონდი; სულ აღმოჩნდა 9065 საბუთი და მათი პირი (ძველი და ახალი მოგროვილი). აღწერის დამთავრების შემდეგ თვითოეული საბუთი მათი უკეთესი დაცვის მიზნით მოთავსებულ იქნა ცალკე კანში; მერმე, თვითოეული ხუთი ათეული (50 ცალი) შეიკრა ცალკე ნაკრაულად და ბოლოს, ყველა ისინი დალაგდა რკინის შკაფებში (ახალი შენობა) ნუმერაციის მიხედვით.

1929 წლის იანვრიდან განყოფილება შეუდგა მთავარ-საისტორიო არქივის საგლეხო შეკრებულობის საქმეებიდან ძველი საბუთების ამოკრებას. საქმე დასრულებულ იქნა იანვრის ბოლოს. ხსენებული საქმეებიდან სულ ამოღებულ იქნა 616 საბუთი. ესენი უმეტესი ნაწილი ნასყიდობის წიგნებია, მათში ორი ეტრატზე არის ნაწერი: ერთი 1698 წლისაა, მეორე მე-XVIII ს-სა.

---

[1] ძველი საბუთებიდან გამორიცხული მიწერ-მოწერა აღწერილი იქნება ცალკე დავთარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზემოდასახელებული, ინვენტარულად უკვე აღწერილი და წეს-რიგში მოყვანილი ძველი საბუთების სისტემატიური აღწერა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა, რადგანაც აღწერისათვის საჭირო ზარა-თების დასაზღვევი თანხა (500 მანეთამდე) არქივს ამ ჟამად არა აქვს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხსენებული ძველი საბუთები დღეს სათანადოდ ვერ არის დაცული. ისინი შენახულია ახლად აგებულ შენობაში, რომელსაც დადებით მხარესთან (უზრუნველყო-ფილია ცეცხლისაგან) ერთად დიდი ნაკლიცა აქვს—იგი ნესტიანია. ნესტის გავრცელებას ხელს უწყობს სინათლის ნაკლებობა (მცირე და ვიწრო სარკმელები) და ვენტილიაციის უქონლობა და სხვ.. ეს ცხადად მოწმობს საბუთების დაცვის მოუწყობლობას.

გარდა ამისა, უძველესი ხანისა და მეტისმეტად მნიშვნელოვანი საბუთები, როგორიც არის მაგ. თამარ მეფის სიგელი გელათისადმი, დავით აღმაშენებელის სიგელი არიშიანისადმი და სხვ., მკვლევართა მიერ სარგებლობის დროს რომ არ დაზიანდეს და უკეთესად დაცუ-ლი იქნეს, განყოფილებას უნდა ჰქონდეს მათი ფოტოგრაფიული პი-რები [1], რომლითაც ისარგებლებს მკვლევარი და თვით დედნის ნა-ხვა კი ნებადართული უნდა იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ამას მოი-თხოვს აუცილებელი საჭიროება; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საბუ-თები ძლიერ მალე დაზიანდება და მოისპობა.

2. ძველი საბუთების პირების ფონდი შეიცავს ძვე-ლი საბუთების პირებს, გადმოწერილს ცალკე დავთრებში საქართ-ველოს უზენაეს მართებლობის ბრძანებით და აგრეთვე ძველი საბუ-თების ამონაწერებს (რეგესტები) ცალკე დავთრებშივე, შესრულე-ბულს სასინოდო კონტორის მიერ. საბუთების პირების დავთრები ძვე-ლად ყოფილა 65, დღეს კი გადარჩენილია 56; დანარჩენი დაღუპუ-ლა არქივში გადმოტანამდე. საბუთების ამონაწერების დავთრებიდან დღეს შენახულა დიდი დავთარი 1 და რვეულები 6; სულ 7 ცალი. დანარჩენი ჯერ არსადა სჩანს; შესაძლებელია იგინი აღმოჩნდეს ხსე-ნებული სასინოდო კონტორის არქივში, რომელიც ჯერ აღწერილი არ არის. ორივე ნაწილის (საბუთების პირებისა და საბუთების ამო-ნაწერების) დავთრები აღწერილია მხოლოდ ინვენტარულად. დავ-თრებში მოთავსებული პირებისა და ამონაწერების ინვენტარულ აღ-წერას განყოფილება შეუდგა ამა წლის თებერვალში.

---

[1] ცენტრალურ საარქივო სამმართველოს განზრახული აქვს ასეთი პირების დამზადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



3. ძველი ხელნაწერი წიგნების ფონდი შეიცავს ძველ ხელნაწერ წიგნებს ქართულსა და სხვ. ენებზე მე-X ს-დან მოკიდებული მე-XIX ს-მდე. მათი ერთი ნაწილი, 148 ცალი, მოგროვილია ჩემ მიერ ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრებიდან (ბოდბე და სხვ.) და კერძო პირთაგან (ვლ. ხელაშვილი და სხვ.) 1923—1925 წლებში; მეორე ნაწილი, 100 ცალი, ჩამოტანილია რუსეთიდან შ. ჩხეტიას მიერ 1925 წელს, მესამე ნაწილი შეძენილია ფულად: პოლ. კარბელაშვილისაგან (70-მდე), ვას. კარბელაშვილისაგან (35) და სხვ. პირთაგან; ერთი ნაწილიც შემოწირულია სხვადასხვა პირთა მიერ. არის ხელნაწერები ყველა დარგიდან: ფილოსოფია, ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა, ღვთისმეტყველება, მედიცინა და სხვ.; უმეტესი ნაწილი ნაწერია ქაღალდზე და ერთი მცირე ნაწილი ეტრატზე. დღეს ფონდში არის ხელნაწერი წიგნები: ქართული 526, რუსული 8, ებრაული 2, არაბულ-სპარსული 4.

ფონდი აღწერილია მხოლოდ ინვენტარულად.

4. ძველი სტამბის წიგნების ფონდი შეიცავს წიგნებს ქართულსა, რუსულსა და სხვა ენებზე, დაბეჭდილს ტფილისს, ქუთაისს, მოსკოვს, კრემენჩუგს, ვენეტიკსა და სხვა ადგილებში 1709 წლიდან (ვახტანგ VI სტამბა) მოკიდებული მე-XIX ს-ს 40-იან წლებამდე. ქართული წიგნები მოგროვილია ჩემ მიერ ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრებიდან და კერძო პირთაგან 1923 — 1925 წლებში: რუსული და სხვა წიგნები განყოფილებას გადმოეცა არქივის წიგნთსაცავიდან 1928 წლის იანვარში. დღეს არის წიგნები: ქართული 105, რუსული 99, ფრანგული 3, არაბული 3, გერმანული 1.

ფონდი აღწერილია ინვენტარულად.

5. განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეების ფონდი შეიცავს საქმეებს, რომლებიც აღებულია სხვადასხვა ფონდებიდან (უზენაეს მართებლობისა, მეფის მოადგილის და გუბერნატორის კანცელარიებისა და სხვ.). ხსენებული საქმეები შეგროვილია იმგვარადვე, როგორც ძველი საბუთების პირველი წყება, რომელიც ზემოთ ავსწერე. 1922 წლიდან დაწყებული არქივების გადარჩევისას მომუშავენი ხელთმოხვედრილ ფრიად მნიშვნელოვან საქმეებს მათი დაცვის მიზნით აგროვებდნენ ერთ შკაფში, რომელიც იდგა ძველი საბუთების შკაფის გვერდით. ძველი საბუთების განყოფილების დაარსებისას ხსენებული საქმეები მათი უკეთესი დაცვის მიზნით დროებით ამ განყოფილებაშივე იქნენ დატოვებული. სულ არის 239

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქმე. მათში აღსანიშნავია საქმეები: 1) მეფისძე ალექსანდრესი (№ 2); 2) იმერეთის აჯანყებისა 1819 წ. (№ 4); 3) საქართველოს აჯანყებისა 1832 წ. (№№ 163—170); 4) სვანეთის აჯანყებისა (№ 114); 5) ეგზ. ნიკონის მკვლელობისა (№№ 229—231) და სხვ.

ფონდი სრულ წესრიგშია მოყვანილი და მკვლევართათვის ხელმისაწდომია.

6. კათოლიკოზ კირიონის პირადი არქივი ცენტრარქივს გადმოსცა კირიონის ყოფ. პირადმა მდივანმა იოსებ ჩიჯავაძემ 1927 წლის სექტემბერში; იგი შეიცავს კირიონის თხზულებებს, რომელნიც შესწორებული და შევსებულია მრავალი დამატებებით და გამზადებულია ხელახალ დასაბეჭდად. გარდა ამისა, აქ არის მიწერ-მოწეოა და სხვ. საარქივო მასალა 1910 — 1919 წლებისა. ფონდი სრულ წესრიგშია მოყვანილი (შეიცავს 84 საქმეს) და ხელმისაწდომია მკვლევართათვის.

7. ქართველ ემიგრანტთა და სამხედრო ტყვეთა საქმეების ფონდი შეიცავს მიწერ-მოწერას იმ მოქმედებისა, რომელსაც აწარმოებდენ ქართველი ემიგრანტები უკანასკნელი ომის (1914—1917) განძავლობაში დას. ევროპასა და სხვა ქვეყნებში მყოფ ქართველ ტყვეთა შორის და სხვ.; ფონდი ცენტრარქივს გადმოსცა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმმა 1927 წ, ივნისში; საქმეების ერთი ნაწილი სრულ წესრიგშია მოყვანილი და ხელმისაწდომია მკვლევართათვის, ხოლო მეორე ნაწილი ჯერ ჯერობით მხოლოდ ინვენტარულად არის აღწერილი.

8. სვიმონ ესაძის პირადი არქივი ცენტრარქივს გადმოსცა განსვენებულის ქვრივმა 1927 წლის ნოემბერში; იგი შეიცავს საარქივო მასალებს, ამოწერილს სხვადასხვა არქივებიდან, პირად ნაწერებს და ნაბეჭდ წიგნებს. ფონდი ჯერ-ჯერობით აღწერილი არ არის. მუყაით მუშაკს მრავალი ძვირფასი მასალა უნდა ჰქონდეს მოგროვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. მ. პოლიევქტოვი

# მთავარი საისტორიო არქივი.

1927 წლის თებერვლიდან დაიწყო დაყოფა ცალკე „არქივებად“ იმ საარქივო ფონდებისა, რომელნიც იმყოფებიან საქართველოს ს.ს.რ. ცენტრარქივის გამგებლობაში. ამ დაყოფამ რამოდენიმეჯერ განიცადა ცალკე ნაწილობრივი ცვალებადობა და ახლა უკვე დამთავრებული და ძალაშიც შესულია. ამასთანავე, ასე თუ ისე, მტკიცედ ჩამოყალიბდა მთავარი საისტორიო არქივი თავის სტრუქტურით და თავის ფონდების შემადგენლობით. ეს არქივი ყველაზე ადრე იქნა გამოყოფილი განსაკუთრებულ „არქივთსაცავად“[1].

როგორც საერთო წესი, მთავარ საისტორიო არქივში, თავს იყრის უმთავრესად რუსულ ენაზე ნაწერი მასალა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან რევოლიუციამდე (საქართველოში რუსეთის მეფის ძალაუფლების დამკვიდრებიდან 1917 წლამდე). ბოლო ხანების მასალა შედის ან საისტორიო-სარევოლიუციო არქივში (1921 წლამდე—საქართველოს გასაბჭოების წელი), ან საბჭოთა არქივში, სადაც თავს იყრის მომქმედ საბჭოთა უწყებების საარქივო მასალა, თუმცა თუ ესა თუ ის საარქივო ფონდი, 1921 წლამდე შეგროვილ მასალებს ეკუთვნის და თავის მთავარ შინაარსით რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიისათვის ინტერესს წარმოადგენს,—ის მაშინ მთავარ საისტორიო არქივიდან საისტორიო-სარევოლიუციო არქივში გადადის. ეს გამიჯვნა ორი დასახელებული არქივისა, როგორც ცენტრარქივის სხვა დანარჩენ ცალკე არქივთსაცავებისა, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის დამთავრებული და მთავარ საისტორიო არქივში დარჩენილია კიდევ ისეთი საარქივო მასალა, რომელიც არც ქრონოლოგიურად და არც თემატიურად არ შეესაბამება ამ არქივთსაცავის ძირითად შინაარსს.

---

[1] ეს წერილი შედგენილია უმთავრესად საქ. ს.ს.რ. ცენტრარქივის „ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდის“ დავთრისა, მთავარ საისტორიო არქივის ინვენტარებისა და აგრეთვე კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის არქივის ზოგიერთ დოკუმენტების მიხედვით. მითითება ამ უკანასკნელ დოკუმენტებზე მოცემულია თავის ადგილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მთავარ საისტორიო არქივში გაერთიანებულია ცალკე საუწყებო არქივები, უმთავრესად თებერვლის რევოლიუციამდე არსებულ დაწესებულებებისა, რომელნიც იმყოფებოდენ ტფილისში და აგრეთვე არქივები არა ტფილისის დაწესებულებებისა, რომელნიც მოხვდენ აქ იმპერიალისტურ ომის და რევოლიუციის დროს. ძირითად ფუძეს მთავარ საისტორიო არქივისას შეადგენს კავკასიის მეფის მოადგილისა, უმაღლეს სამოქალაქო დ ნაწილობრივ კავკასიის სამხედრო მმართველობის არქივი, რომელიც თავის მხრივ შესდგება ორი გაერთიანებული არქივიდან: ერთი, რომელიც აღმოცენდა რუსეთის ძალა-უფლების დამყარების პირველ წლებში—მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში,—კავკასიის მეფის მოადგილის (Наместник Кавказский) მთავარ სამმართველოს არქივი[1], და მეორე, რომელიც აღმოცენდა კავკასიის მეფის მოადგილის თანამდებობის გაუქმების დროს 1881 წელს, სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებლის არქივი და მისი იმპერ. უდიდ. მეფის მოადგილისა კავკასიაში[2]. მეფის მოადგილის არქივთან ერთად მთავარ საისტორიო არქივის მეორე დიდ ნაწილს წარმოადგენს საქართველო — იმერეთის სინოდალურ კონტორის, ე. ი. საქართველოს საეგზარხოსოს მთავარმართველობის არქივი.

ეს საეგზარხოსო, როგორც ვიცით იყო მართლმადიდებლობის ეკლესიის უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება მთელ ამიერ-კავკასიაში,—1894 წლამდე კი ეს ხელისუფლება ვრცელდებოდა რამოდენიმეთ ჩრდილოეთ კავკასიაზედაც (თერგის და დაღესტანის ყოფილ ოლქებში).

უწყებათა არქივების *პირველ* ჯგუფს შეადგენს ეს ორი *არქივი კავკასიის უმაღლეს მართველობისა*, რომელიც

[1] 1845 წლამდე ამ არქივს ეწოდებოდა მთავარმართებლის კანცელარიის არქივი, შემდეგში 1854 წ. —კავკასიის მეფის მოადგილის კანცელარიის არქივი. ამ არქივის შესახებ იხ. ვ. იკონნიკოვი, Опыт русск. историографии.—ტ. I. 512 გვ.

[2] 1904 წელს დაარსებული „მეფის მოადგილე კავკასიაში“ („Наместничество на Кавказе“) და „კავკასიის მეფის მოადგილე“ („Кавказское Наместничество“) უნდა ერთმანეთისაგან გავარჩიოთ. 80-იან წლების შავ-ბნელი რეაქციის დროს, რუსეთის მეფის მთავრობა ვერ ურიგდებოდა იმისთანა საუწყებო „ავტონომიას“, როგორიც იყო მეფის მოადგილეობა. 1881 წელს კავკასიის მეფის მოადგილის თანამდებობა გაუქმებულ იქნა და მის მაგიერ დაწესდა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარგამგებლის თანამდებობა, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ დამოუკიდებლობას და ცენტრიდან იღებდა განკარგულებებს. 1904 წელს დაწესებულმა მისი იმპერატორობითი უმაღლესობის მოადგილეობამ კავკასიაში, არაფერი ცვლილება არ შეიტანა ამ შემთხვევაში. იხ. ამის შესახებ Н. Николадзе, Управление Кавказом (Русская воля, 1917, № 12).

ეროვნული ბიბლიოთეკა



მთავარ საისტორიო არქივში შევიდა. მეორე ჯგუფს შეადგენს ტფილისის გუბერნიის დაწესებულებათა სხვადასხვა არქივები, როგორც მაგალ.: საგუბერნიო მართველობისა, გუბერნატორის კანცელარიისა, სახაზინო პალატისა, ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსი, სახალხო სკოლების დირექციისა და სხვა, და აგრეთვე კავკასიის და ამიერ-კავკასიის ოლქების სხვადასხვა არქივები [1], რომელთა მართველობა იმყოფებოდა ტფილისში, როგორც კავკასიის მთავარ ადმინისტრატიულ ცენტრში. აქვე შეიძლება მიემატოს არქივები: კავკასიის რკინის გზათა და კავკასიის მიწათმომქმედების მთავარ სამმართველოსი.

ამ მეორე ჯგუფს მისდევს მესამე—უფრო მცირე სიდიდით დ უფრო მრავლად დანაწილებული შემადგენლობით. ესენი არიან ტფილისის არქივები, თუ ასე შეიძლება ითქვას, ტერიტორიული დ საუწყებო მცირე მოცულობით: მთავრობის უწყებათა ტფილისის ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებათა არქივები, მაგალ., პოლიციისა, წოდებათა (თავად-აზნაურობის, ვაჭრების) არქივები, ტფილისისა და ტფილისის გუბერნიისა, კერძო ბანკების არქივები, სხვადასხვა საზოგადოებათა (აქციონერთა, საქველმოქმედო საზ.) და აგრეთვე კერძო პირთა არქივები.

მეოთხე ჯგუფს შეიძლება მივაკუთნოთ იმ უწყებათა არქივები, რომელნიც წინათ ტფილისში არ იყო, მაგალ.,—ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ დაწესებულებათა არქივები (საგუბერნიო მართველობისა, სახაზინო პალატისა დ სხვ.) დ რამდენიმე არქივი ტფილისის გუბერნიის სამაზრო მართველობისა. აგრეთვე არქივები იმ დაწესებულებათა, რომელთა ლიკვიდაცია რევოლიუციამდე მოხდა, მაგალ.,—არქივი კავკასიის საზოგადოებრივ მზრუნველობის დაწესებულებებისა, (приказа общественного призрения), რომელიც დაიხურა 1884 წელს და სისხლის და სამოქალაქო სასამართლოს ტფილისის პალატის არქივი, რომელიც დაიხურა 1868 წელს, როცა კავკასიაში შემოღებულ იქნა სასამართლოს წესდება 1864 წელს.

ბოლოს, მეხუთე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ის არქივები, რომელნიც ინახებიან მთავარ საისტორიო არქივში, ალბათ დრო-

---

[1] ყოფილ რუსეთის იმპერიაში ოლქები ეწოდებოდა ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულს, რომელიც არსდებოდა ყოველ ცალკე დარგის მართველობისათვის და რომელიც რამდენიმე გუბერნიას შეიკავდა. სხვადასხვა დარგის მართველობისა და ოლქების საზღვრები ხშირად ერთ ფარგალში არ თავსდებოდა. ასეთი ოლქები უნდა გარჩეულ იქნას საზოგადო ადმინისტრატიულ ოლქებისაგან.

ბით, სანამ საბოლოოდ და სისტემატიურად განაწილდებოდეს ცენტრარქივის სხვადასხვა არქივთსაცავებში და არც ქრონოლოგიურად და არც თემატიურად ისინი არ შეესაბამება მთავარ საისტორიო არქივის ძირითად შინაარსს. უმთავრესად ეს არქივები იმპერიალისტურ ომის და რევოლუციის ხანას ეკუთვნიან — მაგალ. რუსეთის ქალაქთა კავშირისა კავკასიაში, რუსულ ეროვნულ საბჭოსი, ცალკე სამინისტროებისა და სხვა დაწესებულებათა; აგრეთვე არქივები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა და სხვა.

ამ არქივების დიდი ნაწილი მთავარ საისტორიო არქივში უშუალოდ კი არ შემოსულან თავის ადგილებიდან, ასე ვთქვათ, მშვიდობიანი გზით, არამედ მათ გამოიარეს ბევრი დაბრკოლება და არევ-დარევა სანამ საისტორიო არქივში მოხვდებოდენ. ამ არევდარევამ, რაც ომის და რევოლუციის დროს აუცილებელია, — რასაკვირველია, არქივებს თავისი დაღი დააჩნია და ზოგჯერ ისეთი დაღი, რომელიც გაუკურნებელია. ყველაზე საბედისწერო ამ შემთხვევაში, იყო კავკასიის მეფის მოადგილის არქივისა და ზოგიერთ ტფილისის სხვა დიდ დაწესებულებათა არქივების ევაკუაცია (საქართველო-იმერეთის სინოდალურ კონტორისა, საზოგადოებრივ მზრუნველობის დაწესებულებისა და სხვ.) ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც მოხდა 1915 წელს მსოფლიო ომის დროს, რა დროსაც ეს არქივები ძლიერ დაზარალდენ.

1923 წელს, ამ არქივების უკან დაბრუნების შემდეგ, ისინი მოხვდენ ცენტრარქივში „ძლიერ ფრაგმენტიული სახით“ [1] ასეთი მდგომარეობა მით უმეტეს საჭიროთ ხდიდა ამ არქივების კონცენტრაციას და ერთი სისტემით შენახვის, წესრიგში მოყვანის და დამუშავების აუცილებლობას, რაც ცხადია, შესაძლებელია მხოლოდ ერთი სისტემის და ერთიანი საარქივო მართველობის დროს. საქართველოს ცენტრარქივის მთავარი საისტორიო არქივი, ამ შემთხვევაში, შეიძლება სანიმუშო მაგალითი იყოს საარქივო ცენტრალიზაციის უპირატესობისა.

მთავარ საისტორიო არქივში თავმოყრილია ამ ჟამად 63 ცალკე არქივი. [2] ყველა ეს არქივები — საქართველოში საარქივო ცენტ-

[1] იხ. ამის შესახებ М. В. Клочков, Судьба Кавказского наместничьего архива. (საისტორიო მოამბე 1925 წ. I).

[2] საქართველოს ს. ს. რ. ცენტრარქივის მთავარი საისტორიო არქივი, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის საქმეები №№ 150 (არქივების გამოკვლევის და დათვალიერების ქაღალდები) და 162 (კავკასიის და ამიერ-კავკასიის მდგომარეობა: ქ. ტფილისი და ტფილისის გუბერნიაში).

რალიზაციის გატარებამდე იმყოფებოდენ სხვადასხვა დაწესებულებათა განკარგულებაში, რაც აფერხებდა მათ სარგებლობის შესაძლებლობას, რადგან გაფანტული იყნენ სხვადასხვა შენობებში, არ იყნენ დაზღვეული სხვა დასხვა სახიფათო გარემოებიდან და არც მატერიალურად უზრუნველყოფილი — ამ ჟამად გაერთიანებულია მთლიან არქივთსაცავში. ეს გაერთიანება ხდება ძველი ფონდური სისტემით: ყოველი დაწესებულების არქივი შედის მთავარ საისტორიო არქივში მთლიანობის დაურღვევლად და აქ ღებულობს თავის განსაკუთრებულ ადგილს, იწერება ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის დავთარში —მისი მიღების დროის, მიღების წესის და იმ მდგომარეობის აღნიშვნით, როგორშიც ის იყო მიღების დროს. ამავე დავთარში იწერება ყველა ცნობები იმ მუშაობის შესახებ, რომელიც ჩატარებულია მთავარ საისტორიო არქივში ამ არქივის შესახებ ე. ი. მისი წესრიგში მოყვანა, ინვენტარიზაცია და სხვ. ყველა ეს არქივები დაყოფილი არიან ცალკე საარქივო ფონდებად. ამასთან ზოგიერთი ასეთი ფონდი მთლიანად შეიცავს ამა თუ იმ არქივს, ზოგ შემთხვევაში კი, მხოლოდ რომელიმე მის ნაწილს, მაგრამ არა ხელოვნურად გამოყოფილს, არამედ შეფარდებულს იმ ნაწილებთან, რომლისაგანაც ორგანიულად მუშავდებოდა სტრუქტურა დაწესებულებისა, რომელმაც თავის მოქმედების დროს გამოჰყო არქივი. საერთო რიცხვი ასეთი ფონდებისა, რომელნიც მოხვდნენ მთავარ საისტორიო არქივში, ზოგიერთ ცალკე ხელოვნურად შეერთებული ერთგვარი დოკუმენტების მიმატებით, — უდრის 216. ამ ფონდების საშუალებით მიმდინარეობს მთავარ საისტორიო არქივში მთელი მუშაობა საარქივო მასალის წესრიგში მოყვანისა, გარჩევისა და ინვენტარიზაციისა.[1] ძველი არქივების ერთ არქივთსაცავში მოთავსება, მათი ერთ შენობაში დაგროვება, — ერთ გამგებლობის ქვეშ — ამ არქივებით სარგებლობას აადვილებს და იძლევა ერთნაირ სისტემით დამუშავების შესაძლებლ-

[1] შინაგანი მუდმივი დანაწილება განყოფილებებათ მთავარ საისტორიო არქივს არ აქვს, ხოლო მუშაობა ცალკე ფონდების წესრიგში მოყვანისა სწარმოებს რამდენიმე „დაყოფად", მაგალ. მეფის მოადგილის ფონდები, სამღვდელო და სხვა), რომელიც ცენტრარქივის მიერ, ყოველი საპერსპექტივო პერიოდის დროს მუშავდება და რომელიც გრძელდება სამი თვე. ფაქტიურად, ვინაიდან ცალკეულ ფონდის მუშაობა იშვიათად თავდება სამ თვეში, ფონდების სიდიდის გამო, ერთი საპერსპექტივო პერიოდიდან ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც, გადადის შემდეგ პერიოდში. ხოლო ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის არქივის მიმდინარე მუშაობის „დაყოფა" და არა მუდმივი მის შემადგენლობაში მყოფ ფონდების" დაყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ობას. ცნობები, რომელიც მოთავსებულია ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის დავთარში, — ასეთი მუშაობისთვის დაუფასებელია და ყოველ ცალკე შემთხვევაში საშუალებას იძლევა მთლიან გარკვევისათვის. ცალკე ფონდების საარქივო მასალების ინვენტარიზაცია შესაძლებლობას იძლევა თვითეულ ასეთ ფონდის შინაარსის ადვილათ გაცნობისათვის და ხელს უწყობს საჭირო მასალების ადვილად პოვნას.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მცირე სახსარს, რომელიც საქართველოს ცენტრარქივის განკარგულებაშია და რომლის ბიუჯეტზედაც იმყოფება მთავარი საისტორიო არქივი, აგრეთვე მომუშავეთა მცირე შემადგენლობას და შენობის სივიწროვეს —უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ცენტრარქივის შვიდი წლის არსებობის შემდეგ, მთავარი საისტორიო არქივის წესრიგში მოყვანა, გარჩევისა და ინვენტარიზაციის საქმე,—შესამჩნევად წინაა წასული. მთავარ საისტორიო არქივის 216 ფონდიდან სავსებით გაურჩეველია, ე. ი. იმყოფება იმ მდგომარეობაში, როგორშიც იყო აქ მოტანამდე,—მხოლოდ—13 ფონდი, წინასწარ ქრონოლოგიურ წესრიგში, რაც მათი სარგებლობის შესაძლებლობას იძლევა, თუმცა დაბრკოლებით,—მოყვანილია 97 ფონდი. იმ პირობებში, როგორშიაც აქ მოტანის დროს იყო ღ მხოლოდ ჩაბარების აღწერები აქვს, დარჩენილია—19 ფონდი. მთლიან წესრიგში მოყვანილია და ინვენტარში შეტანილია, რაც უკვე სავსებით იძლევა მათი სარგებლობის შესაძლებლობას,—87 ფონდი. ამს უნდა დაურთოთ, რომ უკანასკნელთა რიცხვში შედის 22 ფონდი, რომელსაც პირადი და საგნობრივი მაჩვენებელიც აქვთ.

ქვევით ჩვენ ვიძლევით მთავარ საისტორიო არქივის ფონდების სისტემატიურ განხილვას, იქვე ვაჩვენებთ მათი შინაგან საარქივო დამუშავების რაოდენობას. ამ განხილვაში ნაჩვენები ფონდები დალაგებულია შემდეგ მთავარ წყობად: 1) უმაღლესი სამხედრო სამოქალაქო და სასულიერო მართველობა კავკასიაში და კავკასიის გარეთ. 2) საოლქო მართველობანი კავკასიაში. 3) საგუბერნიო მართველობა. 4) სამაზრო მართველობა. 5) ქალაქის მართველობა. 5) წოდებრივი ორგანიზაციები. 7) საზოგადოებრივი ორგანიზაციები. 8) საწარმოო დაწესებულებანი. 9) კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი. 10) ცალკე ფონდები (ნაწილობრივ მთავარ საისტორიო არქივში შედგენილი). 11). ფონდები, რომელიც დროებით ინახებიან მთავარ საისტორიო არქივში (სანამ გადატანილ იქნებიან ცენტრარქივის სხვა არქივთსაცავებში). ფონდის სათაურები მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცემულია „ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის“ დავთრის მიხედვით. მხოლოდ ზოგიერთ ალაგას სარედაქციო შესწორებით. ზოგიერთ რამდენიმე ფონდისათვის საერთო სათაურები იბეჭდება ცალცალკე ამ ფონდების თავში და შემდეგ, ყოველ ასეთი ცალკე ფონდის წინ აღარ მეორდება.

სათაურების ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ნიშნავს ქრონოლოგიას, ხანდახან დაახლოებით, სახელწოდების წინ მარჯვნივ დასმული პირველი ციფრი —ნიშნავს ამ განხილვის რიგის ნომერს, მეორე—(ფრჩხილებში) ნიშნავს ნომერს ერთიან სახ. საარქივო ფონდის დავთრის მიხედვით. ფონდის დამუშავების რაოდენობა აღნიშნულია 5 ბალიანი სისტემით (ფონდის მარცხნივ). **1**—ნიშნავს დაშლილ ფონდს. **2**—მოყვანილია წინასწარ ქრონოლოგიურ რიგში. **3** — რომელსაც აქვს ჩაბარების აღწერა. **4**—საბოლოოდ მოყვანილია წესრიგში და ჩაწერილია ინვენტარში. **5**—რომელსაც ინვენტარის გარდა აქვს სარჩევი. ფონდი, რომელიც ამ ჟამად დამუშავებაშია, აღნიშნულია ნაწილაკებით.

ასეთია საქართველოს ს. ს. რ. ცენტრარქივის მთავარ საისტორიო არქივის ახლანდელი მდგომარეობის გარეგნული სურათი. უფრო ღრმა დახასიათება მისი შესაძლებელია მხოლოდ მისი ფონდების შინაარსის შესწავლის შემდეგ. ასეთი შესწავლის შემდეგ შეიძლება შეიცვალოს არა მარტო ფონდების სათაურები, არამედ მათი დაყოფაც და დაჯგუფებაც. უმთავრესად—შესაძლებელი გახდება ამორჩენა და სათანადო შეფასება იმ მეცნიერული სიმდიდრისა, რომელიც დაფარულია ამ არქივთსაცავში. მთავარი საისტორიო არქივის ფონდების შინაგანი შინაარსის ასეთი დამუშავება, ინვენტარიზაციის მუშაობის გაგრძელებასთან ერთად, შეტანილია ამ არქივის სამუშაო გეგმის რიგში.

## მთავარ საისტორიო არქივის საარქივო ფონდების მიმოხილვა.

### I. Высшее, гражданско-военное и духовное управление на Кавказе и за Кавказом.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | (1). | Верх. груз. прав. (1803—1840) | Правитель Грузии | 2. |
| 2 | (2). | | Общее собрание | 2. |
| 3 | (7). | | Прокурор верховного грузинского правительства | 2. |
| 4 | (5). | | Казенная экспедиция | 2. |
| 5 | (4). | | Горная экспедиция | 2. |
| 6 | (6). | | Гражданская экспедиция | 2. |
| 7 | (3). | | Суд и расправа | 2. |

ეროვნული
ბიბლიოთეკა



8 (8). Канцелярия главноуправляющего Грузией (1800—1840) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2/4.

9 (9). Начальник главного управления закавказским краем (канцелярия главного управления закавказским краем) (1835—) . . . . . . . . . . . . . . . . 2/4.

10 (10). Начальник гражданского управления закавказским краем . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4.

11 (171). Комиссия об устройстве г. Тифлиса (1827—1846) . 2.

12 (170). Комиссия об устройстве городов Грузии (1836—1838) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.

13 (173). Комсссия для открытия казенных имений, захваченных частными лицами (1822, 1823, 1824 и 1831) . 2.

14 (30). Канцелярия наместника кавказского (1846—1882) 2/4.

15 (11). Канцелярия совета наместника кавказского (1859—1867) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4.

16 (12). Канцелярия начальника главного управления наместника кавказского (1838—1884) . . . . . . . 4.

17 (28) Департамент общих дел при главном управлении наместника кавказского (1846—1868) . . . . . . 2/4.

Департ. глав. упр. нам. кавказского:

18 (13). Отдел инспекторский (1875—1883) . . . . . 4.

19 (14). Отдел горский (1855—1874) . . . . . . . 4.

20 (15). Отдел податной (1875—1883) . . . . . . . . 4.

21 (16). Отдел распорядительный (1847—1883) . . . 4.

22 (17). Отдел казенных сборов (1881—1883) . . . . 4.

23 (18). Отдел земский (1870—1887) . . . . . . . . 4.

24 (19). Отдел финансовый (1859—1883) . . . . . . 4.

25 (20). Отдел судебный (1865—1882) . . . . . . . 4.

26 (21). Дела без наименования отдела (1863—1882) . 2.

27 (27). Департамент судебных дел при главном управлении наместника кавказского (1850—1867) . . . . . . 4.

28 (26). Департамент финансовый при главном управлении наместника кавказского (1845—1863) . . . . . . . 2.

29 (23). Экспедиция государственных имуществ при главном управлении закавказского края (1847—1859) . . . 4.

30 (24). Департамент государственных имуществ при главном управлении наместника кавказского (1858—1867) . 4.

31 (25). Управление государственными имуществами при главном управлении наместника кавказского (1855—1882) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4.

32 (22). Департамент внешней торговли при главном управлении наместника кавказского (1843—1845) . . . 4.

33 (29). Дипломатическая канцелярия главноуправляющего закавказским краем и наместника кавказского (1824—1904) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4/5

ეროვნული ბიბლიოთეკა



34 (70). Управление сельского хозяйства и колоний иностранных поселений на Кавказе и за Кавказом (1855; 1858—1863) . . . . . . . . . . . . . . . . . 2.

35 (74). Немецкие колонии (1830—1870) . . . . . . . . 2.

36 (68). Управление сельского хозяйства и промышленности на Кавказе и за Кавказом (1859—1863) . . . . . 4.

37 (69). Особое о земских повинностях присутствие (1849; 1851—1858) . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.

38 (65). Временное отделение по делам гражданского устройства Кавказа и закавказского края (1858—1867) . 4.

39 (75). Казачьи станицы и станичные правления (1860—1880) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.

40 (79). Кавказское горское управление (1853—1880) . . 2.

41 (67). Комиссия по разсмотрениию грузинских царских грамот . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.

42 (172). Комиссия для разграничения и устройства предместий г. Тифлиса (1846—1864) . . . . . . . . . . . 2.

43 (66). Комиссия по делам устройства крестьян при главном управлении наместника кавказского . . . . 4.

44 (72). Комиссия по устройству поселений в закавказском крае . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.

45 (71). Техническая канцелярия строительно-дорожного комитета при главном управлении наместника кавказского (1865—1883) . . . . . . . . . . . . . 2.

46 (73). Комитет по переселению христиан из Турции . . 2.

Канцел. главноначальств. гражд. частью на Кавказе:

47 (32). Отделение секретаря (1883—1905) . . . . . 4.

48 (38). Отделение общих дел 1882—1906) . . . . . 5.

49 (37). Отделение распорядительное (1881—1905) . . 5.

50 (35). Отделения: финансовое, счетное и бухгалтерии (1883—1913) . . . . . . . . . . . . . 5.

51 (36). Отделение хозяйственное (1891—1905) . . . . 5.

52 (34). Отделение инспекторское (1882—1897) . . . 5.

53 (31). Отделение судебное (1882—1905) . . . . . . 4.

54 (39). Отделение земское (1876—1904) . . . . . . 4.

55 (40). Отделение крестьянское (1883—1905) . . . . 4.

56 (33). Отделение переселенческое (1904—1912) . . . 4.

Канц. наместника на Кавказе:

57 (42). Отделение секретаря (1904—1917) . . . . . 5.

58 (44). Отделение общих дел (1889—1917) . . . . . 5.

59 (47). Отделение распорядительное (1904—1908) . . 5.

60 (55). Отделение административное (1908—1918) . . 5.

61 (50). Отделение счетное (1906—1918) . . . . . . 5.

62 (45). Отделение финансовое (1909 1917) . . . . . 5.

63 (46). Отделение финансовой бухгалтерии (1903—1917) . . . . . . . . . . . . . . . 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა



| | | | |
|---|---|---|---|
| | | **Канцелярия наместника на Кавказе:** | |
| 64 | (54). | Отделение инспекторское (1905—1917) . . . | 5. |
| 65 | (57). | Отделение судебное (1904—1918) . . . . . . | 5. |
| 66 | (43). | Отделение местного хозяйства (1909—1917) . | 5. |
| 67 | (51). | Отделение земское (1902—1917) . . . . . . | 5. |
| 68 | (49). | Отделение земской бухгалтерии (1902—1917) | 5. |
| 69 | (48). | Отделение крестьянско-поземельное (1898—1917) . . . . . . . . . . . . . . . . . | 5. |
| 70 | (53). | Отделение торгово-промышленное (1907—1916) | 5. |
| 71 | (52). | Отделение духовных дел (1912—1913) . . . . | 5. |
| 72 | (59). | Отделение ссудосберегательных касс (1908—1914) . . . . . . . . . . . . . . . . . | 4. |
| 73 | (56). | Отделение пенсионное (1908—1918) . . . . . | 4. |
| 74 | (60). | Главный комитет по устройству Политехникума в Тифлисе (1906—1914) . . . . . . . . . . | 4. |
| 75 | (58). | Типография канцелярии наместника на Кавказе (1905—1907; 1911—1917) . . . . . . . . . . | 4. |
| 76 | ($58_1$). | Газетный стол канцелярии наместника на Кавказе. | 4. |
| 77 | ($58_2$). | Архив при канцелярии наместника на Кавказе . . | 4. |
| 78 | (61). | Член совета наместника на Кавказе от: 1 Министерства финансов и 2 Министерства торговли и промышленности (1905—1917) . . . . . . . . . | 4. |
| 79 | (62). | Чиновник Министерства Иностранных Дел при наместнике на Кавказе для пограничных сношений (1900—1913) . . . . . . . . . . . . . . . . | 4. |
| 80 | (63). | Канцелярия наместника кавказского, главноначальствующего и наместника на Кавказе по военнонародному управлению (1869—1912) . . . . . . . | 4. |
| 81 | (64). | Сословно-поземельная комиссия при канцелярии наместника на Кавказе по военно-народному управлению . . . . . . . . . . . . . . . . . . | 2. |
| 82 | (78). | Комиссия для окончания сословно-позмельных дел в частях кавказского края военно-народного управления (1821, 1828, 1841, 1864, 1865—1876, 1878—1907) . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 2. |
| 83 | (128). | Комитет для оказания помощи пострадавшим во время войны с Японией (1905, 1906, 1908, 1910—1915, 1917) . . . . . . . . . . . . . . . . . . . | 2. |
| 84 | (129). | Главноуполномоченный по устройству беженцев кавказского фронта (1915—1917) . . . . . . . . | 2. |

---

| | | | |
|---|---|---|---|
| 85 | (147). | Грузино-имеретинская синодальная контора . . . | 1. |
| 86 | (148). | Канцелярия экзарха Грузии . . . . . . . . . . | 1. |

ეროვნული ბიბლიოთეკა



## II. Окружные управления на Кавказе.

87 (80). Управление акцизными сборами закавказского края и закаспийской области (1873—1920) . . . . . . 2.

88 (81). Почтовый округ (1859—1882) . . . . . . . . . 2.

89 (82). Управление шоссейных дорог (округ путей сообщения) (1818—1918) . . . . . . . . . . . . . . . . . . . 1/2.

90 (83). Управление коннозаводским округом (1874—1887) 2.

91 (85). Канцелярия управления закавказским карантинным и таможенным округом (1848, 1856—1859, 1861, 1878, 1881) . . . . . . . . . . . . . 2.

92 (88). 1. Кавказские удельные имения (1889—1913); 2. Управление инстектора кавказскими удельными имениями (1890—1915) . . . . . . . . . . . 4.

93 (89). Уполномоченные: 1. Мин-ства земледелия и государственных имуществ на Кавказе и 2. главноуправляющего землеустройством и земледелием на Кавказе (1881—1914) . . . . . . . . . . . . . . 2.

94 (90). Юрисконсульт мин-ства государственных имуществ по судебным и межевым делам на Кавказе (1883—1912) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4.

95 (96). Управление горскою частью на Кавказе и за Кавказом (1850, 1853, 1858, 1859, 1862—1865, 1867, 1869, 1873, 1874, 1876, 1879, 1881) . . . . . . 2.

96 (87). Переселенческое управление на Кавказе (1882—1919) . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.

97 (108). Канцелярия попечителя кавказского учебного округа (1819—1918) . . . . . . . . . . . . . . . . . 4/5.

98 (116). Кавказский цензурный комитет (1863—1816) . . . 4.

99 (117). Тифлисский комитет по делам печати (1883—1918) 4.

100 (127). Закавказский приказ общественного призрения (1845—1884) . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.

Закавказские железные дороги:

101 (145). Канцелярия начальника ЗЖД (1888—1918) . . 3.

102 (146). Служба керосинопровода отдела общей части управления ЗЖД (1877—1920) . . . . . . . 3.

103 (196). Инспекция Поти-Тифлисской жел. дор. и ЗЖД (1865—1882) . . . . . . . . . . . . . . 3.

104 (197). Главный инженер Тифлис-Бакинской жел. дор. (1878) . . . . . . . . . . . . . . . . . . 3.

105 (198). Комиссия по приему ЗЖД. в казенное управление (1880—1883 и 1889) . . . . . . . . 3.

106 (199). Канцелярия начальника работ по постройке Тифлис-Карской ж. д. (1895—1900) . . . . . . . . . . 3.

107 (200). Главный инженер по сооружению Самтреди-Батумской ж. д. (1880—1884) . . . . . . . . . . . 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა



108 (201). Материальная служба ЗЖД (1883—1919) . . . . 3.
109 (202). Служебный отдел ЗЖД (1889—1917) . . . . . . 3.
110 (203). Служба тяги ЗЖД (1902—1917) . . . . . . . . 3.
111 (204). Служба пути ЗЖД (1900—1910) . . . . . . . . 3.
112 (205). Служба телеграфа ЗЖД (1907—1920) . . . . . . 3.
113 (206). Главная бухгалтерия ЗЖД (1895—1920) . . . . 3.
114 (207). Канцелярия временного генерал-губернатора в полосе отчуждения (1906—1916) . . . . . . . . . . 3.
115 (212). Управление по постройке Трапезундской и Кахетинской ж. д. . . . . . . . . . . . . . . . . . . 1.
116 (208). Кахетинская ж. д. (1900—1920) . . . . . . . . 3.
117 (101). Тифлисская контора государственного банка (1874—1918) . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.

### III. Губернские управления.

118 (154). Грузинский гражданский губернатор (1806—1843) 2.
119 (155). Канцелярия грузинского гражданского губернатора (1816—1842) . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.
120 (152). Грузино-имеретинский гражданский губернатор (1813—1846) . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.
121 (153). Канцелярия грузино-имеретинского гражданского губернатора (1840—1847) . . . . . . . . . . . 2.
122 (156). Тифлисский гражданский (1829, 1866, 1877, 1881), он же—тифлисский губернатор (1874—1916) . . . 4.
123 (157) Канцелярия тифлисского гражданского губернатора (1829—1847) . . . . . . . . . . . . . . . . . 2.
124 (158). Канцелярия тифлисского губернатора (1861—191) 4.
125 (159). Тифлисский военный губернатор (1820—1860) . . 2.
126 (160). Канцелярия (управление) тифлисского военного губернатора (1828—1857) . . . . . . . . . . . . 2.
127 (161). Тифлисский военный и по гражданской части губернатор (1815—1859) . . . . . . . . . . . . . . 2.
128 (162). Канцелярия тифлисского военного генерал-губернатора (1860—1866) . . . . . . . . . . . . . . . 4.
129 (163). Тифлисский временный генерал губернатор (1905—1908) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 4.
130 (187). Кутаисский военный губернатор (1851—1913) . . 2.
131 (188). Канцелярия Кутаисского военного губернатора по военно-народному управлению (1857—1903) . . . 2.
132 (164). Грузино-имеретинское губернское правление (1816—1847) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.
133 (165). Тифлисское губернское правление (дела 1836—1919 книги 1802—1919) . . . . . . . . . . . . . . 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა



Тиф. губ. правление:

134 (166). Отделение строительное (1864—1919) . . . . 2.
135 (174). Отделение ветеринарное (1891—1911) и тифлисский губернский ветеринар (1897—1898) . 2.
136 (175). Отделение врачебное и тифлисский губернский врач (1875—1917) . . . . . . . . . . . . 2.
137 (189). Кутаисское губернское правление (1847—1919) . . 2.

Кут. г. пр.

138 (191). Отделение строительное (1906—1918) . . . . 2.
139 (190). Отделение ветеринарное (1898—1916) . . . . 2.
140 (182). Тифлисская палата уголовного и гражданского суда ½
141 (98). Тифлисская казенная палата (1862—1919) . . . . 2.
142 (100). Тифлисское губернское казначейство . . . . . . 2.
143 (99). Кутаисская казенная палата (1890—1918) . . . . 2.
144 (167). Тифлисская губернская строительная комиссия и 2. тифлисский губернский землемер (1828—1863) . . 2.
145 (168). Грузино-имеретинская губернская строительлая комиссия (1833—1847) . . . . . . . . . . . . . 2.
146 (169). Грузинская губернская строительная комиссия (1835—1840) . . . . . . . . . . . . . . . . 4.
147 (86). Управление государственными имуществами тифлисской губернии (1845—1917) . . . . . . . . . . 2.
148 (92). Управления государственными имуществами: кутаисск. (1857, 1888, 1892, 1896, 1906), бакинск. (1844—1906), елизаветпольск. (1844—1906), эриванск. (1888 и 1890), черноморско-кубанск. (1900—1916) и ставропольско-терск. (1906) . . . . . . 4.
149 (91). Палаты государственных имуществ: грузино-имеретинск. (1827—1847), тифлисск. (1840—1862), каспийск. (1824 и 1841), ставропольск. (1850, 1851, 1858, 1862 и 1864) . . . . . . . . . . . . . . 4.
150 (93). 1. Кутаисский межевой округ (1869—1911) . . . . 2.
2. Землемеры сухумского округа (1881—1884 и 1889) 4.
3. Полевые производства землемеров тифлисской губер. (1830—1861) . . . . . . . . . . . . . . 4.
151 (94). 1. Заведующий тифлисск. поземельно-устроительной партией (1903—1914); 2. поземельно-устроительная партия в губерняx Закавказья (1910, 1911, 1916); 3. Производитель работ по земельному устройству поселян в закавказском крае по тифлисской губернии (1903—1914 ; 4. тоже по эриванской губернии (1910—1911); 5. шаруро-даралагез-нахичеванская комиссия по поземельному устройству закавказского края (1910—1012); 6. производитель работ по образованию переселенческих округов в кубанской области (1898) . . . . . . . . . . . . . . . . . 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა



152 (176). 1. Грузинская врачебная управа; 2. тифлисская врачебная управа; 3. организация врачебной помощ инаселению (1831, 1863 и 1864) . . . . . . . . . . 2.

153 (177). Тифлисское губернское по воинским делам присутствие (1914—1917) . . . . . . . . . . . . . . 2.

154 (178). Тифлисское губернское по городским делам присутствие (1874—1919) . . . . . . . . . . . . . 2.

155 (193). Кутаисское губернское по городским делам присутствие (1911—1918) . . . . . . . . . . . . . . 2.

156 (179). Тифлисское губернское по крестьяским делам присутствие (1864—1917) . . . . . . . . . . . . 2.

157 (192). Кутаисское губернское по крестьянским делам пристуствие (1866—1918) . . . . . . . . . . . . 2.

158 (110). Дирекция народных училищ тифлисской губернии (1841, 1859, 1906—1917) . . . . . . . . . . 4.

159 (111). Инспекция народных училищ тифлисской губернии (1864—1867, 1871—1877, 1880—1883, 1991, 1892, 1898, 1900, 1906—1917) . . . . . . . . . . . . 4.

160 ( 97). Тифлисская контрольная палата (1864—1920) . . 2.

161 (183). Тифлисский губернский статистический комитет (1862—1911) . . . . . . . . . . . . . . . . 2.

162 (180). Тифлисский губернский попечительный о тюрьмах комитет (1867—1917) . . . . . . . . . . . . . 2.

163 (181). Тифлисская губернская тюремная инспекция (1915—1919) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.

164 ( 76). Сословно-поземельные комиссии: 1. терско-кубанская сосл.-позем. (1859, 1864, 1871—1873, 1881, 1886, 1890—1893, 1896, 1898—1900, 1902, 1904; 2. для разбора прав горцев кубанской и терской области (1845, 1846, 1849, 1851—1853, 1857—1859, 1860—1862, 1864, 1871—1873, 1877—1885) . . . 2.

165 ( 77). Закатальская сословно-поземельная комиссия (1832, 1844, 1858, 1862, 1869—1878) . . . . . . . . . 2.

166 (215). Тифлисская таможня (1861—1913) . . . . . . . 1.

## IV. Уездные управления.

167 (185). Ахалцихское уездное управление (1828—1906) . . 2.

168 (184). Горийское уездное управление (1804—1905) . . . 2.

169 (186). Уездные управления: 1. тифлисское (1856—1858); 2. телавское (1856—1869, 1871—1878); 3 сигнахское 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა



### V. Городские управления.

170 (132). Тифлисская градская полиция (1805—1845) . . . 2.
171 (134). Управление тифлисского полицеймейстера (1868—1917) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.
172 (137). Участковые пристава г. Тифлиса (1894—1917) . . 2

### VI. Сословные организации.

173 (119). Тифлисское дворянскоее депутатское собрание . . 2.
174 (120). Тифлисский губернский предводитель дворянства (1878, 1900, 1903—1916) . . . . . . . . . . . . 2.
175 (121). Земельная комиссия дворянства тифлисской губернии (1907, 1908, 1910, 1913—1917) . . . . . . . . 2.
176 (122). Тифлисский купеческий староста (1904 . 1914) . . 2.

### VII. Общественные организации.

177 (123). Всероссийский союз городов . . . . . . . . . . . 2.
178 (126). Российское общество красного креста (1914—1918) 4.
179 (130). Грузинское благотворительное общество (1906—1920) 2.
180 (150). Общество восстановления православия на Кавказе 1.

### VIII. Промышленные предприятия.

181 (102). Тифлисский коммерческий банк (1871—1920) . . 2.
182 (103). Акционерное общество «Ко-я Зингер» . . . . . . 1.

### IX. Культурно-просветительные учреждения.

183 (109). Александровский учительский институт (1866—1918) 4.
184 (112). Тифлисские дворянские гимназии: 1 мужская (1899, 1902—1908, 1910—1920; 2 женская (1917) . . . 4.
185 (114). Тифлисская духовная семинария (1817—1919) . . 2.
186 (115). Тифлисский кадетский корпус . . . . . . . . . 1.
187 (213). Фельдшерская школа общества акушерок (1910—1920) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.
188 (118). Тифлисский казенный театр (1860—1890) . . . . 2.

Кавк. арх. комиссия.
189 (220). Собственный архив археог. комиссии (1864-1917) 4.
190 (221). Копии с документов из архивов Северного Кавказа . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.
191 (222). Копии с архивных документов, предназначавшихся к напечатанию в XIII томе «Актов» . . 4.

### X. Отдельные фонды.

192 ( 84). Управление кульпинским соляным промыслом (1852—1861, 1863—1867, 1869—1871, 1773—1875) . . 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა



193 ( 95). Боржомское казенное имение (1851—1853, 1856—1865) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.
194 (143). Бумаги бывшего кутаисского губернатора Старосельского . . . . . . . . . . . . . . . . . . 1.
195 (144). Канцелярия швейцарского консула в г. Тифлисе . 1.
196 (149). Монастыри, церкви и церковные попечительства . 1.
197 (194). Печатные материалы (1828—1917) . . . . . . . 4.
198 (195). Архивные материалы о службе разных лиц (формуляры и т. п.) . . . . . . . . . . . . . . . 4.

## XI. Фонды, хранящиеся в Главном Историческом Архиве до перемещения в другие архивохранилища.

199 (151). Тифлисский артиллерийский склад; артиллерийская мастерская; тифлисский арсенал (1890—1916) . . 2.
200 (113). Министерство народного просвещения демократической республики Грузии . . . . . . . . . . . . 4.
201 (209). Департамент путей сообщения (1919—1921) . . . 3.
202 (214). Министерство финансов, торговли и промышленности (1917—1921) . . . . . . . . . . . . . 4.
203 (217). Канцелярия министерства земледелия (1918—1919) 3.
204 (140). Министерство продовольствия (1918—1920) . . . 4.
205 (104). Экспедиция заготовления государственных бумаг . 1.
206 (219). Отдел пути ЗЖД; часть техническая (1917—1919) 3.
207 (210). Канцелярия грузинских железных дорог (1917—1921) 2.
208 (141). Временные генерал-губернаторы демократичаской республики Грузии . . . . . . . . . . . . . . 4.
209 (142). Губернские комиссары, тифлисский и кутаисский (1918—1920) . . . . . . . . . . . . . . . . . 4.
210 (135). Тифлисская городская милиция (1917—1921) . . . 2.
211 (218). Союз увечных и раненных воинов Грузии (1918—1921) 1.
212 (125). Земский союз демократической республики Грузии . 2.
213 (124). Союз городов демократической республики Грузии . 2.
214 (135). Русский национальный совет . . . . . . . . . . 1.
215 (107). Закавказская комиссия по претензиям СССР (1886—1920) . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3.
216 (211). Канцелярия азербайджанских железных дорог (1917—1920) . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ბროსსე

# ბეჭდვით ნაწარმოებთა არქივების ცენტრალიზაციისათვის საქართველოში.

დაწესებულებათა არქივების ცენტრალიზაცია შემოღებულ იქნა საქართველოში 1921 წელს. ბეჭდვით ნაწარმოებთა ცენტრალური არქივის დაარსება ცენტრარქივში მოხდა რამდენიმე წლით უფრო გვიან ამაზე, რაც გასაკვირველი არ არის, რადგანაც ასეთ არქივების საკითხი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ჯერაც მოწესრიგებული არ არის, ამ დარგში სათანადო მაგალითი არ გვქონდა.

ბიბლიოთეკების არქივების მოწესრიგება და ცენტრალიზაცია ამ ჟამად აუცილებელ საჭიროებად გახდა, რადგანაც ყველა ბიბლიოთეკებში ბლომად მოგროვდა ისეთი წიგნები, რომლებიც დაძველებისა ან იდეოლოგიურად მიუღებლობის გამო ბიბლიოთეკებიდან გამორიცხულ იქნენ. ეს გამორიცხული ეგზემპლიარები მხოლოდ საარქივო მასალას წარმოადგენენ და ამიტომ უნდა გროვდებოდენ ცენტრარქივში.

უკანასკნელ დრომდე ბეჭდვით ნაწარმოებთა ცენტრალური არქივის უქონლობა საგრძნობლად ხელს უშლიდა ჩვენი ბიბლიოთეკების ეგრედ-წოდებულ „გაწმენდის“ (ე. ი. წიგნთა შემადგენლობის გადასინჯვის) მიზანშეწონილ ორგანიზაციას.

მეორე დამაბრკოლებელ მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჩვენს ინტელიგენციაში და მასთან ერთად საბიბლიოთეკო მუშაკთა შორისაც გავრცელებულია ყალბი შეხედულება ამ საკითხის ირგვლივ.

რუსეთში საბიბლიოთეკო საქმის ხელმძღვანელი — მ. ს მ უ შ კ ო ვ ა გვიხსნის შემდეგს: „ნუ დავივიწყებთ, რომ უვარგისი წიგნების ამოღება ბიბლიოთეკებიდან სრულებით არწარმოადგენს საპოლიციო ზომას, რომელსაც მიზნად აქვს ოპოზიციონური ლიტერატურის მოსპობა“!.[1]

---

[1] Смушкова М. Руководство чтением. (Квопросу об из'ятии вредной литературы). Сборник статей по библиотечной работе под ред. Н. К. Крупской. Вып. 2. „Красная Новь“. М. 1923, стр. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ წიგნებისა და სხვა გამოცემების უმეტესი ნაწილი მათ შემქმნელ თაობასთან ერთად ძველდება. განსაკუთრებით ეს შეეხება პერიოდიკას; ძველი ჟურნალ-გაზეთები განსაკუთრებით დამაბრკოლებელ ბარგს წარმოადგენენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისათვის. გამოცემულ წიგნების მხოლოდ მცირე პროცენტი შეინარჩუნებს ხოლმე აქტუალურ მნიშვნელობას მკითხველთა შემდეგ თაობათათვის.

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ დააჩქარა აღნიშნული პროცესი და მოახდინა ყველა ღირებულებათა გადაფასება, რასაც მოჰყვა ის შედეგი, რომ მრავალი ათასი და მილიონი წიგნები, რომლებიც გადმოვიდნენ ჩვენს ბიბლიოთეკებში რევოლიუციის წინა დროიდან 50%-ით „ყოფილ წიგნებად“ გადაიქცენ.

რევოლიუციის წინა დროის წიგნების დიდმა ნაწილმა შეინარჩუნა საისტორიო ინტერესი და ამიტომ უნდა შენახულ იქნენ როგორც ბეჭდვითი საარქივო მასალა; მაგრამ კულტურული მუშაობის გასატარებლად ჩვენს პირობებში იგი დაახლოვებით ისეთსავე ღირებულებას წარმოადგენს, როგორიცაა წარსული საუკუნის შეიარაღება თანამედროვე ომისათვის.

ცხადია, დაძველებული წიგნის პროდუქციის მასა სრულებით არ წარმოადგენს საბჭოთა წესწყობილებისათვის ისეთსავე საშიშროებას, როგორიც იყო რევოლიუციონური ლიტერატურა მეფის მთავრობისათვის. ეს აუარებელი ბეჭდვითი საარქივო მასალა შესანახია, როგორც ასეთი ერთგვარი სახელწოდების წიგნების რამდენიმე ცალი. მაგრამ მეტად ანორმალურია, რომ ყველა ჩვენი ბიბლიოთეკები ზედმეტად დატვირთულნი არიან ამ მასალით. მიზანშეწონილია მისი კონცენტრაცია ერთ ადგილას; დანარჩენმა ბიბლიოთეკებმა კი, სამეცნიერომაც და პოლიტგანათლებისამაც მკითხველებს უნდა მიაწოდონ თანამედროვე ლიტერატურა. იმ შედარებით იშვიათ შემთხვევაში კი, თუ დაძველებული წიგნი დასჭირდა მკითხველს, მისი სარგებლობა შესაძლებელია ცენტრარქივის სამეცადინო დარბაზში, ანდა საბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის წესით სხვა ბიბლიოთეკაში.

ჩვეულებრივ ბეჭდვით ნაწარმოებთა ცენტრალური არქივის ფუნქციებს ნაწილობრივ შეასრულებენ „სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკები“, ან ე. წ. „ნაციონალ-ბიბლიოთეკები“. მაგრამ სწორედ ამ ბიბლიოთეკების უარყოფითი გამოცდილება გვასწავლის, რომ, სახელმწიფოს მთავარი წიგნთსაცავის წმინდა საარქივო მასალით

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცენტრარქივი. ბეჭვდით ნაწარმოებთა არქივი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გადატვირთვის მაგიერ, ჩვენს პირობებში მიზანშეწონილია საარქივო ფუნქციების გამოყოფა საბიბლიოთეკო დარგშიაც და ბეჭდვით ნაწარმოებთა ცენტრალური არქივის მოწყობა რესპუბლიკის ცენტრარქივთან.

გამოცდილებავე გვიჩვენებს, რომ თანამედროვე მკითხველთა მასას სრულებით არა აქვს მიდრეკილება წინანდელ მასალებისა და და საკითხებისადმი. მართალია ძველ ბელეტრისტიკას ჯერ კიდევ ჰყავს მკითხველი „ყოფილ ადამიანთა“ შორის, სამაგიეროდ წინანდელი სასულიერო და პატრიოტული მწერლობა ან მეფის კანონების კრებულები ვერ იზოვნიან მკითხველს, რადგანაც მათზე დროს არავინ დაჰკარგავს.

სამწუხაროდ თვით ბიბლიოთეკარების მდგომარეობა უარესია ამ მხრივ, ვიდრე მკითხველებისა. მანამ დაძველებული მასალა არ გადაეცემა ცენტრარქივს, ბიბლიოთეკარი იძულებულია იზრუნოს მასზე და, ვინ იცის, რამდენი დრო, შრომა, ძალა და ადგილი ტყუილად იკარგება ჩვენს ბიბლიოთეკებში დაძველებულ გამოცემათა იქ დატოვებისა გამო.

„საარქივო გადახრა“ განსაკუთრებით სჭირთ სამეცნიერო, აკადემიურ და საუწყებო ბიბლიოთეკებს. ზოგს მათგანს სრულებით საჭიროდ არ მიაჩნია დაძველებული მასალის პერიოდული გამორიცხვა რის გამო ბიბლიოთეკაში ერთხელ მოთავსებული წიგნი ინახება განუსაზღვრელ დროს განმავლობაში. ამ სისტემის შედეგია ის, რომ ბიბლიოთეკები ზედმეტად დატვირთულნი არიან საარქივო მასალებით, ხოლო საჭირო თანამედროვე ლიტერატურა კი არა აქვთ. ზოგიერთ შემთხვევაში ბიბლიოთეკები ასრულებენ წმინდა საარქივო ფუნქციებს, როდესაც ისინი გაუქმებულ დაწესებულებათა წიგნებს იღებენ. ამ წიგნების გადარჩევაზე პერსონალის მხრივ აუარებელი დრო იხარჯება. ამის ნაყოფი კი არის ბიბლიოთეკის მხოლოდ რიცხვობრივი ზრდა და შევსება დაძველებული წიგნებით, რომელიც სრულებით არ აადვილებს ბიბლიოთეკების უშუალო ამოცანებს.

სასკოლო ბიბლიოთეკებშიაც წიგნების შემადგენლობის გადასინჯვა კიდევ უფრო საჭირო არის, რადგანაც რევოლიუციის წინადროის საბავშვო და სასწავლო წიგნი აღზრდის იარაღად ამ ჟამად სრულებით არ გამოდგება. ამ სასწავლო წელში სკოლები შეუდგნენ ბიბლიოთეკების გადასინჯვას დაძველებული მასალის ცენტრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



არქივისათვის გადაბარების მიზნით. სჯობია გვიან, ვიდრე არასოდეს.

შედარებით უფრო კარგ მდგომარეობაშია საქმე პოლიტგანათლების და პროფკავშირის (საკლუბო) ბიბლიოთეკებში.

პოლიტგანათლების მთავარმართველობის მიერ უკვე 1924 წელს დამუშავებულ და გამოცემულ იქნა ინსტრუქცია ამ ტიპის ბიბლიოთეკებისათვის წიგნების გადასინჯვის შესახებ [1].

განმეორებითი ცირკულიარული წინადადების თანახმად, დაძველებული წიგნები ამოღებულ იქნენ და ინახება ცალკე. ამნაირად ამ ტიპის თითქმის ყველა ბიბლიოთეკებში შესდგნენ საბიბლიოთეკო არქივები, მაგრამ ამოღებული წიგნების შემდეგი დანიშნულება უკანასკნელ დრომდე მოუწესრიგებელი დარჩა. ადგილის სივიწროვის გამო ეს წიგნები ბიბლიოთეკების უმრავლესობაში წარმოადგენენ დამაბრკოლებელ და მოუწესრიგებელ მასალას.

ამის გამო სხვადასხვა ბიბლიოთეკები შეეცადნენ ამ „არქივების“ ლიკვიდაციას. უმეტეს შემთხვევაში ძველი წიგნები გაყიდულ იქნენ პარკებისათვის. აგრეთვე ცნობილია შემთხვევები საბიბლიოთეკო არქივების დაწვისა. მაგ., წარსული წლის აპრილში ყველა გაზეთებში მოთავსებულ იქნა ცნობა ქალაქ ტვერიდან ბიბლიოთეკარის ჟუკოვის, კლუბის გამგის ილინის და ფეიქართა კავშირის სამაზრო კულტგანყოფილების გამგის შვეცოვის გასამართლების შესახებ 5000 წიგნის მოსპობის გამო. „აღნიშნული წიგნები ფეიქართა კლუბისათვის ზედმეტ არქივს წარმოადგენდენ“ ლ ისინი, როგორც ბალასტი, ცეცხლს გადაეცა, რისთვისაც სასამართლომ დამნაშავენი დასაჯა დაპატიმრებით (6 თვიდან—$1^1/_2$ წლამდე) და 1200 მანეთის გადახდით ფეიქართა კავშირის სასარგებლოდ [2].

ძველი წიგნების მიყიდვა კერძო ვაჭართათვის, როგორც მაკულატურის, ამ ჟამად სრულებით მიუღებელია, რადგანაც სახელმწიფოს ქაღალდის ქარხნები ამ მასალის უდიდეს საჭიროებას განიცდიან ახალი ქაღალდის დამზადებისათვის. შესანახ წიგნებთან ერთად საბიბლიოთეკო არქივები ნაწილობრივ შეიცავენ მოსასპობ მასალასაც. მაგრამ მთელი მაკულატურა, პარტიული დირექტივების

[1] ქოხ-სამკითხველოს კატალოგი და ინსტრუქცია ბიბლიოთეკებში წიგნების გადასინჯვის შესახებ. „მნათობი“. ტფ. 1924 წ. რუსეთში ამჟამად ძალაშია 1926 წელს გამოცემული ინსტრუქცია.

[2] იხ. „Красный Библиотекарь“. 1928 წ. №№ 4, 6, 8. Бажанов Б Дело о 5000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თანახმად, როგორც ნედლი მასალა, უნდა გადაეცეს სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებს.

ვიდრე ზედმეტი წიგნების მოსპობას შევუდგებოდეთ, ცენტრარქივისათვის გადასაცემი მასალა დიდი სიფრთხილით არის ამოსარჩევი. ცალკე ბიბლიოთეკარებს არა აქვთ საზომი იმის გამოსარკვევად, რომ წიგნი სრულებით ზედმეტია, ან საინტერესოა რომელიმე თვალსაზრისით, თუ არა. ცენტრარქივის ბეჭდვითი ნაწარმოებთა გაეყოფილება წარმოადგენს იმ ინსტანციას, რომლის მოვალეობაც არის იზრუნოს ასეთი ბეჭდვითი მასალების შენახვაზე.

ბეჭდვით ნაწარმოებთა არქივების მიზანშეწონილი მოწყობა მოითხოვს მათს ცენტრალიზაციას. ამ საკითხის მოგვარება ცალკე ბიბლიოთეკების მიერ შეუძლებელია. თუმცა ამ ჟამად ბიბლიოთეკები სხვა და სხვა უწყებებს ექვემდებარებიან, მაგრამ რადგანაც ისინი სახალხო და სახელმწიფო ქონებას წარმოადგენენ, ამიტომ ამ საქმის ცენტრალიზაციისათვის ფორმალური დაბრკოლებანი არ არსებობენ, პოლიტგანათლების მთავარმართველობასთან არსებულმა საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტმა 1925 წელს დასვა საკითხი დაძველებული და გამორიცხული წიგნების ცენტრარქივისათვის გადაცემის შესახებ. ამის შემდეგ პოლიტგანათლების მთავარმართველობამ და პროფსაბჭოს კულტგან ყოფილებამ განკარგულება მისცეს ყველა ბიბლიოთეკებს, რომლის მიხედვითაც „მთელი დაძველებული ლიტერატურა უნდა გადაეცეს ცენტრარქივსა და ცენტრარქივის ადგილობრივ ორგანოებს", ე. ი. სამაზრო საარქივო ბიუროებს[1]. ამნაირად ბეჭდვით ნაწარმოებთა არქივების ცენტრალიზაცია ამჟამად უკვე ტარდება ცხოვრებაში.

გამორიცხული წიგნებიდან ცენტრარქივის წიგნთსაცავში სდგება შემდეგი ფონდები:

1) ძველი სტამბის წიგნების ფონდი, რომელშიაც თავსდება ყველა ქართული წიგნი, გამოცემული 1840 წლამდე და ყველა რუსული წიგნი, გამოცემული 1800 წლამდე.

2) ქართული წიგნების ფონდი.

3) ამიერ-კავკასიაში გამოცემული წიგნების ფონდი რუსულ, სომხურ და სხვა ენებზე.

---

[1] პოლიტგანათლების მთავარმართველობის ცირკულიარი № 518, 1927 წ. ივნ. 29, საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფ. ცირკულიარი № 6919 1928 წ. ნოემბ. 20.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



4) საუწყებო გამოცემათა ფონდი, რომელიც შესდგება ყველა უწინდელ დაწესებულებათა ოფიციალურ გამოცემებიდან.

5) ბიბლიოთეკებიდან გამორიცხულ რუსულ გამოცემათა ფონდი.

6) პერიოდულ გამოცემათა ფონდი, შემდგარი როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთში გამოცემული ჟურნალ-გაზეთებიდან.

აღნიშნულ ფონდებთან დაკავშირებით ცენტრარქივს აქვს მდიდარი სპეციალური ბიბლიოთეკა ისტორიისა და არქივისტიკის საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საარქივო საქმე ს.ს.ს. რესპუბლიკაში.

(საინფორმაციო ნაწილი).

## ცენტრალურ საარქივო სამმართველოს დირექტორის მოხსენება საარქივო საქმის მდგომარეობის შესახებ საქართველოში[1].

გასული წლის ნოემბრის 10-ს ცენტრარქივის დირექტორმა ამხ. ი. იოვიძემ სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომაზე გააკეთა მოხსენება საარქივო საქმის შესახებ საქართველოში.

მოხსენება თავის მთავარ მომენტებში საარქივო საქმის მდგომარეობას შემდეგნაირად ახასიათებდა: 1. საქართველოში საარქივო საქმის ხელმძღვანელი ორგანო, რესპუბლიკის ცენტრალური არქივი, იმყოფება განათლების კომიასარიატის სისტემაში, რასაც თან სდევს თვალსაჩინო ორგანიზაციულ-პრაქტიკული ხასიათის დეფექტები, სახელდობრ: ცენტრარქივს ექვემდებარებიან სამაზრო საარქივო ბიუროები, რომელთა წესიერი მართვა ცენტრარქივისათვის შეუძლებელი თუ არა, მეტად ძნელია, რადგან იგი მათ მართავს განათლების კომისარიატის და ისიც არა უშუალოდ კომისარიატის, არამედ მისი სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობის საშუალებით, ხოლო ბიუროები კი ხსენებულ კომისარიატის უწყების გარეშე დგანან. ასეთსავე შეუსაბამობას აქვს ადგილი ავტონომიურ რესპუბლიკების საარქივო ორგანოების მიმართ იმის გამო, რომ ეს ორგანოები სათანადო რესპუბლიკათა ცაკებს ემორჩილებიან, ხოლო საქართველოს ცენტრარქივი განათლების კომისარიატს. 2. ცენტრარქივის წარმატებით ნაყოფიერ მუშაობას აბრკოლებს საარქივო კანონების უქონლობა: დღემდის არ არსებობს დებულება ცენტრალურ საარქივო სამმართველოს შესახებ; არ არსებობს დეკრეტი ფოტო-სურათების და კინო-ფილმების ნეგატივების, აგრეთვე ეკლესია-მონასტრებისა და გამოჩენილ მოღვაწეთა არქივების ცენტრარქივისათვის გადაცემის შესახებ და სხვა. 3. საარქივო საქმიანობის ფართოდ გაშლას ხელს უშლის შენობის სივიწროვე და არქივთსაცავების სიცოტავე, რაც მთლიან სახელმწიფო საარქივო ფონდის კონცენტრაციას შეუძლებლად ხდის. ამის გამო არ არის ცხოვრებაში გატარებული კარგა ხნის წინად გამოცემული დადგენილება — სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში გაფანტული საარქივო მასალების ცენტრარქივში თავმოყრის შესახებ. 4. ცენტრარქივის არქივთსაცავებში მოგროვი-

[1] ეს მოხსენება წარმოადგენს ამხ. ი. იოვიძის მიერ საქართველოს ცაკში გაკეთებულ მოხსენების თეზისებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლი საარქივო მასალების უმეტეს ნაწილის ინვენტარული აღწერა დასრულებულია, რომლის წარმატებით გაგრძელებას ხელს უშლის საარქივო მუშაკების მცირე ხელფასი, სათანადო კვალიფიკაციის საარქივო მუშაკთა სიმცირე და სხვა. 5. ცენტრარქივის გამომცემლობა უკანასკნელ დრომდე მოკლებული იყო ხელმძღვანელობას და ამიტომ იგი ვერ იდგა თავის სიმაღლეზე. დღეიდან ცენტრარქივმა სულ სხვა საფუძველზე უნდა აწარმოოს გამომცემლობა. იგი უნდა აკმაყოფილებდეს ჩვენს სახელმწიფოებრივ და სამეცნიერო მოთხოვნილებებს.

ამ მოხსენების გამო ცაკის პრეზიდიუმმა 1928 წ. ნოემბრის 28-ს გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

## სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება.

(1928 წ. ნოემბრის 28. ოქმი № 25).

1. საქართველოს ცენტრარქივი გამოიყოს განათლების სახალხო კომისარიატის სისტემიდან და გადატანილ იქნეს სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმთან, თავის ბიუჯეტით, 1929 წლის იანვრის 1-დან.

2. გამოიცეს კანონმდებლობითი წესით დებულება საქართველოს ცენტრალურ საარქივო სამმართველოს შესახებ.

3. გამოიცეს დამატებითი დადგენილება კერძო და საზოგადოთ უპატრონო არქივებისა და ეკლესია-მონასტრების არქივების ცენტრარქივში კონცენტრაციის შესახებ და ცენტრარქივისათვის ფოტო-სურათებისა და კინო-ფილმების ნეგატივების გადაცემის შესახებ.

4. აღინიშნოს, რომ არსებული არქივთსაცავი არ აკმაყოფილებს მთლიანად სახელმწიფო საარქივო ფონდების მოთავსებას, ამიტომ მიენდოს ცენტრარქივს შეისწავლოს შენობის საკითხი და აგრეთვე საკითხი ცენტრარქივის შენობიდან სხვა დაწესებულებათა და კერძო პირების გამოსახლების შესახებ.

5. რევოლიუციის მუზეუმის შენობაში მოთავსებული ისტორიულ-რევოლიუციონური ხასიათის საარქივო ფონდები აღირიცხოს ერთიან ხელმწიფო საარქივო ფონდში და დარჩეს მუზეუმის შენობაში, ხოსალო მასალების დამუშავება ხდებოდეს ცენტრარქივის ხელმძღვანელობით და მისივე ინსტრუქციის თანახმად.

6. აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამოდენიმე წელიწადი არსებობს სათანადო დადგენილება —სახელმწიფო დაწესებულებათაგან ყველა სამეცნიერო მასალების ცენტრარქივის ფონდში აღრიცხვის და გადაცების შესახებ, ეს დადგენილება დღემდე არ არის შესრულებული, ამიტომ წინადადება მიეცეს ცენტრარქივის დირექტორს აუცილებლივ გაატაროს ეს დადგენილება ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



7. აღინიშნოს, რომ ცენტრარქივს თავის არსებობის მოკლე ხანში გაუშლია დიდი ორგანიზაციული მუშაობა და სათანადოდ ჩამოუყალიბებია ბეჭდვითი განყოფილება, საარქივო მასალები კლასიფიცირებული და სისტემატიზირებულია სავსებით, უბრალო ინვენტარული აღწერა დასრულებულია.

გარდა ამისა ყველა უმთავრესი ფონდები აღრიცხულია საანბანო-საგნობრივი მაჩვენებელით—25 პროც. ცენტრარქივი კარგად ასრულებს მასზე დაკისრებულ პოლიტიკურ და სამეცნიერო ამოცანებს. მაგრამ იმავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯერ კიდევ საკმარისად ვერ არის დაყენებული სამხედრო-საისტორიო, იურიდიული და კომუნალური ნაწილების ფონდების გადარჩევა და აღნუსხვა, და მოისუსტებს აგრეთვე საგამომცემლო საქმე. ეს ნაკლულოვანება უნდა აიხსნას უმთავრესად იმით, რომ ცენტრარქივის ნორმალურ მუშაობას აბრკოლებენ: სათანადო შტატის უყოლობა, მატერიალური უსახსრობა, მუშაკების ხშირი შეცვლა და სხვა, რაც მომავალში უნდა იქნეს თავიდან აცილებული.

## ცენტრარქივის მუშაობის ანგარიში 1928 წლის სექტემბერ—დეკემბრის საპერსპექტივო გეგმის მიხედვით.

### 1. მთავარი საისტორიო არქივი.

საანგარიშო კვარტალში განზრახული იყო შემდეგი სამუშაო: 1) მეფის მოადგილის კანცელარიის (1850—1852 წ.), ტფილისის საგუბერნიო მართველობის (1906—1907 წ.), კავკასიის საცენზურო კომიტეტის (1866—1903 წ.), ბეჭდვითი საქმის ტფილისის კომიტეტის (1896—1918 წ.) და საარქეოგრაფიო კომისიის საარქივო ფონდების ინვენტარიზაცია; 2) კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ფონდის ერთი ნაწილისათვის სახელობითი და საგნობრივი მაჩვენებლების შედგენა; 3) სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატის ფონდის წინასწარი გარჩევა. განზრახული იყო აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის საბუთების პირებისათვის საბარათო კატალოგის შედგენა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, რადგანაც დრ. მომუშავეთა გამოყენების მიზნით უმთავრესი ყურადღება მიექცა საქმეების საარქივო წესრიგში მოყვანას. დანარჩენში გეგმიანი სამუშაო შესრულებულ იქნა გადამეტებით; ასე, ინვენტარულად აღწერილია საგუბერნიო მართველობის საქმეები 1904 წლამდე და ქრონოლოგიურად გარჩეულია კადეტების კორპუსის ფონდი. ეს გადამეტება საერთოდ ავსებს დანაკლისს, ასე რომ გეგმა შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად 100 პროცენტით.

მუშაობაში მონაწილეობას იღებდენ სექტემბერში 6 მუდმივი (შტატის) თანამშრომელი და 8 დროებითი, ოქტომბერში 7 და 6, ნოემბერში 7 და 6, დეკემბერში 6 და შვიდი დღის განმავლობაში 5 დროებითი. საშუალოდ თანამშრომელთა რიცხვი—11. ნამუშავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რია 987 სამუშაო დღე. აქედან საქმეების საარქივო წესრიგში მოყვანას მოუნდა 468, ინვენტარიზაციას—180, მაჩვენებლების შედგენას—12, გარჩევას—104, საკონტროლო შემმოწმებელი ნაწილის ცალკე დავალებათა შესრულებას, მაკულატურის გადარჩევას, არქივების დათვალიერებას და სხვ.—62, საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციას—11, დრ. თანამშრომელთა მუშაობისა და აღწერების შემოწმებას—58 (აღწერების შემოწმება—25, პაგინაციის შემოწმება—33), ცნობების მოძებნას—44, სამეცნიერო ცნობების კვლევას—48. გამოტოვებულია პატივსადები მიზეზებით 22 დღე.

მუშაობის საერთო შედეგი.

| | | |
|---|---|---|
| 1. საარქ. წესრ. მოყვან. . . . | 8934 საქ., | დან. 374.173 ფურცელი. |
| 2. ინვენტარ აღწერილია . . | 4895 „ | |
| 3. მაჩვენებ. შედგენ. აქვს . . | 250 „ | |
| 4. წინასწ. ქრონოლ. გარჩ. . | 26.000 „ | |
| 5. ცნობა გაცემულია . . . | 186 „ | |

თვითეული თანამშრომლის საშუალო ყოველდღიური ნაყოფიერება.

| | I/IV—I/IX—28 წ. | სექ. | ოქტ. | ნოემ. | დეკ. | საშუალ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საარქ. წესრ. მოყვან. . | 27 ს. | 20 ს. | 20 ს. | 15 ს. | 24 ს. | 20 ს. |
| 2. ინვენტ. აღწერილ. . . | 34 „ | 33 „ | 30 „ | 28 „ | 20 „ | 28 „ |
| 3. მაჩვენ. შედგენილ. . . . | 34 „ | 29 „ | 15 „ | — | 30 „ | 24 „ |
| 4. ქრონოლოგ. გარჩეულია . | — | — | — | 250 „ | 280 „ | 265 „ |

აღწერილი მუშაობის ნაყოფიერების დაწევა აიხსნება ნაყოფიერების პერსონალური უთანასწორობით (16-დან 43-მდე).

ინვენტარიზაცია ვერ მისდევს საქმეების მომზადებას. ეს აიხსნება იმით, რომ, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, სამუშაოებში დრ. თანამშრომელთა გამოყენების მიზნით უმთავრესი ყურადღება მიქცეული ჰქონდა საქმეების საარქივო წესრიგში მოყვანას (ჩაკერება, პაგინაცია).

საანგარიშო ხნის განმავლობაში ახლად შემოვიდა (ჩასაბარებელი აღწერებით) ერთი ფონდი—ტფილისის მე-4 საქალებო გიმნაზიისა (440 საქმე) და, გარდა ამისა, არსებულ ფონდებთან შესაერთებლად შემოვიდა საარქივო მასალები: მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულისა (1.045 ს.), გადასახლების სამმართველოსი (2539), ნავთსადენის სამსახურისა (84), მიწათმოქმედების სამინისტროს კანცელარიისა, მენშევიკ. დროისა, (958); სულ შემოვიდა: ჩასაბარებელი აღწერებით—5066 საქმე და უაღწეროთ, დაშლილი სახით,—საქართველოს სამხედრო გზის გაყვანის მასალები (20 ტომარა).

1929 წლის იანვრის 1-ისათვის სულ აღრიცხულია 217 საარქივო ფონდი, მათგან ქრონოლოგიურად გარჩეულია 203, გაურჩევე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლია 14, სახელდობრ: საქართველო-იმერეთის სასინოდო კონტორა, საქ. ეგზარხოსი; მონასტრები, ეკლესიები და საეკლესიო სამზრუნველოები, მართლმადიდებლობის გამავრცელებელი საზოგადოება კავკასიაში, ტრაპეზუნდის რკინის გზის გაყვანის სამმართველო, ტფილისის საბაჟო, სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიცია, ს. ს. რ. კ. ამიერკავკასიის საპრეტენზიო კომისია (ბანკები), რუსების ეროვნული საბჭო, ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, შვეიცარიის კონსული, ზინგერის კომპანია, ტფილისის ვაჭართა უსტაბაში (სტაროსტა) და ქუთაისის ყოფ. გუბერნატორის სტაროსელსკის ფონდი.

ფონდების საერთო რიცხვიდან ინვენტარულად აღწერილია 88 ფ., ჩასაბარებელი აღწერები აქვს 22-ს, აუწერელია 107.

მაჩვენებლები (სახელობითი და საგნობრივი) შედგენილი აქვს 16 ფონდს. მთავარ საისტორიო არქივში სულ აღწერილია 227.306 ერთეული.

## 2. სამხედრო-საისტორიო არქივი.

საანგარიშო კვარტალში განზრახული იყო სამუშაოები: 1900—14 წლ. საარქივო მასალებისა, 1914—17 წლ. საველე წიგნაკებისა და სამხედრო მოქმედებათა ჟურნალების გარჩევა და წითელი ლაშქრის საბუთების გარჩევა და სრულ საარქივო წესრიგში მოყვანა, 1921 წლიდან. გეგმიანი სამუშაოები შესრულებულია მხოლოდ ნაწილობრივ, სახელდობრ: ცნობაში მოყვანილია და აღწერებით შემოწმებულია წითელი ლაშქრის ფონდები. შემდეგ, ცენტრარქივის დირექტორის მიერ სპეციალურად დანიშულმა კომისიამ დაათვალიერა არქივი და იმპერიალისტური ომის მასალების დამუშავებაში ნახა მთელი რიგი დეფექტებისა: საქმეები წესიერად არ ეწყო, თვალსაჩინო ნაწილი საარქივო წესრიგში არ იყო მოყვანილი, აღწერებსა და სათაურებში მრავალი შეცთომა იყო. დათვალიერების შემდეგ სამუშაოები დასცილდენ გეგმას. მუშაობა მიმართული იყო, ერთი მხრივ, აღმოჩენილი დეფექტების შესწორებისა და, მეორე მხრივ, ძველი საარქივო ფონდების წინასწარ საარქივო წესრიგში მოყვანისაკენ. აღნიშნული ძველი ფონდები ქაოტიურ მდგომარეობას უქმნიდენ შენობას. უკანასკნელი მუშაობა საჭირო იყო მასალების აღწერების გამოსაჩენად, იგი ჯერ დასრულებული არ არის. დასრულებული არ არის აგრეთვე კომისიის მიერ აღმოჩენილი დეფექტების გასწორებაც. საანგარიშო კვარტალში მუშაობდენ: სექტემბერში 4 თანამშრ. (მუდმივი 2 და დროებითი 2), ოქტომბერში 5 (1 და 4), ნოემბერში 6 (2 და 4), დეკემბერში 2 (შვიდი დღის განმავლობაში 4 დროებითი), საშუალოდ 4. ნამუშავარია 383 დღე; მათგან გარჩევას მოუნდა 186, აღწერებისა და სათაურების შესწორებას და საქმეების წესრიგში მოყვანას—173, ცნობების მოძებნას—10, ცალკე დავალებების შესრულებას—14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მუშაობის საერთო შედეგი.

1. წინასწარ გარჩეულია . . . 8071.
2. საარქივო წესრიგში მოყვანილია და საქმეები და აღწერები შემოწმებულია . . 2855.
დანომრილია . . . . . . 199.114 ფ.
3. ცნობა გაცემულია . . . . 17.

თვითეული თანამშრომლის საშუალო ყოველდღიური ნაყოფიერება.

| | I/IV – I/IX—28 წ. | სექ. | ოქტ. | ნოემ. | დეკ. | საშუალ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. წინასწ. გარჩეულია | „ | 26 | 66 | 24 | „ | 39 |
| 2. საარქ წესრ. მოყვან. | „ | „ | „ | 20 | 15 | 17,5 |
| 3. ცნობები გაცემულია | „ | „ | „ | „ | „ | 2 |

გარჩევის ნაყოფიერების სიმცირე აიხსნება მასალების ქაოტიური მდგომარეობითა და ფონდების გამოუჩენლობით.

საანგარიშო კვარტალში ახალი ფონდი არ შემოსულა.

1929 წლის იანვრის 1-ისათვის აღრიცხულია 31 ფონდი; ნამდვილად კი ისინი უფრო მეტია, რადგანაც ძველი ჯარის მასალები ჯერ გაურჩეველია და ფონდებადაც არ არის იგი განაწილებული.

ფონდების საერთო რიცხვიდან გარჩეულია 25, გაურჩეველია 6, სახელდობრ: საველე წიგნაკები და სამხედრო მოქმედებათა ჟურნალები, სატელეგრაფო პარკები, სხვადასხვა გვარი ბრძანებები, კავკასიის სამხედრო ოლქის მასალები ძველი წლებისა, საეტაპო სატრანსპორტო განყოფილება და სამხედრო-საისტორიო განყოფილება (ჩრდილოეთ კავკასიის არქივების ნაწილები).

ინვენტარულად აღწერილია 23 ფონდი, აუწერელია 8. მაჩვენებლები შედგენილი აქვს 1 ფონდს. არქივში აღწერილია სულ 12870 ერთეული.

## 3. საისტორიო-სარევოლიუციო არქივი.

გეგმით განზრახული იყო შემდეგი სამუშაოები: 1) კავკასიის სარაიონო ოხრანკის განყოფილებისა, ტფილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს, მეფის მოადგილის განსაკუთრებული განყოფილებისა და იურიდიული არქივიდან გადმოცემული საქმეების საარქივო წესრიგში მოყვანა. 2) ტფილისის პოლიცმეისტერის სამმართველოს საიდუმლო მაგიდის (1917 წლამდე ჩათვლით), მეფის მოადგილის კანცელარიის განსაკუთრებული განყოფილებისა, ოხრანკის განყოფილებისა და ჟანდარმთა სამმართველოს ფონდებისათვის შინაგანი და საინვენტარო აღწერებისა და მაჩვენებლების შედგენა, ე. ი. ამ ფონდების სრული დამუშავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



არქივში მუშაობდა სექტემბერში 8 თანამშრომელი (მუდმივი 2, დროებითი 6), ოქტომბერში 10 (2 და 8), ნოემბერში 10 (2 და 8), დეკემბერში 2 (დროებითი თანამშრომლები მუშაობდენ მხოლოდ 7 დღე). ნამუშავარია 759 დღე; მათგან ტეხნიკურ სამუშაოს— საქმეების წესრიგში მოყვანას მოუნდა 159, სამეცნიერო დამუშავებას (ინვენტარი, შინაგანი აღწერები, მაჩვენებლები)—493, ცნობების მოძებნას 107.

მუშაობის საერთო შედეგი.

1. საარქ. წესრ. მოყვანილია . . . . 1494, დანომრილია 54.411 ფ.
2. ინვენტარულად აღწერილია . . . 536 საქმე.
3. შინაგ აღწერ. შედგენილია . . 21.907 სახელდება.
4. მაჩვენებლები „ . 4.332 „
5. ცნობა გაცემულაა . . . . . . 129, რისთვისაც გადასინჯულია 65.397 ფურცელი.

თვითეული თანამშრომლის საშუალო ყოველდღიური ნაყოფიერება.

| | I/IV—I/IX—28 წ. | სექტ. | ოქტ. | ნოემ. | დეკ. | საშუალ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საარქ. წესრ. მოყვან. | 16 | „ | 9,7 | 6 | 7,6 | 7,6 |
| 2. მეცნიერ. დამუშავებ. (ინვენტ., შინაგ. აღწერ. და მაჩვენებ. შედგენა) . | 71 | „ | 57 | 50 | 49 | 55 |

ჩაწერილია.

საანგარიშო კვარტალში ახალი ფონდი არ შემოსულა.

1929 წლ. იანვრის 1-ისათვის აღრიცხულია 15 ფონდი, ყველა გარჩეულია. ინვენტარულად აღწერილია 5, ჩასაბარებელი აღწერები აქვს 8-ს, აუწერელია 2. მაჩვენებლები აქვს 3 ფონდს. არქივში სულ აღწერილია 6237 ერთეული.

## 4. მთავარ-საბჭოთა არქივი.

გეგმით განზრახული იყო ს.ს.ს.რ. პროლეტკულტის ფონდის დამუშავება: საბუთების ქრონოლოგიური დ სისტემატიური გარჩევა, საქმეების შედგენა საგნობრივ ნიშნებით, მათი საარქივო წესრიგში მოყვანა დ ინვენტარიზაცია. გეგმა შესრულებულია 100 პროც-ით. 25/XII—28 წლ. დაწყებულია მუშაობა „წერკუმსი“-ს ფონდში.

მუშაობდენ სექტემბერში—1 მუდმ. თანამშრ. (მარტო ცნობებზე; არდადეგებისა და თანამშრომლების ავადმყოფობის გამო გეგმიანი სამუშაო არ სწარმოებდა), ოქტომბერში—3 (მუდმ. 1 და დროებ. 2), ნოემბერში—4 (2 და 2), დეკემბერში—4 (2 და 2), საშუალოდ—3. ნამუშავარია 251 დღე, მათგან ინვენტარიზაციას მოუნდა 6, საქმეების საარქივო წესრიგში მოყვანას 61, სისტემატიურ გარჩევას—134, ცნობათა მოძებნას—34, არქივების მიღებას—8, ცალკე დავალებების შესრულებას—8.

ეროვნული ბიბლიოთეკა



### მუშაობის საერთო შედეგი.

1. ინვენტარულად აღწერილია . . . . 201 ს.
2. ქრონოლ. და სისტემ. გარჩეულია . 32.446 ფ.
3. საარქ. წესრიგში მოყვანილია- . . . 327 ს., დანომრილია—33.416 ფ.
4. ცნობა გაცემულია . . . . . . . . 26 (გადასინჯულია—22,486 ფ.).

### თვითეული თანამშრომლის საშუალო ყოველდღიური ნაყოფიერება.

| 1/IV—1/IX—28 წ. | სექტ. | ოქტ. | ნოემბ. | დეკემბ. | საშუალოდ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ინვენტარულ. აღწერ. | . 46 | „ | „ | 34 | 34 |
| 2. სისტემატ. გარჩეულია . | „ | 258 ფ. | 246 | 229 | 244 |
| 3. საარქ, წესრ. მოყვან. | 10 | „ | 1,2 | 7,5 | 4 |

საანგარიშო კვარტალში მთავარ-საბჭოთა არქივში შემოვიდა 4 საარქივო ფონდი: საქართველოს სახ. მამულების ტრესტისა ს.ს.ს.რ. მიწათ-მოქმედების კომისარიატისა, მარიამ ორახელაშვილის სახელობის საპედაგოგიო ინსტიტუტისა, ცეკავშირისა, სულ 5661 ერთეული (ჩასაბარებელი აღწერებით). წითელი ლაშქრის არქივში ახალი ფონდები არ შემოსულა, ხოლო უკვე არსებულთან შესაერთებლად შემოვიდა 3.384. სულ მიღებულია 9.045 შენახვის ერთეული. 1929 წლის იანვრის 1-ისათვის აღრიცხულია 19 ფონდი; მათგან გარჩეულია 18, გაურჩეველია 1, ინვენტარულად აღწერილია 3, ჩასაბარებელი აღწერები აქვს 13 ს, სრულებით აუწერელია 3. წითელი ლაშქრის არქივში აღრიცხულია—13 ფონდი; ყველა გარჩეულია, არის ჩასაბარებელი აღწერები, ინვენტარულად აღწერილია. საბჭოთა არქივში სულ არის 32 ფონდი, გარჩეულია 31, გაურჩეველია 1, ინვენტარულად აღწერილია 3, ჩასაბარებელი აღწერა აქვს 26, აუწერელია 3. არქივში ინვენტარულად და ჩასაბარებელი აღწერებით აღწერილია სულ 19.211 ერთეული (სამოქალ. დაწესებ.) და წითელი ლაშქრისა 8861 და სულ—28.072.

### 5. იურიდიული არქივი.

გეგმით განზრახული იყო კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს საარქივო მასალების (1912-16 წლ.) და ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის სამეთვალყურეო წარმოებების (1909-11 წლ.) საარქივო წესრიგში მოყვანა და ინვენტარიზაცია მაჩვენებლების შედგენით პირველი ჯგუფისათვის. გეგმა შესრულებულია 100 პროც-ის გადამეტებით: ინვენტარულად აღწერილია მეორე ჯგუფის საქმეები 1913 წლამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მუშაობდენ სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერში 4 თანამშრომელი (მუდმ. 3 და დროებ. 1), დეკემბერში 3 (დრ. 1 დეკემბრ. 8-მდე), საშუალოდ 4. ნამუშავარია 354 დღე, მათგან ინვენტარიზაციას მოუნდა 193, საარქივო წესრიგში მოყვანას 161, ცნობების მოძებნაზე დახარჯული დროს რაოდენობა ცალკე არ არის აღრიცხული. პატივსადები მიზეზებისა გამო გამოტოვებულია 11.

### მუშაობის საერთო შედეგი.

1. ინვენტარულად აღწერილია . . . 7.706 } მუშაობა სწარმოებდა
2. მაჩვენებლები შედგენილ აქვს . . 6.406 } ერთსადაიმავე დროს.
3. საარქივო წესრიგში მოყვანილია . 5.689; დანომრილია 323.915 ფ.
4. ცნობა გაცემულია . . . . . . . 140

### თვითეული თანამშრომლის საშუალო ყოველდღიური ნაყოფიერება.

| | 1/IV—1/IX—28 წ. | სექტ. | ოქტ. | ნოემბ. | დეკემბ. | საშუალ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინვენტ. აღწერილია .<br>2. მაჩვენ. შედგენ. აქვს . | 41 | 39 | 37 | 37 | 44 | 39 |
| 3. საარქ. წეს. მოყვან. | 25 | 40 | 37 | 37 | 23 | 34 |

საანგარიშო კვარტალში ახალი ფონდი არ შემოსულა. 1929 წლის იანვრის 1-ისათვის აღწერილია 41 ფონდი, მათგან გარჩეულია 31, გაურჩეველია 10 (ქრონოლოგ. გარჩეულია 7 და მოსასპობი მასალა გამოყოფილია 24-დან); ინვენტარულად აღწერილია 8, ჩასაბარებელი აღწერები აქვს 1, აუწერელია 32; მაჩვენებლები აქვს 8 ფონდს. 1929 წ. იანვრის 1-სათვის არქივში ინვენტარულად აღწერილია სულ 22.634, ჩასაბარებელი აღწერებით- -419 და სულ 23·053.

ამის გარდა იურიდიულ არქივში თავმოყრილია წითელი ლაშქრის არქივის ნაწილი—სამხედრო ტრიბუნალები—5.614 შენახვის ერთეული (ჩასაბარებელი აღწერებით).

## 6. ძველ საბუთთა არქივი.

გეგმით განზრახული იყო ძველი ქართული საბუთების (9.000) წესრიგში მოყვანა და ინვენტარიზაცია. გეგმა შესრულებულია 100 პროც-ით. ამის გარდა ტფილისის საგლეხო საქმეთა შეკრებულობის ფონდიდან ამოღებულია 616 ძველი საბუთი, რომელიც შემდეგ აღწერილ იქნება. მუშაობდა 3 მუდმივი თანამშრომელი. ნამუშავარია 215 დღე, მათგან ინვენტარიზაციას მოუნდა 40, გარჩევას და შავ აღწერას 57, თვითეული საბუთის ცალკე კანში მოთავსებას და დანომრას 108, ახალი საბუთების ამოღებას 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მუშაობის შედეგი.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. გარჩეულია და შავად აღწერილია . . . | 1.595 | საბუთი. |
| 2. ინვენტარულად „ . . . | 1.665 | „ |
| 3. ცალკე კანში მოთავსებულია . . . . . | 9.065 | „ |
| 4. ამოღებულია ახალი საბუთი . . . . . . | 616 | „ |

თვითეული თანამშრომლის საშუალო ყოველდღიური ნაყოფიერება.

| | სექტ. | ოქტ. | ნოემბ. | დეკემბ. | საშუალ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. გარჩეულია და შავად აღწერ. | 18 | 37 | „ | „ | 27,5 |
| 2. ინვენტარულად აღწერილია . | 39 | 43 | „ | „ | 41 |
| 3. ცალკე კანში მოთავსებულია . | „ | „ | 96 | 77 | 86 |
| 4. ამოღებულია ახალი საბუთი . | „ | „ | „ | 61 | 61 |

1929 წლის იანვრის 1-ისათვის აღრიცხულია 7 ფონდი, მათგან გარჩეულია 6, გაურჩეველია 1 (სვ. ესაძის ფონდი); აღწერილია ნ, აუწერელია 1. სულ აღწერილია 11.195 შენახვის ერთეული.

**7. მუნიციპალური არქივი და ტფილისის სამაზრო საარქივო ბიურო.**

არქივში მუშაობდა 2 თანამშრომელი.

მუშაობის შედეგი:

1. გარჩეულია ტფილისის ქალაქის გამგეობის საამშენებლო, საექიმო-სასანიტარო და განმაწესრიგებელი განყოფილებების (1875—1920 წლ.) მასალები—6.410 შენახვის ერთეული, მათგან მოსასპობია—3.985 ერთეული.
2. ბიუროში მიღებულია მასალები საბჭოთა დაწესებულებებისა: მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსი, და ქალაქის აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებისა და წყალსადენისა 6.168 შენახვის ერთეული.
3. ხელმძღვანელობა გაეწია არქივებს.
4. გაცემულია ცნობა—130.

**8. ბეჭდვით გამოცემათა განყოფილება (წიგნთსაცავი).**

საანგარიშო კვარტალში მუშაობდა 3 თანამშრომელი (მუდმ. 2 და დროებ. 1); ნამუშავარია 215 დღე.

მუშაობის შედეგი.

| | | |
|---|---|---|
| 1. წესრიგში მოყვანილია და ინვენტარულად აღწერილია . . . . . . . . . . . . . . . . . . | 235 | წიგნი. |
| 2. კლასიფიცირებულია . . . . . . . . . . . | 543 | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა



3. შედგენილია ძირითადი და მიმთითებელი ბარათები საანბანო კატალოგისათვის . . . . . . . . . . 926
4. შედგენილია სისტემატ. კატალოგის ფურცლები 4.744
5. შემოწმებულია სისტემატ. საკონტროლო კატალოგის ფურცლები . . . . . . . . . . . . . . . . . 14.238
6. აღრიცხულია მიმდინარე ლიტერატურა . . . 1.288
7. წესრიგში მოყვანილია და კატალოგიზირებულია ქართული პერიოდიკა 63 წლისა და სომხური 10 წლისა, აგრეთვე რუკები, გეგმები და პლაკატები.
8. მიღებულია ცენტრალურ მუშათა კლუბისა და იუსტიციის სახ. კომისარიატიდან თავიანთ წიგნთსაცავებიდან გამორიცხული ბეჭდვითი მასალები—3,895 წიგნი; ცენტრ. მუშათა კლუბის მასალა უკვე გარჩეულია და კატალოგიზირებულია . . . . . . . . . . . . . . . . . 829 ერთ.
9. გაცემულია სამეცადინოდ და წასაკითხად (სამეცადინო დარბაზსა და ცენტრარქ. თანამშრომლებზე) . 479 წიგნი.
10. გაცემულია სხვადასხვა ცნობა . . . . . . . 17

გეგმიან მუშაობაზე საერთოდ დაიხარჯა სამუშაო დროს 83 პროც., დანარჩენი დრო მოუნდა სხვა და სხვა დავალებების შესრულებას: წიგნთსაცავების დათვალიერებას, საორგანიზაციო და სხვა მიმდინარე სამუშაოებს.

**ყველა ზემოხსენებულ არქივებში წარმოებული მუშაობის საერთო შედეგი და საშუალო ნაყოფიერება[1].**

1. თანამშრომელთა რიცხვი (საშუალოდ) . . . . 33
2. ნამუშავარია 2.949 დღე; მათგან საარქივო დამუშავებას მოუნდა 1.138—38 პროც., შინაგანი აღწერებისა და მაჩვენებლების შედგენას 505—17 პროც., გარჩევას 491—17 პროც., ინვენტარიზაციას 419—14 პროც., ცნობების მოძებნას 243—8 პროც., ცალკე დავალებების შესრულებას 84—3 პროც., მუშაობის შემოწმებას 52—2 პროც., არქივების მიღებას და საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციას და სხვ. 1 პროც.
3. საარქივო წესრიგში მოყვანილია 28.364 ერთეული (985.000 ფ.), ნაყოფიერება . . . . . . . . . 16 (993 ფ.).
4. ინვენტარულად აღწერილია 15,003. ნაყოფიერება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 37
5. შინაგანი აღწერები შედგენილი აქვს 21.907 სახელდება. ნაყოფიერება . . . . . . . . . . . . . 55
6. მაჩვენებლები შედგ. აქვს 10.986 სახელდება. ნაყოფიერება . . . . . . . . . . . . . . . . . . 40
7. წინასწარ გარჩეულია 36.282 ს. ნაყოფ-ბა . . 116
8. სისტემატ. გარჩეულია 32.446 ს. „ . . . 244

[1]) ამ საერთო ანგარიშში შეტანილი არ არის მუნიციპალური არქივი და ბეჭდვით ნაწარმოებთა განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



9. ცნობა გაცემულია . . . . . . . . . . . . 498

10. ახალი ფონდი მიღებულია 5 (14.111 ერთ.), ნაყოფიერება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 1.767 ერთ.

1929 წლის იანვრის 1-ისათვის სულ აღრიცხულია (მუნიციპალური არქივითვე) 371 ფონდი, მათგან გაურჩეველია 32, ინვენტალურად აღწერილია 133, ჩასაბარებელი აღწერები აქვს 57, აუწერელია 181.

მაჩვენებლები აქვს 28 ფონდს.

საინვენტარო და ჩასაბარებელი აღწერებით სულ აღწერილია 308.711 ერთეული.

## საქართველოს ს. ს.რ. ცენტრარქივის მუშაობა-მოქმედების საპერსპექტივო გეგმა 1929 წლ. იანვრის 1-დან ივლისის 1-მდე.

მუშაობის გეგმა 1929 წლ. პირველ ნახევარში, როგორც ძირითადი წესი, უნდა იყოს ორგანიული გაგრძელება იმ მუშაობისა, რომელიც სწარმოებდა 1928 წელს.

ახალი დავალება იქნება მხოლოდ—ცენტრარქივის საცავებსა და დაწესებებულებების არქივებში თავმოყრილი უვარგისი ქაღალდის მასალის გადარჩევა იმ მოთხოვნილებათა განხორციელების მიზნით, რომელიც ნაჩვენებია შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წლ. ნოემბრის 28-ს, ს. ს. რ. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის საუწყებათაშორისო თათბირის 1928 წლ. დეკემბრის 3-ს და ს. ს. რ. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის კოლეგიის 1928 წლ. დეკემბრის 20-ს დადგენილებებში ქაღალდის ტრესტისათვის მაკულატურის გადაცემის შესახებ.

1929 წლ. იანვრის 1-დან ს. ს. ს. რ. ცენტრალური საარქივო სამმართველო მოსასპობი მასალის გამოსაყოფად აწარმოებს სასწრაფო სამთვიან კომპანიას როგორც ცენტრარქივის საცავებში და მის ადგილობრივ ორგანოებში, ისე ყველა მომქმედ სახელმწიფო, პროფესიონალურ და კოოპერატიულ დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და წამოწყებებში. მასალის გადარჩევის სახელმძღვანელო წესები გამომუშავებულია ს. ს. ს. რ. ცენტრალურ საარქივო სამმართველოს მიერ და წარგზავნილი აქვთ ცნობად და შესასრულებლად ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს: ავტონომიურ რესპუბლიკათა მთავრ არქივებს და ყველა სამაზრო საარქივო ბიუროებს. აგრეთვე გამომუშავებულია ინსტრუქცია გამრჩევ და საკონტროლო კომისებისათვის კომპანიის ჩასატარებლად.

მოსასპობი მასალის გადარჩევის მუშაობასთან დაკავშირებით, დაწესებულებებში, სათანადო წესების თანახმად, იწარმოებს დაწესებულებათა არქივების აღრიცხვა და დათვალიერება მათი მდგომარეობის გამორკვევის მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საარქივო ფონდების კონცენტრაციის საერთო ამოცანის შესრულების მიზნით განზრახულია ლიკვიდირებულ დაწესებულებათა საარქივო მასალების თავმოყრა. აგრეთვე ზომების მიღება, რომ ცენტრარქივის საცავებს გადმოეცეს მომქმედ დაწესებულებათა არქივები 1923 წლამდე (ჩათვლით), რამდენადაც საარქივო სამმართველოს საშუალება ექნება ცენტრალურ არქივთსაცავების გაფართოებისა და მოწყობისათვის.

მე-XIX საუკუნის რევოლიუციის ისტორიისა და საზოგადოებრივ მოძრაობის შესწავლის მოთხოვნილება დიდია და იგი სულ ფართოდ და ფართოდ იშლება. ამის გამო მუშაობა საისტორიო არქივებში განზრახულია იმ მიმართულებით, რომ ხელი შეეწყოს მეცნიერულ-ისტორიულ მიღწევებს.

მეცნიერულ კვლევითი ხასიათის შეკითხვების დაკმაყოფილების მიზნით მუშაობა მიმართული იქნება ისტორიულ-რევოლიუციონური მნიშვნელობის საარქივო მასალებისა და მე-XIX საუკუნის საბუთების ტეხნიკურად მომზადებისაკენ. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პირველი ჯგუფის მასალების სრულ სისტემატიკასა და კარტოტეკას. მოსასპობი მასალის გამოსაყოფად სასწრაფო კომპანიის ჩატარების აუცილებლობა გვაიძულებს მუშაობა საისტორიო ფონდებში ვაწარმოოთ გაურჩეველ ფონდების წესრიგში მოყვანის ხაზით და ამასთანავე ისეთი ფონდების, რომლებიც მოგვცემენ მოსასპობი მასალის მაქსიმალურ რაოდენობას.

ეს მუშაობა თუმცა რაოდენამდე აფერხებს ინვენტარიზაციას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, იგი მიზანშეწონილია საცავების ზედმეტი სიმძიმისაგან განტვირთვის თვალსაზრისით და მომავალში აღწერით მუშაობასაც შეასუბუქებს.

ზემოხსენებულ საერთო პროგრამის მიხედვით ცენტრარაიქივში განზრახულია მუდმივ (შტატის) მოსამსახურეთა და 25 დროებით თანამშრომლის მონაწილეობით წარმოებულ იქნეს შემდეგი მუშაობა.

## 1. მთავარი საისტორიო არქივი.

1. მეფის ნაცვლის კანცელარიის (1853—1857 წლ.) და ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს (1909—1917 წლ.) საარქივო ფონდების წესრიგში მოყვანა და ინვენტარიზაცია.

2. ტრაპეზუნდის რკინისგზის აშენების სამმართველოსი, ტფილისის საბაჟოს, სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიციის, ზინგერის კომპანიის და კავკასიაში მართლმადიდებელობის გამავრცელებელი საზოგადოების საარქივო ფონდების ქრონოლოგიური გარჩევა საფონდო სისტემით (მოსასპობი მასალის გამოყოფით).

3. შესანახი მასალის გამოყოფა ადრევე გარჩეული ფონდებიდან: ტფილისის სახაზინო პალატისა, ტფილისის საგუბერნიო ხანინისა, რკინისგზათა სამმართველოსი და გზათა ოლქისა, აგრეთვე მეფის ნაცვლის კანცელარიის ფონდების ნაწილებიდან რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავის დროზე დანიშნული იყო მოსასპობად, მაგრამ საბოლოოდ ამ მიზნით განხილული არ ყოფილა.

## 2. საისტორიო-სარევოლიუციო არქივი

1. შინაგანი აღწერების (აღწერა საქმეების შინაარსისა), საინვენტარო აღწერის და საგნობრივი და სახელობითი მაჩვენებლების შედგენა ტფილისის პოლიცმეისტერის სამმართველოს საიდუმლო მაგიდის 1910—1917 წლ. ფონდის დაუმუშავებელი ნაწილისათვის (661 საქმე 62. 404 ფურცელზე).

2. საბარათო კატალოგის შედგენა შემდეგი ფონდებისათვის: ა) კავკასიის სარაიონო ოხრანკის განყოფ. (40 საქმე 4088 ფურცელზე), ბ) ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა განყ. (7 საქმე 969 ფურცელზე), გ) მეფის ნაცვლის კანცელარიის განსაკუთრებული განყოფილებისა (195 საქმე 6397 ფურცელზე).

3. საინვენტარო აღწერა შინაგანი აღწერებით საგნობრივი და სახელობითი მაჩვენებლების შედგენით მენშევიკების დროის ტფილისის საქალაქო მილიციის საიდუმლო განყოფილების ფონდისათვის (349 საქმე 15.843 ფურცელზე).

სულ დასამუშავებელია 1252 საქმე 89.101 ფურცელზე.

გზა და გზა სრულ საარქივო წესრიგში იქნება მოყვანილი გამოძიებითი და სხვა წარმოებები ყოფილ სასამართლო დაწესებულებათა პოლიტიკურ საქმეებზე (158 საქმე 15.000 ფურცელზე).

## 3. იურიდიული არქივი.

1. კავკასიის სამხ. ოლქის სასამართლოს საარქივო მასალების (1917—1920 წლ.) და მენშევიკების დროის ფონდების: იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სენატის და საგანგებო სასამართლოს ინვენტარიზაციის დასრულება საანბანო მაჩვენებლების შედგენით.

2. კავკასიის სამხ. ოლქის სასამართლოს, ტფილისის სასამართლო პალატის ოლქში შემავალ საოლქო სასამართლოთა გამომძიებლების, ტფილისის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებისა და ტფილისის სასამართლო პალატის სამოქალაქო დეპარტამენტების გამოძიებითი მასალების გარჩევა.

## 4. სამხედრო-საისტორიო არქივი.

1. ძველი ლაშქრის სხვა და სხვა ნაწილებისა და სამმართველოების საარქივო მასალების გარჩევა, ფონდების გამოაშკარავება, მასალების სისტემატიზაცია დაწესებულებათა სტრუქტურის თანახმად, მათი ქრონოლოგიური დაწყობა და შესანახი მასალის გამოყოფა.

2. წითელი ლაშქრის საარქივო მასალების სრულ წესრიგში მოყვანა, დაწყებული 1921 წლიდან, საერთო რაოდენობით 3000 საქმე და საინვენტარო აღწერის შედგენა მათთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



### 5. ძველ საბუთთა არქივი.

1. საგუბერნიო საგლეხო შეკრებულობის საქმეებიდან ძველი საბუთების ამოღება (საბუთები ეკუთვნიან საქართველოს მეფეებისა და რუსეთის მფლობელობის პირველ ხანას) აღნიშვნით საქმეებში ამოღების შესახებ და ამ საბუთების ინვენტარიზაცია.

2. 63 დავთარში მოთავსებულ ძველი საბუთების პირების (6.000-დე) ინვენტარიზაცია.

### 6. მთავარ საბჭოთა არქივი.

1. „წერკუმსი"-ს მასალების ქრონოლოგიური და სისტემატიური გარჩევა, საარქივო წესრიგში მოყვანა და ინვენტარიზაცია.

2. მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ამიერკავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან არსებულ შრომისა და ყოფა-ცხოვრების დაცვის განყოფილების ფონდიდან შესანახი მასალის გამოყოფა და მათი გარჩევა ქრონოლოგიური და სისტემატიური წესით.

### 7. ბეჭდვით ნაწარმოებთა არქივი (წიგნთსაცავი)

1. სამაკულატურო ხასიათის წიგნების, გაზეთების და პერიოდიკის გადარჩევა მოსასპობი მასალის კომპანიის ჩასატარებლად ქაღალდის მრეწველობის საჭიროებისათვის.

2. სკოლებისა, პროფესიონალურ, პოლიტგანათლების და საუწყებო წიგნთსაცავებიდან გამორიცხული წიგნებისა, გაზეთებისა და პერიოდულ გამოცემათა მიღება და მათი კონცენტრაცია ბეჭდვით ნაწარმოებთა არქივებში.

3. მიმდინარე ლიტერატურისა და პერიოდიკის დამუშავება.

4. მუშათა ცენტრალურ კლუბის წიგნთსაცავიდან და იუსტიციის სახ. კომისარიატიდან მიღებული წიგნებისა, გაზეთებისა და პერიოდულ გამოცემათა დამუშავება.

### 8. მუნიციპალური არქივი.

1. ტფილისის ქალაქის გამგეობის საფინანსო და საკონტროლო განყოფილების 1875—1920 წლების საქმეების გარჩევა, ამ საქმეებიდან მაკულატურის გამოყოფა და შესანახად გადარჩეულ საქმეებისათვის ინვენტარის შედგენა.

2. ქალაქის სამმართველოს წყალსადენის საქმეების გადარჩევა და სისტემატიზაცია მაკულატურის გამოყოფით.

3. ტფილისის მაზრაში ადგილობრივი საარქივო ორგანოების (სარაიონო არქივები) დათვალიერება მთავარ პუნქტებში (დუშეთი და სხვ.).

4. ტფილისის აღმასკომის ა) საკომენდანტო, ბ) სტატისტიკური, გ) ელექტრო-ტეხნიკურ ანაგებთა სამმართველოს და დ) ადმინისტრატიულ განყოფილების საქმეების მიღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## 9. საგამომცემლო ნაწილი.

საარქივო საქმის ახალ ნიადაგზე დაყენებისას არქივებმა უპირველეს ყოვლისა უნდა შეასრულონ პოლიტიკური ამოცანები იმ საბუთების გამოქვეყნებით, რომელნიც აშუქებენ უდიდეს მოვლენებს მსოფლიო ისტორიაში—საბჭოთა აღმშენებლობისა და ოქტომბრის რევოლიუციის პრობლემებს. დამზადება საბუთებისა ამ მიზნისათვის არის პირდაპირი და გადაუდებელი ვალდებულება ცენტრალურ საარქივო სამმართველოსი.

ამ პოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად წინა კვარტალში უკვე წარმოებულია რამდენიმე სამუშაო: მთავარ საისტორიო დ სამხედრო საისტორიო არქივების მასალებიდან შერჩეულია საბუთები, რომელნიც ეხებიან თებერვლისა დ ოქტომბრის რევოლიუციებს კავკასიაში, შესრულებულია ტეხნიკური მუშაობა საბუთების სისწორით გადაწერისა და მათი ნაწილობრივ სარედაქციო დამუშავებისათვის. მომავალ საგეგმო კვარტალში საჭიროა საბოლოოდ დამზადება ამ მასალისა „წითელი არქივის“ პირველი ნომრის გამოსაცემად.

პარალელურად საარქივო საქმის პოპულიარიზაციისა და საარქივო მუშაკების არქივთმცოდნეობის საფუძვლებთან გაცნობის მიზნით ცენტრალურ საარქივო სამმართველოს თავის მიმდინარე გეგმაში შეაქვს სპეციალურ საარქივო ორგანოს გამოცემა, სახელწოდებით „საარქივო საქმე“, 8—12 დაბეჭდილი ფურცლის (ფორმა) მოცულობით და შემდეგი პროგრამით: 1. საარქივო საქმის თეორია და ტეხნიკა, 2. საარქივო პრაქტიკა, 3. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, 4. ოფიციალური ნაწილი.

## საქართველოს ს. ს. რ. ცენტრარქივში სასწრაფო კომპანიის ჩატარების გეგმა მოსასპობი საარქივო მასალის გამოსაყოფად.

ს. ს. რ. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის საუწყებათაშორისო თათბირის 1928 წლ. დეკემბრის 3-ს და ს. ს. რ. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის 1928 წლ. დეკემბრის 20-ს დადგენილებათა თანახმად, ყველა ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებები და წამოწყებები, რომელნიც იმყოფებიან საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე ვალდებულნი არიან მოამზადონ მთელი მაკულატურა ქაღალდის ტრესტისა ანუ მისი კონტრაგენტისათვის ჩასაბარებლად. ა/კ. სახელმწიფო ვაჭრობამ, რომელიც არის კონტრაგენტი ქაღალდის ტრესტისა, მაკულატურის რეალიზაცია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადასცა საქართველოს ს. ს. რ. ცენტრარქივს; მასალების გადარჩევის დაწვრილებითი წესები უკვე გამომუშავებულია საქართველოს ს. ს. რ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს მიერ და გაგზავნილი აქვთ ს. ს. ს. რ. ავტონომიურ რესპუბლიკათა საარქივო სამმართველოებს, სამაზრო საარქივო ბიუროებს და ცენტრალურ სახელმწიფო, პროფესიონალურ და კოოპერატიულ დაწესებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლებებს, ორგანიზაციებს და წამოწყებებს, რომ თავის დროზე და რაც შეიძლება სავსებით განხორციელებულ იქნეს ქაღალდის მრეწველობისათვის მოსასპობი ქაღალდის გადაცემის ამოცანა—ცენტრარქივი ატარებს სამთვიან კომპანიას 1929 წლის იანვრის 1-დან აპრილის 1-მდე.

დაწესებულია შემდეგი რიგი მასალების გამოსაყოფად: 1. პირველ რიგს ეკუთნიან ის მასალები, რომელთაც არა აქვთ საარქივო ღირებულება და დაწესებულებებისათვის სამუდამოდ დაკარგული აქვთ ცნობითი ანუ სხვა პრაქტიკული მნიშვნელობა. 2. მეორე რიგს ეკუთნიან ის მასალები, რომელნიც ოპერატიული მუშაობისათვის საჭირონი არ არიან, მაგრამ თავის მეცნიერულ-ისტორიული ღირებულების გასარკვევად მოითხოვენ გადასინჯვას. მასალების გადარჩევას აწარმოებენ გამრჩევი კომისიები თანახმად საერთო ინსტრუქციისა, რომელიც გამოცემულია ცენტრალურ საარქიყო სამმართველოს მიერ და გამოქვეყნებულია „საქართველოს არქივის“ № 1-ში, აგრეთვე განსაკუთრებული წესების მიხედვით, რომელნიც ამსუბუქებენ მუშაობის ტეხნიკას. ცენტრარქივის ფონდებიდან გასარჩევად დანიშნულია ის ფონდები, რომელთაც შეუძლიათ მოგვცენ მოსასპობი მასალის მაქსიმალური რაოდენობა. საარქივო მასალები, რომელნიც ეხებიან რევოლიუციონურ და საზოგადოებრივ მოძრაობას, სამოქალაქო ომს, აგრარულ და მუშათა საკითხებს მოსასპობად გადაღებული იქნება მხოლოდ განსაკუთრებული ბეჯითი შემოწმების შემდეგ, ხოლო მასალები 1865 წლამდე არას გზით არ შეიძლება მოსპობილ იქნენ.

ზემოხსენებული მუშაობა განზრახულია წარმოებულ იქნეს მთავარ საისტორიო, სამხედრო-საისტორიო, იურიდიულ, საბჭოთა, მუნიციპალურ და ბეჭდვით ნაწარმოებთა არქივებში.

გადასარჩევად დანიშნულია შემდეგი საარქივო ფონდები:

1. *მთავარ საისტორიო არქივში*: ტფილისის სახაზინო პალატისა, ტფილისის საგუბერნიო ხაზინისა, რკინის გზებისა, გზათა ოლქისა, საბაჟოსი, სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიციისა, ზინგერის კომპანიისა, კავკასიაში მართლმადიდებლობის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ნაწილები მეფის ნაცვლის კანცელარიისა, რომელნიც თავის დროზე დანიშნული იყო მოსასპობად, მაგრამ საბოლოოდ ამ მიზნით შემოწმებული არ იქნა.

2. *სამხედრო-საისტორიო არქივში*: ძველი ლაშქრის სამმართველოებისა და ნაწილებისა. გადარჩევა იწარმოებს განსაკუთრებული სიებით, რომელნიც ნაჩვენები არიან სამხედრო უწყებისათვის შემუშავებულ მოსასპობ მასალათა ნუსხაში.

3. *იურიდიულ არქივში*: მომრიგებელ განყოფილებათა, სამოქალაქო დეპარტამენტებისა, ტფილისის სასამართლოს პალატისა, ტფილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებისა და გამოძიებითი წარმოებების—კავკასიის სამხედრო საოლქო სასამარ-

თლოსი და ტფილისის სასამართლოს პალატის ოლქში შემავალ საოლქო სასამართლოთა გამომძიებლებისა.

4. *საბჭოთა არქივში:* მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, ა/კ. რკინისგზათა სამართველოსთან არსებული შრომისა და ყოფა-ცხოვრების დაცვის განყოფილებისა და სამხედრო ტრიბუნალებისა.

5. *მუნიციპალურ არქივში:* ტფილისის ქალაქის გამგეობის საფინანსო და საკონტროლო განყოფილებების და ქალაქის სამმართველოს წყალსადენის 1920 წლამდე.

6. *ბეჭვდით ნაწარმოებთა არქივში (წიგნთსაცავი):* გადარჩევა იწარმოებს წიგნთსაცავის ფონდიდან, ცენტრარქივის სხვა და სხვა განყოფილებებში მყოფ ბეჭდვით ნაწარმოებებიდან და იმ მასალებიდან, რომელნიც გამორიცხული არიან სკოლების და იუსტიციის სახ. კომისარიატის წიგნთსაცავიდან.

7. დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოსასპობი მასალის გადარჩევას აწარმოებენ: პირველი რიგისას—თვით დაწესებულებანი იმ გადარჩევის სიების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებული იქნებიან ცენტრარქივის სამმართველოს მიერ, ხოლო მეორე რიგისას—გამრჩევი კომისიები. კომისიის შემადგენლობაში აუცილებლივ შევა ცენტრარქივის წარმომადგენელი. გამრჩევ კომისიათა ოქმების განსახილველად და დასამტკიცებლად შექმნილია განსაკუთრებული შემმოწმებული კომისია, შედგენილი ცენტრარქივის პასუხისმგებელ თანამშრომლებისაგან. ცენტრარქივში იწარმოებს საერთო აღრიცხვა იმ მასალისა, რომელიც უნდა გადაეცეს ქაღალდის მრეწველობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოქმედ საბჭოთა დაწესებულებების არქივების დათვალიერება.

ძიმდინარე წლიდან ცენტრაქივი შეუდგა მოქმედ საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და წარმოებათა არქივების სისტემატიურ დათვალიიერებას მათი მდგომარეობის გამოსარკვევად. ცენტრარქივს ამ მიზნით გამოყოფილი ჰყავს ცალკე თანამშრომელი-ინსტრუქტორი, რომელიც ათვალიერებს ამ დაწესებულებათა არქივებს და პრაქტიკული მითითებებით ხელმძღვანელობას უწევს მათ; დათვალიიერება წარმოებს უწყებებისდა მიხედვით. თვითეული უწყებისა (კომისარიატისა) და მის ხელქვეით დაწესებულებათა არქივების დათვალიიერების შემდეგ ინსტრუქტორი ადგენს საერთო ანგარიშს მთელი უწყების არქივების მდგომარეობის შესახებ. ანგარიშს ისმენს ცენტრარქივის საბჭო და ღებულობს სათანადო ღონისძიებებს მასში აღნიშნული ნაკლის გამოსასწორებლად.

ქვემოდ თავსდება ინსტრუქტორ ი. ც ი ნ ც ა ძ ი ს მოხსენება მიწათმოქმედების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების არქივების დათვალიერების შესახებ.

## 1. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი და მისი ქვემდებარე დაწესებულებანი.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი და მისი განყოფილებები ერთ შენობაშია მოთავსებული. თავის არქივებს ეს განყოფილებები აბარებენ კომისარიატის სამდივანმწიგნობროს, რომელსაც წინად ჰყოლია ერთი თანამშრომელი არქივარიუსის თანამდებობაზე. დღეს კი აღნიშნული თანამდებობა გაუქმებულია და სამდივანმწიგნობროს ერთი თანამშრომელი შეთავსებით ასრულებს ამ მოვალეობას. ამ ჟამად კომისარიატისა და მისი განყოფილებების არქივები უკვე გადმოცემული აქვს ცენტრარქივს, გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც დაწესებულებას ესაჭიროება მიმდინარე მუშაობისათვის. კომისარიატს არქივებისთვის სპეციალური ოთახი არ გააჩნია და საქმეები სხვადასხვა ოთახებში აქვს მოთავსებული (შკაფები), თვით ის პირი, რომელიც არქივებისათვის პასუხისმგებელია, მომზადებული და შეგნებული პიროვნებაა (უმაღლესი განათლებით), იგი გაცნობილია საარქივო წესებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში კომისარიატის არქივები ცენტრარქივს ჩაჰბარდება მიღებული წესების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზემოაღნიშნულის თქმა შეიძლება მხოლოდ კომისარიატის და მისი განყოფილებების შესახებ; რაც შეეხება ქვე-განყოფილებებს, რომელნიც ქალაქის სხვადასხვა კუთხეებშია მოთავსებული, მათი არქივები უმეტეს შემთხვევაში სამწუხარო სურათს გვიშლიან თვალწინ.

დავიწყებთ სახალხო მამულთა ტრესტის ქვე-განყოფილებებიდან. მას აქვს ორი ქვე-განყოფილება: 1) ღვინის სარდაფი და 2) სახსპირტი. ღვინის სარდაფი, ყოფილი საუფლისწულო მამულების სარდაფი (პეტრიაშვილის ქ. № 1) თავის არქივს სახალხო მამულთა ტრესტს არ აბარებს, ამიტომ მოსალოდნელი იყო მისი არქივის ადგილობრივ პოვნა, მაგრამ, სამწუხაროდ, არქივის მესამედი ძლივს გადარჩენილა. არქივისათვის, რა თქმა უნდა, ცალკე ოთახი არ არსებობს, იგი სხვადასხვა იარაღების საწყობშია თაროებზე დალაგებული, ოდესღაც წლების მიხედვით დაყოფილი, მაგრამ დღეს საშინელ პირობებში მყოფი. არქივი შეიცავს საქმეებს 1898 წლიდან 1918 წლამდე. უდიდესი ნაწილი იქ მყოფ მუშებს „პაპიროსის“ ქაღალდათ გამოუყენებიათ, ხოლო ნაწილი, როგორც თანამშრომელთა ურთიერთშორის საუბრიდან გამოირკვა „ფითილად“ უხმარიათ. ის პირი, ვისაც საწყობი აბარია არქივის პასუხისმგებლობას არ კისრულობს იმ მიზეზით, რომ მას ასეთებისათვის დრო არა აქვს. საქმის მწარმოებელმა მოქალაქე ჩადუნელმა მწუხარება გამოსთქვა და აღნიშნა, რომ მან ბევრჯელ დაუშალა მუშებს არქივის განადგურება მაგრამ არაფერი გაუვიდა, თანაც დასძინა, რომ, როდესაც სამსახურში დანიშნეს, მას არქივი არ ჩაუბარებია. ამიერიდან მან იკისრა მისი წესრიგში მოყვანა, სიის შედგენა და ჩასაბარებლად გამზადება. არც საბჭოთა ხანის არქივი აქვთ მოწესრიგებული, საქმეებში ფურცლები დაუნუმრავია და ყოველწლიური სია შედგენილი არ არის.

სახალხო მამულების ტრესტის მეორე ქვე-განყოფილება სახსპირტია (ლენინის ქ. № 20). ეს დაწესებულება ყოფილი სარაჯიშვილის ქარხანაა. ველოდით ქარხნის ყოფილ პატრონის სარაჯიშვილის არქივის პოვნას, რომელსაც ჩვენი მრეწველობის ისტორიისა და ზოგიერთ საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა. მაგრამ მოლოდინი სასოწარკვეთილებით დამთავრდა, იგი დაღუპულა. არქივი მოთავსებული ყოფილა შენობის ზედა სართულში, იქიდან იგი ჯერ სარდაფში ჩაუყრიათ და მერე მეხილეებისათვის მიუყიდიათ სამი „ფურგონი“, დაახლოვებით 1926 წელს. საბჭოთა ხანის არქივიც საბუხჰალტერო დავთრებისა და ანგარიშების გარდა უპატრონოდ და უწესრიგოდ ჰყრია ერთი ოთახის თაროებზე და დღემდე მისი მომვლელი და მომწესრიგებელი არავინ იყო. ამჟამად ქარხნის ბუხჰალტერს, მოქ. ნიკოლოზ დარახველიძეს დაევალა მისი მოწესრიგება.

სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს აქვს 6 ქვე-განყოფილება. პირველი ქვე-განყოფილება ტეხნო-დახმარება იგივე მანქანა-იარაღების საცდელი სადგურია (მუშტაიდი). ამ ქვე-განყოფილებას არქივი არა აქვს, იგი ჩაუბარებია სასოფლო-სამეურნეო

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამმართველოსთვის. მომავალში მუშაობისათვის საჭირო არის წესების გადაგზავნა. დაწესებულება დიდი არ არის და არქივი ყოველთვის შეიძლება სამდივანმწიგნობროს ოთახშივე მოთავსდეს შკაფებში.

მეორე ქვე-განყოფილება ცენტრალური სააბრეშუმო სადგურია (მუშტაიდი); იგი არქივს სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს არ აბარებს, ამიტომ გვეგონა არქივი მთლიანად იქ აღმოჩნდებოდა, მაგრამ როგორც გამგის სიტყვებიდან გამოირკვა, არქივის დიდი ნაწილი 1916 წელს კავკასიის მეფის ნაცვლის არქივთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიაში გაუხიზნავთ, რომლის ბედის შესახებ მან არაფერი იცის; ხოლო ტფილისში დარჩენილი ნაწილი მოთავსებულია ერთ შკაფში 3 განყოფილებად და შეიცავს საქმეებს 1888 წლიდან 1920 წლამდე. არქივი წესრიგში არ არის მოყვანილი, არც სიებია შედგენილი. სპეციალური ოთახი მართალია არ არსებობს, არც სპეციალური არქივარიუსია მისთვის განკუთვნილი, მაგრამ პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს და არქივი დაცვის მხრივ უზრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს. საბჭოთა არქივი შედარებით უკეთესად აქვთ დაცული, სიები შედგენილია, საქმეებში ქაღალდები ჩაკერებული და დანუმრულია.

მესამე ქვე-განყოფილგბა მცენარეთა დაცვის ბიურო (მუშტაიდი) თავის არქივს სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს არ აბარებს. მისი არქივი შეიცავს საქმეებს 1916 წლიდან 1928 წლამდე. არქივი წლების მიხედვით აქვთ დალაგებული ერთ შკაფში. ყოველ წლიური სიები არ დგება და არც საქმეების ფურცლებია დანუმრული, არქივი რაოდენობით დიდი არ არის. მისი წესრიგში მოყვანა იკისრა საქმისმწარომებელმა.

მეხუთე ქვე-განყოფილება საქართველოს ბოტანიკური ბაღი— არქივი არასდროს არავისთვის არ გადაუბარებია და, მიუხედავად იმისა, რომ ბაღს 75 წლის ისტორია აქვს, არქივი მხოლოდ 1907 წლიდან გადარჩენილა და ესეც ამ ჟამად მეტის მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. არავინ იცის რა მოუვიდა არქივს, არც ის იციან, როგორ მოხვდა იგი ამ ჟამად მყოფ შენობაში. მთელი არქივი, როგორც საბჭოთა (1927 წლამდე), ისე წინანდელი, ერთმანეთშია არეული, ქაღალდები ჩაუკერებელია, სიების შედგენაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია და ამ სახით იატაკზე ყრია ნახევრად დანესტიანებული. ამიერიდან ბოტანიკური ბაღის გამგემ იკისრა არქივისადმი ყურადღების მიქცევა და გადარჩენილის წესრიგში მოყვანა.

სატყეო სამმართველოს ორი ქვე-განყოფილება აქვს. პირველი—ტფილისის სატყეო (ძნელაძის ქ. № 18); იგი არქივს სატყეო სამმართველოს არ აბარებს. 1917 წლიდან 20 წლამდე არქივი ცილკე აქვთ ერთ ყუთში ჩაწყობილი, თუმცა მოუწესრიგებელია, მაგრამ საფრთხისაგან უზრუნველყოფილია. საბჭოთა ხანის არქივიც მოუწესრიგებელია, მაგრამ განზრახულია ახლო მომავალში მისი მოწესრიგება და ცენტრარქივისთვის ჩაბარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეორე ქვე-განყოფილება — ავჭალა-ყარაის სატყეო (იაზონის ქ. № 13), არქივს სატყეო საამართველოს აბარებს, ამიტომ იქ დღეს მხოლოდ 1924-1928 წლების არქივი აღმოჩნდა. იგი კარგად არის დაცული. სიები შედგენილია, არქივისათვის პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

სავეტერინარო სამმართველო. 1) ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია (უნივერსიტეტის ქ. № 19) არქივს სამმართველოს არ აბარებს. არქივი შესდგება 1923-1928 წლის საქმეებიდან; დაცულია შკაფში, იგი მოუწესრიგებელია, სიები არ დგება, საქმეებში ფურცლები დაუნუმრავია. არქივი დაღუპვისაგან უზრუნველყოფილია. პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

მიწათმოწყობის სამმართველოს აქვს ერთი ქვე-განყოფილება—სამხაზველო (სასამართლოს ქ. № 32). აღნიშნულ ქვეგანყოფილებას, შედარებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს მაშტაბით იდეალურად აქვს არქივი დაცული და მოწყობილი. შესანიშნავი ოთახები, შკაფები და საქმეების სია ანბანით. საარქივო ფონდი რევოლიუციის წინადროინდელი 1863-1920 წლების საქმეებს შეიცავს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მოწესრიგებულია. ასევეა საბჭოთა ხანის არქივი, რომელსაც ახალ შკაფებს უკეთებენ და სისტემატიურად წესრიგში მოჰყავთ. ჰყავთ ერთი არქივარიუსი საშუალო განათლებით. არქივის შენობაში დაცულია სისუფთავე და აკრძალულია თამბაქოს მოწევა.

## 2. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი და მის ხელქვეით მყოფი დაწესებულებანი.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის არქივი მოთავსებულია კომისარიატის შენობაშივე (ძნელაძის ქ. № 30); იგი შესდგება 1921—1928 წლ. საქმეებიდან და დაცულია სამდივანმწიგნობროს შკაფებში; საქმეების დიდი უმრავლესობა საარქივო წესრიგშია მოყვანილი (აკლია ფურცლების დანუმრვა) და დალაგებულია თაროებზე წლების მიხედვით; ყოველწლიური სია შედგენილია. არქივისათვის სპეციალურად თანამშრომელი არა ჰყავთ და მისი მეთვალყურეობა დავალებული აქვს საქმისმწარმოებელს შეთავსებით. ამ პირობებში შეიძლება ითქვას, რომ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის არქივი უზრუნველყოფილია დაღუპვისაგან. მაგრამ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს მომაკვდინებელი ცოდვა მიუძღვის რევოლიუციის წინადროინდელ არქივების განადგურებაში. 1921—1922 წლებში გაიყიდა და სამუდამოდ დაიღუპა მის განკარგულებაში მყოფი შემდეგი არქივები: კავკასიის სამოქალაქო უწყების საექიმო ნაწილის სამმართველოსი და ტფილისის და ქუთაისის საექიმო განყოფილებებისა; ეს არქივები გაიყიდა ისე, რომ მათგან აღარაფერი გადარჩენილა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ჯანმრთელობის კომისარიატის უწყებიდან დათვალიერებულ და აღრიცხულ იქნა ქვემოდასახელებულ დაწესებულებათა არქივები: 1) ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტი, 2) ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი, 3) სამეანო ინსტიტუტი, 4) თვალის სნეულებათა ინსტიტუტი, 5) სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტი, 6) ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი, 7) ტროპიკული ინსტიტუტი, და 8) ფიზიატრიის და კურორტოლოგიის ინსტიტუტი.

1. ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტი მოთავსებულია ელექტრონის ქ. № 4. არქივი 1878 წლიდან 1928 წლამდე აქვს დაცული. რევოლიუციის წინადროინდელი არქივი ყოფილ მიხეილის საავადმყოფოს ერთერთ სარდაფში ჰქონიათ მოთავსებული. ამ რამოდენიმე წლის წინად დიდი ნაწილი გამოუტანიათ, ნაწილი იქ დარჩენილა და კვლავ გადარჩევა ესაჭიროება. ინსტიტუტის მთელი არქივი თუმცა უზრუნველყოფილია ყოველგვარი საფრთხისაგან (დაცულია შკაფებში), მაგრამ მოუწესრიგებელია, არ არის დალაგებული ქრონოლოგიური წესით, არც საარქივო წესრიგშია მოყვანილი, არ სდგება სიები; მიზეზი, როგორც ყოველგან, სათანადო თანამშრომლის უყოლობაა. მისი მოწესრიგება დააკისრეს საქმის-მწარმოებელს და, რა თქმა უნდა, მუშაობა კუს ნაბიჯით იწარმოებს.

2. ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი (პლეხანოვის პროსპ. № 60). არქივი შეიცავს 1860—1928 წლ. საკანცელარიო საქმეებსა და ავადმყოფობის ისტო[რ]იის ფურცლებს. სამწუხაროდ რევოლიუციის წინადროინდელი არქივის ერთი ნაწილი 1927 წელს მოუპარავთ და გაუყიდიათ, დაახლოვებით 12 ტომარა. ბოროტმომქმედი დაუტუსაღებიათ და დაუსჯიათ. ამჟამად არქივი ერთ დიდ სარდაფშია თაროებზე დალაგებული ქრონოლოგიური წესით. ცენტრარქივის წარმომადგენლის იქ ყოფნის დროს ცენტრალურ გათბობის მილიდან სარდაფში წყალი ჩამოდიოდა, რომელიც დაუყოვნებლივ შეკეთებულ იქნა. მიუხედავად, იმისა, რომ სარდაფი დიდია, დაწესებულების ყველა არქივი იქ არ არის თავმოყრილი; ერთი დიდი შკაფი ვესტიბიულის ერთ კუთხეშია, თუმცა საფრთხისაგან უზრუნველყოფილია. ამასთანავე ინსტიტუტის განყოფილებები ცალკე ინახავენ ეგრედ წოდებულ „ავადმყოფობის ისტორიის" ფურცლებს, რომლებიც, როგორც იქ გადმომცეს, შეიცავენ სამეცნიერო მასალას, რომელზედაც უნდა ემყარებოდეს მედიცინის დარგის მკვლევარი. ასეთ საბუთებს ცალკე შკაფი არა აქვს და თაროებზე ან მაგიდებზეა დალაგებული, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მას სიფრთხილით ეპყრობიან. მითითებაზე, რომ ხსენებული მასალა შკაფებში უნდა ინახებოდეს, უნდა იკინძებოდეს და სიები დგებოდესო, მიპასუხეს, რომ უსახსრობის გამო იძულებული ვართ ასეთ მდგომარეობაში გვქონდეს არქივიო. ისეთი დიდი არქივი, როგორიც ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტს აქვს, მოითხოვს შესაფერ ოთახს და სათანადო თანამშრომელს. ამ ჟამად მისი პასუხისმგებლობა დაეკისრა საქმისმწარმოებელს. არქივი საფრთხისაგან უზრუნველყოფილია, სარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაფს კარგი საკეტი აქვს, მაგრამ საშიშროებას წარმოადგენს სინე-სტე და მილები, რომლებიც ხშირად დაზიანების გამო წყლით ჰფა-რავს იატაკს

3. გინეკოლოგიური ინსტიტუტი (ლენინის ქ. № 50). ხსენებული ინსტიტუტი 1925 წელს დათვალიერებულ იქნა ცენტრ-არქივის ინსპექტორის შ. ჩხეტიას მიერ (იხ. საქმე № 25—1925 წლ.), რომელმაც წერილობითი მოხსენება წარმოადგინა და ხაზგასმით აღნიშნავდა ინსტიტუტის არქივის ცენტრარქივში გად-მოტანის აუცილებლობას. შ. ჩხეტიას განცხადება მაშინდელ ად-მინისტრაციას, როგორც ჩანს, უყურადღებოდ დაუტოვებია და დღეს, ამის შედეგად ის მივიღეთ, რომ 1925 წელს აღწერილი არქივი, რომელიც 1876 წლებიდან იწყებოდა, სანახევროდ გაბნეულია. ყოველ შემთხვევაში 1905 წლის საქმეზე ადრინდელი ვერ ვნახე. ის, რაც სამდივანმწიგნობროს შკაფებში აღმოჩნდა, სრულებით მოუწესრიგე-ბელი და დაულაგებელი იყო. წინასწარი გაფრთხილების შემდეგ, სამდივანმწიგნობროს სამი დღე დასჭირდა, რომ მასალები ქრონო-ლოგიურად დაელაგებია და მისი აღრიცხვა შესაძლებელი გამხდა-რიყო. საქმეები, როგორც ძველი დროის, ისე საბჭოთა ხანისა, აუ-კინძავია, დაუნომრავი; არ არსებობს არავითარი სია, დღეს ცნო-ბისათვის შედგენილ იქნა იგი საჩქაროდ. მაგრამ საჭიროა საქმეების საარქივო წესრიგში მოყვანა. ინსტიტუტის განყოფილებები თან ინა-ხავენ ავადმყოფობის ისტორიის ფურცლებს და შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ფრთხილად ეპყრობიან მათ, იმდენად, რამდენადაც იგინი მიმდინარე მუშაობისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოა-დგენენ.

4. თვალის სნეულებათა ინსტიტუტი (კამოს ქ. № 7). არქივი შესდგება რევოლიუციის წინადროინდელი და საბჭოთა ხანის საქმეებიდან არქივი კარგად არის დაცული (შკაფებში), თუმცა საარქივო წესრიგში სავსებით მოყვანილი არ არის, არ დგება სიები და საქმის ფურცლები დაუნომრავია. რაც შეეხება რევოლიუციის წინადროის არქივს, იგი ჩემი იქ ყოფნის დროს, ძლივს მონახეს სარდაფის ერთ კუთხეში სხვადასხვა დამტვრეულ ნივთების ქვეშ. არქივი 1907 წლი-დან 1920 წლამდეა დაცული, მაგრამ ისე დაფლეთილია, რომ მისი წესრიგში მოყვანა გამოცდილ არქივარიუსებს მოითხოვს.

5. სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტი (ლუნაჩარს-კის ქ. № 12). ხსენებული ინსტიტუტი თუმცა რამდენიმე წელია, რაც არსებობს, მაგრამ მისი საქმისწარმოება ჯანმრთელობის სახ. კომი-სარიატის სამდივანმწიგნობროში სწარმოებდა. ერთი წელია, რაც საკუთარი სამდივანმწიგნობრო გაიჩინა და ამიტომ მის არქივზე ჯერჯერობით ლაპარაკი შეუძლებელია. მაგრამ იმავე შენობაში, სა-ხელდობრ წიგნთსაცავის დარბაზში, აღმოჩნდა საკმაოდ დიდი არ-ქივი კავკასიის ექიმთა საზოგადოებისა, რევოლიუციის წინადროისა. ასეთი საზოგადოება დღესაც არსებობს და საბჭოთა ხანის არქივი ინახება ექიმ ჯალალოვის ბინაზე, რომელიც მდივნად არის დასახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლებული საზოგადოებისა. ამიერიდან არქივი გადმოტანილ იქნება ინსტიტუტის შენობაში და მას არავითარი საფრთხე არ მოელის. საქმეები მოუწესრიგებელია, ქაღალდები ჩაუკერებელი და სიები შეუდგენელი.

6. ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი (მაჩაბლის ქ., № 4). არქივი შესდგება 1917—1927 წლის საქმეებიდან. არ არსებობს არავითარი წესრიგი, საქმეები ნახევრად ჩაუკერებელია, და რაც ჩაკერებულია, ისიც დაუნუმრავია, სიების შედგენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. რევოლიუციის წინადროინდელი არქივი ძლივს აღმოაჩინა სამნეო ნაწილის გამგემ; იგი შეიცავს საქმეებს და სხვადასხვა ბარათებს ყოფილ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის ბაქტერეოლოგიური რაზმისას. არქივი ამიერიდან საფრთხისაგან უზრუნველყოფილია, მაგრამ მისი მოწესრიგება სათანადო შტატის არ არსებობის გამო ნელი ტემპით ივლის.

7. ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი (პლეხანოვის ქ. № 139). არქივი არსებობს მხოლოდ 1921 წლიდან და ისიც მოწესრიგებული არ არის, საქმეები ჩაუკერებელია ნახევრად. არქივის ნაწილი სარდაფში ჩაეყარათ, ნაწილი სამდივანმწიგნობრის შკაფში ინახებოდა. ამ ჟამად ყველა ზემოდ, სამდივანმწიგნობრის ოთახშია ამოტანილი და მისი წესრიგში მოყვანა საქმისმწარმოებელმა იკისრა.

8. ფიზიატრიის და კურორტოლოგიის ინსტიტუტი (ლენინის ქ., № 49). არქივი მხოლოდ გასაბჭოების ხანიდან არსებობს. დიდი ნაწილი სარდაფში მოეთავსებინათ სხვადასხვა ნივთებთან ერთად. არ არსებობს არავითარი წესრიგი; მისი მოვლა დაევალა საქმისმწარმოებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

В. Романовський. **Нариси з архівознавства.** Історія архівної справи на Україні та принципи порядкування в архівах. Видання Централь. Архівного Управління УССР. Харків, 1927. 168+1 стр; ціна 2 карб. ვ. რომანოვსკი. **არქივთმეცნიერების მიმოხილვა.** საარქივო საქმის ისტორია უკრაინაში და არქივთმოწყობის პრინციპები. უ. ს. ს. რ. ცენტრალურ საარქივო სამართველოს გამოცემა. ხარკოვი, 1927 წ. გვ. 168+1, ფასი 2 მან.

სარეცენზიო წიგნის ავტორი, ვ. რომანოვსკი ცნობილი უკრაინელი არქივისტია: მის კალამს ეკუთვნის მრავალი შრომა არქივთმეცნიერების დარგში. ამიტომ მას თანამედროვე არქივთმეცნიერთა შორის სამართლიანად საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი უკავია. მაგრამ ვ. რომანოვსკი ცნობილია არა მარტო როგორც თეორეტიკოსი-არქივთმეცნიერი, არამედ როგორც პრაქტიკოსი-არქივისტი: იგი დიდი ხანია სათავეში უდგას უკრაინის ერთ-ერთ დიდ საარქივო დაწესებულებას—კიევის ძველ საბუთთა არქივს და მის რაციონალურად დაყენების საქმეში მას ერთობ მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის.

აღნიშნული გარემოება თავისთავად ლაპარაკობს ვ. რომანოვსკის დასახელებული წიგნის მაღალ ღირსებაზე და, მაშასადამე, იმაზედაც, რომ იგი საყურადღებო განძია შედარებით ღარიბ საბჭოთა საარქივო ლიტერატურაში. მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს წიგნი ავტორის მიერ რამოდენიმე წლის განმავლობაში სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებაში (საარქივო კურსებზე, კიევის სახალხო განათლების ინსტიტუტსა და კიევის არქეოლოგიურ ინსტიტუტში) წაკითხულ და შემდეგში სახელძღვანელოდ გადამუშავებულ საერთო კურსს წარმოადგენს, რაც აშკარად ჰმოწმობს იმას, რომ ავტორი თავის საგანს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა,—კიდევ უფრო მეტ საფუძველს იძლევა a priori იმის მტკიცებისათვის, რომ წიგნი სერიოზული ნაშრომია.

მართლაც, ვ. რომანოვსკის „Нариси з архівозновства“ მეტად საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს საარქივო ლიტერატურაში იმ მხრივ, რომ იგი არქივთმეცნიერებაში უკვე ცნობილ

ეროვნული ბიბლიოთეკა



დებულებების გაშუქებასთან ერთად, მრავალ ახალ დაკვირვებებსა და მიღწევებს შეიცავს. წიგნი, როგორც თვით ავტორი ამბობს (იხ. წინასიტყვა), დაწერილია უმთავრესად უკრაინელ არქივისტებისათვის და ამიტომ იგი უკრაინის კონკრეტ საარქივო პირობებს ჰგულისხმობს, მაგრამ მასში მრავალი ისეთი საერთო დებულებებიც არის, რომ წიგნს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვა ქვეყნის არქივსტებისათვისაც.

უპირველესად ყოვლისა წიგნი საინტერესო არის, როგორც პრაქტიკული სახელმძღვანელო მრავალი სასარგებლო ცნობებისა და წესების შემცველი. ამ მხრივ ავტორს ორი გარკვეული მიზანი აქვს დასახული: ერთის მხრივ მისი მიზანია დაეხმაროს არქივისტს იმ ისტორიულ საბუთებისა და აქტების მნიშვნელობის დაფასება-გარკვევაში, რომელნიც მის ყოველდღიურ საარქივო მუშაობის ობიექტს წამოადგენენ, ხოლო მეორეს მხრივ მას სურს მოკლე, მაგრამ ამომწურავი პრაქტიკული რჩევა-დარიგება მისცეს არქივისტს საარქივო მასალების რაციონალურად შენახვისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. პირველ შემთხვევაში მას მხედველობაში ჰყავს უკრაინელი არქივისტები, რომელთაც უკრაინის ერთიან სახელმწიფო საარქივო ფონდის მასალებთან აქვთ საქმე და ამიტომ ვალდებულნი არიან ამ მასალებს იცნობდნენ, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი ჰგულისხმობს საერთოდ არქივის მუშაკთ, რომელნიც დაინტერესებული არიან იცნობდენ არქივთმცოდნეობისა და არქივთმოწყობის ძირითად პრინციპებს.

ამ ორ დასახულ მიზნებთან დაკავშირებით ავტორს თავისი წიგნი დაყოფილი აქვს ორ მთავარ, ერთ მეორისგან თითქმის დამოუკიდებელ, ნაწილად. ერთი ნაწილი შეიცავს უკრაინის არქივებისა და საარქივო საქმის ისტორიის მიმოხილვას, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს არქივთმცოდნეობის ძირითად პრინციპებისა და საერთოდ საარქივო საქმის თეორიისა და ტეხნიკის საფუძვლების მიმოხილვას. პირველ ნაწილს უჭირავს 92 გვერდი (23—114 გვ.), ე. ი. მთელი წიგნის თითქმის ორი მესამედი, ხოლო მეორეს—49 გვერდი (115—163 გვ.), ე. ი. მთელი წიგნის მესამედზე ნაკლები. ამ ორ მთავარ ნაწილებს გარდა წიგნს წამძღვარებული აქვს საერთო შესავალი, ან როგორც თვით ავტორი უწოდებს, „შესავალი შენიშვნები“ (вступні уваги), რომელსაც 18 გვერდი (4—22 გვ.) უჭირავს.

ამრიგად მთელი შრომა შესდგება სამი ნაწილისაგან: 1) შესავალისა, 2) უკრაინის არქივების ისტორიისა და 3) არქივთმცოდნეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბის ძირითად პრინციპების მიმოხილვისაგან. წიგნის ბოლოს 5 გვერდის სივრცეზე (163—168 გვ.) ავტორს მოთავსებული აქვს საარქივო ლიტერატურის მოკლე ბიბლიოგრაფია.

წიგნის გეგმა, როგორც ვხედავთ, და მისი შინაარსიც, როგორც ქვემოდ დავინახავთ, სავსებით ეგუება იმ დანიშნულებას, რომელსაც ავტორი აძლევს თავის წიგნს: უკრაინელ არქივისტს ამ წიგნში შეუძლია ერთის მხრივ გაეცნოს არქივების ისტორიასა და ამ არქივებში დაცულ მასალების ზოგად შინაარსს, მეორეს მხრივ კი მას შეუძლია გაეცნოს იმ ძირითად პრინციპებს და წესებს, რომელნიც შეადგენენ თანამედროვე არქივთმცოდეობის საფუძვლებს.

მაგრამ ასეთი გაერთიანება არქივთმცოდნეობის ორი დარგისა და თვითეულ მათგანის შესწავლასთან დაკავშირებულ მიზნების განხორციელების ცდა ერთ წიგნში მაინცდამაინც მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება. მართალია, არქივთმეცნიერებაში, როგორც თვით ავტორიც აღნიშნავს, არქივებისა და საარქივო საქმის ისტორიაც შედის და ამიტომ უკრაინის არქივების ისტორიის კურსის მოქცევა არქივთმეცნიერების საერთო კურსში სავსებით მართებულია, მაგრამ არქივების ისტორია და საკუთრივ არქივთმცოდნეობა რამოდენიმედ ერთიმეორისგან განსხვავებული დარგებია და თვითეული მათგანი ცალცალკე შესწავლას მოითხოვს. ამას გარდა ამ ორ დარგის განხილვა ერთ, შედარებით არა ვრცელ შრომაში ისე, რომ თვითეული მათგანი ცოტად თუ ბევრად სრულად იყოს წარმოდგენილი, ძნელია.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ წიგნი მთლიანი შრომის შთაბეჭდილებას ვერ ახდენს და რომ მისი გეგმა ლოგიურ მთლიანობას მოკლებულია: მეორე ნაწილი, სადაც უკრაინის არქივების ისტორიაზეა ლაპარაკი, თითქოს უადგილოდ ჩამატებულია და თითქოს წიგნის ორგანიულ ნაწილს არ შეადგენს; პირველი ნაწილიც, რომელიც შესავალ შენიშვნებსა და ზოგად დებულებებს შეიცავს, თითქოს მთელი წიგნის საერთო შესავალს კი არა, მეორე ნაწილის შესავალს წარმოადგენს და სხვა. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ მეორე ნაწილი შედარებით უფრო ვრცლადაა წარმოდგენილი, ვიდრე შესავალი და მესამე ნაწილი ერთად შეერთებული, მაშინ როდესაც მოსალოდნელი იყო პირუკუ.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, მიზანი უფრო მიღწეული იქნებოდა, უკეთუ ავტორი უკრაინის არქივების ისტორიას, არქივების საერთო ისტორიასთან დაკავშირებით ანდა დამოუკიდებლად, უფრო ვრცლად დაამუშავებდა და ცალკე შრომის სახით მოგვცემდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაშინ მრავალი საყურადღებო მომენტი უკრაინის არქივების ისტორიიდან, როგორც მაგალითად, საარქივო რეფორმა, რეფორმის შემდეგ აღმოცენებული საარქივო დაწესებულებები და სხვა, რომელნიც სარეცენზიო წიგნში უგულებელყოფილია ან მკრთალად არის გაშუქებული, უფრო ვრცლად და სრულად შეიძლებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო. ამას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა უკრაინელ არქივისტებისათვის, რომელთათვისაც სწორედ შეტანილი აქვს ავტორს უკრაინის არქივების მიმოხილვა თავის წიგნში. არქივთმცოდნეობის სახელმძღვანელოში კი ავტორს შეეძლო დაკმაყოფილებულიყო მოკლე და ზოგადი ცნობებით უკრაინის არქივების ისტორიიდან ისევე, როგორც მას ასეთი ცნობები მოცემული აქვს სხვა ქვეყნის არქივების ისტორიიდან. სამაგიეროდ მას მეტი საშუალება მიეცემოდა უფრო ვრცლად წარმოედგინა წიგნში მესამე ნაწილი, სადაც არქივთმცოდნეობის ძირითად პრინციპების შესახებაა ლაპარაკი. მაშინ აქაც ზოგიერთი საკითხები, რომლებიც ავტორს ამ ნაწილში უყურადღებოდ აქვს დატოვებული ან ამომწურავი სისრულით არა აქვს განმარტებული, თავის შესაფერ ადგილს ჰპოებდენ ავტორის შრომაში და წიგნიც, ვითარცა არქივთმცოდნეობის სახელმძღვანელო, უფრო სრულქმნილი და უნაკლო იქნებოდა.

მაგრამ ამ გარემოებას წიგნის დახასიათებისათვის არსებითი და გადამჭრელი მნიშვნელობ არა აქვს განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ ავტორის მიერ დასახულ მიზანს, რომლის შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი; არა აქვს მნიშვნელობა მით უფრო, რომ წიგნის დადებითი მხარე ერთობ თვალსაჩინოა: დადებითი თვისებები ახასიათებენ წიგნის სამივე ნაწილს და ეს გარემოება მნიშვნელობას უკარგავს ზევით აღნიშნულ ნაკლს, როგორც წიგნის ღირსების დამამცირებელ გარემოებას.

წიგნი, როგორც ვამბობდით, საინტერესოა, როგორც არქივთმცოდნეობის პრაქტიკული სახელმძღვანელო. ამ მხრივ ჩვენთვის, ქართველ არქივისტებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წიგნის მესამე ნაწილს. ამიტომ საკმარისი იქნებოდა ქართველი მკითხველისათვის მხოლოდ ამ ნაწილის გაცნობა, მაგრამ წარმოდგენის სისრულისათვის ჩვენ საჭიროდ მივაჩნია ზოგადად შევჩერდეთ შესავალსა და მეორე ნაწილზედაც.

შესავალში ავტორი არჩევს შემდეგ საკითხებს: 1) რა არის არქივთმეცნიერება, 2) არქივების მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა, 3) რა არის არქივი, 4) საარქივო რეფორმა საფრან-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გეთსა და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში, 5) არქივების ცენტრალიზაციის პრინციპები და მათი გატარება და 6) რისთვის არის საჭირო არქივისტებისათვის არქივთმცოდნეობა.

საყურადღებოა, რომ ავტორი არქივთმეცნიერებას განიხილავს, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას, და არა როგორც ისტორიის დამხმარე დისციპლინას. მის განმარტებით „არქივთმეცნიერება არის არქივებისა და არქივთმოწყობის შესახებ ცოდნათა ისეთი სისტემა, რომელიც აერთიანებს რა მასალებს ისტორიულ წყაროთა საერთო კათეგორიაში, იძლევა ამ მასალების რაციონალურ მიმოხილვისა (облику), კლასიფიკაციისა, დაცვისა და მეცნიერულ თუ პრაქტიკულ საჭიროებისათვის უკეთ გაშუქების მიზნით გამოქვეყნების შესაძლებლობას. არქივთმეცნიერებაში შედის არქივებისა და საარქივო ფონდების ისტორია, არქივთმეცნიერების განვითარების ისტორია, საარქივო კანონმდებლობა, სახელმძღვანელო წესები საარქივო მასალების კლასიფიკაციისა, დაცვისა და შენახვის შესახებ და, ბოლოს, გამორკვევა არქივთმეცნიერებისადმი მომიჯნავე მეცნიერებათა დამოკიდებულებისა“ (გვ. 5). საჭიროა აღინიშნოს, რომ ასეთი შეხედულება არქივთმეცნიერებაზე, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებაზე, ახალი არ არის, მაგრამ ზოგიერთები მას არ იზიარებენ და არქივთმეცნიერებას დამხმარე საისტორიო დისციპლინად სთვლიან.

შემდეგ, ავტორს სავსებით სწორად აქვს განმარტებული არქივების პრაქტიკული და მეცნიერული მნიშვნელობა. არქივის ცნების განმარტების დროს ავტორი სამართლიანად არ იზიარებს ინგლისელ არქივისტების ვიწრო ოფიციალურ თვალსაზრისს, რომლის თანახმად არქივში მხოლოდ ოფიციალური საბუთები უნდა ინახებოდეს, თუმცა სავსებით არ უარყოფს ამ თვალსაზრისის ლოღიკურ ღირებულებასაც. მაგრამ ავტორის განმარტება მაინც არ არის სავსებით სწორი, ან უკეთ, სრული. მისი განმარტებით საარქივო მასალებს, გარდა ოფიციალური ქაღალდებისა, ეკუთვნიან საქმიანი ქაღალდებიც, ხოლო ისეთი ქაღალდები, როგორიცაა მაგალითად, ლიტერატურული ხასიათის ხელნაწერები, ან როგორც ავტორი ამბობს, ლიტერატურული ნაწარმოებები—литературні твори—(იგულისხმება ხელნაწერები), არ წარმოადგენენ საარქივო მასალას. ასეთი მასალები შეიძლება არქივში ინახებოდენ, ფონდის დაუშლელობის პრიციპის თანახმად, მხოლოდ მათი მეცნიერული ღირებულებისა და ინტერესების გამო. მაგრამ ისინი საარქივო ფონდის ნაწილს არ შეიძლება არასოდეს შეადგენდენ (გვ. 8). ასეთი განმარტება განსხვავდება

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბჭოთა ქვეყნებში საყოველთაოდ მიღებულ განმარტებისაგან, რომლის თანახმად საარქივო მასალას წარმოადგენს ყოველგვარი წერილობითი ან სხვაგვარი გრაფიული მასალა, მეცნიერულ თუ პრაქტიკულ მნიშვნელობის მქონე.

უადგილო არ არის ავტორის მიერ მოყვანილი მოკლე ცნობები არქივისა და არქივის ცნების ევოლიუციის შესახებ ძველ აღმოსავლეთსა და კლასიკურ ქვეყნების ისტორიიდან, ან კიდევ ზოგადი მიმოხილია არქივებისა და საარქივო საქმის განვითარებისა საფრანგეთსა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში: ინგლისსა, გერმანიასა. იტალიასა, ბელგიასა და ჰოლანდიაში. ყველა ეს ცნობები მეტად, სასარგებლო და საჭირო არიან არქივისტის ცოდნის შესავსებად. ჯეროვანად აქვს ავტორს გაშუქებული უკანასკნელი საკითხიც—რისთვის არის საჭირო არქივისტისათვის არქივთმცოდნეობა.

საერთოდ ამ ნაწილში (შესავალში) ავტორი ცდილობს მიაწოდოს არქივისტს ზოგადი ცნობები არქივთმეცნიერებიდან, ისეთი ცნობები, რომელთა ცოდნა აუცილებელია არქივთმეცნიერების შესასწავლად. აქ ავტორი მრავალ ასეთ საკითხებს ეხება და სათანადოდაც აშუქებს მათ: მოკლეთ და მარტივად განხილულია დასმული საკითხები.

წიგნის მეორე ნაწილი, როგორც ვამბობდით, უკრაინის არქივების ისტორიის მიმოხილვას წარმოადგენს. აქვე, გზადაგზა მოცემულია ზოგიერთი ცნობები რუსეთის არქივების ისტორიიდანაც იმდენად, რამდენად ეს საჭირო იყო ავტორის მიერ დასახულ მიზნის განსახორციელებლად.

უკრაინის არქივების ისტორიას ავტორი იწყებს უკრაინაში დამწერლობისა და არქივების პირველად გაჩენის დროიდან; შემდეგ ავტორი საკმაოდ ვრცლად ეხება ლიტვიის სახელმწიფოს ცენტრალურ და პროვინციალურ დაწესებულებათა არქივებს; მოკლედ განიხილავს საარქივო საქმის მდგომარეობას მოსკოვის სახელმწიფოში და მოსკოვის არქივების იმ საარქივო მასალებს, რომლებიც უკრაინას შეეხებიან; შედარებით ვრცლად ეხება ჰეტმანების დროინდელ არქივებს და მოსკოვის იმ ცენტრალურ დაწესებულებათა (მალოროსიის პრიკაზი, მალოროსიის კოლეგია და სხვა) არქივებს, რომლებიც უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილს განაგებდნენ; შემდეგ ავტორს მოყვანილი აქვს მოკლე ცნობები უკრაინის მთავარ ადმინისტრატიულ დაწესებულებათა შესახებ გეტმანების დროიდან მე-XIX საუკუნის დასასრულამდე; აქვე ავტორი ზოგადად ჩერდება ადმინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრატიულ ცვლილებებზე მე-XIX საუკუნეში; დასასრულ, იგი ცალ-კე განიხილავს საარქივო კანონმდებლობას და საარქივო საქმის მდგომარეობას რუსეთში მე-XVIII-XIX საუკუნეებში და შემდეგ ჩერდება კიევის ძველ საბუთთა არქივისა და ხარკოვის ისტორიულ არქივის წარმოშობის ისტორიაზე.

მთელი ეს ნაწილი ავტორის მიერ განსაკუთრებულის ყურადღებით არის დამუშავებული და უკრაინელ არქივისტისათვის მრავალ სასარგებლო ცნობებს შეიცავს. თვითეული თავი უკრაინის არქივის მუშაკს მეტად ძვირფას ცნობებს აწვდის არა მარტო არქივებისა და საარქივო მასალების შესახებ, არამედ თვით უკრაინის წარსულის შესახებაც. ავტორი სარგებლობს იკონნიკოვის, სამოკვასოვის, კალაჩოვის, ბოგალეის, მაიაკოვსკის და სხვა რუს, თუ უკრაინელ არქივისტების შრომებით, მაგრამ უმთავრესი ცნობები ამ ნაწილის შესადგენად, მას მოპოებული აქვს პირველი წყაროების მიხედვით, უმთავრესად კიევის ძველ საბუთთა არქივში დაცულ მასალების მიხედვით: ამიტომ ავტორს მრავალი ისეთი საკითხები აქვს გაშუქებული, რომელთა გაშუქება მხოლოდ ლიტერატურაში ცნობილი მასალების მიხედვით შეუძლებელია.

საერთოდ ეტყობა, რომ თვით ავტორი ამ ნაწილს დანარჩენ ნაწილებთან შედარებით უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევდა: იგი მას შედარებით უფრო ვრცლად და სისრულით აქვს დამუშავებული. ამიტომ ეს ნაწილი ძალა-უნებურად მთელი წიგნის მთავარ ნაწილადაა გადაქცეული. ეს გარემოება, თავისდათავად სავსებით მოსაწონი, წიგნის საერთო პროგრამაში შინაარსის მხრივ, რამოდენიმედ თანაზომობასა და სიმეტრიას არღვევს და შრომას, როგორც არქივთმცოდნეობის სახელმძღვანელოს, სახეს უცვლის.

გადავიდეთ ახლა წიგნის უკანასკნელ, ე. ი. მესამე ნაწილზე. ამ ნაწილში, როგორც ვამბობდით, ავტორი არქივთმცოდნეობის ძირითად პრინციპებს იხილავს. ეს ნაწილი შეიცავს სულ 21 თავს.

პირველ თავში მოკლედ განხილულია საარქივო რეფორმის პროექტები, ან უკეთ რომ ვთქვათ, ამ რეფორმის პრინციპები და და მისი გატარების შედეგები უკრაინაში: საარქივო მასალებისა და საარქივო საქმის ცენტრალიზაცია, მასალების განაწილება არქივთსაცავთა შორის გარკვეული წესების მიხედვით და სხვა, აი რაზეა ლაპარაკი ამ თავში. მეორე და მესამე თავში ავტორი ეხება საარქივო შენობისა და მის მოწყობილობის საკითხს. აქ მოცემულია საჭირო ცნობები და რჩევა-დარიგებები იმის შესახებ, თუ როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა



უნდა შენდებოდეს საარქივო შენობები, როგორი უნდა იყოს მისი მოწყობილობა (განათება, გათბობა, სტელაჟები, შკაფები) და სხვა, რომ შესაძლებელი იყოს საარქივო მასალების დაცვა სინესტისა, ხანძრისა, მტვერისა და მავნებლებისაგან. პრაქტიკული და სავსებით მისაღებია ავტორის წინადადებები საარქივო მასალების დაწოლით შენახვისა, თაროების სიღრმისა და სხვათა შესახებ.

შემდეგ ავტორი გადადის სამეცადინო დარბაზისა, საარქივო ბიბლიოთეკისა და აღწერებით სარგებლობის საკითხზე. სამეცადინო დარბაზის მოწყობილობა და მისი დანიშნულება, საარქივო ბიბლიოთეკის საჭიროება არქივებში და მისი შემადგენლობა, აღწერებით სარგებლობის წესები—აი რას ეხება ავტორი ამ თავში. სამწუხაროდ, ყველა ეს საკითხები ავტორს ერთობ მოკლედ და კონსპექტურად აქვს გაშუქებული და ამის გამო მკითხველს საგნის შესახებ არა სავსებით სრული წარმოდგენა რჩება. განსაკუთრებით მოკლედაა გადმოცემული საარქივო ბიბლიოთეკისა და მისი შემადგენლობის საკითხი.

მეხუთე თავში ავტორი განიხილავს არქივალიების მიღების საკითხს. აქვე განმარტავს იგი „საარქივო ფონდის" ცნებას. მისი განმარტებით, „საარქივო ფონდი" არის რომელიმე დაწესებულების საქმიანი ქაღალდების მთელი ჯამი. ავტორი განასხვავებს საარქივო ფონდს „საქმისწარმოებითი" (діловидний) ფონდისაგან: დაწესებულების საარქივო ფონდი არის ამ დაწესებულების არქივის მთელი შემადგენლობა, ხოლო „საქმისწარმოებითი ფონდი"—ამ შემადგენლობის ის ნაწილი, რომელიც შექმნილია თვით დაწესებულების მიერ. საჭიროა აღინიშნოს, რომ ტერმინი „საქმისწარმოებითი ფონდი" შემოღებულია უკრაინაში პროფ. ვერეტენიკოვის მიერ.

მეტად საინტერესოა შემდეგი თავი, სადაც ავტორი არქივალიების სისტემატიზაციაზე ლაპარაკობს. აქ მოკლედ გარჩეულია საარქივო მასალების კლასიფიკაციის სისტემები: ტერიტორიალური, ქრონოლოგიური, სისტემატიური (საგნობრივი) და ისტორიული (ფონდური). ავტორი უპირატესობას აძლევს ისტორიულ სისტემას და იგი მას ძირითად სისტემად მიაჩნია. ამ სისტემების განხილვის შემდეგ მას მოჰყავს ის საერთო წესები, რომლების მიხედვით უნდა სწარმოებდეს საარქივო მასალების კლასიფიკაცია. აქ ავტორი კვლავ იმეორებს თავის განმარტებას საარქივო მასალების შესახებ, რომელიც მას მოცემული აქვს წიგნის შესავალში. წესების უმეტესობა ავტორს ნასესხები აქვს მიულერის, ფაიტის და ფრუინის ცნობილ

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახელმძღვანელოდან „Anleitung“... დასასრულ, ცალკე სათაურით მოკლედ განხილული აქვს საარქივო მასალების სისტემატიზაციის წესები დასავლეთ ევროპის არქივებში.

შემდეგ ავტორი მოკლედ ჩერდება ტოპოგრაფიულ მაჩვენებლის შედგენასა და არქივისტის სხვა მოვალეობებზე: მასალების დაცვაზე და აღწერაზე, მასალების ისტორიული ღირებულების შეფასებაზე, მასალების დასაბეჭდად დამზადებაზე და სხვ. მაჩვენებლის შედგენის საკითხში ავტორი იზიარებს რუს არქივისტის ვიშნევსკის აზრს, რომელიც მას გამოთქმული აქვს თავის წერილში: „Топографический указатель к архивным фондам“ (Архивное Дело, кн. V-VI).

ცალკე თავში განხილული აქვს ავტორს არქივალიების გაფუჭებისა და დაზიანების წინააღმდეგ ღონისძიებები და შემდეგ ის გადადის არქივალიებით სარგებლობის საკითხზე. ავტორი სამართლიანად ემხრობა არქივალიებით სარგებლობის იმ პრინციპს, რომელიც შემოღებულია დასავლეთ ევროპის არქივებში: საბუთებით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ in loco archivi, coram archivario, ე. ი. მხოლოდ საარქივო შენობაში და არქივარიუსის ან რომელიმე თანამშრომლის თანდასწრებით.

ავტორი ვრცლად ჩერდება აღწერათა სისტემებზე და კერძოდ კიევის ძველ საბუთთა არქივში საბუთების აღწერაზე. წიგნი თავდება საეჭვო საბუთების ექსპერტიზისა და საარქივო მასალების გამოცემის საერთო წესების მიმოხილვით. ავტორს მოჰყავს ლ.-დანილევსკის ხელმძღვანელობით მეცნიერთა ჯგუფის მიერ დადგენილ წესების მთავარი პუნქტები: ა) უკეთუ იბეჭდება აქტების სერია ან საბუთები, რომელთაც კავშირი აქვთ სხვადასხვა ანალოგიურ საბუთებთან, საჭიროა ზედმიწევნით დახასიათდეს მასალა მთლიანად; საჭიროა გამოირკვეს მასალის წარმოშობა, ფონდის ისტორია, მისი შემადგენლობა და დაცულობა; საჭიროა მასალის მეცნიერული აღწერა გარეგნულად. ბ) როდესაც მასალა თავმოყრილია, საჭიროა მისი კლასიფიკაცია გარკვეული პრინციპის მიხედვით; რედაქტორებმა შესავალში უნდა აღნიშნონ და განმარტონ ეს პრინციპები. გ) თვითეულ ცალკე საბუთს უნდა ჰქონდეს თავისი სათაური, რომელიც შესდგება: საბუთის სახელწოდებიდან, ნომრიდან, თარიღიდან და შინაარსიდან. დ) ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ერთი გარკვეული შრიფტით, ხოლო მინაწერები და ჩამატებები—სხვა შრიფტით. ამ წესებს ავტორი თავის კომენტარიებს უკეთებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ყველა ამ საკითხების გაშუქების დროს ავტორს ისევე, როგორც წიგნის სხვა ნაწილში განხილულ საკითხების გაშუქების დროს, გამოყენებული აქვს არსებული და მისთვის ხელმისაწდომი ძველი და ახალი საარქივო ლიტერატურა: ინგლისელი ჯ ე ნ კ ი ნ ს ო ნ ი ს A Manuel of Archives administration, ფრანგი ფ უ რ ნ ი ე ს Conceils pratiques pour le classement et l'inventaire des archives, ჰოლანდელი ავტორების ფ ა ი ტ ი ს, ფ რ უ ი ნ ი ს და მ ი უ ლ ე რ ი ს Anleitung zum Ordnen und Beschreiben von Archiven, რუსი არქივისტის ა. ვ ო რ ო ნ ო ვ ი ს Архивоведение, ს ა მ ო კ ვ ა ს ო ვ ი ს Централизация госуд. архивов в зап. Европе და მრავალი სხვა. ყველა ეს შრომები მას გამოყენებული აქვს მეტად მოხერხებულად და გეგმასთან შეფარდებით: ავტორი სარგებლობს მხოლოდ ისეთ ცნობებით, რაც მისაღებია. წიგნის უმეტესი ნაწილი კი, როგორც ვამბობდით, თვით ავტორის მიერ არის პირველი წყაროების მიხედვით დამუშავებული.

საერთოდ მთელი წიგნი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში შედარებით უმნიშვნელო დეფექტებს, კარგად არის დამუშავებული და მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია არა მარტო უკრაინელ არქივისტებისათვის, არამედ სხვა ქვეყნის არქივისტებისათვისაც, კერძოდ ქართველ არქივისტებისათვისაც.

**არქივისტი.**

**Архивное Дело.** Издание Центрархива РСФСР. Вып. I, 1923 г. Вып. II, 1924 г. Вып. III—IV, 1925 г. Вып. V—VI, VII, VIII—IX, 1926 г. Вып. X. XI—XII, XIII, 1927 г. Вып. XIV, XV, XVI, 1928 г. Москва. **საარქივო საქმე.** რუსეთის ცენტრარქივის გამოცემა, წიგნი I, II, III—IV, V—VI, VII, VIII—IX, X, XI—XII, XIII, XIV, XV, XVI. მოსკოვი.

საარქივო საქმეს რუსეთში მკვიდრი საძირკველი 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ ჩაეყარა. ამ საძირკველის მთავარ ქვაკუთხედს შეადგენს 1918 წლის ივნისის 1-ს გამოცემული დეკრეტი—საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ. ამ დეკრეტის გამოცემიდან ახალი ხანა იწყება რუსეთის არქივების ისტორიაში. ამ დეკრეტის შედეგს წარმოადგენს არქივების სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაცია და უმაღლესი საარქივო ორგანოს—ცენტრარქივის—დაარსება 1918

ეროვნული ბიბლიოთეკა



წელს. ამიერიდან იწყება რუსეთში ერთის მხრივ პრაქტიკული მუშაობა არქივებისა და საარქივო საქმის რაციონალურად მოწყობისათვის, ხოლო მეორეს მხრივ თეორეტიული დამუშავება არქივთმეცნიერების პრობლემებისა.

ამ მუშაობას სათავეში უდგას რ. ს. ფ. ს. რ. ცენტრარქივი, რომელიც პრაქტიკულ ამოცანების შესრულებასთან ერთად, თითქმის ათი წელიწადია ფართე მეცნიერულ მუშაობას აწარმოებს. ამ მუშაობამ უკვე საგრძნობი ნაყოფი გამოიღო და თვალსაჩინო შედეგები მოგვცა: მან რუსული საარქივო საქმე და არქივიმეცნიერება ერთობ წინ წასწია. კერძოდ ამ მუშაობის ნაყოფია ფრიად სერიოზული სპეციალური საარქივო ჟურნალი „Архивное Дело“, რომელიც უკვე მეშვიდე წელიწადია გამოდის.

რას წარმოადგენს ეს ჟურნალი და რა მიზნებს ემსახურება იგი?

1923 წელს გამოცემულ პირველ წიგნის წინასიტყვაობაში ჟურნალის დანიშნულება და მიზანი ასეა განმარტებული: „Архивное Дело“ არის პირველი ცდა რუსეთში სპეციალურ საარქივო ორგანოს შექმნისა, ორგანოს, რომელიც მიძღვნილია არქივთმეცნიერების საკითხებისადმი, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. „Архивное Дело“ თავის მიზნად ისახავს საარქივო საქმის თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემების მეცნიერულ დამუშავებას და ახალ საარქივო ცხოვრების გაშუქებას ისე, როგორც ეს ცხოვრება მიმდინარეობს 1918 წლის 1 ივნისის რეფორმის შემდეგ ცენტრისა და ადგილების ცოცხალ მუშაობაში. „Архивное Дело“-ში თავის გამოხატულებას ჰპოვებენ, როგორც თანამედროვე მეცნიერულ არქეოგრაფიის მორიგი პრობლემები, ისე აგრეთვე პრაქტიკული არქივთმოწყობის საკითხებიც, რომელთაც თვით ცხოვრება აყენებს პირველ რიგში. ასეთია, მაგალითად, საკითხები საარქივო მასალების რაციონალურად დაცვისა და მეცნიერულად აღწერის მეთოდების შესახებ, საარქივო საქმის პროპოგანდის შესახებ, რაც აუცილებელია არქივებზე უარყოფითი შეხედულების განმტკიცების გამო, პროფესიონალური ხასიათის საკითხები და სხვა“.

უნდა ითქვას, რომ ჟურნალი მართლაც სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებას და მტკიცედ ემსახურება იმ მიზნებს, რომელიც მას იმთავითვე დაუსახავს. „Архивное Дело“-ს უკვე მე 16-ტე ნომერია გამოსული და ყველა ნომრები, პირველიდან უკანასკნელამდე, სწორედ იმ საჭირბოროტო პრაქტიკულ საკითხებისა და არქივთმეცნიერების პრობლემების გაშუქებას შეიცავს, რომელთა გაშუქება

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპეციალურ საარქივო ორგანოს პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს. არქივების პოლიტიკური და მეცნიერული მნიშვნელობა, საარქივო ტერმინოლოგია, ტოპოგრაფიული მაჩვენებლების შედგენა, საბუთების გამოცემის წესები, საარქივო მასალების მეცნიერული გამოყენება, გამრჩევ და შემმოწმებელ კომისიების მუშაობა, საარქივო ბიბლიოთეკა, საარქივო მუზეუმი, რეგისტრატურა და არქივი, საარქივო კანონმდებლობა, აღწერებისა და ინვენტარების შედგენა, საინსპექტორო ანგარიშები და სხვა—აი ის საკითხები, რომელნიც შეადგენენ ჟურნალის განხილვისა და მსჯელობის საგანს.

ჟურნალის გარშემო შემოკრებილია საუკეთესო ძალები: მასში მონაწილეობას იღებენ, როგორც ცნობილი რუსი არქივისტები (ს. ვალკი, ი. ლიუბიმენკო, მ. ვიშნევსკი, კ. პიჩეტა, ნ. რუსინოვი, ა. ანდრეევი, ნ. ბელჩიკოვი, ი. მაიაკოვსკი, ი. გოლუბცოვი, ვ. შერემეტევსკი და სხვები), ისე აგრეთვე დასავლეთ ევროპის გამოჩენილი არქივთმეცნიერები (Henri Sée, Georges Bourgin, Charles Chmidt, Stefano La Colla და სხვები). ყველა ესენი ჩვეულებრივად არქივებისა და საარქივო დაწესებულებათა თანამშრომლები არიან, საარქივო საქმეს არა მარტო თეორეტიულად, არამედ პრაქტიკულადაც იცნობენ და, მაშასადამე, ამ საქმისადმი უანგარო მეცნიერული სიყვარულით გამსჭვალული არიან. ამიტომ ყველა ის საკითხები, რომელნიც გაშუქებული არის ჟურნალში, ყოველთვის მეტის-მეტი სერიოზულობითა და მეცნიერული ობიექტივობით არის ხოლმე გაშუქებული.

ჟურნალის თვითეული წიგნი (ზოგჯერ ორი ნომერი ერთ წიგნშია შეერთებული) საშუალოდ 100—130 გვერდამდე შეიცავს და თვითეულ წიგნს ჩვეულებრივად ოთხი მთავარი განყოფილება აქვს: პირველ განყოფილებაში იბეჭდება საარქივო საქმის თეორიისა და ტეხნიკისადმი მიძღვნილი წერილები, ცენტრარქივის მუშაობა-მოღვაწეობის ანგარიშები, დასავლეთ ევროპის არქივების მიმოხილვები და სხვა. მეორე განყოფილება წარმოადგენს ოფიციალურ განყოფილებას. აქ იბეჭდება საარქივო კანონები, წესები, ცირკულიარები და ინსტრუქციები საარქივო საქმის შესახებ. მესამე განყოფილებაში, რომელიც საარქივო ცხოვრების ქრონიკის სახით არის წარმოდგენილი, იბეჭდება ცნობები არქივებისა და საარქივო დაწესებულებათა ცხოვრებიდან ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან მოვლენების შესახებ. აქვე იბეჭდება საინსპექტორო ანგარიშები, არქივთმცოდნეობის წრეების მუშაობის შესახებ მოკლე ცნობები და სხვა საინფორმაციო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხასიათის მასალები. დასასრულ, მეოთხე განყოფილება დათმობილი აქვს კრიტიკა-ბიბლიოგრაფიას.

ასეთი წესი მასალების დანაწილებისა ჟურნალში თავისდათავად მაინც და მაინც მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება. ჩვენის აზრით, უმჯობესი იქნებოდა მეორე—ოფიციალური—ნაწილი, რომელსაც რატომღაც ასეთი სათაური აქვს: „საარქივო საქმე რ.ს.ფ.ს.რ“-ში, ხოლო ზოგიერთ ნომერში — „საარქივო საქმე ს.ს.რ.კ“-ში ან კიდევ—„საარქივო საქმე ს.ს.რ.კ-სა და დასავლეთში“, წიგნის ბოლოში დამატების სახით ყოფილიყო დართული. ხოლო „საარქივო ცხოვრების ქრონიკას“ და საინფორმაციო მასალებს შეიძლებოდა პირველი განყოფილების შემდეგ დასთმოდა ადგილი.

მაგრამ კიდევ უფრო ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ის გარემოება, რომ ჟურნალში შემოღებულ განყოფილებათა შორის მასალების განაწილების პრინციპი ზოგჯერ სავსებით დაცული არ არის: ერთი და იგივე ხასიათის მასალა სხვადასხვა ნომერში სხვადასხვა განყოფილებაშია მოთავსებული, ან კიდევ სხვადასხვა ხასიათის მასალა ზოგიერთ ნომერში ერთ განყოფილებაშია, ზოგიერთში კი-სხვადასხვა განყოფილებაშია მოთავსებული. ასე, მაგალითად, საფრანგეთის პროვინციალურ არქივების მიმოხილვა (Henri Sée) მეშვიდე წიგნში მოთავსებულია პირველ განყოფილებაში, ხოლო ანალოგიური მიმოხილვა იტალიის არქივების მდგომარეობის შესახებ (Stefano La Colla) მეთოთხმეტე წიგნში დაბეჭდილია ოფიციალურ განყოფილებისა და „საარქივო ცხოვრების ხრონიკის“ შემდეგ. საერთოდ დასავლეთ ევროპის არქივების მიმოხილვა ხან პირველ განყოფილებაშია მოქცეული, ხან კიდევ—მესამე განყოფილების შემდეგ. რუსეთის საარქივო მუშაკთა 1-ლ კონფერენციის ანგარიში პირველ წიგნში მოთავსებულია წიგნის ბოლოში, ხოლო მეორე კონფერენციის ანგარიში მეთერთმეტე—მეთორმეტე წიგნში მოთავსებულია წიგნის დასაწყისში და სხვა.

ასეთი მაგალითები ბევრია და ჩვენ ყველას, რათქმა უნდა, ვერ დავასახელებთ. მსურველს შეუძლია სხვადასხვა ნომრები ერთმეორეს ადვილად შეადაროს და თვით დარწმუნდება იმაში, რომ მასალების განაწილების მხრივ არა იშვიათად პრინციპი სავსებით დაცული არ არის. ჩვენის აზრით, ამ ნაკლის აცილება ადვილად შეიძლება და საჭიროც არის. ყოველ შემთხვევაში მასალების განაწილებაში უფრო გარკვეული ხაზის აღება და მიღებულ პრინციპის მტკიცედ დაცვა ჟურნალს მხოლოდ ღირსებას შეჰმატებს და მკითხველსაც მით სარგებლობას გაუადვილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



არის კიდევ ერთი გარემოებაც, რომელიც აგრეთვე არა სასურველად უნდა ჩაითვალოს. ეს არის არა-სტაბილური მდგომარეობა ჟურნალის გამოცემის საქმეში ყოველწლიურ ნომრების რაოდენობის მხრივ. ჟურნალი, როგორც ვამბობდით, უკვე მეშვიდე წელიწადია, რაც გამოდის. ამ ხნის განმავლობაში გამოვიდა სულ 16 ნომერი, ე. ი. საშუალოდ წელიწადში 3 წიგნი. მაგრამ გამოსულ ნომრების რაოდენობა ყოველ წლიურად თანაბარი არ არის: პირველ წელიწადს გამოვიდა ერთი ნომერი, მეორე წელიწადს—კიდევ ერთი, მესამე წელიწადს—ორი ნომერი, მეოთხე წელიწადს—ხუთი, მეხუთე წელიწადს—ოთხი, მეექვსე წელიწადს—სამი, მეშვიდე წელიწადს ჯერ არ ვიცით რამდენი გამოვა. მართალია, ჟურნალის არსებობის პირველ წლებში ისეთი პირობები არსებობდა, რომ ამ მხრივ სიმტკიცის დაცვა ძნელი იყო, მაგრამ შემდეგ წლებში (1926, 1927, 1928) ეს, ჩვენის აზრით, შეიძლებოდა. ამას მუდმივ მკითხველის შექმნის მხრივ მნიშვნელობა ექნებოდა.

მაგრამ ყველაფერი ეს ჟურნალის გარეგნულ მხარეს შეეხება. არსებითად, შინაარსის მხრივ კი, როგორც ვამბობდით, ჟურნალი სავსებით ამართლებს სპეციალურ საარქივო ორგანოს დანიშნულებას. მკითხველს ამ ორგანოს საშუალებით შეუძლია გაეცნოს ერთის მხრივ არქივთმეცნიერების დარგში ახალ მიღწევებს, ხოლო მეორეს მხრივ არქივებისა და საარქივო დაწესებულებათა მდიდარ პრაქტიკას, როგორც საბჭოთა ქვეყნებში, ისე აგრეთვე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. განსაკუთრებით საინტერესოა ეს ჟურნალი რუს არქივისტებისათვის, რადგან ჟურნალი საარქივო საქმის შესწავლას უმთავრესად რუსეთის სინამდვილესთან დაკავშირებით ჰგულისხმობს.

მოგვყავს მოკლე შინაარსი დღემდე გამოსულ ნომრებისა.

**წიგნი I.** ისტორიკოსი-არქეოგრაფი-არქივისტი (ს. ვიშნევსკი). არქივისტის სწავლა-განათლება დასავლეთში (დ. ეგოროვი). გამოცემულ რუსულ აქტების ნუსხის შედგენის საკითხისათვის (ნ. ლიხაჩევი). დასავლეთ-ევროპის საარქივო საქმის შესახები პერიოდული გამოცემები (ი. პუზინო). საარქივო მიმოხილვები (ს. ვალკი). არქივთმეცნიერების სემინარიდან (ვ. შერემეტევსკი). პროვინციის საარქივო ცხოვრების მატიანე 1920 წ. (მ. ვიშნევსკი). სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა 1-ლი კონფერენცია. ნეკროლოგები. ბიბლიოგრაფია.

**წიგნი II.** არქივების პოლიტიკური მნიშვნელობა (მ. პოკროვსკი). ხანგრძლივია თუ არა ჩვენი არქივები? (ა. გერაკლიტოვი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰოლანდიის არქივისტები არქივების აღწერისა და მოწესრიგების შესახებ (ი. გ ო ლ უ ბ ც ო ვ ი). საარქივო ტერმინოლოგია: 1) საარქივო ტერმინოლოგიის ლენინგრადის პროექტი. 2) რამოდენიმე შენიშვნა საარქივო ტერმინოლოგიის ლენინგრადის პროექტის გამო (ვ. შ ე რ ე მ ე ტ ე ვ ს კ ი). არქივები მუზეუმებში (ვ. ა ლ ე ქ ს ე ე ვ ი). საარქივო მუზეუმი ლენინგრადში (ნ). მოსკოვის საისტორიო არქივი (მ. ლ ი უ ბ ა ვ ს კ ი). საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივის ორასი წლის თავი (ს. ბ ო გ ო ი ა ვ ლ ე ნ ს კ ი). თ. მ. დოსტოევსკის არქივი (ნ. ბ.). კანონები და განკარგულებები საარქივო საქმის შესახებ. საარქივო ცხოვრების ქრონიკა რ. ს. ფ. ს. რ-ში. სრულიად ბელორუსიის 1-ლი საარქივო კონფერენცია (ვ. პ ი ჩ ე ტ ა). საარქივო საქმის შესახები ლიტერატურა 1917-1923 წ.წ. (ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი). უცხო საარქივო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლის შესახებ (ი. ლ ი უ ბ ი მ ე ნ კ ო). ბიბლიოგრაფია.

**წიგნი III-IV.** საარქივო საქმე მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში (მ. პ ო კ რ ო ვ ს კ ი). ზოგიერთი შედეგები (ვ. მ ა ქ ს ა კ ო ვ ი). რუსეთის საარქივო მოღვაწეთა ყრილობა 1925 წ. 14-19 მარტს მოსკოვში (მ. კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო ვ ი). საისტორიო-სარევოლუციო საბუთების გამოცემისათვის (ს. ვ ა ლ კ ი). ჰოლანდიის არქივისტები არქივების მოწესრიგებისა და აღწერის შესახებ (ი. გ ო ლ უ ბ ც ო ვ ი). მიღებულ ერთეულების ინვენტარიზაცია ოქტომბრის რევოლიუციის არქივში (ა. რ ა ხ ლ ი ნ ი). დეკაბრისტების საქმის გამო დანიშნულ საგამომძიებლო კომისიისა და უმაღლესი სასამართლოს ფონდის ისტორიისათვის (ს. ჩ ე რ ნ ო ვ ი). საარქივო საქმე ს. ს. რ. კ-სა და დასავლეთში. რ. ს. ფ. ს. რ. ცენტრარქივი. დებულებები და ცირკულიარები. წესები მომქმედ საბჭოთა დაწესებულებებში საარქივო ნაწილის დაყენებისათვის. საარქივო ცხოვრების ქრონიკა. უკრაინის ცენტრარქივი. სრულიად უკრაინის საარქივო მუშაკთა პირველი თათბირი (ტ ე ტ ი ნ ი). ბელორუსიის ცენტრარქივი (მ ე ლ ე შ კ ო). საქართველოს ცენტრარქივი (შ. ჩ ხ ე ტ ი ა). საარქივო საქმის მდგომარეობა დასავლეთში. გერმანიის საერთო სახელმწიფო არქივი (ი. ლ ი უ ბ ი მ ე ნ კ ო). საარქივო საქმის შესახები ლიტერატურა (ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი). საისტორიო-სარევოლიუციო მასალების გამოქვეყნება. ცნობითი განყოფილება.

**წიგნი V-VI.** ოქტომბრის რევოლიუციის არქივის ხუთი წელი (ვ. მ ა ქ ს ა კ ო ვ ი). ლენინგრადის ცენტრალური საისტორიო არქივის მუშაობის შედეგები და პერსპექტივები (ი. მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი). ერთიან სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხელმწიფო საარქივო ფონდის მასალების სამეცნიერო გამოყენება (ე. ნ ე რ ს ი ს ი ა ნ ი). არქივი, ბიბლიოთეკა და მუზეუმი (ი. მ ა ი ა-კ ო ვ ს კ ი). საარქივო ფონდის დაუშლელობის საკითხისათვის (ი. ჟ დ ა ნ ო ვ ი ჩ ი და მ. ლ ი უ ბ ა ვ ს კ ი). გამრჩევ შემმოწმებელ კომისიების მუშაობა (ს. ბ ო გ ო ი ა ვ ლ ე ნ ს კ ი). ისტორიული საბუთების გამოცემის წესების შესახებ (ა. ა ნ დ რ ე ე ვ ი). ტოპოგრაფიული მაჩვენებლები საარქივო ფონდებისათვის (მ. ვ ი შ ნ ე ვ ს კ ი). საარქივო მუშაობის აღრიცხვა (ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი). არქივთსაცავისათვის შენობის არჩევა (ა. ბ ო ლ ა ნ ჩ უ კ). ცენტრალური სამიჯნაო არქივი (ს. ტ რ ო ი ა ნ ს კ ი). საარქივო კანონები და წესები. საარქივო ცხოვრების ქრონიკა. საინტრუქტორო ანგარიშები და კორესპონდენციები ადგილებიდან. საარქივო მშენებლობა სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში (ა. გ ი ვ ა რ გ ი ზ ო ვ ი). ციმბირის არქივები (დ. ი ს ტ ნ ი უ კ ი). ასტრახანის საგუბერნიო საარქივო ბიურო (ვ. ს ე ნ კ ო ვ ს კ ი). ნოვგოროდის საარქივო კონფერენცია (დ. ი ს ტ ნ ი უ კ ი). რიგის სახელმწიფო არქივი (ი. ლ ი უ ბ ი მ ე ნ კ ო). გერმანულ რეიხის არქივი პოტსდამში (მ ი ს ი ვ ე). არქეოგრაფია რევოლიუციის წლებში (ნ. ბ ე ლ ჩ ი კ ო ვ ი). საისტორიო-სარევოლიუციო მასალების გამოქვეყნება. ბიბლიოგრაფია.

**წიგნი VII.** რიგში (ვ. მ ა ქ ს ა კ ო ვ ი). რეგისტრატურა და არქივი (ნ. რ უ ს ი ნ ო ვ ი). არქივი, ბიბლიოთეკა და მუზეუმი (ი. მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი). ისტორიული ტექსტების გამოცემის წესებისათვის (ა. ა ნ დ რ ე ე ვ ი). საფრანგეთის პროვინციალური არქივი მსოფლიო ომის შემდეგ (Henri Sée). საარქივო მუშაკების შრომის პირობები (ვ. დ ო მ ბ რ ო ვ ს კ ი). ოფიციალური განყოფილება: დეკრეტები, ცირკულიარები, ინსტრუქციები. საარქივო ცხოვრების ქრონიკა. დანელი მეცნიერი საბჭოთა რუსეთის არქივების შესახებ. 1925 წ. ზაფხულში საზღვარგარეთ მივლინების ანგარიში (ი. ლ უ ბ ი მ ე ნ კ ო). ჩეხო-სლოვაკიის საარქივო ცხოვრებიდან (ვ. პ ი ჩ ე ტ ა). რეინ-ვესტფალის ეკონომიური არქივი კელნში (ი. ლ ი უ ბ ი მ ე ნ კ ო). საისტორიო-სარევოლიუციო მასალების გამოქვეყნება. საარქივო საქმის რაციონალიზაციის ერთი პროექტის გამო (ა. ი ო დ კ ო). ბიბლიოგრაფია.

**წიგნი VIII-IX.** სამხედრო-საისტორიო არქივი (ი. ხ რ ი პ ა ჩ ი). რეგისტრატურა და არქივი (ნ. რ უ ს ი ნ ო ვ ი). არქივთსაცავებთან საარქივო ბიბლიოთეკების ორგანიზაციის საკითხისათვის (მ. ა ხ უ ნ). ფოტო-კინო არქივი (დ. ლ ე ვ ი ნ ი). პარიზის ეროვნული არქივი

ეროვნული ბიბლიოთეკა



(G. Bourgin). ოფიციალური განყოფილება: დეკრეტები, ცირკულიარები, ინსტრუქციები. საარქივო ცხოვრების ქრონიკა. ცენტრალურ დაწესებულებათა არქივები (ნ. რუსინოვი). საარქივო საქმე შორეულ აღმოსავლეთში (ე. სენკოვსკი). კოლიმის მხარის არქივი (ი. სერგეევი). საარქივო მასალების გადაცემა უკრაინისათვის (ქ.). სრულიად უკრაინის საარქივო მოღვაწეთა ყრილობა (ვ. დომბროვსკი). საარქივო საქმე პოლონეთის რესპუბლიკაში (ვ. პიჩეტა). უახლესი საარქივო შენობები დასავლეთში და მათი მოწყობილობა (ი. ლიუბიმენკო). საარქივო ტეხნიკის საკითხები. ტოპოგრაფიულ მაჩვენებლების საკითხისათვის (ა. ვიაზიგინის წერილი რედაქციის მიმართ). პასუხი ვიაზიგინს (მ. ვიშნევსკი). ბიბლიოგრაფია. საბუთების გამოქვეყნების მიმოხილვა (ი. ვალკი).

**წიგნი X.** არქივების კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა (მ. პოკროვსკი). რუსეთის ცენტრარქივის მოღვაწეობა და საარქივო მშენებლობის მორიგი ამოცანები (ვ. მაქსაკოვი). საარქივო ორგანიზაცია ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქებში (ბ. ანფილოვი). ოფიციალური განყოფილება: დეკრეტები, ცირკულიარები, ინსტრუქციები. საარქივო ცხოვრების ქრონიკა. ლენინგრადის საგუბერნიო საარქივო ბიურო (ა. კოტოვიჩი). 1923 წ. ჰოლანდიაში მივლინების შთაბეჭდილებიდან (ნ. რუსინოვი). მთავარი სახელმწიფო არქივისტის ანგარიში საარქივო საქმის მდგომარეობის შესახებ ჰოლანდიაში 1924 წელს (ი. ლიუბიმენკო). ბიბლიოგრაფია. ნეკროლოგი.

**წიგნი XI XII.** რუსეთის საარქივო მუშაკთა მეორე კონფერენცია 1927 წ. 11-12 იანვარს. ეროვნულ კულტურის განყოფილებები ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ავტონომიურ ოლქების საისტორიო არქივებში (ი. ჟდანოვიჩი). საარქივო საქმე დასავლეთში (აკად. ე. ტარლე). ფრანგული არქივები და მათი ტეხნიკური ორგანიზაცია (Ch. Chmidt). ოფიციალური განყოფილება: დეკრეტები, ცირკულიარები, ინსტრუქციები. საარქივო ცხოვრების ქრონიკა. საინსპექტორო-ანგარიშებიდან და კორესპონდენციები ადგილებიდან. მომქმედ დაწესებულებათა არქივებში (ნ. რუსინოვი). ციმბირის საარქივო მუშაკთა პირველი თათბირი. საარქივო ტეხნიკის საკითხები. ბიბლიოგრაფია.

**წიგნი XIII.** კონფერენციის შემდეგ. სამხარეთმცოდნეო „შესწორებები“ რუსეთში საარქივო საქმის ორგანიზაციისათვის (ი. გოლუბცოვი). რევოლიუციისა და საგარეო პოლიტიკის არქივი

ეროვნული ბიბლიოთეკა



(ვ. მაქსაკოვი). ურთიერთობა რუსეთის ცენტრარქივსა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრარქივებს შორის (ი. ჟდანოვიჩი). არქივთმეცნიერების კაბინეტი (ი. გ.). ქაღალდის-მჭამელა და მასთან ბრძოლა (ი. ზავიალოვი). ოფიციალური განყოფილება: დეკრეტები, ცირკულიარები, ინსტრუქციები. საარქივო ცხოვრების ქრონიკა. ა. პუშკინის არქივი (ნ. ბელჩიკოვი). რუსეთის ადგილობრივი არქივები (დ. ისტნიუკი). საარქივო მშენებლობა ჩ.-კავკასიაში (ა. გივარგიზოვი). საარქივო საქმე ინგლისში (ი. მილოვანოვა). რეცენზიები.

**წიგნი XIV**. მომწიფებული რეფორმა (ბ. ანფილოვი). საარქივო ფონდის ფორმულიარი: ფონდის ფორმულარი (ა. ნიკოლაევი). კერძო ფონდების შესწავლის მეთოდები (ნ. ბელჩიკოვი). საოლქო სასამართლოების სამოქალაქო განყოფილებათა ფონდების გარჩევის შესახებ (ს. ბოგოიავლენსკი). ოფიციალური განყოფილება: დეკრეტები, ცირკულიარები, ინსტრუქციები. საარქივო ცხოვრების ქრონიკა. საარქივო მშენებლობა კურსკის გუბერნიაში (ა. კომაროვი). სახელმწიფო არქივი პოლერმოში და საარქივო საქმე იტალიაში (Stefano La Colla). ახალი საარქივო სწავლა-განათლება ბელგიაში (ი. ლიუბიმენკო). ბიბლიოგრაფია.

**წიგნი XV**. ახალი ათი წლის მიჯნაზე (ვ. მაქსაკოვი). ადმინისტრატიული დაყოფა და არქივები (დ. ისტნიუკი). დიპლომატიური საბუთების გამოცემისათვის (ა. პ.). პროფმოძრაობის არქივები (კ. კოხი). ნივთიერი ძეგლები არქივებში (ბ. ანფილოვი). თვითგანვითარების საარქივო წრეები (მ. ვიშნევსკი). ოფიციალური განყოფილება. საარქივო ცხოვრების ქრონიკა. ვ. ადორატსკის მოხსენება საისტორიო მეცნიერებათა კონგრესზე ოსლოში. საინსპექტორო ანგარიშებიდან და კორესპონდენცია ადგილებიდან. საოლქო საარქივო თათბირი ლენინგრადში (დ. ისტნიუკი). სერგიევის ლავრის არქივების შესახებ (ა. ოლშევსკი). ჰოლანდიის არქივისტების კავშირი (ი. ლიუბიმენკო). ბიბლიოგრაფია.

**წიგნი XVI**. მ. ნ. პოკროვსკი (ბიოგრაფია). მ. ნ. პოკროვსკი და საარქივო მშენებლობის საკითხები (ვ. მაქსაკოვი). მომქმედ დაწესებულებათა არქივების ნაციონალიზაციის გზაზე (ვ. დომბროვსკი). გერმანიის არქივები (ვ. ადორატსკი). მაჩვენებლები აღწერისათვის (ვ. შერემეტევსკი). არქივის მავნებლები და გამაფრთხილებელი ზომები მათ წინააღმდეგ (ი. ზავიალოვი). ოფიციალური განყოფილება: დეკრეტები, ცირკულიარები, ინსტრუქციები. საარქივო ცხოვრების ქრონიკა. საარქივო საქმე თურქმენთა რესპუბლიკაში (ი. ჟ.). მუშაობის მეთოდები ეროვნულ არქივში (Ch. Chmidt). ბიბლიოგრაფია.

**ბიბლიოგრაფი.**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# წერილი რედაქციის მიმართ.

## შეუგნებელი უვიცობა, თუ შეგნებული სიყალბე*?

### (ს. კაკაბაძის რეცენზიის გამო).

გასულ 1928 წელს გამოვიდა ჩვენი წიგნი—„არქივები და საარქივო საქმე“—ხელნაწერის უფლებით. წიგნი ჯერ სტამბაში აკინძული არ იყო, რომ ს. კაკაბაძემ ამ წიგნის შესახებ თავის პირად ორგანოში „საისტორიო კრებულში“ (წიგ. III) მისთვის ჩვეულებრივი სტილით დაწერილი რეცენზია მოათავსა[1]. თუ რა ფასი აქვს საერთოდ ს. კაკაბაძის რეცენზიებს, რომელნიც ყოველთვის პირად ანგარიშებზეა დამყარებული, ქართველმა მკითხველმა კარგად იცის და ამიტომ ამ რეცენზიაზე შეიძლებოდა პასუხი სრულიადაც არ გაგვეცა, მაგრამ ზოგიერთი გარემოება, რომლის შესახებ აქ ლაპარაკი საჭიროდ არ მიგვაჩნია, გვაიძულებს ამ შემთხვევაში ანგარიში გაუწიოთ ს. კაკაბაძის რეცენზიას და უყურადღებოდ არ დავტოვოთ იგი.

ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენად შეეფერება სამეცნიერო მწერლობაში მიღებულ ეთიკის წესებს ხელნაწერ შრომაზე რეცენზიის წერა, რადგან ეთიკის წესების დაცვა ყველას არ მოეთხოვება, და არსებითად შევეხებით რეცენზიას, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ს. კაკაბაძისათვის არსებითი პასუხის გაცემა ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს, ვინაიდან მისი რეცენზია, როგორც ქვემოდ დავინახავთ, არსებითს არაფერს შეიცავს.

ჩვენი წიგნის წინასიტყვაობაში თვით ჩვენ ვასახელებდით ხე-

---

* რედაქცია ადგილს უთმობს შემოკლებით ამხ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა ს წერილს, რათა საშუალება მისცეს მას უპასუხოს „საისტორიო კრებულში“ მოთავსებულ ს. კაკაბაძის რეცე ზიას.

[1] ასეთი აჩქარება ალბად გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ს. კაკაბაძე ჩვენი წიგნის ბეჭდვის პერიოდში, როგორც თვით ცენტრარქივის ადმინისტრაცია დაადასტურებს, თავის კანდიდატურას აყენებდა ცენტრარქივის ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და მას ამისთვის საჭიროდ. მიაჩნდა იმის დამტკიცება, რომ ის საარქივო საქმის ერთად-ერთი სპეციალისტია საქართველოში. ს. კაკაბაძის ასეთი მისწრაფება აშკარა გაუგებრობაზე იყო დამყარებული, რადგან იგი მოხსნილი იყო ცენტრარქივიდან ჯერ კიდევ 1925 წელს, განათლების სახ. კოტის მიერ დანიშნულ რევიზიის შედეგად, სწორედ როგორც შეუფერებელი, და როგორ შეიძლებოდა მისი ხელ-ახლა ცენტრარქივში მოწვევა, როგორც სპეციალისტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლისშემშლელ მიზეზებს და აღვნიშნავდით, რომ „შრომას ბევრი ნაკლი აქვს“, მაგრამ ს. კაკაბაძეს, ალბად იმის გამო, რომ საგანს არ იცნობს, ეს ნამდვილი ნაკლი არ შეუმჩნევია და უმთავრესად, როგორც ქვემოდ დავრწმუნდებით, კორექტურულ შეცდომებზე დამყარებული დეფექტები გაუხდია თავის კრიტიკის ობიექტად. ს. კაკაბაძე, რა თქმა უნდა, განზრახ ჰმალავს ამ დეფექტების ნამდვილ მიზეზს—კორექტურის შეუსრულებლობას, რათა მისი რეცენზია მკითხველისათვის უფრო სანდო და დამაჯერებელი იყოს, და პირიქით, ობიექტური კრიტიკოსის ტონით, აცხადებს „კორექტურულ შეცდომებს ჩვენ, რასაკვირველია, მხედველობაში არ ვღებულობთო“. ზოგჯერ ს. კაკაბაძე სერიოზულ ბრალდებასაც გვიყენებს და არც ცდილობს მის დასაბუთებას მკითხველისთვის თვალის ასახვევად მაინც ყალბი არგუმენტებითაც კი, როგორც ეს მას საზოგადოდ სჩვევია, თუმცა ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ს. კაკაბაძე „დეფექტების“ აღნიშვნის შემდეგ ჩვენი წიგნის გვერდებსაც ასახელებს, სადაც ვითომდა ჩვენ მიერ შეცდომებია დაშვებული, სინამდვილეში კი ამ გვერდებზე არავითარ შეცდომას, კორექტურულსაც-კი, ადგილი არა აქვს. საერთოდ მთელ რეცენზიას ეტყობა მეტის-მეტი უპასუხისმგებლობა და სიყალბე: მთელი ეს რეცენზია ჩვენი წიგნის დაუსაბუთებელ უარყოფასა და დაბალი სტილით დაწერილ გინებას წარმოადგენს.

ვნახოთ მაინც რაზეა დამყარებული ეს გინება და ჩვენი წიგნის ასე ხელაღებით უარყოფა. რას გვაბრალებს ს. კაკაბაძე?

უპირველესად ყოვლისა ს. კაკაბაძე გვისაყვედურებს იმას, რომ ჩვენ ჩვენს წიგნში „**უმთავრესად**[1] საარქივო საქმის ცენტრალიზაციის საკითხზე“ ვჩერდებით, „თითქოს დასავლეთ ევროპის საარქივო საქმის მიმოხილვა შესაძლებელი იყოს **მხოლოდ** ცენტრალიზაციის სისტემის განვითარებით იქნას ამოწურული“-ო. უმთავრესად საარქივო საქმის ცენტრალიზაციის საკითხზე შეჩერების გამო, ს. კაკაბაძის განცხადებით, ჩვენმა შრომამ „ცალმხრივი მიმართულება“ მიიღო. „ავტორი გვერდს უვლის, სწერს ს. კაკაბაძე, თვით (?) საარქივო საქმის განვითარების პრინციპებს“-ო.

რეცენზენტს ეს თავისი განცხადება არა აქვს დადასტურებული ფაქტებითა და კონკრეტი მაგალითებით ჩვენი წიგნიდან: მას აღნიშნული არა აქვს, თუ საიდან სჩანს, ან სად ვამტკიცებდით ჩვენ იმას, რომ „საარქივო საქმის მიმოხილვა“ შესაძლებელია „**მხო-**

[1] ხაზი აქ და შემდეგშიც ყველგან ჩვენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ლოდ** ცენტრალიზაციის სისტემის განვითარებით (?) იქნას ამოწურული"; მას არა აქვს აგრეთვე განმარტებული, თუ რა მიაჩნია მას საარქივო საქმის განვითარების იმ „პრინციპებად", რომელთაც ჩვენ გვერდი აუხვიეთ და ყურადღების გარეშე დავსტოვეთ. ს. კაკაბაძე ვერც დაასახელებდა ასეთ პრინციპებს, რადგან იგი მათ არ იცნობს, ვერც თავის ბრალდებას დაადასტურებდა ფაქტებით, რადგან ეს ბრალდება, როგორც დავრწმუნდებით, ფაქტებზე არ არის დამყარებული: იგი წარმოადგენს რეცენზენტის შეგნებულ სიყალბეს, ხოლო ნაწილობრივ—მის უვიცობის შედეგს.

საქმე იმაშია, რომ თანამედროვე საარქივო საქმის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს სწორედ ცენტრალიზაციის პრინციპი შეადგენს; ცენტრალიზაციის მომენტი საერთოდ საარქივო საქმის განვითარების დიალექტიკაში მთავარი მომენტია. ამ მომენტის გაუშუქებლად არქივებისა და საარქივო საქმის ისტორიის დაწერა შეუძლებელია. ს. კაკაბაძემ, როგორც ეტყობა, არ იცის ეს და ალბად ამიტომ აირჩია მან მთავარ არგუმენტად ჩვენს წინააღმდეგ ცენტრალიზაციის საკითხზე შეჩერება.

ჩვენს შრომაში, რომელიც არქივებისა და საარქივო საქმის ისტორიას წარმოადგენს, სავსებით ბუნებრივი იყო ცენტრალიზაციის საკითხზე შეჩერება: ჩვენ, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლიდით ამ საკითხს და, ვფიქრობთ, ნაკლადაც არ ჩაგვეთვლება ეს გარემოება. მაგრამ რამდენად მართალია ს. კაკაბაძის მტკიცება იმის შესახებ, რომ ჩვენ **მხოლოდ** ამ საკითხს ვაქცევდით **უმთავრეს** ყურადღებას და „**მხოლოდ** ცენტრალიზაციის სისტემის განვითარებით" გვინდოდა „საარქივო საქმის მიმოხილვის ამოწურვა"?

რომ აშკარა იყოს მკითხველისათვის ს. კაკაბაძის ამ ბრალდების სიყალბე, ჩვენ მოვიყვანთ მოკლე, სქემატიურ შინაარსს ჩვენი წიგნისას.

ჩვენი წიგნი შესდგება შვიდი თავიდან, პლიუს საერთო შესავალი. შესავალში ჩვენ ვეხებით შემდეგ საკითხებს: 1) დამწერლობისა და წერილობითი ძეგლების გაჩენა და ამ ფაქტის მნიშვნელობა კაცობრიობისათვის, 2) წერილობითი ძეგლების დაცვა-შენახვის აუცილებლობა და არქივების გაჩენა და 3) არქივების განვითარების ზოგადი მომენტები. პირველ და მეორე თავში ჩვენ განხილული გვაქვს, საერთო ისტორიული ცნობების წამძღვარებით, ძველი აღმოსავლეთისა და კლასიკურ ქვეყნების (ასურეთის, ბაბილონის, ეგვიპტეს, საბერძნეთისა და რომის) არქივების ისტორია, უმთავრესად

ეროვნული ბიბლიოთეკა



შემდეგი მომენტების დახასიათებით: 1) არქივის წარმოშობა და მისი განვითარების საფეხურები, 2) არქივის ფუნქციები ძველად, 3) არქივის ცნების წარმოშობა და საარქივო ტერმინოლოგია, 4) საარქივო ტეხნიკა და არქივის მოწყობილობა, 5) არქივალიების კონცენტრაცია, კლასიფიკაცია და სისტემაში მოყვანა, 6) საარქივო მასალების გამოყენება პრაქტიკულ და მეცნიერულ მიზნით, 7) არქივის ტიპები, 8) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების ფორმების ცვალებადობა და არქივების განვითარების დამოკიდებულება ამ ცვალებადობასთან, 9) არქივალიების მოსპობის წესები და სხვა (იხ. ჩვენი წიგნის სათანადო თავების დასკვნითი ნაწილები). მესამე თავში, ძველი აღმოსავლეთისა და კლასიკურ ქვეყნების არქივებისა ისტორიასთან დაკავშირებით, ჩვენ ვაწვდით მკითხველს მოკლე ცნობებს მუსლიმანურ აღმოსავლეთში (სპარსეთსა, სახალიფოსა, მონღოლთა იმპერიასა და ოსმალეთში) საბუთების დაცვისა და საარქივო დაწესებულებათა შესახებ. მეოთხე და მეხუთე თავში განხილულია არქივებისა და საარქივო საქმის ისტორია დასავლეთ ევროპაში: მეოთხე თავში—საშუალო და ახალ საუკუნების საერთო ისტორია ზოგადად, ხოლო მეხუთე თავში—თანამედროვე დიდ სახელმწიფოებისა (საფრანგეთისა, ინგლისისა, გერმანიისა და ავსტრიისა) - ცალ-ცალკე. ორივე თავში არქივების ისტორია განხილულია საზოგადოებრივ განვითარების ფორმებთან დაკავშირებით და შეიცავს საარქივო საქმის როგორც ორგანიზაციულ, ისე აგრეთვე ტეხნიკურ მხარის საკმაოდ ვრცელ გაშუქებას. აქ მოცემულია, შედარებით ახალ წყაროების მიხედვით, საარქივო საქმის მდგომარეობის სრული სურათი დასავლეთ ევროპის თანამედროვე დიდ სახელმწიფოებში მე-V საუკუნიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე. საარქივო საქმის განვითარების შემაფერხებელი და ხელისშემწყობი ფაქტორები, საეკლესიო-სამონასტრო არქივები, რომის პაპის არქივი, სამეფო არქივები, ფეოდალების არქივები, რეფორმაციის ეპოქა და მისი გავლენა არქივების განვითარებაზე, საფრანგეთის რევოლიუცია და ახალი პრინციპები საარქივო საქმეში, საარქივო რეფორმები და მისი შედეგები სხვა და სხვა სახელმწიფოებში, არქივთ-მოწყობის პრინციპები, არქივალიების კლასიფიკაციისა და ინვენტარიზაციის წესები, საარქივო ლიტერატურის გაჩენა, არქივისტების მომზადების საკითხი და სხვა—აი ის საკითხები, რომელთაც ვეხებით ჩვენ მეოთხე და მეხუთე თავში. მეექვსე თავი, რომელიც ჩვენი შრომის ისტორიული ნაწილის უკანასკნელ თავს წარმოადგენს, შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეხება საარქივო საქმის მდგომარეობას დასავლეთ ევროპის მეორე-ხარისხოვან სახელმწიფოებში: იტალიასა, ბელგიასა, შვეიცარიასა, დანიასა და ჰოლანდიაში. მაგრამ ამ თავში ყურადღების მთავარ საგნად გადაქცეულია საარქივო საქმის განვითარების ერთი მომენტი, სახელდობრ, ცენტრალიზაციის პრინციპზე ამ ქვეყნებში ჩატარებული რეფორმები და ამ რეფორმების შედეგად იქ შექმნილი მდგომარეობა. დასასრულ, მეშვიდე თავი დასკვნის სახით წარმოადგენს არქივების და საარქივო საქმის საერთო სურათს უძველეს დროიდან —ჩვენს დრომდე შემდეგი ქრონოლოგიური პერიოდების მიხედვით: 1) პირველი პერიოდი—უძველეს დროიდან მე-IV—V საუკუნემდე, 2) მეორე პერიოდი—მე-V საუკუნიდან მე-XVI საუკუნემდე და 3) მესამე პერიოდი—მე-XVI საუკუნიდან ჩვენს დრომდე.

ასეთია სქემატიური შინაარსი ჩვენი წიგნისა. ჩვენ არ შეგვეძლო მკითხველის შეწუხება უფრო ვრცელი შინაარსის მოყვანით, მაგრამ ვფიქრობთ ნათქვამიდანაც ცხადი უნდა იყოს, თუ რა მომენტებს ვეხებოდით ჩვენ ჩვენს წიგნში და რა საკითხები შეადგენდა ჩვენი მსჯელობის საგანს. ჰმოწმობს თუ არა ჩვენ მიერ ზემოდ დასახელებული საკითხები იმას, რომ ამ შრომის ავტორი „უმთავრესად" ცენტრალიზაციის საკითხე ჩერდებოდა და „თვით საარქივო საქმის განვითარების პრინციპებს" უყურადღებოდ სტოვებდა? ანდა ამტკიცებს თუ არა ეს საკითხები იმას, რომ ავტორი „მხოლოდ ცენტრალიზაციის სისტემის განვითარებით" ცდილობდა „დასავლეთ ევროპის საარქივო საქმის მიმოხილვის" ამოწურვას? ვფიქრობთ, რომ არა.

როგორც მოყვანილი მოკლე შინაარსიდანაც სჩანს, ჩვენს შრომაში ჩვენ ვეხებოდით საარქივო საქმის განვითარების ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან მომენტებს და ყველა მთავარ მხარეებს. კერძოდ დასავლეთ ევროპის ისტორია ჩვენ განხილული გვაქვს საკმაოდ ვრცლად, თითქმის დაწვრილებით, მთელი ასი გვერდის (გვ. 112—215) სივრცეზე, ჯერ ზოგადად დას. ევროპის ქვეყნებისა საერთოდ, ხოლო შემდეგ—თვითეულ ქვეყნისა ცალცალკე, და მხოლოდ ამის შემდეგ შევჩერდით ჩვენ მე-6 თავში განსაკუთრებით ცენტრალიზაციის საკითხზე უმთავრესად იმის გამო, რომ აღებულ თემის სხვა მხარეები წინა თავებში უკვე ამოვსწურეთ ჯეროვანად. „დასავლეთ ევროპის უმთავრეს ქვეყნებში არქივებისა და საარქივო საქმის განვითარების **მთლიანი ისტორიის გაცნობის შემდეგ**, ვჩერდით ჩვენ ჩვენი წიგნის მე-6-ე თავის დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



წყისში, 216-ტე გვერდზე, დასავლეთ ევროპის დანარჩენ ქვეყნების მიმოხილვის დროს, ვფიქრობთ, საკმარისი იქნება შევჩერდეთ არქივებისა და საარქივო საქმის განვითარების მხოლოდ ერთ მომენტზე, სახელდობრ, ცენტრალიზაციის პრინციპის ნიადაგზე ამ ქვეყნებში ჩატარებულ რეფორმებზე და ამ რეფორმების შედეგად იქ შექმნილ მდგომარეობაზე".

ამ თავს უკავია 23 გვერდი (გვ. 216—231) და იქ, როგორც მოყვანილ ციტატიდან მკითხველიც დარწმუნდებოდა, მარტო ცენტრალიზაციის საკითხზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ,,ცენტრალიზაციის პრინციპზე ჩატარებულ რეფორმებზე და ამის შედეგად შექმნილ მდგომარეობაზე''. მაგრამ კიდევაც რომ დაუშვათ ის გარემოება, რომ ამ თავში მთლიანად, ე. ი. მთელი 23 გვერდის სივრცეზე მარტო ამ საკითხის შესახებაა მაჯელობა, ჰნიშნავს თუ არა ეს ,,მხოლოდ'' და ,,უმთავრესად" მთელს წიგნში ცენტრალიზაციის საკითხზე შეჩერებას, როგორც ამას ს. კაკაბაძე ამტკიცებს? ეს თავი, სადაც ს. კაკაბაძის მიერ შეძულებულ ცენტრალიზაციის საკითხზეა ლაპარაკი, როგორც ვთქვით, შეიცავს სულ 23 გვერდს, ე. ი. მთელი წიგნის მე-12-ტე ნაწილს და როგორ მოხდა, რომ ს. კაკაბაძემ 247 გვერდის სივრცეზე დაწერილი ამბავი და ფაქტები ვერ შეამჩნია და 23 გვერდის მანძილზე გაშუქებული საკითხი დაინახა? ანდა როგორ და საიდან გამოიყვანა მან ის დასკვნა რომ ,,ჩვენმა შრომამ ცალმხრივი მიმართულება მიიღო?" ხომ არ შეიძლებოდა 23 გვერდის სივრცეზე, თუნდაც მთლიანად, ერთ საკითხზე განსაკუთრებით შეჩერებას მიმართულება მიეცა 270 გვერდიან წიგნისათვის, მაშინ, როდესაც წიგნის დანარჩენი ნაწილი, ე. ი. 247 გვერდი საგნის სხვა მხარეებისა და სხვა მომენტების გაშუქებას შეიცავს?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს წიგნს კი არა, ს. კაკაბაძის აზროვნებას აქვს ცელმხრივი მიმართულება და ეს ცალმხრივობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი სხვის მოღვაწეობაში მხოლოდ უარყოფითსა ჰხედავს, ხოლო თავისაში—მხოლოდ დადებითს.

მეორე ბრალდება, რომელსაც ს. კაკაბაძე ჩვენ გვიყენებს, პირველ ბრალდებასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმაში, რომ წიგნი თურმე პროფ. დ. სამოკვასოვის ერთ-ერთ შრომის ზეგავლენით ყოფილა დაწერილი. „როგორც სჩანს, ავტორზე **ზეგავლენა ჰქონდა,** ამბობს ს. კაკაბაძე, მის განკარგულებაში მყოფ ერთ-ერთ **მთავარ წყაროს**—დ. სამოკვასოვის წიგნს, რომელსაც ის ხშირად იხსენიებს: Централизация государственных архивов; архивное дело на За-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



паде. (Москва 1900 წ.)''. ეტყობა, რომ ს. კაკაბაძე დ. სამოკვასოვის დასახელებულ წიგნს სრულიად არ იცნობს, ან თუ იცნობს, რეცენზიის დაწერის დროს იგი მას ხელთ არ ჰქონია, თუ არა ასეთ რამეს არ იტყოდა. მას შეეძლო ზერელეთ მაინც შეეჯერებია ერთმანეთთან ეს ორი წიგნი და მაშინ ადვილად დაინახავდა, რომ ჩვენს წიგნს სამოკვასოვის წიგნთან არც გეგმისა და კონცეპციის მხრივ, არც მასალების დალაგებისა და მათი გაშუქების მხრივ არაფერი აქვს საერთო. არამც თუ რიამე ზეგავლენაზე, არამედ არსებითი მსგავსებაზედაც არ შეიძლება ლაპარაკი ამ ორ წიგნს შორის, რა თქმა უნდა, გარდა იმისა, რომ ორივე წიგნი საარქივო შრომას წარმოადგენენ: სამოკვასოვის წიგნი მის თანამედროვე, ე. ი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის, დასავლეთ ევროპის არქივების სისტემათა დახასიათებას წარმოადგენს უმთავრესად, ხოლო ჩვენი წიგნი, როგორც ვამბობდით, საარქივო საქმის საერთო ისტორიას უძველეს დროიდან ჩვენს დრომდე. ამის გამო დ. სამოკვასოვის წიგნით ჩვენ ვერც ვისარგებლებდით ისე ფართოდ, როგორც ეს კაკაბაძეს ჰგონია, კიდევაც რომ გვდომნოდა: სამოკვასოვის წიგნის გამოყენება შეგვეძლო ჩვენ მხოლოდ მე-19. საუკ. მეორე ნახევრის დასავლეთ ევროპის არქივების მიმოხილვის დროს, მაგრამ სამაკვასოვის წიგნით მაინც და მაინც ჩვენ არ გვისარგებლია აქაც, რადგან ჩვენ ხელთ უფრო ახალი და ვრცელი წყარო იყო. ამ წიგნიდან ზოგიერთი ცნობები ამოვიღეთ მხოლოდ მეექვსე თავის ნაწილის დამუშავების დროს, სახელდობრ, შვეიცარიისა, დანიისა და ესპანეთის არქივების მიმოხილვის დროს. ამ მიმოხილვას **უჭირავს სულ 7 გვერდი.** რაც შეეხება ს. კაკაბაძის განცხადებას იმის შესახებ, რომ ჩვენ სამოკვასოვის წიგნს ხშირად ვასახელებთ, ეს წიგნი ჩვენ დასახელებული გვაქვს არა როგორც ჩვენი წიგნის წყარო, არამედ, როგორც ერთ-ერთი საარქივო შრომა, რომლის გაცნობა მსურველს საგნის შესწავლაში სარგებლობას მოუტანდა.

ნათქვამის შემდეგ, ჩვენ ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს მკითხველისათვის, თუ რამდენად უსაფუძვლო და აბსურდულია ს. კაკაბაძის მტკიცება, რომ დ. სამაკვასოვის წიგნი ჩვენთვის ,,ერთ-ერთ მთავარ წყაროს'' წარმოადგენდა და რომ ჩვენი წიგნი მისი ,,ზეგავლენით'' არის დაწერილი. ს. კაკაბაძე, როდესაც მას ასეთი დასკვნა გამოყავდა, უნდა ვიფიქროთ, შეცდომაში შეიყვანა ალბად იმ გარემოებამ, რომ დ. სამოკვასოვის წიგნის სახელწოდებასა და ჩვენი წიგნის მეექვსე ნაწილის სათაურს შორის ერთგვარი მსგავსება არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სებობს. დ. სამოკვასოვის წიგნს, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ასეთი სათაური აქვს: ,,Централизация государственных архивов. Архивное дело на Западе'', ჩვენი წიგნის მეექვსე თავს კიდევ— ,,სახელმწიფო არქივების ცენტრალიზაცია დასავლეთ ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებში''. ს. კაკაბაძემ ალბად იფიქრა, რაკი აქაც და იქაც ცენტრალიზაციაზე და დასავლეთ ევროპაზეა ლაპარაკი და რაკი დ. სამოკვასოვის წიგნი უფრო ადრეა დაწერილი, მაშასადამე (?) შ. ჩხეტიას წიგნი დ. სამოკვასოვის წიგნის ზეგავლენით არის დაწერილიო. ამით ს. კაკაბაძემ, თავის ჭკუით, ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირა: ერთის მხრივ ჩვენ გვამხილა მიმბაძველობაში, ხოლო მეორეს მხრივ მკითხველს დაუმტკიცა თავისი სპეციალისტობა არქივთმეცნიერებაში.

ამით წაქეზებული და ნასიამოვნები ს. კაკაბაძე არ ჯერდება ორი კურდღელის ერთბაშად დაჭერით და კვალად განაგრძობს ნადირობას. ახლა ის გვისაყვედურებს უცხო ენების არ ცოდნას და ამ ნიადაგზე **,,ყალბ ციტატების''** მოყვანას. ,,ავტორს მოჰყავს, ამბობს ს. კაკაბაძე, სხვადასხვა უცხო ტერმინები ბერძნულ, ლათინურ, სპარსულ (?), აგრეთვე დას. ევროპის სხვადასხვა ენებზე; ასახელებს ვრცლად ლიტერატურას საკითხების შესახებ ფრანგულ, გერმ., ინგლის., იტალ., ესპან., ჰოლანდიურ ენებზე'' და ,,ყველაფერი ეს მოყვანილია გარეგნულ ეფექტის მოსახდენად და მკითხველის შეცდომაში შესაყვანად''-ო და შემდეგ დაასკვნის: ,,ასეთი წიგნი, **„ყალბი ციტატებით** შემკული, სხვა ენაზე ჯერ არავის დაუწერია''-ო[1].

უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს სამწუხაროდ, რომ ს. კაკაბაძე ურევს ერთმანეთში ტერმინებსა და ციტატებს. ს. კაკაბაძეს უცხო ენაზე დაწერილი ყოველი სიტყვა ციტატა ჰგონია. მაგალითად, როდესაც საფრანგეთის ეროვნული არქივის სახელწოდება—Archives Nationales—ან ფრანგ ისტორიოგრაფ მოროს სახელი —Moreau—ფრანგულად მოგვყავს, ს. კაკაბაძეს ჰგონია, რომ ჩვენ ციტატა მოვიყვანეთ. იძულებული ვართ განუმარტოთ ს. კაკაბაძეს, რომ ციტატა ეწოდება ამა თუ იმ ნაწარმოებიდან სიტყვა-სიტყვით ამონაწერ ადგილს, იმისდა მიუხედავად უცხო ენაზეა თუ მშობლი-

[1] აქ ს. კაკაბაძე უნიჭოდ ოხუნჯობს: ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ ჩვენი წიგნის ხასიათის შრომა, ე. ი. არქივებისა და საარქივო საქმის საერთო ისტორია, ჯერ სხვა ენაზე არ არის დაწერილი. ს. კაკააძეს უნდა გააბათილოს ეს ჩვენი განცხადება და, ნაცვლად იმისა, რომ დაასახელოს ასეთი შრომა და მით გვამხილის სიყალბეში, ზემოდ მოყვანილ წინადადებით გვიპასუხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ურზე ეს ნაწარმოები დაწერილი. საკუთარი სახელებისა და ტერმინების მოყვანა, თუნდაც უცხო ენაზე, შეიძლება ისე, რომ ეს სახელები და ტერმინები არ იყოს სხვის ნაწარმოებიდან ამონაწერი. ასეთი ტერმინებისა და სახელების მოყვანა, ცხადია, არ იქნება ციტატების მოყვანა.

ჩვენს წიგნში არსად ციტატები, პირდაპირი ამ სიტყვის მნიშვნელობით, ჩვენ მოყვანილი არა გვაქვს იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ეს არ შეგვეძლო (ყოველ შემთხვევაში რეცენზენტზე უფრო არ გაგვიძნელდებოდა ასეთი ციტატების მოყვანა), არამედ იმიტომ, რომ ჩვენ მიერ დასახულ მიზნისათვის ეს საჭირო არ იყო. ყველა ის ტერმინები, რომლებიც ჩვენ მოგვყავს ჩვენს წიგნში, ჩვეულებრივი საარქივო ტერმინებია, რომელთა ცოდნა არქივთმეცნიერის მოვალეობას შეადგენს. მაგრამ დავანებოთ ამას თავი და ვთქვათ, რომ ჩვენს წიგნში უცხო ენებზე მოყვანილი სახელები და ტერმინები ტიტატებია. მერე რაშია საქმე? სად არის აქ ჩვენი დანაშაული? ს. კაკაბაძე ამბობს, რომ ჩვენ სწორად არა გვაქვს გადმოცემული უცხო ენებზე ეს ტერმინები და აღნიშნავს ჩვენი წიგნის გვერდებსაც, სადაც ენის არ ცოდნის ნიადაგზე ასეთი ყალბი „ციტატებია“ მოყვანილი. ასეთ გვერდებად მას დასახელებული აქვს 194, 196, 210, 60, 63, 76, 78 და 269 გვერდები, ე. ი. სულ 8 გვერდი. აქედან 194, 196 და 210 გვერდებზე, ს. კაკაბაძის განცხადებით, გერმანულ ენაზე მოყვანილი სიტყვები არა გვაქვს სწორად გადმოცემული, ხოლო 60, 63, 76, 78 და 269 გვერდებზე—ბერძნული, და ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ ჩვენ ამ ენებზე „ცალკე ფრაზების გარჩევა და ცალკე სიტყვების სწორად გადმოცემა“ გვიჭირს.

ვნახოთ, როგორაა საქმე სინამდვილეში. დავიწყოთ იმ გვერდების შეჯერებიდან, სადაც გერმანულ ენაზე „ცალკე სიტყვების გადმოცემა“ გაგვიჭირდა. ასეთი გვერდები, როგორც ვამბობდით, სულ სამია: 194, 196 და 210.

194 გვერდზე დასახელებული გვყავს მეXV საუკუნის გერმანელი არქივისტი იაკ. ფონ რამინგენი (Jac. von Ramingen) და მისი სახელი შემოკლებით ასეა დაწერილი: „yac“, ე. ი. J-ს ნაცვლად დაწერილია y-ი. აქ ყოველი წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი, მით უფრო გერმანული ენის ოდნავი მცოდნე, ადვილად მიხვდება იმას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს აშკარა კორექტურულ შეცდომასთან. საქმე იმაშია, რომ ხელნაწერში ასო y ძალიან მიაგავს ასო J-ს და ამიტომ სრულიად ბუნებრივია დაუშვათ, რომ უცხო ენის არ მცოდნე ასოთამწყობმა ასო J ხელნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



წერში y-საგან ველარ გაარჩია და აწყობის დროს პირველის მაგიერ მეორე ჩაურთო, ხოლო კორექტორსაც ეს შეცდომა მხედველობიდან გამორჩა. ს. კაკაბაძეს კი ჰგონია (ნამდვილად კი არ ჰგონია, არამედ სხვას ატყუილებს), რომ J-ის მაგიერ y-ს დაწერა ამ შემთხვევაში ენის არ ცოდნის შედეგია. თუ ჩვენ ასო y-სა ვიცნობდით და მისი დაწერა შეგვეძლო, ცხადია J-ც ჩვენთვის უცნობი არ იქნებოდა და მის გადმოცემასაც მოვახერხებდით.

შემდეგ, მე-196 გვერდზე ჩვენ მოყვანილი გვაქვს სულ სამი გერმანული სიტყვა: Hausarchiv“, „Hofsarchiv“ და „Landesarchiv“ სწორედ ისე, როგორც აქ გვაქვს დაწერილი. ჩვენ არ ვიცით, თუ რა შეცდომა გვაქვს ჩვენ ამ სიტყვებში და მკითხველს ვთხოვთ გვითხრას, მართლაც არის თუ არა აქ რაიმე შეცდომა, როგორც ეს ს. კაკაბაძეს ჰგონია.

დასასრულ, 210 გვერდზე ასეთი წინადადება გვაქვს მოყვანილი: „მასალებით სარგებლობა ავსტრიელ მკვლევართ შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი „patriotisch gesinnt sind“. აქაც გერმანულ ენის მკითხველს ვსთხოვთ გვითხრას, თუ რა შეცდომა გვაქვს ჩვენ და რამდენად უსინდისოდ სტყუის ს. კაკაბაძე, როდესაც ამბობს, რომ 196, 210 ან თუნდაც 194 გვერდზე „ყალბი ციტატები“ აქვს შ. ჩხეტიას მოყვანილიო.

გადავიდეთ ახლა იმ გვერდებზე, სადაც ს. კაკაბაძის განცხადებით, ბერძნულ ენაზე გვაქვს „ყალბი ციტატები“ მოყვანილი. ეს გვერდებია: 60, 63, 76, 78 და 269.

მე 60-ე გვერდზე თავ-თავის ადგილას ჩვენ მოყვანილი გვაქვს სულ 6 სხვადასხვა ტერმინი ბერძნულ ენაზე: „ბიბლიოთეკე“, „დემოსია“, „ენკტესეონ“ „არხეჲონ“, „გრაფეჲონ“ და „ბიბლიოფვლაკეს“. მოვიყვანთ ამ სიტყვებს ბერძნულ ენაზე სწორედ ისე, როგორც ეს დაწერილია ჩვენი წიგნის მე 60-ე გვერდზე: „βιβλιοθήκη,“, „δεμοσία“ „ἐγκτήσεων“, „ἀρχεῖον“, „γραφεῖον“, „βιβλιοφύλακες“. არის თუ არა აქ რაიმე შეცდომა? ბერძნული ენის მხოლოდ ისეთ მცოდნეს, როგორიც არის ს. კაკაბაძე, შეუძლია სთქვას, რომ აქ მოყვანილი სიტყვები „ყალბი ციტატებიაო“. მაგრამ ვინც ბერძნული ენის ოდნავი მცოდნე მაინც არის, იმას ამის თქმა არ შეუძლია.

მე-63-ე გვერდზე ჩვენ მიერ ზემოდ მოყვანილი სიტყვა „ენკტესეონ“ ერთ ადგილას შეცდომით ასე არის დაწერილი: „ἐγκτήςεων“, ე. ი. „σ-ს“ ნაცვლად დაწერილია „ς“-ი. ს. კაკაბაძე გახარებულია და ჰყვირის ქვეყნის გასაგონად: „ავტორი ვერ ერკვევა ბერძნულ ასოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბშიც კი"-ო. მაგრამ ს. კაკაბაძის საუბედუროდ იგივე სიტყვა იმავე გვერდზე მეორე ადგილას და სხვა გვერდებზედაც (მაგ. 60, 65, 68 და სხვ.) სავსებით სწორად არის დაწერილი. როგორ მოხდა, რომ ჩვენ მე 60, 65, 68 და სხვ. გვერდებზე კარგად ვერკვეოდით ამ ასოში და მე 63 ე გვერდზე, ისიც მხოლოდ ერთ შემთხვევაში, იგი ერთბაშად დაგვავიწყდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით ს. კაკაბაძე ვერ ერკვევა ბრძნულ ენაში სათანადოდ და მან ამ სიტყვის ტრანსკრიპციებში განსხვავება ჩვენი წიგნითვე მხოლოდ გარეგნულ ნიშნებით შეამჩნია. ამიტომ შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს ის, რომ ს. კაკაბაძემ მეორე და არა პირველი ტრანსკრიპცია მიიჩნია შეცდომად!

76-ე გვერდზე ჩვენ მოყვანილ გვაქვს ბერძნულ ენაზე ერთი ტერმინი „Χάρτης", (ხარტეს), ხოლო 78-ე გვერდზე—ექვსი შემდეგი სიტყვები: „ἀρχεῖον" (არხეჲონ), „ἀρχη" (არხე), „χάρται" (ხარტაჲ), ,,γράμματα" (გრამატა), ,,γραμματοφυλάκιον" (გრამატოფილაკიონ) და ,,χαρτοφυλάκιον" (ხარტოფილაკიონ). ამ სიტყვებში, როგორც მკითხველი ხედავს, შეცდომით (აშკარა კორექტურული შეცდომით) დაწერილი არის მხოლოდ ერთი სიტყვა, სახელდობრ, სიტყვა ,,ἀρχη" იმ მხრივ, რომ ასო ეტა (η) დაწერილია უმახვილოდ (უნდა იყოს ,,ἀρχή"), დანარჩენი სიტყვები მხოლოდ ს. კაკაბაძეს შეუძლია მიიჩნიოს „ყალბ ციტატებად".

დასასრულ, 269 გვერდზე ჩვენ მიერ ზემოდ დასახელებულ სიტყვა „დემოსია" შეცდომით დაწერილი არის ასე: ,,δημοσια" ე. ი ასო იოტას (ι) ზემოდან მახვილი აკლია. ეს სიტყვა იმავე გვერდზე მეორე ადგილას და სხვა გვერდებზედაც (მაგ. 60, 62, 63 68 და სხვ) (ზოგიერთ გვერდზე რამდენიმეჯერაც) სავსებით უშეცდომოდ არის დაწერილი.

მაშასადამე, რას გვაბრალებდა ს. კაკაბაძე და რა აღმოჩნდა სინამდვილეში? ს. კაკაბაძე გვაბრალებდა, როგორც მოხსენებული იყო, „ყალბ ციტატების" მოყვანას ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ, ესპანურ, ჰოლანდიურ და, ასე წარმოიდგინეთ, სპარსულ ენაზედაც.[1] შემდეგ, კონკრეტი მაგალითების დასახელების დროს, მან მხოლოდ ბერძნულ და გერმანულ ენებზე მოყვანილი ტერმინები დაასახელა, 8 გვერდზე მითითებით, დანარჩენ ენებზე მოყვანილი „ყალბი ციტატები"-კი სადღაც მიაფუჩეჩა. მაგრამ დასახელებულ 8 გვერდიდანაც, მისდა სამწუხაროდ, ოთხის

[1] სპარსულ ენაზე ჩვენ არსად ჩვენს წიგნში არც ერთი სიტყვა და ტერმინი ნახმარი არ გვაქვს. ესეც ს. კაკაბაძის სიყალბის ნიმუში!

ეროვნული ბიბლიოთეკა



(196, 210, 60 და 76) დასახელება სიყალბე გამოდგა: ამ გვერდებზე კორექტურული შეცდომებიც კი არ აღმოჩნდა. ხოლო დანარჩენ ოთხ გვერდზე (194, 63, 78 და 269) შემდეგი კორექტურული შეცდომები დადასტურდა: 194 გვერდზე ერთ სიტყვაში J-ს ნაცვლად y ი „დაგვიწერია," მე 63-ე გვერდზე σ-ს ნაცვლად ς-ი „დაგვიწერია," მე 78 გვერდზე ეტა ( η ) „დაგვიწერია" უმახვილოდ დ, ბოლოს, 269 გვერდზეც ასო იოტა ( ι ) „დაგვიწერია" აგრეთვე უმახვილოდ. ღ ყველაფერი ეს უბედურება, ე. ი. ოთხი აშკარა კორექტურული შეცდომა, დაგვიშვია 270 გვერდიან წიგნის სივრცეზე.

ამავე დროს თვით ს. კაკაბაძეს, თავის რეცენზიის ერთ გვერდის სივრცეზე, სხვა სიყალბესთან ერთად, ოთხი სიცრუე დაუმტკიცდა. თუ ამას მიუმატებთ იმ უვიცობასა და სიყალბესაც, რომელიც მან ჩაიდინა ჩვენს წინააღმდეგ, ცენტრალიზაციის საკითხზე შეჩერებისა და სამოკვასოვის წიგნის ზეგავლენის დაწამებით, ცხადი გახდება ჩვენთვის, თუ რამდენად უპასუხისმგებლო საბუთს წარმოადგენს ს. კაკაბაძის რეცენზია. ამასთანავე ყველა ის შეცდომები, რომლებიც ჩვენ აღვნიშნეთ, იმდენად უმნიშვნელო და ამავე დროს კორექტურის შეუსრულებლობის ნიადაგზე მათი წარმოშობა იმდენად აშკარა არის, რომ სერიოზიული კრიტიკოსი, რომელსაც კინკლაობა კი არა, საგნის არსებითი მხარე აინტერესებს, ამათზედაც არაფერს იტყოდა, ყოველ შემთხვევაში იმ დასკვნას არ გამოიყვანდა, რაც ს. კაკაბაძემ გამოიყვანა, განსაკუთრებით, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჩვენში უცხო ენის მცოდნე ასოთამწყობები ძალიან ნაკლებად მოიძებნებიან და რომ ამის გამო მსგავსი კორექტურული შეცდომის აცილება, სამწუხაროდ, არა ყოველთვის არის ხოლმე მოსახერხებელი. სერიოზული კრიტიკოსი ასე, რა თქმა უნდა, არ დაწვრილმანდებოდა.

ს. კაკაბაძე კი ყველა ამ „დეფექტების" აღმოჩენის შემდეგ ნიანგის ცრემლებსა ჰღვრის და მწარედ მოსთქვამს: „ავტორს რომ ქართული ენის (?) პატივისცემა ჰქონოდა, თითონაც ამ წიგნს ამ სახით არ დასწერდა"-ო და ბოლოს დემაგოგიურად დაასკვნის: „წერის ამგვარი საშუალება უნდა აღკვეთილ იქნას"-ო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ს. კაკაბაძე, რომელსაც, როგორც ძველ დროის ორდენებ დამსახურებულ სამხედრო ცენზორს, არა ერთი და ორი სასარგებლო წერილი აუკრძალავს მეფის ტახტის საკეთილდღეოდ, ასეთი უფლება რომ ჰქონდეს, არამც თუ ჩვენ, არამედ თავის-თავის გარდა ყველას აუკრძალავდა წერის საშუალებას, მაგრამ მისდა საუბედუ-

როდ, ხოლო ქართული ენის საბედნიეროდ, მას ამის არც ფორმალური და არც განსაკუთრებით ზნეობრივი უფლება არა აქვს და, ვფიქრობთ, არც არასოდეს ექნება. ს. კაკაბაძემ არ იცის, რომ კორექტურული შეცდომები საკითხს არ სწყვეტს. მაგრამ კიდევაც რომ დაუშვათ ის, რასაც ს. კაკაბაძე ამტკიცებს, ე. ი. რომ მის მიერ აღნიშნული „დეფექტები“ მართლაც ნამდვილი და არა ყალბი დეფექტებია, რა გამოდის ს. კაკაბაძის მსჯელობის მიხედვით? გამოდის, რომ: რადგან ჩვენს წიგნში, რომელიც არქივებისა და საარქივო საქმის ისტორიას წარმოადგენს, უმთავრესი ყურადღება არქივების ცენტრალიზაციის საკითხს აქვს მიქცეული, რადგან ეს შრომა ცნობილ არქივთმეცნიერის, პროფ. დ. სამოკვასოვის წიგნის ზეგავლენით არის დაწერილი და, ბოლოს, რადგან სამას გვერდიან წინგში 8 გვერდზე (ყალბად აღნიშნული გვერდებიც მითვლილია) ზოგიერთი უცხო სიტყვები შეცდომით არის გადმოცემული,—ეს წიგნი უვარგისია და, როგორც ასეთი, უარყოფილ უნდა იქნას! ასეთი მკაცრი განაჩენი რომ გამოუტანოთ ჩვენში არსებულ წიგნებს და ასეთი მოთხოვნილება რომ წაუყენოთ მათ ავტორებს, მაშინ 90% ამ წიგნებისა, თუ მთელი 100% არა, უნდა მოისპოს, ხოლო უპირველესად ყოვლისა ს. კაკაბაძეს ნაწერები, სადაც არა მარტო სიტყვები, არამედ აზრიც გაყალბებული და დამახინჯებულია, ყველა ერთბაშად ცეცხლში უნდა დაიწვას და თვით ს. კაკაბაძე, როგორც ამ უპასუხისმგებლო ნაწერების[1] უპასუხისმგებლო ავტორი, პასუხის გებაში უნდა მიეცეს.

---

[1] ამ უპასუხისმგებლოდ წერის ერთ ერთ მაგალითს წარმოადგეის, როგორც მკითხველი დაინახავდა, ჩვენ მიერ ზემოდ გარჩეული „კრიტიკული“ წერილი ჩვენი წიგნის შესახებ. ასეთი უპასუხისმგებლობა ახასიათებს ს. კაკაბაძის ყველა ნაწერებს საერთოდ, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ მისი რეცენზიები, სადაც ს. კაკაბაძე სრულიად თავისუფლად გრძნობს თავს და არაფერს (არც სიყალბეს არც სიცრუეს) არ ერიდება. კერძოდ ასეთი უპასუხისმგებლო რეცენზიებს წარმოადგენენ „საისტორიო კრებულში“ დაბეჭდილი რეცენზიები. ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, ამ რეცენზიების გარჩევას ვერ შეუდგებით, მაგრამ საილიუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ-ერთ რეცენზიის ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელ ადგილს. „საისტორიო კრებული-ს“ მე-III წიგნში (გვ. 127) იქ, სადაც ს. კაკაბაძე კონ. ჭიჭინაძის წერილს „ვეფხის ტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“-ს არჩევს, ლაპარაკობს შემდეგს, „ვსარგებლობთ შემთხვევით, რათა ვ.-ტყაოსნის დასახელებულ გამოცემებთან დაკავშ რებით, სიმართლის დადასტურების მიზნით აღვნიშნო ერთი: ჩვენებური პირობებისათვის ფრიად დამახასიათებელი გარემოება. ი. აბულაძის ვ. ტყაოსნის გამოცემის წინა-წერილში მოთავსებულია (გვ. XCVII—XCVIII) ვრცელი შენიშვნა კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის II წიგნისა და ამ წიგნზე ჩვენ მიერ საისტ. მ-ბეში 1925. წ. წ. I დაბეჭდილ კრიტიკულ განხილვის შესახებ. ი. აბულაძე კ. კეკელიძის დასახელებულ წიგნს უწოდებს (?)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ს. კაკაბაძე ჩვენში ცნობილია უმთავრესად, როგორც საბუთების გამომცემელი, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნება, თუ ის მომავალშიც ამ მიმართულებით განაგრძობს თავის მუშაობას, თუმცა ის გარემოება, რომ ს. კაკაბაძე ნატყუარ და ყალბ საბუთებს უტყუარ და ნამდვილ საბუთებისაგან ველარ არჩევს და ძველ ქართულ საბუთების სწორად წაკითხვას ველარ ახერხებს, გვაფიქრებინებს, რომ მისი მუშაობა ამ დარგშიც ქართულ ისტორიოგრაფიისათვის მაინც და მაინც დიდი სარგებლობის მომტანი არ იქნება.

ყოველ შემთხვევაში ს. კაკაბაძემ უნდა იცოდეს, რომ ყალბი რეცენზიების წერა არავისთვის სავალდებულო არ არის.

**შ. ჩხეტია.**

---

„ჩვეულებრივ ნიჭიერად დაწერილ ტომად, რომელიც ზედმეტად ამხელს კ. კეკელიძის იშვიათ მეცნიერულ აპარატით აღჭურვილობას და მის თითქმის შეუდარებელ ინტუიციას“. ნამდვილად კი ი. აბულაძე კ. კეკელიძის დასახელებულ წიგნის შესახებ იყო დიამეტრალურად წინააღმდეგი აზრის და 1925 წ. ზაფხულში მას განზრახვა ჰქონდა საისტ. მ-ბეში კ. კეკელიძის ამ წიგნის იმდენად უარყოფითი და მკაცრი განხილვის წარმოდგენა, რომ მე, როგორც დასახელებულ ორგანოს რედაქტორმა, უარი განვაცხადე მის დაბეჭდვაზე. ი. აბულაძის მიერ აზრის ასე რადიკალურად შეცვლას საფუძვლად ედვა ტფ. უნივერსიტეტში დოცენტის თანამდებობის მიღების მისწრაფება. მართლაც ი. აბულაძის გამოცემის ციტირებულ შენიშვნით გამოსვლის შემდეგ შესაძლებელი შეიქნა ამ ავტორის ტფ. უნივერსიტეტის დოცენტად დანიშვნის საკითხი დადებითად გარდაწყვეტილიყო“.

მაშასადამე, ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტს კ. კეკელიძის შრომაზე დადებითი რეცენზიის დაწერისათვის ი. აბულაძისათვის დოცენტის თანამდებობა მიუცია. და ეს მოვლენა თურმე „ჩვენებურ პირობებისათვის“ (იგულისხმება უნივერსიტეტის პირობები ხარისხის მოსაპოვებლად) „ფრიად დამახასიათებელ გარემოებას“ წარმოადგენს. ამას ამბობს ს. კაკაბაძე, რა თქმა უნდა, „სიმართლის დადასტურების მიზნით“, არა კერძო და თუნდაც ოფიციალურ საუბარში ვინმესთან ან სადმე, არამედ საყოველთაოდ, ბეჭვდითი საშუალებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოფიციალური განყოფილება.

## სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილება სამაზრო საარქივო ბიუროების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება სამაზრო არქივის ბიუროს შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. სექტემბრის 1.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა
## სამაზრო არქივის ბიუროსათვის

1. მთელი საარქივო მასალა, რაც მაზრის ფარგლებშია და რაც ამავე დროს არის ერთიანი სახელმწიფო საარქივო ფონდის ნაწილი, შეადგენს მაზრის საარქივო ფონდს.

2. სამაზრო არქივის ფონდის უშუალო გამგებლობა დაეკისრება სამაზრო არქივის ბიუროს.

3. სამაზრო არქივის ბიუროს გამგეს დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური არქივის დირექტორთან შეთანხმებით.

4. საარქივო საქმის საკითხებში სამაზრო არქივის ბიურო ემორჩილება ცენტრალური არქივის დირექტივებს და მაზრის საარქივო ფონდიდან ცნობების და ასლების გაცემის დარგში ასრულებს მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის ყველა დავალებას.

5. სამაზრო არქივის ბიუროს შესანახი ხარჯი შეიტანება მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის საერთო ხარჯთ-აღრიცხვაში დადგენილ წესისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



6. სამაზრო არქივის ბიუროს დაეკისრება საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს მაზრის საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საარქივო ნაწილის დაყენების საქმეს.

7. თავის მოქმედების შესახებ სამაზრო არქივის ბიურო ყოველთვე ანგარიშს წარუდგენს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ არქივს.

8. არქივის ბიუროს შეუძლიან გამოიყენოს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის ტეხნიკური აპარატი.

9. მოკავშირე აფხაზეთის სოც. საბ. რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალებათ გამოსცენ ერთი თვის ვადაზე ამა დებულების შესაფერი სათანადო დებულებანი.

## ცირკულიარი
## სრულიად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსი.
### 1927 წ. ივნისის 12.

ყველა სახალხო კომისარიატს, ცენტრალურ დაწესებულებას და რედაქციებს.

შემჩნეულია, რომ ზოგიერთი საბჭოთა, პროფესიონალური და კოოპერატიული დაწესებულებები, მიუხედავათ ს.ს.ს. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის, ივლისის 1-ის დეკრეტისა, ჰყიდიან მათ განკარგულებაში არსებულ არქივს უტილიტარულ მიზნით თავიანთი ფინანსიური რესურსების გასაძლიერებლად.

როგორც სახალხო კომისართა საბჭოში მიღებული ცნობებიდან ჩანს, არის იმის შემთხვევები, რომ ზოგიერთმა ორგანოებმა ზემოაღნიშნული მიზნით გაჰყიდეს ისეთი არქივები, რომელთაც ჰქონდა აქტუალური მნიშვნელობა საბჭოთა აღმშენებლობისათვის და აგრეთვე საისტორიო მეცნიერებისათვის.

სახალხო კომისართა საბჭო, სთვლის რა ასეთ არა წესიერ მოპყრობას სახელმწიფო კულტურული განძისადმი, როგორიც არის არქივი, ყოვლად დაუშვებლად და საზიანოდ, წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებებს სასტიკად დაიცვან და გაატარონ ცხოვრებაში ზემოაღნიშნულ დეკრეტში გათვალისწინებული მუხლები და საქართველოს ცენტრალური არქივის მთავარ სამმართველოს მიერ არქივის დაცვის მიზნით შემოღებული წესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ს.ს.ს. რესპუბლიკის დაწესებულებებს ევალებათ ყველა ის საქმეები და მიმოწერა, რაც დამთავრებულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ე. ი. 1921 წლის თებერვლის 25-მდე, დაუყონებლივ გადასცენ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ საარქივო საქმეთა სამმართველოს.

საარქივო საქმეთა სამმართველოს უნდა ჩაბარდეს აგრეთვე ის საქმეები, რომელიც დაიწყო 1921 წლის თებერვლის 25-დან და დამთავრდა 1926 წლის თებერვლის 25-სათვის.

არქივების გადაცემის დროს უვარგისი ქაღალდის გამოყოფა და დაწესებულებისათვის მათი დატოვება ყოვლად დაუშვებელია.

ამ ცირკულიარის შესრულებისათვის თვალყურის დევნება ევალება ს.ს.ს. რესპუბლიკის ცენტრალურ არქივის სამმართველოს.

სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქმეთა მმართველის მოადგილე **ბ. ფაღავა.**

## ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა
## საკონტროლო-შემმოწმებელ კომისიას.
## 1928 წ. ოქტომბრის 20.

1. საკონტროლო-შემმოწმებელი კომისიის მოვალეობაში შედის გამრჩევი კომისიის დიდგენილებების განხილვა და ყოველმხრივ შეფასება.

2. საკონტროლო-შემმოწმებელი კომისია შესდგება სამი წევრისაგან, რომელთაგან ერთი თავმჯომარეა, ხოლო ერთიც მდივანი. კომისიას შეუძლიან მოიწვიოს კოოპტაციის წესით სხვა პირებიც, რომელნიც, როგორც სპეცები, საჭირო არიან საკითხის ყოველ მხრივ გასაცნობად.

3. საკითხის განხილვის დროს კომისია ღებულობს ყოველგვარ ზომებს, რათა საკითხი ყოველმხრივ და სისწორით იყოს შესწავლილი და მოსპობილ არ იქნეს ისეთი მასალა, რომელსაც პრაქტიკული ან მეცნიერული ღირებულება აქვს.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც საკონტროლო-შემმოწმებელი კომისია დარწმუნდება იმაში, რომ ზოგიერთი საქმე, რომელნიც გამრჩევ კომისიის მიერ მოსასპობად მიჩნეულია, ისტორიულად ან პრაქტიკულ ღირებულებას მოკლებული არ არის და ამიტომ მათი მოსპობა დაუშვებელია, ადგენს—ეს საქმეები შენახულ იქნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



5. იმ შემთხვევაში-კი, როდესაც საკონტროლო-შემმოწმებელი კომისია გაიზიარებს გამრჩევ კომისიის აზრს, იგი ადასტურებს მის დადგენილებას.

6. საკონტროლო-შემმოწმებელ კომისიაში საკითხი წყდება ხმის უმეტესობით, ხოლო ხმის თანაბრად გაყოფის დროს, მიღებულად ითვლება ის დადგენილება, რომლის მიხედვით მასალა შენახულ უნდა იქნეს.

7. სპეციალისტ-ექსპერტები მონაწილეობას იღებენ კომისიიში სათათბირო ხმით.

8. საბოლოო დადგენილების გამოტანამდე, საკონტროლო-შემმოწმებელ კომისიას შეუძლიან ერთ-ერთ ან რამოდენიმე თავის წევრს დაავალოს მოსასპობად განკუთვნილი მასალების ადგილობრივად დათვალიერება.

9. საკონტროლო-შემმოწმებელი კომისია ადგენს თავის სხდომების ოქმს, სადაც აღნიშნული უნდა იყოს გამრჩევი კომისიის მიერ წარმოდგენილი დადგენილება და აღწერა, ნაწილობრივ თუ სავსებით არის მიღებული ან უარყოფილი.

10. საკონტროლო-შემმოწმებელ კომისიის ოქმს ამტკიცებს ცენტრარქივის დირექტორი, რომლის განკარგულებითვე ხდება საკონტროლო-შემმოწმებელ კომისიის წევრის წარვლინება მასალების დასათვალიერებლად და მასთან დაკავშირებული ხარჯის გაღება.

ცენტრარქივის დირექტორი **ი. იოვიძე.**

არქივთმცოდნეობის განყ-ბის გამგე **შ. ჩხეტია.**

## წ ე ს ე ბ ი

## არქივიდან ცნობებისა და საბუთების პირების გაცემის შესახებ.

1. ცენტრარქივის და მაზრის თუ ავტონომიურ რესპუბლიკების არქივთსაცავებში მოთავსებულ საბუთების პირები, ამონაწერები და ცნობები გაიცემა სახელმწიფო დაწესებულებათა, სამეცნიერო საზოგადოებათა, ან სხვაგვარ ორგანიზაციათა და კერძო პირთა წერილობითი განცხადების თანახმად.

2. პირებისა, ამონაწერებისა და ცნობების გაცემის შესახებ განცხადებები შეიტანება: ტფილისში—ცენტრალურ საარქივო სამართველოს სახელზე, ავტონომიურ რესპუბლიკებში—მთავარ არქივების გამგეების სახელზე, ხოლო მაზრებში—სამაზრო საარქივო ბიუროს გამგის სახელზე. დასაკმაყოფილებლად მიჩნეული განცხადებანი გადაეცემიან სათანადო არქივებს დასაკმაყოფილებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



3. პირები და ამონაწერები უნდა შესდგეს აუცილებელ და საჭირო შემთხვევაში დიპლომატიკური სისწორით.

4. არქივიდან გაცემულ ყოველ ამონაწერზე, პირზე და ცნობაზე აღნიშნული უნდა იყოს: საარქივო ფონდი, რომლიდანაც ამოღებულია ცნობა, საქმის № და აგრეთვე პირის, ამონაწერის, ან ცნობის გაცემის თარიღი. კერძო პირთათვის გაცემულ ცნობებზე, ამონაწერებზე და პირზე აღინიშნება ისიც, თუ რა მიზნით არის გაცემული ის.

5. არქივიდან გაცემულ პირებს, ამონაწერებს და ცნობებს ხელს აწერენ: ტფილისში—ცენტრარქივის სათანადო არქივის გამგეები, ავტონომიურ რესპუბლიკებში—მთავარ არქივების გამგეები, ხოლო მაზრებში—სამაზრო საარქივო ბიუროს გამგეები. ტფილისში გაცემული ცნობები, ამონაწერები და პირები დასტურდება ცენტრარქივის მთავარ სამმართველოს ბეჭდის დასმით, ხოლო პროვინციაში სათანადო საარქივო ორგანოების ბეჭდის დასმით.

6. აუცილებელ და საჭირო შემთხვევაში საარქივო მასალები, გამონაკლისის სახით შეიძლება მიეცეს დაწესებულებათ დროებით სარგებლობისათვის სათანადო აქტის შედგენით და ხელწერილის ჩამორთმევით. უკეთუ მასალის დაბრუნების დროს შემჩნეული იქნება რაიმე დაზიანება, ამის შესახებ უნდა შესდგეს სათანადო ოქმი, რომლის ერთი ცალი გადაეგზავნება მასალის დამბრუნებელ დაწესებულებას, ხოლო მეორე—ცენტრალურ საარქივო სამმართველოს სათანადო ზომების მისაღებად.

7. თუ პირების, ამონაწერების და ცნობების გაცემა იწვევს საგანგებო ხარჯებს, ეს ხარჯები უნდა იკისროს იმ დაწესებულებამ, ორგანიზაციამ ან კერძო პირმა, რომელსაც სჭირდება პირები, ამონაწერები და ცნობები.

8. სრულიად დაუშვებელია საარქივო ორგანოების მიერ საარქივო მასალების მიხედვით დაწესებულებისა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის რაიმე მოწმობის გაცემა.

## ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა
## დაწესებულებებისაგან საარქივო მასალების მოწესრიგებულად მიღების შესახებ.

ავტონომიურ რესპუბლიკების მთავარ-არქივებს და ყველა მაზრის საარქივო ბიუროებს.

პროვინციებიდან მიღებულ ცნობების თანახმად ირკვევა, რომ ზოგიერთი საბჭოთა დაწესებულება თავის არქივს არ აბარებს საარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქივო ორგანოთ, ან აზარებს მოუწესრიგებლად, რის შედეგად შეუძლებელი ხდება, საქართველოს უმაღლეს მთავრობის 1921 წლის ივლისის 1 დეკრეტის მიხედვით, საარქივო მასალათა კონცენტრაცია ცენტრალიზაციის წესით. ამავე მიზეზის გამო საარქივო მასალები მაზრებში ხშირად იფლანგება, ხოლო არქივების დაკარგვისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ვინმეზე შეუძლებელი ხდება.

ვანაიდან ასეთი მოვლენა საარქივო კანონებსა და წესებს სავსებით ეწინააღმდეგება და, როგორც ასეთი, სრულიად დაუშვებელია, ამიტომ გავალებთ, სასტიკად დაიცვათ ის წესები, რომელიც ამ მიზნით არის შემოღებული და ცენტრარქივის ინსტრუქციაშია გათვალისწინებული. საარქივო მასალები უნდა მიიღოთ საბჭოთა, პროფესიულ და კოოპერატიულ დაწესებულებისა და ორგანიზაციებისაგან უეჭველად ყდებში ჩაკერებული, დანუმრილი და დაწვრილებით აღწერილი. ყოველგვარი ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია არქივების მიღებასა და გამოტანასთან, არსებულ საარქივო კანონებისა და წესების თანახმად, დაეკისრება იმ დაწესებულებას, რომელსაც ეს არქივი ეკუთვნის.

ყოველი შემთხვევა დაწესებულების მიერ საარქივო მასალების სათანადო წესით ჩაბარებაზე უარის თქმისა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთ უარის თქმას მოჰყვა საბუთების განადგურება, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცენტრალურ საარქივო სამართველოს, რომელიც შუამდგომლობას აღძრავს, სადაც ჯერ არს, დამნაშავის პასუხისგებაში მისაცემად.

ცენტრარქივის დირექტორი **ი. იოვიძე.**

არქივთმცოდნეობის განყ-ბის გამგე **შ. ჩხეტია.**

## ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა
## გამრჩევ კომისიას.
**1928 წ. ნოემბრის 15.**

1. გამრჩევ კომისიას ჰნიშნავს ცენტრში—ცენტრალური საარქივო სამმართველოს დირექტორი, ხოლო პროვინციაში—სამაზრო საარქივო ბიუროს ან სათანადო საარქივო ორგანოს გამგე.

2. მაზრებში გამრჩევ კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს არა ნაკლებ სამი კაცისა, რომელთაგან ერთი, სახელდობრ, სამაზრო საარქივო ბიუროს გამგე, ითვლება თავმჯდომარედ. დანარჩენი წევრებიდან ერთი უეჭველად უნდა იყოს დაინტერესებული უწყების (დაწესებულების) წარმომადგენელი, ერთიც ადგილობრივი სამეცნიერო დაწესებულების წარმომადგენელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



**შენიშვნა:** უკეთუ ადგილობრივ სამეცნიერო დაწესებულება არ არსებობს, კომისიაში შეიძლება მოწვეულ იქნეს რომელიმე კულტურული დაწესებულების წარმომადგენელი.

3. ვიდრე კომისია მასალების გადარჩევას შეუდგებოდეს, საჭიროა მან შეისწავლოს იმ დაწესებულების სტრუქტურისა და საქმის წარმოების სქემა, რომლის მუშაობა-მოქმედების პროცესში აღმოცენებულა ეს მასალა, ხოლო შემდეგ კომისიამ უნდა შეიმუშაოს წინასწარი გეგმა საარქივო მასალის შესწავლისა და გადარჩევისა.

4. ასეთი წინასწარი მუშაობის შემდეგ, კომისია შეუდგება საარქივო ფონდის გარჩევას,—შესანახ და მოსასპობ საქმეების ერთიმეორიდგან განცალკავების მიზნით.

5. გარჩევის დროს საკმარისი არ არის სათაურის წაკითხვა, არამედ საჭიროა მთელი საქმის წაკითხვა და მისი შინაარსის გაცნობა.

6. მასალების შეფასება სწარმოებს ორი თვალსაზრისით: ა) სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო პირთა საჭიროებისათვის პრაქტიკულად გამოყენების თვალსაზრისით და ბ) საქართველოს თუ სხვა ქვეყნის ისტორიისათვის მეცნიერულად გამოყენების თვალსაზრისით.

7. შესანახ საქმეების გარჩევის დროს კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს აგრეთვე იმ ინსტრუქციით, რომელიც ცენტრალურმა საარქივო სამართველომ გამოსცა ამ მიზნით 1926 წ. (იხ. „საქართველოს არქივი," წიგ. 1,—1926 წ.).

8. კომისიაში საკითხი წყდება ხმის უმეტესობით, ხოლო ხმის თანასწორად გაყოფის შემთხვევაში მასალა შესანახად უნდა იქნეს გადადებული.

9. შესანახად მიჩნეულ საქმეებიდან ცალკე ქაღალდებისა და ფურცლების ამოღება დაუშვებელია: საქმე შენახული უნდა იყოს მთლიანად.

10. მოსასპობად განკუთვნილი საქმეებიდან გამოყოფილი უნდა იქნეს შესანახად: ავტოგრაფები, კერძო და სახელმწიფო ბეჭდების, საღერბო ქაღალდების, დაბეჭდილ ბლანკების და ჭვირნიშნების ნიმუშები, უკეთუ ასეთები არ არის შესანახად გადარჩეულ საქმეებში.

11. მოსასპობად მიჩნეულ საქმეებზე უნდა შესდგეს აღწერა, რომელიც შეიძლება იყოს: სუმარული, როდესაც ერთნაირი ხასია-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თის საქმეების ჯგუფი ერდად იქნება შეტანილი, ან დეტალური, როდესაც თვითეული მოსასპობი საქმე ცალკე იქნება შეტანილი.

12. იმ შემთხვევაში, როდესაც საარქივო ფონდი მთლიანად არ არის შენახული, არამედ დაზიანებულია,—საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა არ იქნეს მოსასპობად გადარჩეული ისეთი საქმეები, რომელსაც თუმცა თავის-თავად მეორე ხარისხოვანი ღირებულება აქვს, მაგრამ დაკარგული ნაწილის აღსადგენად კი დიდი მნიშვნელობა აქვს.

13. თუ გასარჩევ საარქივო ფონდს შედგენილი აქვს აღწერა, საკმარისია ამ აღწერაზე დაინიშნოს ფანქრით, თუ რომელი საქმე უნდა იქნეს მოსპობილი და ამ შემთხვევაში ახალი აღწერის შედგენა საჭირო არ არის.

14. თუ გასარჩევი საარქივო ფონდი იმდენად დაზიანებული და არევ-დარეულია ერთმანეთში, რომ აღწერის შედგენა შეუძლებელია, კომისიამ უნდა გამოარკვიოს შედარებით უკეთ დაცულ ან შენახულ საქმეებისა და წიგნების გაცნობის საშუალებით, ღირს და შესაძლებელი არის თუ არა ამ მასალის გადარჩევა და წესრიგში მოყვანა. უკეთუ კომისია დაინახავს, რომ ფონდის მოწესრიგება შეუძლებელია და ამ მიზნით შრომის გაწევა უნაყოფოა, მას გამოაქვს დადგენილება მისი მოსპობის შესახებ.

15. მოსასპობად გადარჩეულ მასალების აღწერას გამრჩევი კომისია მოისმენს ერთ-ერთ სხდომაზე. სხდომის ოქმში შეტანილი უნდა იყოს შემდეგი ცნობები: 1) კომისიის შემადგენლობა, 2) გარჩეულ ფონდის სახელწოდება და თარიღი, 3) ფონდის მდგომარეობა, 4) კომისიის დადგენილება, 5) წევრების ცალკე განსაკუთრებული აზრი, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა, 6) დაახლოებითი ან ზედმიწევნითი რაოდენობა მოსასპობი მასალისა.

16. კომისიის სხდომის აქტი, წევრების მიერ ხელმოწერილი, მოსასპობ მასალების აღწერითურთ, უნდა წარედგინოს ცენტრალურ საარქივო სამმართველოს საკონტროლო-შემმოწმებელ კომისიას განსახილველად და დირექტორისათვის მოსახსენებლად,

17. მოსასპობად გარჩეული მასალა ცენტრალურ საარქივო სამმართველოდან ნებართვის მიღებამდე უნდა ინახებოდეს ხელუხლებლად და მხოლოდ ნებართვის მიღების შემდეგ მასალა შეიძლება მოსპობილ იქნეს ცენტრარქივის მიერ შემუშავებული წესით.

ცენტრარქივის დირექტორი **ი. იოვიძე.**

არქივთმცოდნეობის განყ-ბის გამგე **შ. ჩხეტია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ცირკულიარი
## მაკულატურის გამოყოფის შესახებ.
**1929 იანვრის 11.**

**ცირკულიარულად.**

**ფრ. საჩქაროდ.**

საქართველოს ს. ს. რ. ავტონომიურ რესპუბლიკათა საარქივო სამმართველოებს, სამაზრო საარქივო ბიუროებს, ცენტრალურ სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და წამოწყებებს.

ქაღალდის კრიზისი საარქივო ორგანოთა წინაშე აყენებს ამოცანას, რომ დაუყონებლივ მიიღონ აქტიური მონაწილეობა ქაღალდის ქარხნების საჭირო ნედლეულობით მომარაგების საქმეში.

ს. ს. რ. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის საუწყებათაშორისო თათბირის 1928 წლის დეკემბრის 3-ს და ს. ს. რ. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის 1928 წლის დეკემბრის 20-ს დადგენილებების თანახმად, ყველა დაწესებულებები და წამოწყებები კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკებისა, ვალდებულნი არიან მოამზადონ მთელი მაკულატურა, ქაღალდის ტრესტისათვის ჩასაბარებლად. ა. კ. სახელმწ. ვაჭრობამ, რომელიც არის კონტრაგენტი ქაღალდის ტრესტისა, თავის მხრივ 1928 წ. დეკემბრის 24-ს ხელშეკრულებით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მაკულატურის რეალიზაცია გადასცა საქართველოს ს. ს. რ ცენტრარქივს. 1928 წ. დეკემბრის 28-ს № 40278 ა. კ. ს. ფ. ს. რ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოტანილ იქნა დადგენილება, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე მყოფმა ყველა დაწესებულებებმა ასეთი ქაღალდის მასალა უნდა ჩააბარონ საქართველოს ს. ს. რ. ცენტრარქივს.

საქართველოს ს. ს. რ. ცენტრალური საარქივო სამმართველო ზრუნავს რა ერთის მხრივ, რომ თავის დროზე და სავსებით შესრულებულ იქნეს ქაღალდის მრეწველობისათვის იმ მასალების გადაცემის საქმე, რომელნიც შესანახად არ გამოდგებიან, ხოლო მეორეს მხრივ, მიიღოს ზომები იმ მასალების შენახვის უზრუნველსაყოფად, რომელნიც არ შეიძლება მოსპობილ იქნენ მათი მეცნიერულ-ისტორიული ღირებულების გამო, თავის მხრივ წინადადებას აძლევს იხელმძღვანელონ შემდეგი წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1. საქართველოს ს. ს. რ. ცენტრალურ დაწესებულებათა არქივებმა და იმ საკავშირო და ფედერატიულ ხასიათის დაწესებულებებმა, რომელნიც იმყოფებიან საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე, უნდა ჩააბარონ მაკულატურა საქართველოს ს. ს. რ. ცენტრარქივს, ხოლო ადგილობრივ დაწესებულებათა არქივებმა ადგილობრივ საარქივო ორგანოებს.

2. გადასარჩევი მასალების სიები და გამრჩევი კომისიების ოქმები დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ცენტრალურ დაწესებულებების არქივების მიერ,—საკავშირო და ფედერატიული ხასიათისა—საქართველოს ს. ს. რ. ცენტრარქივს, ხოლო ადგილობრივი დაწესებულებების—საარქივო ორგანოებს.

3. მოსასპობი საარქივო მასალის გამოსაყოფად დაწესებულია შემდეგი რიგი: ი) პირველ რიგს ეკუთვნიან ის საარქივო მასალები, რომელთაც არა აქვთ არავითარი სამეცნიერო ღირებულება და დაწესებულებებისათვის სამუდამოდ დაკარგული აქვთ ცნობითი ანუ სხვა პრაქტიკული მნიშვნელობა; ბ) მეორე რიგს ეკუთვნიან ის მასალები, რომელნიც საჭირონი არ არიან დაწესებულებათა ოპერატიული მუშაობისათვის, მაგრამ მათი მეცნიერულ-ისტორიული ღირებულების გასარკვევად მოითხოვენ გადასინჯვას.

4. ყველა დაწესებულებანი ვალდებულნი არიან არა უგვიანეს ერთი კვირისა, დღიდან ამ ცირკულიარის მიღებისა წარუდგინონ სათანადო საარქივო ორგანოს სიები იმ გადასარჩევი მასალებისა, რომელნიც უნდა გამოყოფილ იქნენ პირველ რიგში.

5. პირველი რიგის მასალებს ეკუთვნიან საქმეები და ცალკე ტრაფარეტული ხასიათის ის საბუთები, რომელთაც არა აქვთ არავითარი მეცნიერული ღირებულება და სამუდამოდ დაკარგული აქვთ დაწესებულებათათვის ცნობითი ანუ სხვა პრაქტიკული მნიშვნელობა, მაგალითად: 1. დასატარებელი დავთრები, 2. კორესპონდენციის მისაწოდებელი დავთრები, 3. შემოსულ და გასულ ქაღალდების დავთრები, 4. სააღრიცხვო შემოსავლის და გასავლის დავთრები, 5. სხვა და სხვა უწყებები, 6. ნებართვათა იარლიკები, 7. ფაქტურები, 8. ტალონები, ხელწერილები, ქვითარების ნაწიბურები, 9. მაღაზიის ჩეკები და სალაროს ტალონები, 10. სალაროს ყოველდღიური ჩანაწერების შავები, 11. მასალებისა და საქონლის აღრიცხვის უკვე ნასარგებლი დამხმარე ბარათები, 12. საწყობიდან მასალების გაცემის განწესებები, 13. ყოველდღიური შეჯამება შემოსულ-გასული მასალებისა, 14. შავი ამონაწერები ანგარიშებიდან და მასალები ბალანსებისა, 15. შავი და უკვე ნასარგებლი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავდაპირველი სტატისტიკური მასალა (ბარათები, ანკეტები), 16. მოსამსახურეთა ყოველდღიური მოსვლისა და წასვლის აღრიცხვა, 17. ბრძანებებისა, ცირკულიარებისა, განკარგულებებისა, ინსტრუქციებისა, საინფორმაციო და სხვა მასალების პირების ზედმეტი ცალები და სხვა, 18. შემოსული და გასული ტელეფონოგრამების პირები, რომელნიც საქმეებში არ შედიან, 19. სამსახურის ბარათები, რომელნიც საქმეებში არ შედიან, 20. წარგზავნის ქაღალდების პირები, რომელთაც არა აქვთ დანართი, 21. გაზეთებისა და პერიოდულ გამოცემათა გამოწერის ქაღალდები, 22. მოთხოვნილება და მიწერ-მოწერა საკანცელარიო ნივთების მოთხოვნაზე, 23. მიწერ-მოწერა სამეურნეო წვრილ საკითხებზე, 24. ტრაფარეტული აქტები და ოქმები, შედგენილი ადმინისტრატიული პირების მიერ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის გამო (იმ პირობით, თუ ამ აქტებთან და ოქმებთან დაკავშირებით წარმოებული არ იყო დაკითხვა), 25. საფინანსო ანგარიში, რომელიც ფინკონტროლის მიერ მიკუთვნებულია მესამე ხარისხს და სხვა.

6. ადგილობრივი დაწესებულებანი ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატისა, სამხედრო-საზღვაოსი და გზათა სახ. კომისარიატისა გადასარჩევი მასალის სიებს არ ადგენენ, არამედ იღებენ მათ უკვე შეთანხმებულებს ცენტრარქივთან თავიანთ სახ. კომისარიატებიდან.

7. გადასარჩევი სიები მტკიცდება საარქივო ორგანოს მიერ სამი დღის ვადაში დღიდან მიღებისა. გადასარჩევი სიის დაუმტკიცებლობა სამი დღის ვადაში ნიშნავს, რომ საარქივო ორგანოს საწინააღმდეგო არაფერი აქვს და სია დამტკიცებულად ითვლება. ერთი ცალი დამტკიცებული სიისა სათანადო აღნიშვნით უბრუნდება წარმომგზავნელ დაწესებულებას, მეორე კი რჩება საარქივო ორგანოს კანცელარიაში.

8. მასალების გადარჩევას დამტკიცებული გადასარჩევი სიებით აწარმოებს კომისია, შემდგარი დაწესებულების თანამშრომლებისაგან ანუ ამისათვის გამოყოფილი ცალკე თანამშრომელი, დანიშნული დაწესებულების გამგის მიერ.

9. თვითეულ შესრულებულ გადარჩევაზე სდგება აქტი, რომელშიაც აღინიშნება კატეგორიები მოსასპობ მასალისა აუცილებელი მითითებით გადასარჩევი სიის სათანადო მუხლებზე, წლები, რომლებსაც ეკუთვნის მასალა, და აგრეთვე საერთო წონა გადარჩეული მასალისა. გადარჩეულ აქტის ერთ ცალს დაწესებულებანი უგზავნიან ცნობისა და აღრიცხვისათვის იმ საარქივო ორგანოს, რომლის მიერაც დამტკიცებულია გადასარჩევი სია. აქტები, როგორც დაწესებულებაში, ისე საარქივო ორგანოში ინახებიან ცალკე საქმეში.

10. ის მასალები, რომლებიც გადარჩეულია დაწესებულებების მიერ მოსასპობად სათანადო საარქივო ორგანოების მიერ გადასარჩევი სიებისა და გამრჩევი კომისიების ოქმების დამტკიცების შემდეგ, გადაეცემიან დაწესებულებების მიერ გამოყოფის ადგილებზე საარქივო ორგანოებს ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობისათვის გადასაცემად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



11. პირველი რიგის მასალების გადარჩევის შემდეგ ყველა დაწესებულებები შეუდგებიან გადარჩევას მეორე რიგის მასალებისას, რომელნიც, თუმცა დაწესებულებების ოპერატიული მუშაობისათვის საჭირო არ არიან, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული ნიშნების გამო სამეცნიერო ანუ პრაქტიკული ღირებულების მატარებელი არიან.

12. მასალები მეორე რიგისა გადაისინჯება გამრჩევი კომისიის მიერ მათი შენახვის ადგილას. გამრჩევი კომისიის წევრთა შემადგენლობაში აუცილებლივ უნდა შედიოდენ საარქივო ორგანოს წარმომადგენლები.

13. საერთო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სდგება ოქმი გამრჩევი კომისისა, რომელშიაც იწერება დახასიათება მოსასპობად გადადებულ საარქივო მასალებისა, წლები, რომლებსაც ეკუთვნიან მასალები და რაოდენობა—მოსასპობი მასალისა (კილოგრამებით). ოქმის პირი განსახილველად და დასამტკიცებლად წარეგზავნება სათანადო საარქივო ორგანოს შემმოწმებელ კომისიას. იმ შემთხვევაში, როდესაც გამრჩევი კომისიის წევრთა შორის აღიძრება აზრთა სხვადასხვაობა და საარქივო ორგანოს წარმომადგენელი არ დაეთანხმება უმრავლესობას, ოქმი გამრჩევი კომისიისა გადაეცემა საარქივო ორგანოს ცალკე მოსაზრებების დართვით.

14. ავტონომიურ რესპუბლიკათა მთავარ არქივებთან და სამაზრო საარქივო ბიუროებთან დაუყონებლივ სდგება ადგილობრივი შემმოწმებელი კომისიები.

15. ადგილობრივ შემმოწმებელი კომისიების შემადგენლობაში შედიან: საარქივო ორგანოს გამგე (იგივე თავმჯდომარე) და წარმომადგენლები: აღმასკომისა და განათლების სახ. კომისარიატისა ანუ განათლების განყოფილებისა.

16. შემმოწმებელი კომისიის ოქმის პირი (უმასალებოდ) დამტკიცებული თავმჯდომარის მიერ, წარმოეგზავნება საქართველოს ს. ს. რ. ცენტრარქივის სამმართველოს. ოქმები და მათი მასალები უნდა ინახებოდენ ცალკე საქმეებში.

17. ადგილობრივ შემმოწმებელი კომისიის დადგენილება უნდა ეცნოპოს იმ დაწესებულებას, რომლის მასალაც არის განხილული, ოქმის დამტკიცებიდან არა უგვიანეს შემდეგი დღისა.

18. მაკულატურის გამოყოფის მიმდინარეობის შესახებ დაწესებულებებში საარქივო ორგანოები ატყობინებენ საქართველოს ს. ს. რ. ცენტრარქივს თვეში ორჯერ. გამოყოფილი მაკულატურა იწერება კილოგრამებით და აღინიშნება გადაცემულია ის თუ არა კუთვნილებისამებრ ანუ მიზეზი გადაცემის შეჩერებისა და აგრეთვე რომელი ფონდიდან არის ის გამოყოფილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



19. დამნაშავენი იმ საარქივო მასალების მოსპობაში, რომელნიც შეტანილი არ არიან გადასარჩევ სიებში და შემმოწმებელი კომისიის მიერ ნებადართული არ არის მოსასპობად, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

20. ამ ცირკულიარის მიღებისთანავე ყველა მთავარი არქივები ავტონომიურ რესპუბლიკებისა და აგრეთვე სამაზრო საარქივო ბიუროები ადგენენ სამთვიან კომპანიის გეგმას—მოსასპობი მასალის გამოსაყოფად იმ ფონდებიდან, რომელნიც შედიან ისტორიულ და საბჭოთა არქივების შემადგენლობაში. გეგმაში აღინიშნება, თუ რომელ ფონდებიდან არის განზრახული მასალების გამოყოფა, სახელდობრ, რომელ განყოფილებიდან, რომელი მასალებია, რამდენი დროისა და ძალის დახარჯვა არის საჭირო გამოსაყოფად, რა რაოდენობის გამოყოფა არის განზრახული. სამუშაოების გეგმა ცნობისათვის საჩქარო ფოსტით უნდა წარმოეგზავნოს საქართველოს ს. ს. რ. ცენტრარქივს.

21. გასარჩევად უნდა დანიშნულ იქნეს ის ფონდები, რომელთაც შეუძლიანთ მოგვცენ მოსასპობი მასალების მაქსიმალური რაოდენობა.

22. მასალების გარჩევის დროს უნდა იხელმძღვანელონ სანიმუშო სიით, რომელიც ნაჩვენებია ამ წესდების მე-5 §-ში, ხოლო გადარჩეული მასალების მეცნიერული მნიშვნელობის შეფასების დროს ცენტრარქივის ინსტრუქციებით, რომელნიც გამოქვეყნებულია—„საქართველოს არქივი“-ს № 1-ლში.

23. საარქივო მასალები 1865 წლამდე (ჩავთვლით), არ შეიძლება მოსპობილ იქნენ. მასალები, რომლებიც ეხებიან რევოლიუციონურ და საზოგადოებრივ მოძრაობას, სამოქალაქო ომს, აგრარულ და მუშათა საკითხებს, შეიძლება მოსპობილ იქნენ მხოლოდ განსაკუთრებული ბეჯითი გადარჩევის შემდეგ, როდესაც ნათლად გამოირკვევა მათი უმნიშვნელობა.

იმ მასალების გარდა, რომელნიც გადარჩეული იქნებიან მოსასპობად მათი მეცნიერული ანუ პრაქტიკული მნიშვნელობის უქონლობის გამო, გამრჩევ კომისიებს შეუძლიან დანიშნონ მოსასპობად ის მასალებიც, რომლებიც მთლად განადგურებულნი არიან, რის გამოც ამ მასალებით სარგებლობა, ანუ მათი განახლება შეუძლებელი ხდება.

**შენიშვნა:** ეს მუხლი არ შეეხება ძველ ხელნაწერებს, რომელნიც შეინახებიან უვნებლად მიუხედავათ მათი მდგომარეობისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



24. უკეთუ გამორჩევა მოსასპობი მასალებისა ხდება ისეთი ფონდიდან, რომელსაც აქვს აღწერა, მაშინ აღწერაში აღინიშნება ნომრები იმ მასალებისა, რომელნიც უნდა მოსპონ. გამრჩევი კომისიის ოქმშიაც აღინიშნება ეს ნომრები აღწერაზე მითითებით. ხოლო უკეთუ ფონდს აღწერა არა აქვს, მაშინ გამრჩევი კომისიის ოქმს საჭიროა დაერთოს შეჯამებული აღწერა; ამასთანავე ცალკ-ცალკე კატეგორიების საქმეებთან არ უნდა ჩვენება შენახვის რაოდენობისა, არამედ საჭიროა მარტო გადარჩეული მასალის საერთო წონის აღნიშვნა.

25. მთავარ არქივებისა და სამაზრო არქივების ბიუროების საცავებიდან მოსასპობი მასალების ამოღების მიმდინარეობის შესახებ უნდა ეცნობოს საქართველოს ს. ს. რ. ცენტრალურ საარქივო სამმართველოს თვეში ორჯერ.

26. დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა სამი თვის ვადაში უნდა შეადგინონ ამომწურავი აღრიცხვა იმ საქმეებისა, რომელნიც შესანახნი არ არიან,მათი შენახვის ვადის აღნიშვნით.

**შენიშვნა** მე-5 მუხლში მე-3—§: აქტიური მნიშვნელობის საარქივო ფონდებში შემოსულ და გასულ ქაღალდების დავთრები ისპობა მხოლოდ მაშინ, თუ ისინი შეიცავენ მარტო თარიღსა და ქაღალდის ნომერს. ისინი ინახებიან, თუ მათში არის ცნობები ქაღალდის შინაარსის შესახებ, რომელნიც იძლევიან დაწესებულების მოქმედების სურათსა და რაოდენამდე ავსებენ ამა თუ იმ საბუთების დანაკარგს.

ცენტრარქივის დირექტორი **ი. იოვიძე.**

არქივთმცოდნეობის განყ-ბის გამგე **შ. ჩხეტია.**

## ინსტრუქცია
## გამრჩევ და შემმოწმებელ კომისიებს მოსასპობი ქაღალდების გამოყოფის კომპანიის ჩასატარებლად.

**1929 წ. იანვრის 17.**

1. მოსასპობი საარქივო მასალების გამოსაყოფად დაწესებულია შემდეგი რიგი: ა) პირველ რიგს ეკუთვნის საარქივო მასალები. რომელთაც არა აქვთ არავითარი სამეცნიერო ღირებულება და დაწესებულებისათვის სამუშაოდ დაკარგული აქვთ ცნობითი ანუ სხვა პრაქტიკული მნიშვნელობა. ბ) მეორე რიგს ეკუთვნიან ის მასალები, რომელნიც დაწესებულების ოპერატიული მუშაობისათვის საჭირო არ არიან, მაგრამ მათი მეცნიერულ-ისტორიული ღირებულების გასარკვევად მოითხოვენ გადასინჯვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**შენიშვნა:** პირველი რიგის მასალების სანიმუშო და სახელმძღვანელო ნუსხა მოყვანილია ს. ს. ს. რ. ცენტრარქივის 1929 წ. იანვრ. 11 ცირკულიარში.

2. მასალების გამოყოფას აწარმოებს წინასწარ შედგენილი გადასარჩევი სიებისა და ნუსხების მიხედვით ცენტრარქივის თამამშრომლებისაგან შემდგარი კომისია, ან ამ საქმისათვის რწმუნებული ცალკე თანამშრომელი.

3. თვითეულ წარმოებულ გადარჩევის შესახებ სდგება აქტი, რომელშიაც აღინიშნება: კატეგორიები მოსასპობი მასალისა, გადასარჩევი სიის სათანადო მუხლებზე აუცილებელი მითითებით, წლები, რომლებსაც ეკუთვნის მასალა, და აგრეთვე საერთო წონა გადარჩეული მასალისა. აქტი სდგება ორ ცალად, რომელთაგან ერთი დამტკიცების აღნიშვნით რჩება სათანადო არქივში, მეორე კი ცენტრარქივის სამმართველოში. ყველა აქტები ინახება ცალკე საქმეში.

4. პირველი რიგის მასალების გადარჩევის შემდეგ, კომისია შეუდგება გადარჩევას მეორე რიგის მასალებისა, რომელნიც დაწესებულებათა ოპერატიული მუშაობისათვის საჭირო არ არიან, მაგრამ შესაძლებელია რაიმე მხრივ აქვთ მეცნიერული ანუ პრაქტიკული ღირებულება.

5. მეორე რიგის მასალებს საპერსპექტივო გეგმის წესით გადასჯავს ს გამრჩევი კომისია. ცენტრარქივის მიერ შედგენილი ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც დაბეჭდილია „საქართველოს არქივი“-ს №1-ლში, გარდა ბოლო წლის თარიღისა, რომელიც ნაჩვენებია იმ ინსტრუქციის მე-6 მუხლში. უკეთუ მიღებული იქნება საერთო გადაწყვეტილება, მაშინ გამრჩევი კომისია ადგენს ოქმს, რომელშიაც აღინიშნება ფონდი და დახასიათება მოსასპობი საარქივო მასალისა, წლები რომლებსაც ეკუთვნის მასალა, რაოდენობა და წონა მოსასპობი მასალისა კილოგრამებით, ხოლო თუ გამრჩევ კომისიის წევრთა შორის აღიძრა აზრთა სხვა და სხვაობა, მაშინ ოქმი გადაეცემა ცენტრალურ საარქივო სამმართველოს ცალკე მოსაზრებების დართვით.

6. საარქივო მასალები 1865 წლამდე (ჩათვლით) არ შეიძლება მოსპობილ იქნეს. საარქივო მასალები, რომელნიც ეხებიან რევოლიუციონურ მოძრაობას, სამოქალაქო ომს, აგრარულ მოძრაობას და მუშათა საკითხებს შეიძლება მოსპობილ იქნენ მხოლოდ განსაკუთრებული ბეჯითი შემოწმების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



7. უკეთუ მოსასპობი მასალის გამორჩევას სწარმოებს ისეთი ფონდიდან, რომელსაც აქვს, საინვენტარო ანუ ჩასაბარებელი აღწერა, მაშინ მასში აღინიშნება მოსასპობი ნომრები. გამრჩევი კომისიის ოქმში ეს ნომრები აღინიშნება აღწერაზე მითითებით, ხოლო თუ ფონდს აღწერა არა აქვს, მაშინ გამრჩევი კომისიის ოქმს საჭიროა დაერთოს შეჯამებული აღწერა. ამასთანავე საქმეების ცალკე კატეგორიებთან არ უნდა ჩვენება შენახვის ერთეულებისა, არამედ მხოლოდ საერთო წონა გადარჩეულისა.

8. დავთრები, საქმეები და საბუთები გადაისინჯება არა მარტო სათაურით, არამედ შინაარსითაც.

9. უკეთუ ფონდი მთლიანად არ არის შენახული, გადარჩევა უნდა სწარმოებდეს დიდი სიფრთხილით, ამიტომ მასალათა გადარჩევის მუშაობას წინ უნდა უსწრებდეს მუშაობა ფონდის მდგომარეობის გამოსარკვევად და ამასთან დაკავშირებით საქმის წარმოების ხასიათის და იმ დაწესებულების სტრუქტურის გასაცნობად, რომელმაც შექმნა ფონდი. ასეთი წინასწარი გამორკვევა დააჩქარებს თვით გარჩევის საქმეს: ის უჩვენებს, თუ რომელი მასალა მეორდება, რა მასალა არის შეტანილი ამონაკრებში, ანგარიშებში და სხვა.

10. უკეთუ გასარჩევი ფონდი იმყოფება ნამდვილ ქაოტიურ მდგომარეობაში, მაგრამ მასალათა შორის არის ცოტა თუ ბევრი უეჭველი ნაგავი, როგორც მაგალითად ქვითარების ნაწიბურები და სხვა, მაშინ ეს ცხადი უვარგისი მასალა უნდა გამოიყოს პირველ რიგში, რომ საცავი განტვირთულ იქნეს. უფრო უკეთესად დაცული ქაღალდები საჭიროა გადარჩეულ იქნეს.

11. გამრჩევი კომისიის ოქმს იხილავს და ამტკიცებს შემმოწმებელი კომისია, რომელიც, თუ საჭიროა, აწარმოებს გადარჩეული მასალის ფაქტიურ შემოწმებას.

12. შემმოწმებელი კომისიის დადგენილებას ამტკიცებს ცენტრარქივის დირექტორი ანუ მისი მოადგილე.

ცენტრარქივის დირექტორი **ი. იოვიძე.**

არქივთმცოდნეობის განყოფილების გამგე **შ. ჩხეტია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შემჩნეული კორექტურული შეცდომები.

| გვერდი: | არის: | უნდა იყოს: |
|---|---|---|
| 5 | სააჭირო | საჭირო |
| 15 | თავმოუყრილ | თავმოყრილ |
| 15 | კონეცენტრაციის | კონცენტრაციის |
| 19 | ამაზრო | სამაზრო |
| 19 | ნაწილოსბრივ | ნაწილობრივ |
| 20 | თვითცენტრალურ | თვით ცენტრალურ |
| 21 | სტრქტურის | სტრუქტურის |
| 24 | გამონაკლისის | გამონაკლისის |
| 25 | პიროიბები | პირობები |
| 27 | აორქივს | არქივს |
| 27 | კითხეელისათვისაც | მკითხველისათვისაც |
| 29 | შიქმნის | შექმნის |
| 29 | განსაკუთრეიული | განსაკუთრებული |
| 29 | უკრაანაც | უკრაინაც |
| 31 | გამოცქმული | გამოცემული |
| 33 | მიინც | მაინც |
| 33 | ყრმლობას | ყრილობას |
| 33 | სა  ართველოს | საქართველოს |
| 36 | უეჭველედ | უეჭველად |
| 36 | მიმდინირე | მიმდინარე |
| 67 | არსნი | პირნი |
| 69 | 1861 წ. | 1871 წ. |
| 104 | მიექცეს მეტი ყურადღება | მიეცეს მეტი უპირატესობა. |
| 176 | in Ioco | in loco |